ცოცხი



6 2018

ISSN 0134-3459

ჭოროხი

გამოცემის მე-60 წელი | ნოემბერი-დეკემბერი | №6 | 2018 წელი

სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი

სანდრო ბერიძე

სარედაქციო კოლეგია

როინ აბუსელიძე

ცისანა ანთაძე

გენრი დოლიძე

შოთა ზოიძე

დავით თედორაძე

ლალი კონცელიძე

გუნა სამნიძე

რამაზ სურმანიძე

ჯემალ სურმანიძე

ბელა ქებურია

ვახტანგ ღლონტი

თინა შიოშვილი

ტექნიკური რედაქტორი და
კომპიუტერული უზრუნველყოფა

მალხაზ ფაღავა

ოპერატორი

მარიკა ლაშხია

დაარსებულია 1958 წელს
გამოდის ორ თვეში ერთხელ

ISSN 0134-3459

© „ჭოროხი“, 2018

რედაქციის მისამართი:
6009, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21
ტელ.: (422) 27-15-30

გამომცემელი
ა(ა)იპ აჭარის მწერალთა სახლი

ჟურნალი დაიბეჭდა შპს „ხომლი ენ“-ის
სტამბაში. ქუთაისი, ჭავჭავაძის ქ. 33

ავტორთა საყურადღებოდ:
რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს
შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8);
რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

შინაარსი

პროზა, პოეზია

ანზორ კუდბა – ევლია (რომანი. გაგრძელება) 3
რეზო თეგბიძე – ლექსები 26
ნათია ჭინჭარაული – ლექსები 29
ანდრია დურმიში – ოზურგეთი (ნოველა) 42
რობერტ ნადირაძე – ლექსები 44
ლევან გორვანელი – იესო (მოთხრობა) 53
შოთა ანანიძე – ლექსები 58
მიხეილ მახარაძე – მოთხრობა; ჩანახატები 60

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

მალხაზ ჩოხარაძე – ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი ანზორ კუდბას შემოქმედებაში 75
ოთარ გოგოლიშვილი – გრიგოლ ვოლსკი, როგორც საზოგადო მოღვაწე და პოეტი 99
ზურაბ ხაბაძე – უსათაუროდ და უმისამართოდ (დასასრული) 111

წერილები

ნოდარ სურმანიძე, ნიკოლოზ დუმბაძე – ქოჩახელას სახელისა და სადაურობის დაზუსტებისთვის 116
ავთანდილ ბერიძე – შესახებ ჟურნალისა „მზიანი ღამე (დაკლებულისთვის შეგვინდეთ)“ 120



ᲐᲜᲖᲝᲠ ᲙᲣᲓᲖᲐ

ᲔᲕᲚᲘᲐ*

(რომანი)

ᲙᲐᲠᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ

„ფუხარა ევლია არის.
ბელქი იყო სულიწმინდა“

ᲔᲕᲚᲘᲐ

ლალი-შაქირამაც შეიხსნა სულის კარი და ეს ამონარიდიც იქიდან ამოიწერა: „დრომ შემაქანა და მთელი სამი თვე მოიცვა ამ დრომ.

დრო: ეს ფენომენი იდუმალი... ფენომენი მარტო? მოვლენა?! არც მოვლენა. მოვლენაც ვერაა დრო. დრო – სიცოცხლის არსი!

სამი თვე: ჩემი წილი ცხოვრების ის მონაკვეთი, როცა მეხსიერებამ მიღალატა... ათვლაც იქიდანაა დასაწყები! გადამვიწყებოდა თითქმის ყველაფერი. თითქოს და: ამოშლილიყო ჩემში ეს სამი თვე. ჰოდა: შემახსენებენ აქ: შენ რაღაც უცნაური რამ სენი შეგყრია, გაუგონარი... უცხოური. არა მგონია, მინინგიტი გადამეტანოს.

აღარაფერი მახსოვს... გაგიგონიათ ასეთი რამ? წარმოგიდგენიათ?

ზოგჯერაც: გამოვითიშები სულაც და ვგდივარ ასე უგონოდ სამ-ოთხ დღეს. აღარც სიზმარი რამენაირი... ხილვა? რის ხილვა, რა ხილვა?!

არც კი ვიცი, როგორ და: კლინიკაში აღმოვჩნდი სადღაც, მიყრუებულ ადგილზე. პირველად კი დაინტერესდნენ თითქოს ჩემით, იფიქრეს ალბათ, რაღაც ახალ სენთან (ჯერ კიდევ დაუდგენელ) თუ გვაქვს საქმეო, მაგრამ ამაოდ დაშვრნენ: ვერაფერი საინტერესო ვერ აღმოაჩინეს ჩემში და ხელი აიღეს ჩემზე.

ჩვენი ავადმყოფი არ უნდა იყოო, გამომიცხადეს ერთ მშვენიერ დღეს და მაგრძნობინეს: დღეს არა, ხვალ გაგწერთო და საუბარიც აქ მოამთავრეს ჩემთან, – კაის იზამ, გაგვეცლებოდე და შენს გზას დაადგებოდეო.

„და თქვენი აზრით, მეშველება მერე?“ – ვკითხე ჩემებურად.

„იქნებ გეშველოს კიდეც“, „მეშველება კი მერეო?“ და ხელები გაშალა გაკვირვებულმა მკურნალმა და ჩემი განკურნვაც აღარ ინება.

თავი აღარ დავუქნიე და იმანაც აიჩეჩა მხრები:

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. ჟურნალი „ჭოროხი“, № 4, 5, 2018 წ.

– აბა, რა ვიცი... იქნებ: სულაც არ ელოდებოდეო... ე, მაშინ მოიხედო ამ ქვეყნისკენ. აბა, რა ვიცი, თუმცა: „რატომ, რატომ უნდა ვიცოდე ეს ყველაფერი?“ – უცებ დაცხრა და თვალი თვალში გამიყარა: – შენ ისეთი ვინმე უნდა იყო, რომ... იცოცხლებ, ხომ იცი შენ?! ხედავ: სიცოცხლე ჩაგდგომია ამ უცხვაფერ თვალებში, მაგრამ ასეთი ცვლილება ერთ წუთში? საოცარია სწორედ! ოღონდ ვერაფერი გამიგია, აღარც ვიცი, როგორ ავხსნა ეს ყველაფერი?

და ჩემგანვე მომდინარე სულიდან ამოძახილი სიტყვები მესმის:

„მეშველება, მეშველება!“ – ვამბობ.

მემატება ძალა და ამ დროს გადამეფარება ნისლი თვალებზე.

ახლა კი დაფაცურებულა ჩემი მკურნალი და მორიგე ექიმი გამოუძახებია, მაგრამ იმის მოსვლამდე მოვსულვარ გონს.

ამით: კიდევ უფრო გამიკვირვებია ექიმი და თუ შეიძლება, წნევას გაგიზომავო, მორიდებულად, თითქმის მოკრძალებით მომმართა;

ახლა კი ვუბრძანე თავს: „იმხელა წნევა კი უნდა გქონდეს, რომ გაკვირვებული დარჩეს შენი მკურნალი, ასეთი წნევით ფეხზე როგორ დგას ეს კაციო?!“

და მართლაც: – თქვენ... – თვალებში ამოისვა ხელი, – თქვენ...

„ასოთხმოცი – ასზე... მე შემიძლია ორასი – ასორმოცდაათზე მქონდეს და ფეხზე ვიდგე...“ – ფიქრი ექიმის სასმენელისკენ მივმართე.

„თქვენ რაღაც მითხარით, მგონი...“ – მაღლა ასწია ექიმმა ხელი და თვალი ამარიდა, – მართლა მითხარით?

თავი დავუკარი და ისევ ამოიფშვნიტა ექიმმა თვალები.

– ასოთხმოცი – ასზეეე... – გაუგრძელდა რიცხვი-სიტყვა, მაგრამ თითქოს მოფხიზლებულიყოსო, ჩაახველა და კიდევ ერთხელ შემავლო ეჭვიანი მზერა, – და შენ მაშინაც შეგიძლია იდგე ფეხზე, წნევა ორასზე რომ აგივარდეს?! თუკი ასეა... დამიკარი თავი და დავშორდეთ ერთმანეთს!

მეც დავუკარი თავი და ექიმიც მომეშვა, ხელები ძირს ჩამოუცვივდა: – წადი, წადი... თუკი ამდენი შეგეძლო, ჩემთან რაღა გინდოდა?! – პალატიდან გავარდა.

მეც ვტოვებ კლინიკას.

ვბრუნდები სოფელში.

კარგად მართლა ვერ ვიყავი, მაგრამ ვერც სოფლის იმედზე ვიქნებოდი: სოფელს თავისი ჭირი ჰქონდა და უჭირდა კიდეც, თუმცა ხელი მაინც არ უკრავს ჩემთვის: ტკბილი ჩაი და ცივი ჭადი აღარ მომკლებია მთელი ამ ხნის განმავლობაში.

ვიავადმყოფე ერთი თვე, შვიდი დღე და თორმეტი საათი, კიდევ რამდენიმე წუთი და... ჩვიდმეტი წამი.

როგორც იქნა წამოვდექი.

სოფელს უჩემოდაც უჭირდა ძალიან... ჩაჟამებოდა სული...“

ლალი-შაქირა (ევლია).

* * *

ერთხელაც:

სადაცაა, უნდა ჩაძინებოდა ლალი-შაქირას და კარზე დაუკაკუნეს.

კაკუნი არ გაუგონია: გუმანით იგრძნო უფრო. ყრუ-მუნჯი როდი იყო, ვერ გაეგონა, მაგრამ არ მოხვდა როგორღაც იმის ყურს კარზე კაკუნი: ყურადღება კი, ცოდვა გამხელილი ჯობია და ხშირად ეფანტებოდა.

გახსოვთ, როგორ დამუნჯდა? ყურთასმენა თავისით დაიხშო (ყრუ-მუნჯობა, ალბათ, აწყობდა).

უხასიათოდ წამოდგა.

გააღო კარი და გარეთ გაიხედა (ისე, უბრალოდ: უმიზეზოდ).

ვერავინ დაინახა და გააძაგძაგა. უგრძნო გულმა, რომ მარტოც არ უნდა ყოფილიყო:

– ლალი-შაქირავ! ვერ მხედავ, მაგრამ ხომ იგრძენი ჩემი სიახლოვე... ჰო, აგერ ვარ და უნდა შეეგუო კიდეც ჩემს აქ ყოფნას! აბა, რა გეგონა?! ნუ, ნუ ფიქრობ, ასე ადვილად მომიშორო!

შეცბა ლალი-შაქირა და უკან დაიხია. ცივი კედელი შეაჩერებს და ლალი-შაქირაც მოფხიზლდება:

„ვინ ხარო?“ – უსიტყვოდ იკითხავს ლალი-შაქირა, როგორც სჩვეოდა ხოლმე; კითხვას სულში ჩაიხვევს და კითხვადვე იქცევა (ამ დროს ესმოდათ ლალი-შაქირასი).

– ლალი-შაქირავ... არ თქვა ახლა, თითქოს პირველად გესმოდეს ჩემი ხმა... – გაიცინა ხმამ და ლალი-შაქირასაც შეაცივა.

„ვერა, ვერ გიცანი, ძიავ...“

– ვერ მიცანი?! საკვირველია, რომ ველარ მცნობ... – სიცილი შეწყვიტა ხმამ, რომლისთვისაც დაუპატიჟებელი სტუმრის სტატუსი მიენიჭებინა ლალი-შაქირას.

„მართლა ვერ გცნობ, ძიავ... არც მიფიქრია, გაგიხსენო!“

– მოიცა ერთი! როგორ თუ ვერ გამიხსენებ? ეს მე ვარ, მე... სიზმარში რომ გეცხადებოდი ზოგჯერ და...

„ძილს არ მანებებდი?“

– მაშ, გაგხსენებივარ და ეგ არი!

„არ მახსოვხარ და არც გაგიხსენებ, ძიავ... ძილში მეცხადებოდიო, ასე თქვი მგონია და... სიზმარშიო... მერე და... მე რომ არ მძინავს და არც მესიზმრება?!“

– მე შენი ნახვა მინდოდა... ძალიან!

„ძალიან... ძიავ? მერე და გაბრუნდი უკან და შეიკარგე სიზმარში! რაღას უცდი? რაღაც-რაღაცებს მასწავლიდი... შენ იგი ხომ არ ხარ...“

– შენ რომ გგონივარ, იგი ნამდვილად არ უნდა ვიყო... – შეფიქრიანდა ხმა, – მაგრამ თუკი გამიხსენებ, იქნებ, დაგაინტერესო კიდეც. – პირი გააწკლაპუნა ხმამ, – კარგად მომისმინე, ლალი-შაქირავ!

„გისმენ ძიავ... არც გამქცევი ვარ... ორივემ კარგად ვიცით, რომ ვერსადაც ვერ გავექცევით ერთმანეთს“.

– მართალი ხარ, ლალი-შაქირავ! მგონი, მართლა უნდა წყდებოდეს შენი ბედი და ყურადღებით იყავი!

„ვიქნები ძიავ, აბა, არ ვიქნები?.. თავსაც ხომ ვერ მოგატყუებინებ?“

– და დგება, მგონია, ის დრო, როცა ჭეშმარიტ გზას უნდა დაადგე შენც! ბოლოს და ბოლოს: ხომ უნდა იცოდე, რისთვის ხარ მოსული ამ მიწაზე და... რისთვის ხარ მოწოდებული... შენ სხვათა და სხვათაგან განსხვავებით, განსაკუთრებული მისია გეკისრება დღეიდან და დღეიდან იმიტომ, რომ მეცოდინება უკვე შენი დანიშნულება, ვალი... მოვალეობა.

„მაინც რა შემიძლია მე, ლალი-შაქირას... დამუნჯებულ-დაყრუებულს... ყრუ-მუნჯს?“

– ლალი-შაქირავ... არც მთლად ასეა საქმე და თავსაც ნუ იკატუნებ... რომ არ გიცნობდე და შენი ასავალ-დასავალი, შენი შესაძლებლობები რომ არ ვიცოდე... – გაიღიმა ხმამ, – შენ მკურნალი ხარ მოწოდებით... ადამიანებს უნდა კურნავდე!

ლალი-შაქირამაც ღრმად ამოისუნთქა და დოინჯი შემოიყარა: – მაგრამ რომ არ მისწავლია... სოფლის ექიმი გავხდე? ექიმბაში...

– ექიმბაში კი არა, მკურნალი, ლალი-შაქირა!

„მაგრამ სამედიცინო ინსტიტუტში რომ არ მისწავლია?“

– მალამოებს ამზადებდა მამაშენიც და სამედიცინო სასწავლებელი არ დაუმთავრებია, სოფლის მკურნალი იყო ბაბუაშენიც, ბაბუაშენის ბაბუაც ცნობილი დასტაქარი ყოფილა... ექიმები ხართ შთამომავლობით! ექიმი იქნები შენც, ძიავ... – ლალი-შაქირასავით მოუქცია ხმამ და გაიცინა, – ექიმი მოწოდებით უნდა იყო, ლალი-შაქირავ... თუ არ გაქვს ეს მოწოდება, რამდენიც არ უნდა ისწავლო, სადაც არ უნდა ისწავლო, როგორც არ უნდა ისწავლო, ექიმი მაინც ვერ გახდები!

„მაი მეც ვიცი, ძიავ... მალამოების მომზადებას რა უნდა? მაგრამ მაი რომ ვერ მომცემს იმის უფლებას, რომ ექიმად გამოვაცხადო თავი! კი, ბატონო, ექიმიც ვიქნები... და ხომ უნდა ვიცოდე რამე?! ექიმმა ადამიანის ანატომია ხომ უნდა იცოდეს?“

„ბალახებით მკურნალობა მითხარი შენ... რაც კარგად აგდის ხელზე, დანარჩენზე ჩვენ ვიზრუნებთ!“

„ვინ, ჩვენ?“

– ჩვენ, ვისაც გვეხელწიფება ბევრი... აბა, მომიახლოვდი, ლალი-შაქირავ! აუცილებელი არ-

ცაა მხედავდე! აბა, მოიწი ჩემკენ! ნაბიჯი გადმოდგი! კაი, გეყოფა. დადექი და მოითქვი სული! მარჯვენა ხელი მომეცი. ახლა კი ერთდროულად შევიკრათ სუნთქვა და ერთ არსად ვიქცეთ!

შეიკრა სუნთქვა ლალი-შაქირამ და იხილა კაცი: მთლად გაშიშვლებული იდგა, მაგრამ ლალი-შაქირას უხერხულობა სულაც არ უგრძნია:

„ეს გულია... – ამბობს ლალი-შაქირა, – აგერ კუჭი და... თორმეტგოჯა ნაწლავი, ღვიძლიც აგერ, ნაღვლის ბუშტი! მერე, ძიავ? თირკმლებიც აგერ! ყველაფერს ვხედავ, ძიავ!“

– ამას შენ ხედავ, ლალი-შაქირავ, აბა, ხასიაი კი ვერ დეინახავს?! ვერც თქვენი სოფლის თავკაცი... მერე, ლალი-შაქირავ, ცოტა ხანში აღარც კოლმეურნეობის თავმჯდომარე გეყოლებათ და აღარც კოლმეურნეობა იქნება!

და ყველაფერი ეს ოთხ წელიწადში მოხდება. შენ რომ მოწაფე გყავს ერთი... იმას რუსულ ჯარში აღარც მოუწევს სამსახური. მოკლედ, ლალი-შაქირავ, დიდი ამბებია მოსალოდნელი და ყველაფერ ამას მომზადებული უნდა შეხვდე... შეესწრები 9 აპრილსაც... წელი 1989... სისხლიანი წელიწადი... მერე... შენს შემდეგ იქნება 1990... 28 ოქტომბერი, გული გაიმაგრე, ლალი-შაქირავ და... ცასაც ხომ ვერ გმოეკერები?! ხომ მხედავ?

„გხედავ... ხილული ხარ ჩემთვის... შიგნიდანაც და გარედანაც... გხედავ და აღგიქვამ, ძიავ მთლიანადაც და ნაწილ-ნაწილ...“

„ტვინი შენი კაი სანახავი უნდა იყოს! ჰო, ტვინი, ლალი-შაქირავ... შენს ტვინზე ვამბობ... თითქოს ხელის გულზე გედოს და ყოველი მხრიდან ვხედავდე და შევიგრძნობდე...“

„თითქოს მართლა ხელის გულზე მედოს... წებოვანია თითქოს... ლორწოვანი... როგორ დამნაოჭებია და... რამდენი ღარი, ნაპრალი? როგორ თახთახებს? თითქოს ხელისგულზე მედოს, ნაწილ-ნაწილ და მთლიანადაც...“

„ჰო, ლალი-შაქირავ! ერთხელაც შემავლე თვალი და აღმიქვი კიდევ ერთხელ...“

„გხედავ, გხედავ! აღგიქვამ ნაწილ-ნაწილ და მთლიანადაც, ძიავ...“

„ხომ არ გამოგრჩენია რამე? არაო? კეთილი... ახლა კი აღთქმულ-ნანახი... უფრო: ნანახ-აღქმული ტვინის არქივში გადაინახე და... გადაინახე ხომ? ინფორმაცია გადანახულია, მაშასადამე: უცხოც აღარ უნდა იყოს შენთვის ადამიანის ანატომია...“

„ჰო... თითქოს ახლაც ვხედავდე... ვჭვრეტდე ადამიანის სხეულს... რენტგენზე გაშუქებულს,“ – თვალს დახუჭავს ლალი-შაქირა, – ახლაც თვალნათლივ გხედავ... ცნობადია ჩემთვის ეს სხეული... მერე?“

„შეხვალ ავადმყოფთან და: გაასხივებენ ავადმყოფის სხეულს შენი თვალები და იმის ავადმყოფ ორგანოსაც დაინახავ... შენ გეცოდინება ავადმყოფის გასაჭირი. სიტყვიერი პასუხიც მაშინვე და იქვე გეუწყება!“

„მაკვირვებ, ძიავ... და რაღა მაინცდამაინც მე, ვინმე ლალი-შაქირაი, ყველაზე გლახაკი გამომარჩიე ამდენ ხალხში? მერე და ის დაავადებული ორგანო როგორ გამოვარჩიო ჯანმრთელისგან?“

„შეხვალ-მეთქი ავადმყოფთან, გითხარი ერთხელ და ახლაც გიმეორებ: რომელი ორგანოც ნაცრისფერს დაიდებს, ის ეტკივება ავადმყოფს! არ მითქვამს? მაშ, ახლა გეუბნები და კარგადაც დაიხსომე! რეცეპტიც გეუწყება... ჰო, სიტყვიერად! მაგრამ რატომ ყურადღებით არ მისმენ, ლალი-შაქირავ? არ შემიკალი ხელში?! არც მეფისტოფელი ვარ, არც – ბელზებელი და არც ვინმე ეშმაკი... ხომ მხედავ? ნუთუ ახლაც ვერ მენდობი?! არაფერს ვითხოვ შენგან, არაფერს-მეთქი! მერედა, გულიც ბევრს ნიშნავს შენი! ის გული გეტყვის: მორჩება პაციენტი, თუ მასთან შესვლისთანთავე ხელი უნდა აიღო მის მკურნალობაზე“.

„გული გეტყვისო... აბა, არ მეტყვის, ძიავ?! მერე, ძიავ?“

„მერე არაფერიც!“

„და სანაცვლოდ ამისა, სულს აღარ მოითხოვ ჩემსას?“

„შენ მართლა ეშმაკი ხომ არ გგონივარ, ლალი-შაქირავ?!“ – იწყინა უჩინარმა სულმა და

ისევ გამოუჩნდა ლალი-შაქირას. თეთრწვეროსანი იყო და ლურჯი, კეთილი, თბილი თვალებით იმზირებოდა. – არც ვოლანდი ვარ, არც – მეფისტოფელი... არც – ლუციფერი და... არიმანთან ხომ არც არაფერი მაქვს საერთო!“

„მაშ, ანგელოზი ყოფილხარ?!“

„არც – ანგელოზი... იერარქიის კიბეზე ანგელოზზე მაღლა ვდგავარ... შეთან უფალმა მომავლინა! იქ... მაღლა, ყველაფერი იციან შენზე! შენზე დიდ იმედებსაც ამყარებენ! შენ ლალი-შაქირაი ხომ ხარ და... არ უნდა შემეშალოს! ლალი-შაქირაც ერთია ამ ქვეყანაზე! ხომ ხარ შენ ლალი-შაქირა?“

„ჰო, ლალი-შაქირაი ვარ! არაფერიც არ გეშლება!„

„ჰოდა: სანამ შენს ახალ როლს შეეგუებოდე და ბოლომდე გაითვალისწინებდე, მიგულვე შენთან! უჩინარი ვიქნები სხვათა და სხვათათვის, შენ კი: როცა ისურვებ, მაშინ გამოგიჩნდები! ჩემი ხმაც მარტო შენ უნდა გესმოდეს!“

„ამის წინააღმდეგი რატომ უნდა ვიყო, მაგრამ საიდან და როგორ დავიწყო?“

„აქ ერთი ბიჭი უნდა ჩამოიყვანონ ქალაქიდან – ნოე ბიჭი... არდადეგებზე... დროზეა მისახედი! ამ ბიჭს განკურნავ შენ, ლალი-შაქირა! შეუძლებელს შეძლებ!“

„უკვე ვიცი, ძიავ, რაც უნდა სჭირდეს! ვნახე ამას წინ და გული კინაღამ გადამიტრიალდა!“

„ვიცი, ამ ბიჭზე ამყარებდი მთელ იმედებს და... ამ შანსსაც ნუღარ გაუშვებ ხელიდან!“

„ნუთუ შემიძლია ნოე ბიჭის მორჩენა? ჩემი შეგირდი... გზასაცდენილი... უნდა დავიბრუნო... ხელიდან გამოვტაცო იმას!“

„ლალი-შაქირავ, ყოყმანობ?! ასე ხომ შეიძლება დაგვაგვიანდეს და... გვიანი იქნება მერე!“

„მაგრამ: ქირდად არ ამიღებს მამამისი, ყრუმუნჯ ლალი-შაქირას რაფერ დავუჯეროო?“

„უპირველესად: ლალი-შაქირავ, თვითონ უნდა ირწმუნო!“

„ვირწმუნე უკვე! მე მკურნალი ვარ... ბაბუამისს უნდა მივენდო: ის სხვა კაცია... იმას ახლაც ჩემი იმედი აქვს და არ გავუცრუებ იმედს! მაგრამ ნოეს მამამ რომ...“

„ამაზეც მიფიქრია, ლალი-შაქირავ. ამ ღამით, ნაშუაღამევს გამოვეცხადები მამამისს და შთავაგონებ, რომ დახმარებისათვის შენ მოგმართოს და არავის სხვას! თვითონ მოვა შენთან და გთხოვს, შვილი მომირჩინეო! იგი მიგიყვანს ნოესთან... ქალაქში, ლალი-შაქირა! ახლა: თავიც არ მოიკატუნო, არ ვიცნობ ქალაქსო! ნოე ლოგინზე დაგხვდება დაკრული და პირველი, რაც უნდა გააკეთო, ის იქნება, რომ შეიკრა სუნთქვა. დაითვლი ჩვიდმეტამდე და: ჩვიდმეტიო, იტყვი ხმამაღლა! მერე შუბლზე დაადებ ხელისგულს... მარცხენას, მარჯვენას კი – მკერდზე, ლალი-შაქირავ! ამოისუნთქავ მერე და შეიკავებ სუნქთვას: ზუსტად სამ წამს და ჩაისუნთქავ ისევ... ითვლი ჩვიდმეტამდე! ჩვიდმეტიო, ამოიძახებ და მარცხენა ხელსაც აიღებ შუბლიდან. მერე მარჯვენას – მკერდიდან და... განიკურნება შენი ნოე. მისი განკურნების ამბავს შეიტყობს მთელი სოფელი და ისიც მუხლს მოიყრის შენ წინაშე... მაგრამ არ გაქიბრდე! იყავ ძველებურად ლალი-შაქირაი! ღმერთი ყველაფერს ხედავს იმ სიმაღლიდან! მერე სხვებიც დაგიძახებენ, ლალი-შაქირავ! და შენც, როგორც ერთგული მსახური, ისე უნდა მსახურებდე იმას, ვისაც ძალიან უჭირს!“

„არ გავქიბრდეო?!“ – ჩაიცინა ლალი-შაქირამ, – თქვენ?!“

„ახლა კი: მეც დამარწმუნე, ლალი-შაქირავ, რომ მკურნალი ხარ შენ უებარი და წავალ...“ – სული მოითქვა იმ თეთრწვეროსანმა სულმაც. ლალი-შაქირამაც იხელთა დრო:

„და როდის მომინახულებთ ისევ?“

„ამ კითხვის პასუხი სულშივე მოიძიე!“ – თვალებში ფიქრი ჩაუდგა თერთწვეროსანს.

„ეს: ალბათ მაშინ უნდა იყოს, როცა ალი ავარდება ამ ჩემს ქოხს, თვითონ მე კი... საავადმყოფოს ვხედავ...“

„ჰო, ალი ავარდება ამ შენს ქოხს, თვითონ შენ კი საავადმყოფო გიპატრონებს და გაგაპატიოსნებს კიდეც...“

„საავადმყოფო...“ – თვალები მოწკურა ლალი-შაქირამ, მაგრამ თეთრწვეროსანმა აღარ დაანება ფიქრი:

„წინასწარმეტყველების გუნებაზე ახლა მართლა არ ვარ და... გიჯობს, აწმყოზე იფიქრო, შენი აწმყო კი დიდ მოვლენებთანაა დაკავშირებული... ევლიავ!“

„მაგრამ მე რომ ლალი-შაქირაი ვარ?!“

„იყავი ლალი-შაქირაი... დღემდე იყავი! ევლია კი ღვთის კაცს ნიშნავს: დღეის ამას იქით ევლიას დაგიძახებენ! ვინ გეუბნება, ლალი-შაქირაი აღარ იქნებიო?!“

„ევლიაიო... ღვთის კაცი, ძიავ...“ – ფიქრი წაიღებს ლალი-შაქირას, – ევლიაი – ღვთის კაცი: ღვთისმოსავი, წმინდანი, მადლიანი...“

თავის ფიქრს შეჰყვება თეთრწვეროსანი (ფიქრით ისევ ლალი-შაქირას – ევლიას დასტრიალებს თავს: – ღვთისმოსავი, წმინდანი, მადლიანი...) – ევლიავ, ერთი რიტუალის შესრულება დაგჭირდება ავადმყოფთან შესვლამდე და ამ რიტუალს თვითონვე მისცემ საჭირო სახეს... ევლიაო... ვიცი, ამასაც შეგუება უნდა, დრო უნდა ამას, მაგრამ არც პირობა უნდა დაარღვიო, ლალი-შაქირავ... ჰო, ევლია! ხედავ, მეც მიჭირს შეგუება...“

„მაგრამ პირობა რომ არ დავარღვიო, ხომ უნდა დავდოთ ეს პირობა?!“

„პირობა კი ასეთია: დღეიდან, ევლიავ, შენ თავს აღარ ეკუთვნი!“

„ვერაფერიც სახარბიელოა ჩემთვის ეს პირობა!“

„თავს აღარ ეკუთვნოდე და კიდევ: დღეიდან შენს განკარგულებაშია მთელი შვიდი წელი! თითქმის უსასრულო დრო! და მთელი ამ შვიდი წლის მანძილზე უანგაროდ უნდა ემსახურო ადამიანს!“

ლალი-შაქირამაც მოითქვა სული და ფიქრიც წაიღებს: „ადამიანის მსახურია ლალი-შაქირაი და... ევლიაო... ღვითსმოსავიო, ძიავ... რომელი წმინდანი მე ვარ, რომ... ლალი-შაქირაი და წმინდანი?! შვიდი წელი ხომ საუკუნეა მთელი! საუკუნე და კიდევ უფრო დამიმძიმდეს იქნება ეს ჩემი საუკუნე!“

„დღეს ოცდაორი დეკემბერია და უბრალო არითმეტიკა თუკი იცის კაცმა, არც თავისი გარდაცვალების თარიღის დადგენა უნდა გაუჭირდეს... მაგრამ რომელი ფაუსტი მე ვარ, რომ...“

„მართალი ხარ, ლალი-შაქირავ... გარდაცვალების თარიღის გამჟღავნებაზე ხომ ტაბუა დადებული, მაგრამ როგორც ფაუსტი, არც შენ ხარ ჩვეულებრივი მოკვდავი“.

„მეფისტოფელიც არ უნდა იყოთ თქვენ და თითქოს და თვითონვე არღვევდეთ ერთხელ და სამუდამოდ დაკანონებული შეთანხმების პირობას. აბა, ძიავ...“

„მეფისტოფელი ნამდვილად არ ვარ და არც შენგან ვითხოვ იმ სულს, ფაუსტისგან რომ მოითხოვდნენ...“

„საოცარია, ძიავ... – გააძაგძაგებს ლალი-შაქირას, – ვიცი, მოვკვდები მეც ოდესმე და რატომ ოდესმე, როცა უკვე გამოვითვალე ჩემი სიკვდილის დღე. ძილში გავიპარები... ერთი სიზმრიდან მეორეში გადავალ და მოვკვდები აქ, სადმე, რომ სადღაც იქ გავჩნდე, დავიბადო სხვა განზომილებაში...“ – ჩალბება ფიქრებში.

რომ გამოერკვევა, იმ უცნაურ, უჩინარ სტუმარს ვეღარსად დალანდავს. გული დაწყდება და ძველებურადაც შეაჟრჟოლებს: „ჰო... საოცარი დეკემბერია, უჩვეულო დღე... ნაშუაღამევი, ძიავ... მართლაც რა საოცარ დროს ხდება ჩემი გარდასახვა ლალი-შაქირადან ევლიაში... აწი: მე – ევლია მადლიანი უნდა ვიყო... ევლია წმინდა, მაგრამ ამას როგორ ვიტყვი?! ლალი-შაქირაი კი არც შეიძლება არ იყოს მადლიანი, ევლიაი ხომ...“

ჩ ე მ ი ა ღ დ გ ო მ ა:

ლალი-შაქირა აღარ გაყვა მამაჩემს ქალაქში. იქ ვერაფერს გავხდები, ბიჭი აქ ჩამომიყვანეო და თავისი გაიტანა კიდეც.

ითენებდა ჩემი სოფელი.

ხალხის ტევა აღარ იყო ეზოში. ბაბუაჩემს სახე ჩამოსტირის, დგას გულზე ხელებდაკრეფილი, მამაჩემი კი ბოლთასა სცემს.

ხალხი რაღაცას ისეთს ელის, გაკვირვებული რომ დარჩეს, სასწაულის ხილვა თუ მოწყუ-

რებია(!) ელის, რომ გადაიხსნას ცა და უფალმა გადმოიხედოს იქიდან: დაასხივოს და სნეულიც განკურნოს! და კიდევ მეტსაც მოითხოვს იგი უფლისგან, ეშველოს ყველა გაჭირვებულს, განიკურნოს სნეული... ადგილიდან დაიძრას გაყინული და მკერდშელეწილი სიკეთე, საკადრისი მიეზღოს ბოროტს!

მე კი:

ვიცი, რომ ვარ, მაგრამ ამის მტკიცებაა ჩემთვის ასე ძნელი, თითქმის შეუძლებლიც: კაცი მარტო გარეგნობით როგორ შეიცნობაო. იგი (კაცი) ხომ სულია უპირველესად, ის, რაც უხილავია მასში. ჩამომეფარება თვალებზე ფარდა, დგება ჟამი ჩემი არარაობისა, ჩემი არყოფნის. შეიძლება ეჭვიც თავადვე შემეპაროს, როცა ვამტკიცებ „აქ ვიკარგებიო...“ ბევრი შენისთანა ვინმე დაკარგულა და... მაგრამ ამით უკუღმა როდი შეტრიალებულა ჩვენი ადამიანური ცხოვრების ჩარხი.

ჰოდა, იწყება: ჯერ ტკივილი მოდის, მერე ეს ტკივილიც ქრება და ვერაფერს შევიგრძნობ... მე აღარ ვარ, აღარც აღარაფერია ჩემს ირგვლივ. ეს უფრო მტკივნეულიც უნდა იყოს, მაგრამ ამის თავიც აღარ მაქვს!

და გრძელდება ასე უსასრულოდ.

თუმცა: უნდა ხდებოდეს რაღაც(!)

ვიღაც ხელს დამადებს შუბლზე (ალბათ, მარცხენას), მარჯვენას მკერდზე ამისვ-დამისვამს და.. ვკარგავ მარცხენა ხელის შეხების გრძნობას: შუბლი – როგორც შუბლი, თითქოს არც მქონია, მერე მარჯვენა ხელის შეხებასაც ვეღარ შევიგრძნობ და: ლალი-შაქირა არ დამყურებს თავის უჩვეულო ღიმილით: – ქვეყანა გაკეთდა, ძიავ, შენ კი წევხარ და წამოდგომაზე აღარც ფიქრობ. გათავდა: ავად აღარ ხარ! – ჩამძახა ყურში და მეც უნებურად ამოვთქვი: „ჰო, მე ავად აღარ ვარ...“

წამოდგომა დავაპირე და მკერდზე დამადო მარჯვენა ხელი: „იწექი ჯერ, აგერ ჩემი საჩუქარი“, – უბიდან თავისი თიხის კაცი ამოიღო და მაგიდაზე დადო.

დიდი მადლობაო, ვამბობ აღელვებული. ვიცი, რასაც ნიშნავს ეს თიხის კაცი ლალი-შაქირასათვის და ვერაფრით ამიხსნია, როგორ შეელია იგი თავის კერპს? როგორ გამოიმეტა? მართლაც ხომ არ აპირებს სიკვდილს? მაგრამ რომ არ ეტყობა?“ – კი გავიფიქრე, მაგრამ უმალვე გადავიფიქრე, მის აღგზნებულ თვალებს რომ გადავეყარე.

არა: სიკვდილზე ჯერ არც ფიქრობდა ლალი-შაქირა!

„ნოე... – ფიქრიანი თვალები მომაშტერა, – იცი, როგორ უნდა მოეპყრა ამ თიხის კაცს? თუმცა სანამ აგიხსნიდე, აიღე ხელში და შეიგრძნე მისი სიგრილე, სითბოც და სიცივეც... მთავარი აქ სიგრილეა: ამ სიგრილიდან წარმოიშობა სიცივე, სითბოც ამ სიგრილიდან მოდის... შეიძლება პირიქითაც იყოს, ძიავ... ახლა კი იცი, მგონია, როგორ მოეპყრა ამ თიხის კაცს.

გახსოვდეს: იგი არაა კერპი, მაგრამ არც ღმერთია! დღეიდან შენია თიხის კაცი! აწი ვერავინ ვერაფერს დაგაკლებს! და: ორთქლში გახვეული რომ ნახო, შენად ჩათვალე ის დღე! ინატრებდე მაშინ და აგისრულდებოდეს. შეიძლება, აგიტირდეს თიხის კაცი და გაგიავდრდება მაშინ: ავი რამ შეგემთხვას და ყურადღებით უნდა იყო! სიკეთეს იქმოდე ოღონდ და ღმერთიც აღარ გაგწირავს! გიმეორებ: თიხის კაცი ღმერთი არაა და კერპივითაც არ უნდა გაიხადო! აქვე დავსძენ: მიუზღავ ბოროტს ბოროტით და აღარ გაგითენდეს! ერთი რიტუალიც გაქვს შესასრულებელი... და დაიხსომებდე: დილით, როცა გაახელ თვალს, წყაროზე ჩაირბენ (აქ სოფელი მაქვს მხედველობაში), მიესალმები წყაროს, დღეგრძელობას უსურვებ და თიხის კაცსაც იმის წყალში განბან! ყოველ დღე, არ დაგავიწყდეს! ქალაქში თუ მოგიწია ყოფნა... ქალაქში ხარ და: კვირაში ერთხელ ხუთშაბათობით ზღვის წყალში ამოავლე ეს შენი თიხის კაცი... ეს ასე, ძიავ: ერთი ჩვეულებრივი ადგილიც მიუჩინე და იყოს თავისთვის, ნურავინ შეაწუხებს! მაგრამ ნამსხვრევებად რომ იქცეს შენს თვალწინ, აკრიფე ნამსხვრევები, სულ უმნიშვნელო ნატეხიც არ დაგეკარგოს. გულდაგულ დანაყე. ერთ კვირას ჩრდილში შეინახე და საფლავზე მომაყარე სილასავით.

ახალი თიხის კაცის გამოძერწვა თვითონ მოგიწევს. სულსაც თვითონ შთაბერავ! შენ ნოე, ახალ სიცოცხლეს იწყებ... ჰო, მართლა: მოკვდება თიხის კაცი და ვკვდები მეც...“

გავიდა ლალი-შაქირა და მამაჩემი შემოვიდა. თვალგახელილი რომ დამინახა, დიდება უფალსო, პირჯვარი გადაიწერა: – მგონი, ლალი-შაქირა იყო, წუხელ გამომეცხადა და ხვალ ფეხზე იქნება შენი შვილიო... კი არ მითხრა, რაღაც სხვანაირად, თითქოს ფიქრი წამაკითხაო... შენ კი, ნახავ, თუ არ მოვინათლო ეკლესიაში?! გავქრისტიანდები! ღვთის კაცია ლალი-შაქირაი, ნამდვილი ევლია! ზოგი ერთი სახელის ღირსიც ვერაა, ლალი-შაქირამ კი მეორე სახელიც დაიმკვიდრა, ევლიაი: ღვთისმოსავი და მადლიანი... სოფელი მეუბნებოდა: შენ შვილს მაცხოვარი თუ მოარჩენსო და... ლალი-შაქირაი ხომ კაცია ერთი დაჯვარული, ჯვარწამოკიდებული, სოფელ-სოფელ რომ დადის... ჩვენი ხოჯა რომაა, იმანაც მირჩია ლალი-შაქირას შესთხოვე შვილის გადარჩენაო და მეც დავუჯერე! ჩვენ ხელი დაგვიბანიაო, იმის ჯვარი შეგეწიოსო! ჰოდა: გადმოსულა ღვთის მადლი შენზე, დაილოცოს მისი სახელი! იქნებ... ისეთი რამ გესიზმრა, რომ...

– სიზმარი... არა... არ მინახავს... გამიჭირდა სიმართლის თქმა და თვალი მოვხუჭე. მომეჩვენა, თითქოს მესიზმრებოდა ისევ: ლალი-შაქირა შუბლზე მადებდა მარცხენა ხელს, მარჯვენა კი ჩემს მკერდზე დაესვენებია და ღრმად აუდ-ჩაუდიოდა გულმკერდი, დაკიდებულ აღმართზე ადიოდესო თითქოს.

– თვალი რატომ მოგიხუჭავს, შვილო... – ხმა გაებზარა მამაჩემს.

– თვალი გაახილე, ჩემო ბიჭო... – მეხვეწებოდა ბაბუაჩემი. ვიცანი მისი ხმაც.

– ლალი-შაქირაო? – ვიკითხე შეცბუნებულმა.

მხრები აიჩეჩა მამაჩემმა და ბაბუაჩემს გადახედა. იმანაც უცებ გამოიკეთა ხასიათი და დამაჯერებლად მითხრა: – აქ იყო და გავიდა. ხომ იცი, ათასი საქმე აქვს ლალი-შაქირას და ერთ ადგილზე რა გააჩერებდაო, – ევლიაია შენი ლალი-შაქირაი, ევლიაი... – პირჯვარს გამალებით იწერდა ბაბუაჩემი.

– ბაბუ, შენც მამაჩემივით ხომ არ აპირებ მონათვლას?! – თვალი გავუსწორე თვალებგაბრწყინებულ მოხუცს.

– მოვინათლები, აბა, არ მოვინათლები?! მამაშენზე ნაკლები ბაბუაშენი შემირცხვენია მე! იქნებ, გგონიათ თქვენ, ახალგაზრდებს, წარსული არ ვიცოდეთო, თითქოს და არ გვეამაყებოდეს ჩვენი წარსული... – მჯიღი მკერდზე დაიბრაგუნა ბაბუაჩემმა, – ჩვენ პირველი ქრისტიანები ვართ... დიდაჭარა ერთია საქართველოში და ჩვენთან, აჭარშია იგი, აბა?! დიდაჭარა ერთია ამ დუნიაზე...

კარგად დავაკვირდი ბაბუას და სიხარულის გრძნობით ავივსე: ჩემში წარსული ახმიანებულიყო, ბორგავდა აწმყო და შემოდიოდა მომავალი სულის ყივილით.

თვალი მოვხუჭე უნებლიეთ: ბაბუაჩემის ადგილზე მწვერვალი ამოიზიდა და ამ მწვერვალის ადგილზე ლალი-შაქირა შემომდგარიყო. ლოცვას აღავლენდა: „უფლისა მიმართ ვილოცოთ...“ – მოიხსნა ჯვარი და მწვერვალზე დაარჭო მთელი ძალით. შებრუნდა მზისკენ და ჯვარიც გასხივდა(!) გამოიწვალთა ამ დროს ჯვრიდან მზის სხივი... ასხივ-დასხივდა და შიგ გულში გამიარა.

„განკურნებულხარ, ძიავ... შენ მზის ამოსვლის მოწმეც ხდები! მზე, მზე იბადება, ნოე ბიჭო! სასწაული... გესასწაულოს!“

ტანში დამზრზინა და მზისკენ გავიწვდინე აცახცახებული ხელები...

„იქნებ, მეჩვენება?! თუ მირაჟია ეს ყველაფერი? და რაიც მინდა და გულით მსურს, ის გამცხადებია სწორედ! (თვისებაა ეს ყოველი კაცის).

და ისევ ის თიხის კაცი: დამიპყრო მე თიხის კაცმა, მომიცვა მთლიანად: მეც „ხელი „შევარე“ მას და ტანში ჟრუანტელივით დამირბინა: „საოცარია... ნეტა, რა უნდა იყოს? სასწაული ჩვენს დროში?! მაგრამ სასწაულიც ხომ ხდება?!

– თიხის კაცი... – აჟრჟოლდა ჩემში ეს ხმა – ლალი-შაქირას მოზელილი... ლალი-შაქირა კი

ღვთის კაცია, აკი ევლიასაც ეძახიან?! სოფელი კი არ შეცდება...“ – და გამახსენდება, უსიტყვოდ რომ მითხრა ერთხელ ლალი-შაქირამ: „შენ რომ იპოვე ღმერთი, ერთხელ იყო ეს... ე, მაშინ იყო, ერთი საფეხურით რომ აინაცვლე მაღლა... ევოლუციის კიბეზე...“ – და დამშორებოდესო თითქოს, სევდამ დამრია ხელი. თუმცა ეს მერე იყო, ახლა კი მასთან ვიყავი და მისი ხმაც მესმა: „თავისუფლებას ეზიარე, ძიავ?! ჰო, ზიარებიხარ... უფალიც ამიტომ ხარ დღეს შენი თავის!...“

და მეძინა თითქოს და აღარც მეძინა, ამოვიფშვნიტე თვალები. მერე და მერე, ის თიხის კაციც დამიდგება თვალწინ და ფიქრიც აქ ჩამიფიქრდება: „ნეტავი, სულსაც შთაბერავდეს ღმერთი ლალი-შაქირას თიხის კაცს, იმ ჩვენს ადამსაც საბოლოოდ ავხსნიდი ეჭვის უხილავ საბურველს და...“

* * *

თენდება...

ადგომა მინდა, მაგრამ მეშინია, ვაითუ, ველარ გავიარო და თვალის ახელაც აღარ მომინდესო...

ორჭოფობო? გავიგონებ ლალი-შაქირას გაუხმიანებელ ფიქრს. თვალები რაფერ არ დამიდგებაო, მომწვდება მისი სულის წუხილიც და ნაღველიც შემომაწვება.

„შენ გგონია, რომ ველარ გაივლი?!“ – თვალებმოწკურული შემეკითხება ლალი-შაქირა.

„შენ ასე გგონია?! ნახავ, თუ ვერ გავივლი! მაგრამ იქამდე ხომ უნდა წამოვდგე?!“ – მომასკდება ფიქრი და იდაყვებზე წამოვიწევი: „მიდი, ნოე! დღეს შენ გიყურებს მთელი ქვეყანა და... სიტყვა არ გადაგიტყდეს!“ – გულზე მუშტიც კი დავირტყი: – დღეს ან აღარასოდეს!

ვფიქრობდი ასე და: ფეხზე ვიდექი, ხალხო! მუხლებიც არ მიკანკალებდა: „შეგძლებია თურმე ფეხზე დგომა, შენ კი ეჭვობდი... საკუთარ თავში გეეჭვებოდა! და ვინც ფეხზე დგას, ის გაივლის კიდეც!“

და გავიარე მართლაც(!)

დავდივარ! ლალი-შაქირამ დამაყენა ფეხზე! ერთხელაც ვნახო ნეტა ის თიხის კაცი, წუხელ რომ გადმომცა... არა მგონია, დამსიზმრებოდეს, მაგრამ სიზმარიც რომ იყოს ეს ყოველივე... ხომ მაინც დარჩა ჩემს მესხიერებაში ის თიხის კაცი... შემოვიდა ჩემს წარმოსახვაში და ეს წარმოსახვა უნდა დამეხმაროს, რომ აღვასრულო ლალი-შაქირას შეგონებანი... სადღაც უნდა იყოს ის თიხის კაცი... ბალიშქვეშ არა? სადღაც სხვაგან... – ოფლი დამასკდა, – მგონი აქვეა, წუხელ... არ ვიცი, რა დავარქვა ამას, მაგრამ სულაც არ ყოფილა იგი მთლად უსაფუძვლოც... არც – ზმანება! ზმანება არა! წუხელ დიდ სინამდვილესთან მქონდა შეხება და... აგერ ის თიხის კაციც... – მკერდზე მივიკარი ლალი-შაქირას საჩუქარი და წყაროს წანწკარიც გავიგონე.

აგერ ჩვენი წყაროც: ანკარა, ცივი და უკარებაც თითქოს.

„ეს შენ ხარ, ნოე ბიჭო? მიხარია შენი დანახვა...“ – შემომცინა წყარომ, – ხომ გახსოვს მზის ამოსვლის ადგილი?“

– მახსოვს... ზღაპრული სანახაობა, ჯადოსნური...

„ჰოდა, შენც შებრუნდი იქითკენ... სუნთქვა გეკვრის და ასეც უნდა იყოს! ასე ხდებოდეს უნდა. მგონი იწყება, ნოე ბიჭო! ხედავ: ნათდება ის მწვერვალი – თითქოსდა, არნახული და არ-გაგონილი სანახაობა (მერაკრაკება წყარო), – ნოე, არ მოგიდუნდეს ყურადღება! დღეს უნდა გადაწყდეს შენი ბედი! ის ნათება იესოა ქრისტე და მზეც იესოა... იესოა ყველაფერი: სულიერიც და უსულოც, ნდომაც და სურვილიც, ხილვაც და უსასრულო სივრცეც... დრო დაუსაბამო! იწყება, ნოე, უყურე მზეს! ისაა, ამოგორდება სადაცაა...

მზე კი: ჯერ მბზინავი რკალია მხოლოდ: „..ამოდის ნათდება...“ ჯერ სულ რაღაც ერთი ციდა რკალი და... მრგვალდებოდესო თითქოს... მრთელდება, შეივსება და მალე ყოვლისმხილველიც შეიქმნება! მზე თავისი ყოვლისმხილველობითაა ღმერთი... გათავისუფლდა, ამომთავრდა და გაბრწყინდა ბნელეთიდან ამომრგვალებული. აღარც ბნელა უკვე და აიჭრაო თითქოს სი-

ვრცეში, დაკანონდა და გაეღიმ-გაცისკროვნდა. ჩათბა თავისთვის... ემატება სიმხურვალე.

გაუძელ, გაუძელ! თვალი არ დაგიხამხამდეს! ცრემლები?! ამოგიშრება! იგრძნობ: ხარ და აღარასოდეს დამთავრდები, შემოდიან შენში მზის სხივები, შემოსხივდებიან და მზეც შენშია! გაგითბა სული?! თვალი არ მოაცილო მზეს. ისიც გამდნარ-გამლღვალია... იწვი, მაგრამ შენც გასცემ სითბოს? მზე ხარ? თვალი არ მოაცილო მზეს! მზის ირგვლივ: მკვეთრი იასამნისფერი რომ მარწყვისფრდება, ნათება დიდი... ნამდვილი მზე ხარ! სავსე ხარ მზით! თითქოს შენში გადმოსულიყოს მისი უბრწყინვალესობა მზე...

„ახლა კი თუ გინდა დახუჭე თვალი და ჩემზე გადმოიტანე ეგ შენი მზერა. გადმოდის ჩემში შენი ნათება. თავისუფლდებოდეო თითქოს და დგება შენი თიხის კაცის დროც... – მეუბნება წყარო და ძველებურად არაკრაკდება.

მეც მივეფერები თიხის კაცს. ხელის კანკალით ამოვავლებ წყაროს წყალში და თვალებში ჩავხედავ.

– ლალი-შაქირა? ეს ხომ ლალი-შაქირას თვალებია?! – აღმომხდა უნებურად.

– ნოე, დროს ნუღარ ვაცდენთ... თიხის კაცი...

მეც აღარ დავახანე: თიხის კაცი მეორედაც ამოვავლე წყაროს წყალში. ახლოს მივიტანე თვალებთან და ისიც შეთბა. შევხედე დაჟინებით და შეშრა.

დამცხა და თიხის კაცი მესამედაც ამოვავლე წყალში. წამიც და ორთქლში გაეხვია. ცხელოდა თიხის კაცს, მაგრამ ხელს მაინც არ მწვავდა.

„აი, სასწაულიცო!“ – გამიელვა.

„როცა ასე ორთქლში გახვეული იხილო შენ თიხის კაცი, იცოდე: უძლეველი ხარ შენ და ვერავინ ვერაფერს დაგაკლებს. ის დღე შენია, მაგრამ გარკვეული ვალდებულებაც დაგეკისრება მაშინ: სიკეთეს უნდა იქმოდე! მაგრამ თუკი აგიტირდა თიხის კაცი, იცოდე, ავი რამ უნდა შეგემთხვეს და გაფრხილდი!“ და ისევ სიკეთის ქმნა თუ გიშველის! იქმოდე სიკეთეს შეძლებისდაგვარად, თორემ: შესაძლოა, ვეღარ გაითენო. და მთავარი: არასოდეს არ მოიშორო თავიდან შენ თიხის კაცი! თორემ...“

– ამდენი „თორემ...“

„არც „თორემ“-ის გარეშე შეიძლება, აბა! ასეა, ძიავ...“

* * *

დადიოდა უხუცესიც კარდაკარ, სოფელ-სოფელ და თავისი ერთადერთი შვილისთვის ღვთისნიერ დასტაქარს ეძებდა. ასე მოიქცა იგი ბაწარას თავზე. სული მოითქვა და ზღაპრული ხეობა გადაეშალა თვალწინ. თითქოს ჩაიქცა ხეობაშიო, გამოცარიელდა და დადუმდა. შემოაღამდა და რაღაც გაფაჩუნდაო თითქოს იმის წარმოსახვაში, შეირხა და: შეფრთიანებულ ფიქრს ნატვრაც შეაყოლა: „ვგრძნობ: ეშველებოდესო თითქოს ჩემს ძირს და ჯილაგს...“

„მე შენი მესმის, მოხუცო, მაგრამ ხმას რომ არ იღებ... პირდაპირ რატომ არ იტყვი სათქმელს? შენ რომ ღვთისნიერ მკურნალს დაეძებ, ჩვენთანაა იგი, ჩვენს ხეობაში... შენს რამაზს იგი თუ დააყენებს ფეხზე!“ – ამოსძახა უხუცესს ხეობამ და განათდაო თითქოს: თვალი მოჭრა უხუცესს ამ ნათებამ.

„რომელია ის კაცი, რა ჰქვია?“

„იცნობ შენ და ვერ შეგიფასებია ის კაცი. კაცზე მეტია ლალი-შაქირაი, ჩვენი ევლიაი, რაფერ არ გეცოდინება,“ – ამოახველა ხეობამ.

„ლალი-შაქირაი?! ლალი-შაქირაი ხომ...“ – უხუცესმა კბილი კბილს დააჭირა.

„ბეჩია ხომ?... და შენ გგონია, ჭკუა არ მოეკითხება?“

„სოფელი ასე ფიქრობს და...“

„სოფელი ასე ფიქრობს და...“ (ეს ექო იყო უკვე).

„ლალი-შაქირაი ხომ...“ – ხმას დაუწია უხუცესმა; ეუცნაურა საკუთარი ხმა.

„ლალი-შაქირაი ღვთის კაცია... ღვთისმოსავი, მადლიანი... ამოიხვნეშა ხეობამ და უხუცესიც გამოერკვა: „თუმცა: აგერ ახლა არ იყო... – განაგრძო ხეობამ, – ნოე ბიჭი რომ დააყენა ფეხზე? ჩამოწერილი, განწირული...“

„ლალი-შაქირაი მართლაც და ევლიაია...“ – ფიქრი ჩაიხვევს უხუცესს: – „მეც მსმენია, ნოე

ბიჭის ამბავი... ლალი-შაქირამ სასწაული მოახდინაო... მე კი დამბნელებია გონება და სადღაც სხვაგან დავეძებ შველას. იქნება მართლა ეშველა ჩემი რამაზისთვის ლალი-შაქირას?! დავმშვიდდე? როგორ დავმშვიდდე? მოუხელთებელია ლალი-შაქირაი? თვითონ თუ არ ინდომა, ისე ვერც დაინახავ... სასწაული კაცია...“

„ახლოს ხარ სიმართლესთან... მაგრამ, როცა შენ აღარ მიდი ლალი-შაქირასთან, ლალი-შაქირაი მოვიდა შენთან... ახლა ფეხს რომ აუჩქარებდე, სასწაულის მხილველიც შეიქნები! კვალში ჩაუდექ შენსავ ფიქრს და...“

და სოფელშიც ჩაივაკა უხუცესმა. აგერ მისი სახლიც. „ლალი-შაქირაი აქ საიდან? – ამოთქვა უხუცესმა. – ლალი-შაქირავ... – ენა დაება, – უხუცესი გთხოვს...

„სასწაული მოვახდინო, ძიავ?“ – უსიტყვოა მისი კითხვა: – ახლა პირჯვარიც გადაიწერე!“

– ოღონდ ჩემს რამაზას ეშველებოდეს და... – ნერწყვის გადაყლაპვა გაუჭირდა უხუცესს და ხველება აუვარდა.

„უკვე ეშველა! აგერ შენი რამაზაიც...“ – ამოთქვა სახეგაბრწყინებულმა ლალი-შაქირამ, უსიტყვოდ, რაღა თქმა უნდა, – შენი რამაზაია, კიბეებზე რომ ჩამორბის, ძიავ... რასაც ნატრობდი, ისეა, ძიავ და...“

რამაზი ჩამორბოდა კიბეზე: – ბაბუ, ბაბუ! ამოიხედე, ბაბუ! – ეძახის შვილიშვილი უხუცესს.

– ბაბუ, ბაბუ... ლალი-შაქირას მზეს უნდა ვფიცულობდე! – თავი დახარა უხუცესმა ლალი-შაქირას წინაშე, თითქოს პატიებას ითხოვდესო.

„აწი არაფერი უჭირს შენს რამაზას...“ – ჩაითქვა ლალი-შაქირამ, ხელი მხარზე შეახო უხუცესს და ფიქრებიდან გამოარკვია.

– სასწაულია სწორედ! ევლიაი ხარ შენ, ევლიაი... ღვთისმოსავი, ლალი-შაქირავ, სასწაულმოქმედი... – უხუცესი ხეობისკენ შებრუნდა და მთელი ხმით ჩასძახა: – დიდი მადლობა! ევლიაი გვყავს, ევლიაი, ძიავ და აწი რა გაუჭირდება ჩვენს სოფელს?

* * *

ის დღე იყო და ლალი-შაქირასთვის აღარავის დაუძახია ლალი-შაქირაი.

ჰოდა:

ავადმყოფს რა გამოლევს ჩვენში და:

ვინ, ნეტა, ვინ არის ჩვენი მშველელიო? ჩასძახებდა ხეობას გულმოკლული მშობელი და იგიც უმალვე ამოსძახებდა, ევლიაიო და ევლიაც იჭერდა თადარიგს.

მაგრამ ხდებოდა ზოგჯერ: დამუნჯდებოდა ხეობა და მავანს და მავანსაც უნდა სცოდნოდა ავადმყოფის პატრონს, რომ განწირული იყო, მაგრამ კაცი იმედითააო და ევლიას დაეძებდა თვალი, გულიც ხომ ევლიასკენ მიქცეოდა სასოწარკვეთილს.

ევლიას კი: უჩინმაჩინის ქუდი ეხურა და...

* * *

ლალი-შაქირა უგუნებოდ დამხვდა.

მაინც ლალი-შაქირაით მოვიხსენიებ, იგი კი კაი ხანია, ევლიაა, მაგრამ ამ სახელსაც რომ ვერ შევგუებივარ ჯერ?

უცებ: მაღლა აიღო თავი და თვალი გავუსწორე. სამი დღის შემდეგ მომაკითხეო, მამცნო უსიტყვოდ.

მეც სამი დღის მერე მივაკითხე და იმაზე ცუდ გუნებაზე დამხვდა, ვიდრე იმ დღეს:

„ორასი ათასი კაცი დაიღუპება სულ რაღაც ერთ-ორ წუთში, სადღაც სუმატრასთან, თუ არ ვცდებიო... დიდი ტრაგედია დატრიალდება, ძიავ, დედამიწაზე... იქ წყალქვეშა ბიძგებია მოსალოდნელი... კუნძულს ცუნამი გადაუვლის და მოასომგორებს იქაურობას. ისეთი ძალის რხევებია მოსალოდნელი, რომ... შეიძლება დააჩქაროს კიდეც დედამიწის სრბოლა. იცი, რას ნიშნავს ეს და რას მოასწავებს? მსოფლიო ტრაგედია... საქმეც ის არის, რომ არავინ დამიჯერებს, ძიავ. ქირდად ამიღებენ! ხომ იცი: ჩვენი ხალხი... და ვაითუ, მართალი აღმოჩნდეს ჩემი ვარაუდი!

ღმერთო მაღალო... ისე ჰქენი, რომ გავმტყუნდე და სულ ტყუილი აღმოჩნდეს ის ჩემი ხილ-

ვებიც! ნეტა ვცდებოდე! დამიძახეთ ცრუ და ორპირი, ოღონდ მართალი არ აღმოჩნდეს ჩემი ვარაუდი! დავხუჭავ თვალს და თვალწინ დამიდგება ის საბედისწერო სურათი, ამ რამდენიმე დღის წინ კინოკადრებივით რომ ჩამიარა თვალწინ. და ეს საშინელება სამი დღის მერე უნდა მოხდეს! ვაიმე, ადამიანებო! ვა, სოფელო, რაშიგან ხარ... – თვალი მოხუჭა, მაგრამ მაშინვე გაახილა, – აწი აღარ დავხუჭავ თვალს, რადგან ამ დროს ენაცვლებიან ერთმანეთს გონისშემძვრელი ტალღები, რომლებიც ანადგურებენ ყველასა და ყველაფერს. არავითარი შეწყალება! რომელ შეწყალებაზეა საუბარი?! არც ამდენის ატანა შემიძლია! იქამდე სამი დღეღა რჩება... ნეტა, მარადისობად იქცეოდეს ეს სამი დღე, ღმერთო ჩემო! იქნებ, შემინდო...“

– არა, ჩემო ევლიავ!

„ლალი-შაქირას რომ დამიძახებდე... კმაყოფილი ვიქნები, ძიავ!“

„ევლიავ-მეთქი... ლალი-შაქირაი იყავი უკვე, და ევლია ხარ ახლა! შენ ის წუთი სწორად განსაზღვრე და იგრძენი კიდეც. დედამიწა თავისი ევოლუციის ახალ ფაზაში შედის და დღემდე რომ ვიდოდა, იმ სიჩქარითაც ვეღარ ივლის აწი! უნდა აჩქარდეს! მე უნდა ავაჩქარო... ამისათვის კი ბიძგია საჭირო!

„მერე ამას დიდი მსხვერპლიც რომ უნდა მოჰყვეს?! კატასტროფა გარდაუვალია...“

– ევლიავ, შენ არ უნდა მსაყვედურობდე! ხომ იცი: თავისი დღე მიმიცია ყველასთვის, პროგრამა ჩართულია და გაშვებულიც. უნდა აღსრულდეს კიდეც! ამდენი სიცოცხლე ჩაივლის ჩვენ თვალწინ და განა მარტო ადამიანების სიცოცხლე... სამყაროს მე ვქმნი და მისი მესაჭეც მე ვარ! შენ კი იმათთვის ილოცე, ევლიავ, ვინც უკანვე უნდა დამიბრუნდეს.

დიდი მადლობა სამსახურისთვის, ევლიავ! შეგიძლია, იტირო აწი. იტირე და მოიოხე გული!

– ასე თვითონ დედამიწისთვისაა საჭირო! ადამიანთა რასისთვის! მთელი სამყაროსთვის! სამყაროც უნდა აჩქარდეს, ახალ რიტმში ჩაჯდეს... დედამიწაც ხომ ამ დიდ ფერხულშია ჩაბმული?! ვერც შეველევი დედამიწას?! შენ კი, ევლიავ, იგლოვდე, დროა! ასე რომ არა, მოკვდებოდა დედამიწა... ისიც კვდება რომ იცოდე, რადგან ისიც სულიერია ადამიანივით! იფხიზლე ევლიავ, იფხიზლე! რა გულის უნდა იყო, რომ ჩაგეძინოს იმ დღეს და... იფხიზლე, ევლიავ, იფხიზლე... გაგიადვილდება დედამიწის რიტმის შეგრძნობაც! ამ დროზე... დროებაზე გმართებს, ევლიავ, შენ ჩაფიქრება!“

* * *

და დათქმულ დროს იძრა მიწა (წყალქვეშა ბიძგებზეა აქ საუბარი) ინდოეთის ოკეანის აკვატორიაში. მისი ეპიცენტრი კი კუნძულ სუმატრასთან დაფიქსირდა, რასაც არნახული, გაუგონარი ძალის ცუნამიც მოჰყვა. სტიქიამ ორასი ათასზე მეტი სიცოცხლე შეიწირა.

გლოვა საყოველთაო...

მემატიანემ მხოლოდ მემატიანეობაც აღარ ისურვა და ჟამთა აღმწერლის მანტია მოისხა: ჰოდა, ის დღეც შავი ასოებით ჩაიწერა მსოფლიო ისტორიაში.

გაიგონებდით, ალბათ: როგორ გოდებდა ჟამთა აღმწერელი!

თითქოს მართლა აჩქარებულიყო დედამიწა და ცდილობდა თავისი თავისთვის გაესწრო.

სულიც აჩქარებოდა ადამიანს!

აჩქარებულიყო ყველა და ყველაფერი(!)

აჩქარებულიყო სისხლი და სულიც ამიტომ იყო, რომ წინ მიუსწრებდა ადამიანის მოდგმას...

გ რ ა ფ ი:

გრაფმა შემომითვალა: აუცილებელი საქმე მაქვს შენთან და უნდა მნახოო!

ბევრი ვიყოყმანე: მივსულიყავი გრაფთან თუ ყურადაც არ მეღო მისი სურვილი-მოთხოვნა. მაგრამ ჩემი იწილობიწილო მაინც გრაფის სასარგებლოდ გადაწყდა.

კარი გოგონამ გამიღო: – თუ ნოე ხარ, შეგიძლია დარჩე ჩვენსას, – მოურიდებლად მომიგდო.

ნოე ვარო, ვუპასუხე და შუბლი შეიჭმუხნა.

– გრაფი გავიდა... თქვენ შეგაგვიანდათ, ნოე ბატონო, გრაფს კი უპირო ხალხი არ უყვარს. დაგიბარათ, მის მოსვლამდე მოსაცდელში მოისვენოთ! აგერ რამდენიმე წიგნია თაროზე და შეგიძლიათ, გადახედოთ, მაგრამ დღეს ვინ კითხულობს წიგნს, წიგნი წარსულის გადმონაშთია! მიუხედავად ამისა, შინ მაინც ვერ გაგატან, მაგრამ თავსაც არ უნდა იკლავდე, მგონია, წიგნისთვის! ასეც რომ არ იყოს, მაინც ვერ გაგატანდი...

– მაინც რატომ?

– იმიტომ, რომ... მართლა არ გეტყობა, გიყვარდეს კითხვა...

– გრაფთან რომ მოვედი, იმიტომ?

– თუნდაც ამიტომ! თვითონ გრაფს გადაკითხული აქვს მთელი მსოფლიო ლიტერატურა... ჩახედულია ფილოსოფიაში, გარკვეულია ასტროლოგიაში... მისტიკა... ეზოთერიკა... მაგრამ საიდან უნდა იცნობდე შენ, ვიღაც ყეყეჩი ბიჭი, გრაფს? და კეთილი გგონია გრაფი? და დავიჯერო მარტო წიგნისთვის მოსულხარ ჩვენსას?

– თქვენ, მე რომ ვიცი, მდიდარი ბიბლიოთეკა გქონიათ და ზოგჯერ საჯაროში რომ მგზავნის გრაფი, ამაზე რაღას იტყვი? ახლა? – ნიშნის მოგებით ვუთხარი.

– მეც, სულელი... რაში უნდა მაინტერესებდეს მე შენი ამბავი? მოხვედი მამიკოსთან და აგერაა მოსაცდელი. გინდ მოგიცდია, გინდ ნუ მოგიცდია, ჩემი საქმე არაა ეს. მე, მაგალითად, ერთ წიგნსაც ვერ განდობდი. წაიღებთ და მორჩა, აღარ მოაბრუნებთ!

– მე დაგიბრუნებთ.

– კარგი, მორჩი ბაზარს... ნუღარ მიქადაგებ, თუ კაცი ხარ... ჩემთან რომ არ ხარ მოსული, ხომ არ გავიწყდება?

– რომ შემახსენე, დიდი მადლობელი ვარ შენი! როდის უნდა მოვიდეს?

– იყავი აქ და დაელოდე. სადაცაა მოვა! ისე: შენ რომ კაი კაცი იყო, მამიკოსთან რა საქმე გაქვს? მამიკო ორმოცდაათს გადაცილებულია, შენ კი ჩემზე ჰა, ერთი, ჰა – ორი წლით იყო უფროსი...

– დედაშენი? – ვიკითხე და მასპინძელსაც მუცელში ჩაუვარდა ენა.

თავი უხერხულად ვიგრძენი და მოვუბოდიშე, რა ჩემი საქმეა, ამას რომ გეკითხებიო.

– დედა აღარ მყავს და... მამიკომ წამომიყვანა... სამი წელია, რაც მამიკოსთან ვარ... მოხარშულს ვიცნობ... დედიკოც ამიტომ დაცილებია მამაჩემს, მამაჩემი კი ახლაც არ იშლის თავისას! შენ ნოე გქვია, მე კი... გაინტერესებს რა მქვია?

– მაინტერესებს, მაგრამ თუ არ გინდა, ნუ მეტყვი.

– მაინც გაიგებ.

– მე არ ვიკითხავ და სხვაც ძალით ხომ არ მეტყვის?

– მე გეტყვი, მაგრამ არ იფიქრო, თითქოს და ხიდი გაიდოო ჩვენ შორის და როცა მოგინდება გადმოხვალ ამ ხიდზე და მეც ხელებგაშლილი შემოგეგებები... კაი... თინიკო მქვია, თიკო არ დამიძახო, აქედანვე გაფრთხილებ!

– კაი, იყავი თინიკო...

– იყავიო კი არა, თინიკო ვარ მე! – მითხრა და მარტო დამტოვა მოსაცდელში. გასაღების ჩხაკუნი გავიგონე და მეწყინა როგორღაც: „არ მეგონა... დღემდე არ მსმენია და თურმე შვილიც ჰყოლია ამ ჩვენს გრაფს, თურმე... – ფიქრი წამიღებს და თინიკოსთან მიმიყვანს ისევ: „რომ გამომელაპარაკებოდე...“

„– შეიძლება, საქმე მართლაც გქონდეს მამაჩემთან, მაგრამ ჩემთან, არა მგონია!“

„მამაშენის წყალობით „ზარატუსტრა“ წავიითხე, იაკობ ბიომეს „ავრორა“ (ანუ „ცისკრის ვარსკვლავიც“) და...“

„მამიკომ დაგიბარა? არ მითხრა ახლა, თითქოს და არც იცოდე, რისთვისაც გიბარებდეს?“

„სწორედ ასეაო, რომ გითხრა, არც დამიჯერებ და მირჩევნია, აღარაფერი ვქთვა. როგორც გინდოდეს, ისე იფიქრე!“

„განა სულერთი არ უნდა იყოს ჩემთვის, შენი ნება-სურვილით ხარ აქ მოსული, თუ ვიღაცის ნებას ასრულებ?! ამიტომ: მოუსვი აქედან ბაყაყური და... გესმის?“

მოსაცდელში ვბრუნდები და გრაფის გამოჩენას ველი.

* * *

გავიგონე: როგორ გაიღო სადარბაზოს კარი. მივაყურადე ნაბიჯებს: ერთი, მეორე... მესამეც, რბილი, კატისებური... დავიძაბები და ფიქრისთვის მივიქცევი: „ჩემზე გაბრაზებული უნდა იყოს...“

შემოაბიჯა.

და მომესალმა ძველებურად, მაგრამ ისე მონდომებითაც არ მოუჭერია ხელი და ცუდად მენიშნა ეს. რაღაცნაირი სიცივე გამოსჭვიოდა მისგან და მართლა შემცივდა.

– რაო, ყმაწვილო, მასწავლებელიც გყოლია ის, ერთი ვინმე... ზეგნელი ლალი-შაქირაი... იმის ხელში საეჭვოა, კაი ვინმე გამოხვიდე... ახლაც ისე ჩამოძონძილი დადის კარ და კარ და... ახლაც ჩაის ითხოვს ლალი-შაქირაიო... ზურგზე ჯვარმოკიდებული?

– თქვენ ლალი-შაქირასაც იცნობთ? – წამოვიძახე გაკვირვებულმა.

– აბა, მარტო შენ უნდა იცნობდე?! – გადაიხარხარა გრაფმა და ცივმა ჟრუანტელმა დამირბინა დენივით.

– საიდან? თქვენ – გრაფი, ის კიდევ – ლალი-შაქირაი... ევლია, სოფლად, მთაში, ზეგანზე...

– ანგარიშიც ხომ არ ჩაგაბარო? მაგრამ ჩაგაბარებ... ერთად ვსწავლობდით მე და შენი ლალი-შაქირაი უნივერსიტეტში, ფილოსოფიის ფაკულტეტზე... ორი-სამი წლით უფროსი, მე უნდა ვიყო... ჩვიდმეტი წლის ძლივს იქნებოდა. მე კი სკოლის დამთავრების შემდეგ მთელი იმპერია მოვიარე. ყაზახეთში ვიყავი ბოლოს.

პირველად იქ ჩავისუნთქე ის ღვთაებრივი ბოლი... გემახსოვრება, ზოგიერთ მეფეებზე იტყოდნენ: „თრიაქს გადააყოლეს სამშობლოო...“

ერთხელ: ორმოში განვმარტოვდით ორნი: ბოლი და ჩვენ... იმ ორმოდან სამი დღის მერე ამოვედით შებოლილები. მერე: პირი რუსეთისკენ ვქენი. ლენინგრადი მე არ დამკლებია და მოსკოვი. კიევშიც ვიყავი და ლვოვშიც. დიახაც, რომ გამიმართლა! ვცხოვრობდი გრაფივით: ქალი მე არ მაკლდა და ის დალოცვილი ბოლი...

საქართველოში კაი გამოჯეკილი დავბრუნდი.

ვთქვი უკვე, ერთად ვსწავლობდით-მეთქი მე და შაქრო. ლალი-შაქირა მერე დაერქმევა, როცა ყრუ-მუნჯობის გზას მოგვივით დაადგება.

მანამდე კი ერთი ჩვეულებრივი სტუდენტი იყო, ნიჭიერი, ძალიან ნიჭიერიც, მაგრამ მაინც ჩვეულებრივი (გადაუბრუნდა ალბათ ჭანჭიკი ტვინში) საზაფხულო სესიების დაწყებამდე, სულ ორიოდე კვირით ადრე, დაჰკრა ფეხი და გადაიკარგა თბილისიდან. აღარც დაბრუნებულა მერე. ისე, მე რომ მკითხოს კაცმა, მაინც უცნაური იყო ლალი-შაქირაი... იყო თავისთვის განმარტოებით... არც გამოგელაპარაკებოდა, შენ რომ არ მიგეცა ამის საბაბი. ჰო, მიატოვა უნივერსიტეტი. მაგრამ მას შემდეგ არც შემხვედრიაო, რომ ვამტკიცო, მართალიც არ ვიქნები. იაილებზე შევხვდი... დუმდა უკვე და აღარც ესმოდა, მაგრამ გესმოდათ მისი გულის ფეთქვა, კითხულობდით თქვენ იმის ფიქრებს და... კითხულობდა იგიც თქვენს ფიქრებს. დადიოდა კარ და კარ, სოფლიდან სოფელში გადადიოდა ფეხაკრეფით, შეუმჩნევლად. მერე იმასაც ამბობდნენ, თვალდახელშუა უჩინარდებოდესო თითქოს... მაგრამ ზღაპრებია ეს... სოფელმა თავისი ლეგენდა შექმნა და... ახირებულობები ხომ არც აკლდა და... ჩამოიძონძა: მოეშვა როგორღაც. ვნახე და გული შემეკუმშა მისი საცოდაობით...

„გრაფსაც კი გული შეეკუმშა სხვისი საცოდაობით?!“ – გამიელვა, რასაც გრაფის ღიმილნარევი წინადადებაც მოჰყვა: „ჰო, მე რომ გრაფი ვარ, მეც კი შემეკუმშა გული... შენ ხომ არ გგონია, გულიც არ ჰქონდეს გრაფს... სულ შეიცვალა. მათხოვარიც კი მეგონა. ლალი-შაქირაც სოფელს შეურქმევია მისთვის... იაილებზე რომ ვნახე, იმის მერე აღარ მინახავს... შერეკილიცააო. ღვთის გლახა... იქ, თბილისში სულ სხვა იყო: უკვე თბილისურადაც უქცევდა... ნიჭიერი იყო... ამას სერიოზულად ვამბობ: დალაგებულად, სხარტად, ლოგიკურად მეტყველებდა და მსჯელობდა. ათასი ჭორი გავრცელდა ლალი-შაქირაზე, მაგრამ ერთი რამ ვიცი: უნივერსიტეტიდან წას-

ვლის შემდეგ გადმომხტარა ხის ტოტიდან, თითქოს და უნდა გაფრენილიყოო. ნამდვილი ამბავი კი ლალი-შაქირაზე სოფელმა იცის მხოლოდ... ლალი-შაქირას კი ტყუილ-მართალი ერთმანეთში აღრევია და... ჩემთან შემოვიდა კონტაქტში. ვერ ვიტყვი მეგობრად მთვლიდაო, მაგრამ ერთადერთი ვიყავი, ვისაც ცნობდა და... თვითონაც არ ვიცი, რა მიზიდავდა ამ ბიჭში. ერთი უბედური ვინმეა ახლა: კოჭლი რომაა, ესეც ეყოფოდა, მაგრამ ამას ყრუ-მუნჯობაც დაუმატეთ და: მთელი კომპლექტი ნაკლოვანებებისა...

– ლალი-შაქირა... – წამოვიწყე, მაგრამ გრაფმა შემაჩერა:

– მისმინე, ნოე და... ენა ყოველთვის უჭრიდა ლალი-შაქირას, ტვინში კი... ოფოფები... ვიმეორებ: უნივერსიტეტიდან რომ წავიდა, მერე აფრინდა! ფრენა, ფრენა უნდოდა ლალი-შაქირას... ფრენაზე არც მე ვიტყოდი უარს, მაგრამ ხიდან გადმოფრენა აზრადაც არ მომსვლია!

– ლალი-შაქირა შეიძლება ახლაც ოცნებობდეს ფრენაზე... – ვამბობ.

– ჰო: არის ლალი-შაქირაში რაღაც ისეთი, რაც ასე მომწონს, მაგრამ... ასე რომ არ დამართვოდა, შეიძლება მაღალიც ყოფილიყო, ალბათ, ჩემზე მაღალიც... საოცრად გრძელი ფეხები აქვს... ტანთან შეუფერებელი. ერთიც კიდევ: კითხულობს შენს ფიქრებს და თავის ფიქრსაც გაკითხებს...

– თქვენც იცით ეს? – წამოვიძახე.

– სტუდქალაქში ცხოვრობდა.. ხშირად მივაკითხავდი და დავჯდებოდით და შევცქეროდით ერთი მეორეს... ვარჯიში თვითონ მოიფიქრა: ვდუმდით და ვფიქრობდით. მე მისი ფიქრის წაკითხვას ვცდილობდი, იგი ჩემს ფიქრს შიფრავდა... პირველად იმას გამოუვიდა, მაგრამ მეც გამომივიდა!

„ახლა?“

„ახლაო?! შორსაა წასული ლალი-შაქირა... მეც წინ წავედი, მაგრამ გამოვრიცხავთ ერთი მეორეს, მიუღებელია ჩემთვის მისი მეთოდები, არც ლალი-შაქირა სცნობს ჩემსას... ლალი-შაქირაც შორსაა წასული... ევლიასაც ამიტომ ეძახიან...

– ჰო, ევლიას ეძახიან... – ვცდილობ ფიქრში გადავიყვანო ჩემი დაუმთავრებელი წინადადება.

„ევლია არაბული სიტყვაა და ღვთისმოსავს ნიშნავს, წმინდანს... მაგრამ შევეშვათ ლალი-შაქირა-ევლიას და... ევლია – ღვთისმოსავი, წმინდანი და კიდევ მადლიანი...“

– ჰო, რატომ დაგიბარებივართ?

– რატომ დამიბარებიხარ? აბა, გამომყევი! იქ სხვებიც იქნებიან... აქ, ერთი გოგონა არ დაგხვედრია?! ოქროსფერთმიანი, ლურჯთვალება, შენზე ერთი წლით უმცროსი...

– კარი იმან გამიღო...

– რაღაცას გირჩევდა, ვიცი. რაო, ვინ ვარო?

– ისე მეკითხებით, თითქოს თქვენი შვილი არ ყოფილიყოს...

– გრაფი მამაჩემიაო? – გაოცდა, მაგრამ თავს მოერია და გაიცინა. – ხედავ, რა ყოჩაღი შვილი მყავს, მაგრამ ამაზე მერე! ახლა კი: ბოლოს როდის ნახე ლალი-შაქირა?

– ცუდად ვიყავი ძალიან და იმან მომარჩინა.

– ამ ერთი კვირის წინ უნდა მომხდარიყო ეს ამბავი... ყოფილა ავად შენამდე და...

– ჰო, იყო ავად.

– თავი მოირჩინა! შეუძლებელი შეძლო: შენ რომ მოერჩინე, იმიტომაც მოირჩინა თავი... გახსოვს, როგორ მოვიდა შენთან?

– მნახა და... დიდხანს, დიდხანს დამყურებდა. თურმე წასვლის წინ უთქვამს: ხვალ მზის ამოსვლისას ფეხზე დადგებაო და ავადმყოფობამაც გამიარა.

– ბზაკვაია შენი ლალი-შაქირა! ნუ გიკვრის, – მეუბნება გრაფი, – ბზაკვაი გურულადაა... აღმოსავლეთში მზაკვარს იტყვიან. მზაკვარი გრძნეული სულია... ლალი-შაქირაც გრძნეულია... ევლია... ეს მაგიაა უკვე, ჩემო ნოე... ლალი-შაქირაი მეც მაკვირვებს... – გრაფი ქანცგაწყვეტილივით დაეშვება სკამზე.

– მაგრამ ჯადოქარი არაა ლალი-შაქირაი... კეთილი სული უფროა...

– კაი, იყოს კეთილი სული, ევლია... საოცარია, სწორედ რომ საოცრება! მაკვირვებს მე შე-

ნი ლალი-შაქირა! ევლიავ, შენ მე მაკვირვებ! – გრაფი ადგილიდან წამოიჭრა, – კეთილი სული... კეთილი სული?! თუმცა: ვერ წარმოვიდგენდი, რომ ის უბრალო... ერთი სოფლელი ბიჭი ამაღლდებოდა ასე?! ვერც წარმოვიდგენდი, რომ... – მაღლა აღაპყრო მზერა, – ევლია, ლალი-შაქირა... შაქრო-ლალი... ლალი-შაქირა-ევლია... მეტამორფოზა გაუგონარი! ამ წუთისოფელში მხოლოდ ერთი ცხოვრება დასჭირდა ამ ზერეინკარნაციისათვის! მხოლოდ ერთი ცხოვრება... გრძნეულია ევლია!

ცახცახი აუვარდა გრაფს და ძირს ჩამოუცვივდა ხელები. მივხვდი: ასე მუხლებაცახცახებულიც (ფეხზე) ვერ გაძლებდა დიდხანს და სკამი შევაშველე. მაგრამ უცებ მოეგო გონს და გვერდზე გასწია სკამი, რაღაცნაირად, სევდიანად შემხედა და ცალყბად გაიღიმა: – ასე აღარასოდეს შეგეშალოს, ნუ აგრძნობინებ კაცს, რომ უძლურია იგი. არ მოსწონთ ეს ადამიანებს! შენც დაგავიწყდეს ეს ჩემი წუთიერი სისუსტე.

დარბაზში შემიძღვა. დარბაზი – ზღაპრულად გაჩირაღდნებული... ხელოვნურად თბებოდესო თითქოს. რატომღაც ა. პუშკინის „Станционный смотритель“ გამახსენდა და ალექსანდრ სერგეევიჩის ხმაც შემომწვდა: „ითოვე ასე, ასე ითოვეო!“ ჩვენს დარბაზში თბილი ივნისია და დამთბარი საამოდ, ოღონდაც: შედედებული როგორღაც და სუნთქვაშეკრული. გარეთ: დარბაზს იქით დეკემბრის ერთი ძალიან ჩვეულებრივი დღე სრულდებოდა: ოცდაორი დეკემბერი აღრიალებულიყო.

დარბაზში ბუზის ხმას გაიგონებდით, მაგრამ გამოჩნდა გრაფი და იძრაო თითქოს ადგილიდან ყველაფერი: ხმაური გამაყრუებელი;

ხმაური გამაოგნებელი

და

სულისშემძვრელი...

ერთბაშად მომასკდება მუსიკის, სიმღერისა და მეხის გავარდნის ხმები.

– ჩვეულებრივი ჭექა-ქუხილიც არ გეგონოს... შეიძლება, გარეთ (იქ, სადაც ჩვენ არ ვიმყოფებით) მართლა ელავდეს და ჭექდეს... ქუხდეს კიდეც... ერთდროულად, მაგრამ ჩვენი დარბაზის ამნაირი აჟღერება საიდანღაც... თითქოს არსაიდან მოვარდნილი სტიქიის ექოც არ გეგონოს?! ეს ჩემი სტიქიაა, ნოე! ეს ყველაფერი და (არაფერიც)... – სული მოითქვა და დაკვირვებითაც შემათვალიერა, – ჩემი ნებით ხდება, ჩემი ნებითმეთქი! – აქ ხმას აუწევს გრაფი და გაბჟღვრიალებული თაღებიც ამოძრავდებიან: დაირწევიან წიინ, ააიქითკენ და ააიქიდან უკან – ააქეთ.

გრაფიც მაღლა შემართავს მარჯვენას, აიქნ-ჩამოიქნევს თავის დირიჟორის ჯოხს და თავ-თავის ადგილს დაუბრუნდება ყველა თითქოს და განცალკევებული და ჯერაც თავმოუყრელი... მოითქვამენ სულს და ნელ-ნელა, თითქოს თავისით ამოძრავდებიან, სიცოცხლის დამახასიათებელ თვისებებს კვლავაც შეიძენენ, ჩვეულ რიტმშიც „ჩაჯდებიან“... და ადუღდება დარბაზში სიცოცხლე-ცხოვრება, დადუღდება და... წაიმდინარებს აქ ყველა და ყველაფერი... მიმდინარეობს ფიქრიც! შეჩერება სასიკვდილო განაჩენი იქნება აქაურობისთვის.

გრაფი დარბაზის შუაგულში დგას ხელებაპყრობილი, მხრებში გაშლილი, ლაღი და შეუვალი, (თითქმის) ყოვლისშემძლე და რაღაცას მოელის, იქნებ სასწაულსაც: ეს უფლებაა მისი, მისი ნება: „არავის ელოდებოდეს“ – ესეც ლოდინია მისი გაგებით, თუნდაც: დღევანდლისაგან არაფერს რომ არ მოელოდეს.

მე მისგან: გავდმგარვარ განზე (ალბათ, თვითონვე ინდომა ასე, მაგრამ როდის და როგორ, ველარ დამიდგენია). ვდგავარ გახევებული და წინ ვიყურები. გული მიგრძნობს როგორღაც, რომ უნდა გამაკვირვოს რაღაცამ და ერთი სული მაქვს იმ წუთის დადგომამდე. გრაფს, არც შევბრუნებულვარ მისკენ და თვალნათლივ ვხედავ, ჩემდა გასაკვირად აღარც ეს მაკვირვებს.

წინ ვიყურები დაჟინებით და ვხედავ: (ვთქვი ერთხელ და გავიმეორებ კვლავაც): გრაფი მთელი თავისი სიგრძე-სიგანით აღმიქვამს, ჩემს პირდაპირ თინიკო დგას თავაღერებული. ეს თინიკოა, მოსაცდელში რომ შემხვდა. თეთრი, საქორწინო კაბა ემოსა, ოღონდაც: ნეფე არ ჩანდა

და ვერსად აღმოვაჩინე: მიხაროდა და მწყინდა კიდეც(!)

„ნეტა დამინახავდესო?!“ – ამძგერებია გული, – ნუთუ მართლა თხოვდება თინიკო, მაგრამ ნეფე სად არის, ვინ არის ნეფე? ვინ უნდა იყოს?!

შეიძლება, გრაფი არც იყოს მამამისი, იქნებ, მამობილია მხოლოდ... მოკლედ: სანამ ყველაფერი გაირკვეოდეს, მე ჩემი მემართება. იგი – გრაფი შეიძლება არც იყოს თინიკოს მამა და ეს სპექტაკლი ჩემს გასაგიჟებლადაა სახელდახელოდ დადგმული – მირაჟი. ნუთუ გრაფიც ერთი უბრალო შურისმაძიებელი პატარა კაცია?! მე ხომ ევლია ვარჩიე გრაფს და ეს ვერ მაპატია! ყველაზე სულისშემძვრელიც ხომ ის არის, რომ ლალი-შაქირას იცნობდა და... ნუთუ მცდარია ჩემი პირველი შთაბეჭდილება, ნახვისთანავე რომ შემექმნა გრაფზე?! იმის არაჩვეულებრიობაზე, რომ ერთადერთია გრაფი და განუმეორებელი! მოვლენა! ნუთუ გრაფიც ერთი ჩვეულებრივი, უბრალო მოკვდავია, ან იყო დიდი... და ჩვეულებრივი ადამიანის დონემდე ისე დაეცემა, რომ მისი ცნობაც აღარ მომინდება! მაგრამ ლალი-შაქირა? ნეტა, სად არის ახლა? ევლია: რჩევა რომ მეკითხა მისთვის?

გავიფიქრე და პასუხიც მესმა: „მშვიდად, ნოე... იყავი თვითდაჯერებული! შენ ახლა დამკვირვებელი ხარ, ძიავ და მოვალეც ხარ, ყურადღებით იყო! დააკვირდი: რა ხდება მაქ, როგორ ხდება და მთავარია, არ აღელდე! საითაც გულმა გაგიწიოს, იქითკენ წადი, რაც გულმა გითხრას, რჩევად მიიღე. მიენდე გულს, რადგან დგება ის წუთი, როცა შენ თვიოთნ, სხვის დაუხმარებლად უნდა გადადგა სწორი ნაბიჯი და დაუშვებელია, შეცდე! ნუ დაგავიწყდება, რომ გრაფთან გაქვს საქმე და იმასაც ბევრი რამ ეხელწიფება. გრაფს ვერავინ გააცურებს! იცი კი იმდენი, ძიავ, გრაფმა რომ იცის? ჯერ ვერ შემიგრძნობს, და რომ არ აღმომაჩინოს, უკან ჩავიხევ ოდნავ, თორემ მისი სულის წვდომის არეალში შემოსულს სადაცაა მომწვდება და შემამჩნევს. უჩინმაჩინის ქუდიც რომ მხურავდეს, მაინც იგრძნობს ჩემს სიახლოვეს... შემიგრძნობს. ასეთია გრაფი და ასეთად უნდა მივიღოთ იგი! ჰო, ვიხევ უკან, სულ რამდენიმე ნაბიჯით. მაგრამ მოვლენებს მივყვეთ(!) თანაც შევთანხმდეთ: „პარადი“ გრაფს მიჰყავს და არც უნდა გვაღიზიანებდეს ჩვენ ეს ამბავი. ჩვენ მის ტერიტორიაზე ვიმყოფებით... შენ მაინც! ჰო, წერტილსაც აქ დავსვამ(.)

ითქვა და გრაფმაც მოიხედა ჩემკენ. ვიგრძენი: ფეხად გაასწრო ლალი-შაქირამ, მაგრამ გავიგონე: როგორ ჩაილაპარაკა გრაფმა: „აქ იყო, მგონია, ევლია და ვერ წავასწარი... გამასწრო მაინც“.

დამზრზინა ტანში.

და მომეჩვენა (იქნებ, მომელანდა): მაღლა ავიწიე. მიწაზე აღარ ვიდექი. მერე გამოვეკარი ჭერს: მიწას დავყურებდი: (არ მინდოდა, ქვევით, დარბაზში, მომხდარი ამბებიდან გამომრჩენოდა რამე, თუნდაც სულ უბრალო ამბავუკაც კი).

მართლაც და: ვხედავდი ყველაფერს და აღვიქვამდი ამ ყველაფერს: ერთბაშად და ერთდროულადაც...

* * *

იდგა (ვთქვით ერთხელ) გრაფი: ამაყი და შეუვალი.

ეცვა შავი ფრაკი, მთლად წელში გამოყვანილი არა, მაგრამ არც მთლად სრული, გრძელი, ხვეული, ფერფლისფერი თმა მხრებზე ეფინა; მზერა გამჭოლი და დამთრგუნველი ყოვლის, ხელში დირიჟორის ჯოხით.

სიჩუმე სამარისებული...

სუნთქვაშეკრული ორკესტრი ელის ნიშანს, რომ ამოისუნთქოს და ჰანგებად დაიღვაროს...

გრაფიც შეირხევა და დარბაზიც მოითქვამს სულს. დირიჟორის ჯოხს მაღლა აიქნევს და გაიყინება. ჩაისუნქთავს და თავზე შემოივლებს თავის ჯოხს, თვალს მიაყოლებს და მელოდიაც დაირხევა... გაიჟრიალებენ ჰანგებიც და ძვალრბილში გაუჯდებიან ათასი ჭირისა და ლხინის მომსწრე დარბაზს:

ეს დღე პირველი:

შემოდგომის ფოთოლცვენა...

მე: ფოთოლი ათრთოლებული... ყუნწშეყვითლებული...

ეს სიოა, კანკალით რომ შემომხვევია, მაგრამ როგორღაც მოკრძალებით, მომელაციცება, მომიტევეო და შემარხევს. მეც გადავიხრები აქედან იქით და გადმოვიხრები იქიდან აქეთ. მერე ჩაიმუხლებს სიო და ჩაცხრება, დადგება და იმის მაგივრად, რომ მოწყურებულივით ჩაისუნთქოს, ამოისუნთქავს ღრმად. არა: ამას ვერ დაერქმევა „მშვიდად ამოსუნთქვა“.

გრაფიც: თითქოს თავის თავში მოექციოს მთელი ეს სივრცე, დაიძვრება ჩემკენ (სიოც როდია უკვე, გზა და გზა შევსებულა ნიავ-შენაკადებით) ძალამოცემული და სურვილებმომრავლებული, აწი მცირედითაც რომ ვეღარ დაკმაყოფილდება და მოაქვს ცა და მიწა. ეს ცა და მიწაა, რომ უნდა მომასკდეს და დამფშვნას, დამლეწოს და მილიონ ნაწილად დანაწევრებულს ბოლო მომიღოს მე სათითაოდ, მომკლას უსულგულოდ(...)

მაგრამ მორჩილიც რომ არ მინდა ვიყო?! ვერც წარმომიდგენია, დავემორჩილო! ო, როგორ არ მინდა სიკვდილი?! იმიტომ, რომ არ ვიცი, რასთან ან ვისთან მაქვს საქმე? ვერა და ვერ გამიცნობიერებია ეს ფენომენი. შიშია, რომ შევუპყრივარ: ვაითუ, მომწყვიტოს და ამიტაცოს, ჩამბუბნოს თავისებურად, მომჭუჭკნოს და ასე მომთვარული მომისროლოს სადღაც, მოუსავლეთში.

მაგრამ ვერ მომრევია ქარი, თვითონაც მოძულებული და გმობილი ყველგან, უსახლკარო და მიუსაფარი... ერთსაც შემიკურთხებს გულში და თავის საცეცებს მოუშვებს ჩემკენ... მშორდება, მერე, რომ ისევ მომწვდეს და შემანჯღრიოს, შემარყიოს და: ჩამიქროლოს. თუმცა როდი ჩამიქროლებს, შემომივლის ირგვლივ, როგორც წყლის ნაკადი, შემომევლება მე, გემის კიჩოს, და ფერებ-ფერებით ჩამივლის იმედგაცრუებულივით.

ბოლოს მომამთავრებს და მოვწყდები მეც ჩემს საყრდნობ წერტილს და: ო, როგორ მტკივა?! მაგრამ ვეღარ გამიცნობიერებია, საიდან უნდა მოდიოდეს ეს ტკივილი და გამიარს სახადივით, თუ დამრჩება იგი მარად ტკივილად?

და მაინც (ნუ მოგვიშალოს ღმერთმა იმედი) მეგონა, რომ ჩემს ნებაზე, ნება-ნება, ფანტელივით დავეშვებოდი ძირს მაგრამ იქ ტყლაპო იდგა წებოვანი და როგორ არ მინდოდა, ამ ტყლაპოში ამოვლუმპულიყავი, ოღონდაც ავშორებოდი ამ ტყლაპოს და მერე აღარც ვიდარდებდი, რა ბედი მეწეოდა. არა! სიკვდილი ამ ტყლაპოში ვერაფერი შეღავათია იმედდაკარგული კაცისთვისაც კი: აქ მართლა უნდა მომკვდარიყო კაცი, რადგან ამნაირ სიკვდილს გარდაცვალებასთან არანაირი კავშირი არც უნდა ჰქონდეს. და ამ დროს წამოუქროლებს ქარბორბალა, ამიტაცებს და სადღაც ცხრა მთას იქით მომისვრის მოძულებულივით.

ჰაერში აფარფატებულს იმის თავიც აღარა მაქვს, გავახილო თვალი, გავარკვიო ჩემი ახლანდელი ადგილსამყოფელი და დროისა და მდგომარეობისდა მიხედვით მოვიქცე.

მაგრამ ცნობისმოყვარეობას ვინ დაუტეევია, ნეტა, უმოქმედოდ?! ჰო, ცნობისმოყვარეობამ არც მე მომასვენა და გავახილე თვალი: მკერდამდე წყალში ვიდექი. უცებ მოვფხიზლდი, ამელესება თვალ-ყურიც და ამიჩურჩულდება გული: „უკვდავების ტბაში ხარ და ვერ შეგიტყვია! წინ წაიწიე და იარე მანამ, სანამ წყალი არ დაგფარავს. რაღას უდგახარ, დრო მიდის და გვიანიც აღარ დარჩეს მერე! დაითვლი თორმეტამდე და ამ უნიკალურ თვისებებსაც დაკარგავს ჯადოსნური ტბა! იარე წინ, წინ!

და მეც გავიწევ მთელი ძალით.

წყალი მხრებამდე მწვდება. სუნქთვაშეკრული კიდევ გადავდგამ ნაბიჯს და ჩავიძირები უცებ: მე აღარ ვეურჩები განგების ნებას (დარწმუნებული ვარ: რაც ხდება ჩემს თავს, განგების ნებითაა ეს, მისი სურვილით და უნდა აღსრულდეს კიდეც განგების ნება-სურვილი)!

„ჯადოსნური ტბაც მისრუტავდესო თითქოს, მაგრამ მართლა რომ შემისრუტოს და მომინელოს?!“ – გამიელვებს და შევფიქრიანდები.

– ხედავ, წინ თავდაღმართი გიდევს და თორმეტს რომ დაითვლი, დაჰკარი ფეხი ფსკერს და საცობივით ამოვარდები წყლიდან... – წამომ-

ჩურჩულებს გული სიოსავით და გულს თუ არა, სხვას ვიღას უნდა მივენდო მაშინ?

...შვიდი, რვა... – მძიმედ მივიწევ წინ და ვეშვები ქვევით, – ცხრა, ათი, თერთმეტი და... – დავსრიალდი, მაგრამ მაინც მოვიკიდე ფეხი თიხანარევ ფსკერზე, – თორმეტიო! – ამოვთქვი და რაღაც ქვასავით მაგარ საგანს დავაბიჯე, მეორე, მომდევნო ნაბიჯ-ფეხი მთელი ძალით დავკარი იმ ქვასავით საგანს და შეძრულიყოსო თითქოს ჩემ ირგვლივ ყველაფერი. ციბრუტივით დავბზრიალდი, სიჩქარესაც მოვუმატებ თანდათანობით და ასე ბზრიალ-ტრიალით ამოვვარდები წყლიდან (საცობივით მართლაც).

აქეთ-იქით ვიცქირები თვალებმოწკურული, მაგრამ აღგზნებული: ნელ-ნელა მოვდივარ გონს.

ვდგავარ: დარბაზის ცენტრში, თაღის ქვეშ და გრაფის წინ. ველი იმის დასტურს, რომ დაშვებული ვარ მომდევნო გამოცდაზე.

– ნოე, შენ რჩეული ხარ დღეს რჩეულთა შორის... ვამაყობ შენით! შენ იმედი გამიმართლე! გელი მეორე გამოცდაზე. გამოცდა ხვალაა: მეორე და უკანასკნელი გამოცდა.

და დღე მეორე:

გრაფი გაღიზიანებული ჩანს. წავიკითხე მისი ფიქრი და შემაცივა. ფიქრი კი ასე იწყება თითქოსდა, დაფქვეული: „ამ ღლაპმა მეორე გამოცდაც რომ გაიაროს და მაშინდელივით ბრწყინვალე შეფასება დაიმსახუროს...“ – ფიქრს აღარ დაასრულებს და ავად შემხედავს: – ვიწყებთ, ნოე!

მეც: ვიწყებთო, ვიტყვი და ჩამობნელდება.

მარტო ვარ: თვალებდახუჭული...

ველარ გამიგია: ბნელა იმიტომ, რომ თვალდახუჭული ველარ ვხედავ, თუ ჩამობნელდა მართლა და თითს ველარ მიიტანთ თვალთან. უკვე თვალის გახელისაც მეშინია, ვაითუ, ბნელა და ისე ბნელა, რომ გზის გაგნება უჩირაღდნოდ გამიჭირდესო.

ვღელავ, აღარ ვიცი, გავახელ თვალს თუ აღარ გავახელ, მაგრამ ასე თვალდახუჭულიც როდემდე ვიყო?! ვაითუ, ტყუილ-უბრალოდ ვაცდენ დროს? იქნებ, არც ბნელოდეს და...

ჰოი, გამბედაობავ, ნეტავ სადა ხარ შენ?! – წამოვიძახებ გულში და ავახელ თვალს, მაგრამ ვერაფერს დავინახავ და უკუვდგები. ბნელოდა ისე, თითქოს სამარიდან ვიყურებოდი. მაგრამ ასე ერთ ადგილზე ყოფნაც რომ აღარ შემეძლო?! ჰოდა, წინ წავდგამ ნაბიჯს: ფეხზე მყარად ვდგავარ: კიდევ ერთი ნაბიჯი და: ისევ არ გადავჩეხილვარ იმ სავარაუდო დასაწვავ უფსკრულში. რატომ არ წამეკიდება ცეცხლი, მაგრამ იქამდე ხომ უფსკრული უნდა გაეხვიოს ცეცხლის ალში?! ის უფსკრული კი შეიძლება იყოს კიდეც თავისთავად, თავისთვის, ჩემგან დამოუკიდებლად... გულისფანცქალით მომელის და მეც, ვუახლოვდებოდეო თითქოს, ამთრთოლებია სული. ოღონდ: მაინც მივიწევ წინ, მაგრამ გული მიგრძნობს, რომ ისეც აღარ უნდა ბნელოდეს, როგორც ამ რამდენიმე წუთის წინ და შეიძლება, თითის მიტანაც აღარ გამიჭირდეს თვალთან. მაგრამ, ახლაღა ვამჩნევ, რომ თვალდახუჭული მივაბიჯებ ისევ. ხომ არ გავახილო თვალი?! ნეტა, რა მინდა: ასე ნელ-ნელა გამითენდეს, თუ იყოს წყვდიადი და თვალდახუჭული ვხედავდე ამ წყვდიადში?!

მაგრამ:

იყოს, როგორც სინამდვილეშია...

უკვე აღარც კი ვიცი, მართლა თვალდახუჭული აღვიქვამ იმ სამყაროს, რომელსაც შევიგრძნობ, თუ მაინც თვალხილული ვარ და ვხედავ, და ველარც ვხედავ...

მაგრამ: ხომ მაინც გამითენდება ბოლოს: ახლა: შემიძლია ვიარო ისე, რომ არ წამოვიკრა ფეხი, თუმცა: გული ამომძახებს: იქნებ, ამაზე უფრო აღარც გაგინათდესო და შესაძლოა, ასე დარჩე რაღაც გარკეული დროის განმავლობაში.

უკვე აღარ მიჭირს სიარული: ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე მივიწევ წინ.

მივაბიჯებ გადახნულ ტრამალზე: ჯერ შავმიწანიადაგი მაქვს გადასალახავი, იმას (ისევ გული მეტყვის) წითელნიადაგიანი ზოლი უნდა მოჰყვეს და ბოლოს ჩვეულებრივი აყალო მიწა... ყვითელი, არც ყავისფერი... არც ლურჯი და არც ცისფერი: მაგრამ ეს უფერული მიწა საიდან?

ყველაზე მეტად მაინც უფერულ მიწაზე დგომა მიჭირს. თითქოს ვეფლობოდეო შიგ, ფეხი ვერ ამომიღია იქიდან და მივსრიალებდეო, თითქოს, სადღაც... მერე თავს ვეღარ შევიმაგრებ და ჩავემხობი პირქვე აზელილ მიწაში, დავაპირებ წამოდგომას, მაგრამ ვეღარა! ნუთუ ჭაობივით შთანმთქავს ეს რაღაც საშინელება?!

სიარული არცაა საჭირო, ისე მივსრიალებ, მაგრამ აღარ ვუწყი: წინ თუ უკან: მარცხნივ თუ მარჯვნივ...

საითკენ, ნეტა, საითკენ, ღმერთო?

ამ დროს: შავი ელვაც გაიკლაკნება ცაზე და ჩამოღამდება; ჩამოწყვდიადდება და ის უფერული და მოლიპული გზაც გაიელვებს.

წამოვდექი: ახლა საითკენ?

გულიც მეტყვის, მომენდეო, მაგრამ ვინ უნდა იყოს ჩემი შემწე და მწყალობელი?

წინ იარეო, გულია, რომ მირჩევს და როდემდე, სადამდეო, აღმომხდება მე უნებურად.

მერე გეტყვიო.

ჰოდა: გავიწევ წინ გულს მინდობილი.

ათასი გორი, ათასი ზღვა გადავიარე და ვიგრძენი, რომ გული აღარც იყო ჩემი მეკვლე და დავდექი.

ახლაო? – ვიკითხე ისე ხმამაღლა, რომ საკუთარმა ხმამ შემაშინა. მივიხედ-მოვიხედე, მაგრამ ვეღარაფერი გავარჩიე და მიწას შევეზარდეო, თითქოს, და ფეხიც ვეღარ მოვიცვალე ადგილიდან: ასე მეგონა, ფესვები გამედგასო, თითქოს, მიწაში და გონებაც გამინათდა: ქარბორბალა ამოიჭრება, ალბათ... არნახული და არგაგონილი ძალის და ღრიალიც მესმა სულისშემძვრელი: მიახლოვდებოდა იგი ყოველის მხრიდან.

დიახაც: ეს იყო ქარბორბალა დამანგრეველი, მაგრამ მისგან პარალელურად დამუნჯებული ტალღაც მოირწეოდა, იმ საშინელებისდარი და შეიძლება მეტი ძალისაც, ოღონდაც ნატიფ რასმეს: მასში მდუმარებასაც ვჭვრეტდი, თითქოს, უმოქმედობასაც და კიდევ: მიმნებებლობას.

ქარბორბალას კი მიჰქონდა ცა და მიწა, მაგრამ მე უფრო იმ „მეორის“ მდუმარება, უმოქმედობა და მიმნებებლობა მაშინებდა. ქარბორბალა და ლანდი მისიო, გამიელვა, – ლანდი და მისი ქარბორბალა...

მე მერჩის ქარბორბალა: უნდა მომთხაროს, ამომგლიჯოს ძირფესვიანად; ამიტომაა, ასე გამეტებით და მონდომებით რომ მეხეთქება, მაგრამ აბა, რას მომერევა მე – მიწაში ფესვებგადგმულს?! ძვრასაც ვერ მიზამს ადგილიდან!

და კიმერიაში მგონია თავი:

ათასი ქარი:

ანტიქარიც ათასი!

ჩემი განადგურება მოსურვილებიათ(!)

ნუთუ მართლა კიმერიაში გადმოვუსროლივარ ბედისწერას?! ლანდებისა და ქარიშხლების სამფლობელოში...

ნეტა, საიდან, მაინც როგორ ამ ჯოჯოხეთში?

ვეღარაფერს ვხედავ:

აღრეულან ერთმანეთში: ცხადი და გამონაგონი, დადებითი და უარყოფითი, დღე და ღამე, მტყუანი და მართალი, სინათლე და წყვდიადი, ყველაფერი და აღარაფერი, სხეული და ანტისხეული... ქაოსი გაჯდომია ძვალ-რბილში სამყაროს და ამ აწრიალებულ ქაოსში სხივი გამოიჭრება საიდანღაც, ჩემკენ გადმოწვება მთვარის ბილიკივით. ბილიკზე შევდგები მეც და ბილიკიც ისე გავვლე, რომ გაფიქრებაც ვერ მოვასწარი, მეკითხა მაინც, საით მივდივართო? ნეტა, რა დამემართება, ჩემთვის მინიშნებულ ადგილზე რომ დამსვამდეს განგება?

ჰო: ნეტა, საიდან ის სხივი იმედის?

– ჯვარი?! – აღმომხდა ანაზდად. – ჯვარი გასხივებული? ნეტა, რაისთვის აღუმართავთ? მაგრამ არც მთლად ჯვარია თითქოს... – ვუახლოვდები და ო, ღმერთო ჩემო! ეს ხომ ლალი-შაქირაა და მისი ჯვარი?!

აღიქვი ლალი-შაქირა ჯვარმოკიდებული და აქურობას გაეცალეო, მესროლეს ფიქრი. არსადაც არ წავალო, გავუძალიანდი. ვდგავარ და ვფიქრობ: „რატომ აქაურობას არ გაშორდებაო?“

ნაღვლიანად გაიღიმა. ალბათ, ძალიან უჭირსო, ფიქრი შემომაწვა.

იგი კი იდგა ხელებგაშლილი, ჯვარივით სწორედ. ელავდა ჯვარი მისი, უელავდა ფიქრი ლა-

ლი-შაქირას და იქნებ, ამიტომაც ასხივებდა! თვალი ჩამოვაყოლე მაღლიდან ქვევით, მზერა მის ფეხებთან შემიჩერდა და სინამდვილემ შემძრა: ლალი-შაქირას მიწაში გაედგა ფეხები...

„განწირულია თუ შეწირული?“ – შემომკრა ფიქრმა და ეს ფიქრიც წაიკითხა ლალი-შაქირამ.

„შენ, ძიავ, აწი ნახეო!“ – მეც წავიკითხე მისი ფიქრი და კინაღამ ცუდად გავხდი! – მაგრამ რა ეშველება თვითონ ლალი-შაქირასო, ჩამიხვევს ფიქრი.

„მინდა, გავუძლოო!“ – მიპასუხებს იგი და ცეცხლი მოედება ტანზე.

მაგრამ: იწოდა ლალი-შაქირა, იწოდა და იწოდა იმის ზურგზე მოკიდებული ჯვარიც.

ბოლოს დაიფერფლა სულაც და ჩაქრა.

დავყურებ ლალი-შაქირას ფერფლს და ფენიქსზე ვფიქრობ. იგიც ასევე დაიფერფლა, მაგრამ აღსდგა მკვდრეთით და თავისი ისტორიული სამშობლოსკენ გაფრინდა.

თვალი როგორ, როგორ მოვაცილო იმ ადგილს, აგერ ამ რამდენიმე წუთის წინ რომ იდგა ლალი-შაქირა და აღარაა უკვე, მაგრამ გული რომ სხვას მიგრძნობს?! უნდა მოხდეს სასწაული და ეს მოლოდინია, რომ მაიმედებს...

და: მომესმა თუ მომეჩვენა, გაიფაჩუნაო თითქოს სადღაც და ათასი თვალი და ათასი ყურიც გამომესხა.

– მტრედი? თეთრი, ქათქათა მტრედი... – შეიფრთხიალა, სამჯერ შემომიფრინა თავს ზემოთ, ირგვლივ და... მზისკენ გაფრინდა.

„ლალი-შაქირას სული თუ იყო...“ – გავიფიქრე.

და: ისევ დარბაზი... ვდგავარ თაღქვეშ, გრაფის წინ.

– ჯვარი ჩაიფერფლა, ვიცი, მაგრამ მკვდრეთით აღმდგარი მტრედი იყო იგი, თუ ყვავი?

– თეთრი, ქათქათა მტრედი – წმიდა სული, მზისკენ მიეშურებოდა.

– თეთრი და ქათქათა? სული წმიდა! საოცარია, დაუჯერებელი, თუმცა ვინ უწყის? სასწაულია, სასწაული!

* * *

ლალი-შაქირა, მიწამ თუ უყოო პირი, ველარსად ვნახე, ვერც ვერავინ მიმასწავლა მისი ადგილსამყოფელი.

ქალაქში ვაპირებდი გაბრუნებას, რომ ვიღაც გკითხულობსო, მითხრეს.

ჟურნალისტი იყო რადიოდან.

ქალები თუ აინტერესებდა ლალი-შაქირასო, მეკითხებით, მაგრამ მე უფრო სხვანაიარად გკითხავდით: თვითონ ქალებს ხომ არ აინტერესებდათ ლალი-შაქირაი?

ქალებიც: რას არ ამბობდნენ ლალი-შაქირაზე: ასეთი და ასეთიაო, არც სიამოვნებას მოგაკლებს და ნამუსსაც შეგინახავსო, ჩაიხითხითებდნენ, უწყინარი ვინმეა და ქალისკენ როგორ გამოიხედავსო? ისე ვნებაა ცარიელი და... – გადაულაპარაკებდნენ ერთმანეთს და წავიდ-წამოვიდოდნენ, ვის საით მიეჩქარებოდა და ვის კიდევ – საით?!

მაგრამ იყო ერთი ქალი სოფელში: ამ ქალს სამი წელი ეცხოვრა ქმართან და ბავშვი არ აჰყოლია. გაშორებულან მერე.

ქალი ერთ ნაცნობ ქალთან მისულა: მისი ლალი-შაქირასთან დამოკიდებულების ამბავი საქვეყნოდ ყოფილა ცნობილი და იმისთვის გაუმხელია, ბავშვი ლალი-შაქირასგან მინდა ამყვეს და ხელს თუ შემიწყობ, ისე... ხელცარიელსაც არ დაგტოვებო. კაი გვარიანი თანხაც შეუძლევია და ისიც შეპირებია, ქალი არ ვიყო, ხელში თუ არ ჩაგაგდებიო ლალი-შაქირაო, მაგრამ ამბავი არ გაგიხმაურდესო.

„მეც მაი მინდაო“ და შეთანხმებულან კიდეც.

– შენ თუ არ გამამხელ ლალი-შაქირას ზათი ბოქლომი ადევს პირზეო და როდის დავძრათ ეს საქმე ადგილიდანო?

– მე ზათი არ ვიტყვი და... შენი არ ვიცი, მაგრამ მაი მუცელი რომ გამოგებერება?

– მაი შენი სადარდებელი ზათი არ უნდა იყოსო, – იმასაც უპასუხებია და ლალი-შაქირაის ნდომით თვალები ამღვრევია.

– ლალი-შაქირას ქოხი ხომ იცი, ღია დაგხვდება და მერე შენ და ლალი-შაქირამ იცოდეთო, დაუნამუსებია მეზობელი მეზობელს.

ჰოდა: თვალებამღვრეული ქალიც სტუმრებია ლალი-შაქირას (თავის დროზე). მკერდი შეურხევია და კიდევ უფრო ამღვრევია ისედაც შენისლული თვალები. ეშმაკურადაც გაუღიმებია ქალს მომლოდინე ლალი-შაქირას და თვალით საწოლზე მიუნიშნებია. ქალიც გაშიშვლებულა და ლოგინში შეცურებულა. ლალი-შაქირა კი იდგა დაბნეული და ფეხი ვერ მოეცვალა ადგილიდან.

ამდენსაც ვეღარ გაუძლო ქალმა, გადაიძრო საბანი და ლალი-შაქირასაც ბინდი გადაფარებია თვალებზე. მიიჭრა ქალთან, ქალმაც მიიზიდა თავისკენ და: აღელდა კაცი ლალი-შაქირაში.

ნეტარებდა ქალი და ნეტარებდა – კაციც(!)

ქალი ნაშუაღამევს წამოდგა, შიშველ მკერდზე ეამბორა ლალი-შაქირას და წასასვლელად მოემზადა: – ლალი-შაქირავ.. ჩვენში არაფერიც მომხდარა... თუკი თანახმა ხარ, ხვალეც ამ დროს მოვალ და კარი ღია დამხვდეს... ხვალის ხვალეც შენთან ვიქნები, თუკი შენც ამის მსურველი იქნები.

უნდოდათ ლალი-შაქირაი და იმასაც სიამით ავსებია გული. სახეგაბადრულმა დაიქნია თავი.

– მოვალ ხვალ, ხვალის ხვალეც, ლალი-შაქირავ და კიდევ იმდენ ხანს, სანამ ერთმანეთი არ მოგვწყინდებაო, – ქალი ძველ სარკეში იყურებოდა და იწესრიგებდა თავს.

იღიმებოდა ლალი-შაქირაი.

ერთხელაც: აღარ გამოჩენილა ქალი და ლალი-შაქირაც შეგუებია ამას.

გული უძგერდა სიამაყით: „ივლის, ძიავ, ამ დუნიაზე ჩემი შვილიც, კია საწყენი, რომ არავის ეცოდინება, რომ ლალი-შაქირაია მისი ნამდვილი მამა, მაგრამ ასე უსურვებია ქალს და ვერც ლალი-შაქირაი გადავა იმ ქალის ნებას. კია საწყენი, მაგრამ... მე მოვიხადე, ძიავ ჩემი ვალი და... ღმერთო ძლიერო, ატარე დედამიწაზე ჩემი შვილიც – ერთი კეთილი სული და.. იაროს, ძიავ! უყვარდეს ჯერ და მერე შეუყვარდებათ იგიც, აბა, ძიავ?!“

დიდხანს ემახსოვრება ლალი-შაქირას, ქალმა მუცელზე რომ დაიდო ხელი და ათრთოლებულმა ამოთქვა: – ლალი-შაქირავ, მე შენი შვილით ვარ სავსე... მადლობა, ლალი-შაქირავ!

ლალი-შაქირაც მიიწია ქალთან და მუცელზე დაადო ხელი, მერე ყურიც მიადო და თვალებგაბრწყინებული აჩურჩულდა: „მოგესალმები, შვილო! გთხოვ, გააკეთო ის, რაის გაკეთებაც გაუჭირდა ლალი-შაქირას. ვიცი, ჩემზე ძლიერი იქნები, სრულყოფილი...“

„მოგესალმები, მამავ ბატონო... მე შვილი ვარ შენი, ძე შენი ერთადერთი! ვფიცავ მაღალ ღმერთს!“

გაიგონა ლალი-შაქირამ შვილის პასუხი და ეამა.

ბედნიერი იყო ლალი-შაქირა.

ჰო, წავიდა ქალი, გავიდა ლალი-შაქირას ცხოვრებიდან და ლალი-შაქირაც დაუბრუნდება თავის თავს...

* * *

აგვისტო...

პირველი კვირა ამ თვის.

შუამთობას ზეიმობს დიდი, პატარა.

სუფრა გაშლილია ყველგან:

დღეს უყვართ ერთმანეთი მთაში.

ლალი-შაქირაც აქაა, მთაში.

– ლალი-შაქირავ, აქეთ – ჩვენკენ! ჩვენთან, ლალი-შაქირავ! – ეძახიან აქეთ-იქიდან.

ლალი-შაქირაც მოწკურავს თვალებს და აძგერებულ გულს მიაყურადებს, აბა, ლალი-შაქირავ, რომელი სუფრა მოგივა თვალშიო, – საკუთარი გულის ხმაა, კითხვას რომ შემოაპარებს.

და ამ დროს: – ლალი-შაქირავ, ჩვენკენ, ჩვენს სუფრასთან! – ქალი ეძახის ერთი, ორსული ქალი.

იცნო ლალი-შაქირამ ქალი და ჭინკებით ამოევსო თვალები. მაღლა ხელებაპყრობილი მივიდა ქალთან, ერთი შეზმუვლა და ქალის წინ მუხლებზე დაეცა, შუბლით ქალის მუხლებს მიეყრდნო და თვალები მინაბა. მერე ოდნავ წამოიწია და მუცელზე დაადო ხელი ღაწვებაწითლებულ

ქალს, ლოცვა აღავლინა და რომ აღარავინ მოელოდა, ლოყაც მიაყრდნო ქალის შეტოკებულ მუცელს.

ქალსაც გააჟრჟოლა სიამოვნებისგან, მაგრამ ხალხის დასანახად კიდეც გაუწყრა ლალი-შაქირას, – ეს რას ჰგავს, ლალი-შაქირა, ასე რომ არ შეიძლება?!

ლალი-შაქირას ცრემლები ჩადგომოდა თვალებში და თავისთვის ბუტბუტებდა გაუგებრად: „ბიჭი მეყოლება, ბიჭი... და რაღა მოკლავს ლალი-შაქირას აწი? ამ დუნიაზე მოსულ კაცს, აბა, რა მოკლავს, ძიავ?“

– ლალი-შაქირავ, ევლია... სუფრა დაგვილოცე. – გამორკვეულიყო ქალი და გრძნობებად დაღვრილ ლალი-შაქირას ღვინით სავსე ჭიქა მიაწოდა. ლალი-შაქირამაც ხელში შეატრიალა ჭიქა, გადახედა სუფრის წევრებს და ფიქრიც დაგორგლა:

„ძიავ, ეს დღესასწაული ჩვენი დღესასწაულია... შუამთობაა! ვხარობთ და ერთმანეთს ვახარებთ! მე, მაგალითად, თქვენს ბედნიერებას შევთხოვ მაღლა ღმერთს! წუთისოფელს დაგილოცავთ და გიდღეგრძელებთ ყველას!“ – ამბობდა ამას უსიტყვოდ, მაგრამ ესმოდათ მისი.

– მეტს არაფერს იტყვი, ლალი-შაქირავ? – ჰკითხავს ქალი და დოინჯს შემოიყრის.

„ვიტყვი, აბა, არ ვიტყვი? მაგრამ ჩემს სიტყვას შენ გარდა ვერავინ გაიგონებს...“

– მარტო ჩემს გასგონად? – გაეღიმება ქალს – სხვამ რატომ ვერ უნდა გაიგონოს, ლალი-შაქირავ?

„მე მხოლოდ შენს გასაგონად ვამბობ: შენ რომ ბაღვ ატარებ მუცლით, შეიძლება ამაზე არც იცოდეს სოფელმა, მაგრამ მე ხომ ვიცი, ჩემია! სოფელში აღარ მოიცდი, მაგრამ ვერსად დაემალები ჩემს თვალს! სულ შენთან ვიქნები. ეცოდინება იმას ქვეყნის ავან-ჩავანი! შეიძლება ცოცხალიც აღარ ვიყო, მაგრამ უჩემობას მაინც ვერ ვაგრძნობინებ. ჩემი სული ხომ უკვდავია... მარადიული!“

ქალი კიდევ უფრო ახლოს მიიწია ლალი-შაქირასთან და ხმადაბლა, მხოლოდ მისდა გასაგონად აჩურჩულდა: – ლალი-შაქირავ, შენია ეს ბაღვი და ბედნიერი ვარ, მაგრამ პირობა უნდა მომცე, რომ ამ დუნიაზე არავის ეცოდინება ეს საიდუმლო! სამაგიეროდ, ერთი ღამე მემართება შენი! როცა მოგინდე, მაშინ წაიღე ის ერთი ღამე! პირობა პირობაა?! – იკითხა და თვალები მოწკურა.

„ჰო, არავის ეცოდინება, თუკი არ ვიტყვით, მაგრამ მაღალმა ღმერთმა ხომ იცის, რომ დედამიწაზე მეც მყავს შვილი და უძეოდ არ გადავგებულვარ! ის ღამე კი, რომელსაც ასე გამეტებით მთავაზობ, აღარ მინდა, ძიავ... დაგრჩეს შენ!“ – ფიქრი აქ დაასრულა და თვითონაც მოწკურა თვალები.

– აღარ გინდა? დავიჯერო, ლალი-შაქირავ, რომ... – ქალმა შეურაცხყოფილად იგრძნო თავი, მაგრამ არ დაიმჩნია, თითქოს რაღაც მოაგონდაო და გუნება-განწყობილებაც შეეცვალა: – ჩვენს შვილს აღარ დალოცავ, ლალი-შაქირავ? – ხმას დაუწია.

და ლალი-შაქირასაც აუწრიალდება სული, წელში მოიხრება და მუცელზე აკოცებს ქალს, „ჯერ მოთმინებას დავანათლავ, ძიავ, რომ არ აჩქარდეს და მზის სინათლის ხილვა ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ ვადაზე ადრე არ მოისურვოს... დროულად მოევლინოს ქვეყანას და გამოადგეს სოფელს!“ – ამას ყველას გასაგონად იტყვის გულში და ღვინით სავსე ფიალას სულმოუთქმელად დაცლის.

ყველაფერი ეს მართლა ხდებოდა და მოწმე ამისა სოფელი იყო(!)

ქალი: იმ დღიდან მოყოლებული აღარავის უნახავს სოფელში: დაჰკრა ფეხი და გადაიკარგა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



რეზო თეგზიძე

შენთვის

ხნულის პოემა მიწერია შენი ბელტებით,
სულ გაკვეთილებს მიტარებენ შენი ფოთლები,
ამ დუნიაზე ისე როგორ დაგიბერდები,
ვინ დამძრახავს, თუ სიყვარულში გაგილოთდები?!
რის გვირგვინები, რის მეფენი ან რის ლორდები! –
გლეხკაცობას და ფალასფულასს
დაგიჯერდები,
შენგან მოხმობას არასოდეს დაველოდები,
ვიცი, გჭირდები და სმენაზე გაგიჩერდები,
კლდის ბეჭებიდან მომზირალი ციხე-გოდლების
მოსაფერებლად აგიჩემდები,
საითაც მეტყვი, მივდგებ-მოვდგები,
სწორედ იქითკენ გაგიჭენდები.

ჩემზე ფიქრით

იციან წელიწადებმა,
წამითაც კი არ უძინია,
ჩემზე ფიქრებად და დარდებად
უთოვია და უწვიმია:
მაინც საითკენ მიუყვები,
რომელი ბილიკი აირჩიე,
თუ მოზიდეო ჭიუხებით
ბალახი და ბუდე გაიჩინე.
თითქოს ჩიტი ვიყო, ჩიტუნია,
ისე მელაპარაკება,
მე რომ იმედები გავუმტყუნო,
ვითომ ბევრი რამე დააკლდება.
ხვართქლა ხელივით შემომხვია,
მაჯაზე თითი დამადო,
გულმა რეჩხით სისხლი ჩაიხვია,
შვილო, ხომ არ ხარ ავადო.
თავზე ვენახის ფოთოლი
ხელისგულივით გადამისვა:
– არ დამინგრიო გოდოლი,
თასში შხამი არ დამისხა! –
მისი ალერსი ვალად მდევს,
უჩემოდ თავი ეობლება,
სულ ჩემი თავი ადარდებს,
დღე და ღამ ჩემს დარდებს ეომება.
ისეთი გლახა და მუნჯი ვარ!!! –
რომ გაველახე, მერჩია.
იქნებ, შემეწიოს ლურჯი ცა,
ცას ჯერ არაფერი შეშლია.

* * *

არ მიკვირს სულაც, მეც თუ კი ცხრაპირ
ტყავს მაძრობ შენი ბასრი ეკლებით,
თავზე მადგახარ ეკლიან სახრით
და გულმოდგინედ მიმერეკები.

ნუ ჩამთვლი მონად! – ქედს როდი ვიხრი
და მაინც... „ვაი!“ დამცდეს ეგების,
თუ ასე მოხდა, ჩამარტყი მჯიღი
და ჩამილეწე მკერდი, ნეკნები!

გემუდარები, მონად ნუ ჩამთვლი,
იცი, ვინ ვარ და რადაც გერგები, –
ჩამაპირქვავა ხახაში სათლით,
ცრუ სოფელს ტკბილად არ შევერგები!

მე, ასგზის მოკვდავს და მაინც გულდიდს,
მოდიხარ, მომდევ და მერეკები,
მადლობა! ჩემი ნამუსის ქუდი
შეკერილია შენი ეკლებით.

* * *

კი ნახავდი, თუ გივლია ამ უბნებით,
ზეიმობენ სიყვარულის ღმერთები,
საქორწილოდ შეწკეპილან ალუბლები,
გულო, გულო, სიხარულით ფეთქდები!

ალუბალმა: – თუ ვერ ძლებდი უჩემოდ,
რატომ დუმდი, გეტყოდიო კის, კის. –
ჰოდა, ახლა ნეკი რომ წავუჩვენო,
გაბავშვდება, აიტეხავს კისკისს.

როდი მითქვამს, როდი მითქვამს ძვირი,
ალუბლებზე უფრო მეტად ვცეტობ,
აწ მშვიდობით თქვენ, ღმერთებო, ძილის,
გამარჯობა, უძილობის ღმერთო!

* * *

ცამ გულისპირი გადაიღეღა,
ო, რა ლამაზი მზე გაქვს და მთვარე!
მე რომ წავალ და ვეღარ გიხილავ,
ამ სინანულით დავხუჭავ თვალებს.

თავზე ევლება დიდი გამჩენი
შენს ქალწულ ზეცას და ჭაბუკ მთა-ველს;
მე რომ წავალ და შენ რომ დარჩები,
ამ სიხარულით დავხუჭავ თვალებს.

წავიდნენ კაცები

წავიდნენ კაცები:
ბოხოხიანები,
ყელჩანგიანები,
ბოხხმიანები,
კრიმანჭულიანები,
მრავალჟამიერებით,
ფერხულებით,
ხორუმებით,
განდაგანებით,
მაგინებელნი გადაგვარების.

კაცები ბობოხიანები:
სამამულენი,
მტერთან ხმლიანები,
მოყვრებთან
პურმარილიანები,
სამეზობლო-სამეგობრონი,
ფიცვერცხლიანები,
ფხიანები,
სიტყვა და საქმედიდები,
სიყვარულმდიდრები,
რომ ვერ ჰგუობენ სიძულვილში დიდები და
ჭიანები.

წავიდნენ კაცები მხარბეჭიანები,
შევარდნის ფრთიანები.
მთლიანები,
ჭკვიანები
ჭკვიანები.

წავიდნენ კაცები ბოხოხიანები.

მოვიდნენ კაცები?!

ნეტავი უფალთან გქონია ცოდვა რის
მოვიდნენ კაცები არც ისე ცოტანი
კაცები
თავსაფრიანები
მანდილიანები
ფეხების წვერებამდე
დალალიანები
ამაზრზენად საყურებლები
ყურზე და ცხვირზე საყურეებით
აქა-იქ
კაბებით
და სხვა ამბებით
ჰოდა
კიდევ გაივლის
ათი წამი ვიდრე
გთხოვთ შემაშველოთ აბები
გული რომ არ წამივიდეს
ჰკითხოთ
სვიანები

ბისექსიანები
ბისექსუალური აზრებით
რაინდები უნიტაზების
მანდილიან-თავსაფრიანები
ბუნდოვანი ნაცებით
შხამიანი ფიალებით
დედის მოძულენი
დედინაცვლის ტრფიალები
კაცები
უცხოთა ხარჭებად
სიტყვა „კაცები“
აფსუს
რა ტყუილად მეხარჯება

დარდები არა ჰკლავთ
სადიდგორ-საკრწანისო
აღმაშენებლის და
თამარის საბრძანისო
მაგათგან დახუნძლული
იარებით
მერმისისკენ ძლივს
ძლივს
იარები

თქვენი არ ვიცი და
მე გულზე მეხანჯლება
ლამის სიკვდილი მინდება
სიტყვა
„კაცი“ თუ „კაცები“
ვწუხვარ
მეხარჯება
კაცი მიკვდება

და ისევ შენ
დიდი გამჩენის ნაქარგი
ილიას და აკაკის
და
სულხან-საბას საბრძანისო
უძლებდი
უძლებ კირთებას
ახანძრებული იარებით
მერმისისკენ ძლივს
ძლივს იარები
რამეთუ
კაცი და კაცობა გიკვდება

* * *

და სახვალიო გზა-ბილიკებზე
მითენებია ღამე ოცნებით,
სადაც წავსულვარ, თან წამყოლია
მამის ხვეწნა და ნენეს ლოცვები.
მიხმობენ ჩემი სიყრმის უბნიდან
მინდვრის ჭრელკაბა ანგელოზები,
ძუძუებივით თითქოს უბიდან
ამოიყარა ხევმა ბორცვები.

ნათია ჭინჭარაული

ნათია ჭინჭარაულის პოეზიას თავდაპირველად სოციალური ქსელის საშუალებით გაეცნენ პოეზიის მოყვარულები. ერთ-ერთ მათგანს რამდენიმე ლექსი შეერჩია თავისი გემოვნებით. მათ შორის იყო ასეთიც:

„დეკემბრის ქარი არ მითმობს წუთს რომ
მომგვაროს შვება, გამიქროს ურვა,
და უკუღმართი ჩემი საწუთრო
ახლა სხვებისთვის აგრძელებს ბრუნვას.
ჩემი ნაწილი უკვე განვდევნე,
უკვე დატოვა მიწის საუფლო,
შენ კი მოდიხარ და მერამდენედ
ცდილობ რამეზე გამესაუბრო...
იგრძნეს ფიქრებმაც შიში ირემის –
ნატყვიარ გულზე მიწის შეხება...
და როგორც ღამის ნანადირევი
ისე მოგიგდე ლექსი ფეხებთან!“

ამ ლექსებში იყო რაღაც სრულიად განსხვავებული, ახალი. ავტორი არავის ჰგავდა, მეტიც, მიმგვანებას არც ცდილობდა. ულამაზესი მეტაფორების კონტურებით მოხაზული არაჩვეულებრივი სურათები ცვლიდა ერთმანეთს. სხვა ლექსებიც მოვიძიეთ... ვკითხულობდით მის ლექსებს და ვფიქრობდით, ხომ არ გამოილეოდა მარაგი... არიან პოეტები, რომლებიც დაწერენ რამდენიმე ლამაზ ლექსს, იმედს მოგცემენ, ელოდები... მაგრამ კარგი დასაწყისის შემდეგ თითქოს აღარაფერი აქვთ სათქმელი. ამ შემთხვევაში ასე არ მოხდა, ერთმანეთს ცვლიდა ლამაზი სტრიქონები, სადაც ახალგაზრდა პოეტი შესანიშნავი მხატვრული ფორმებით აგრძელებდა საუბარს თავის ტკივილსა და სიხარულზე. შემდეგ ჟურნალ „ხორნაბუჯის“ ფურცლებზე აღმოვაჩინეთ ნათია ჭინჭარაული (სოციალური ქსელში უპოვნია მისი ლექსები ბატონ გოირგი ნატროშვილსაც, შემდეგ – ერთ-ერთ ტელეგადაცემაში, სადაც თავად წაიკითხა რამდენიმე ლექსი, შემდეგ ბატონმა ავთანდილ ბერიძემ დაუთმო ორჯერ გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ფურცლები, ბოლოს კი, 2018 წლის სახალხო ზეიმ „შოთაობისადმი“ მიძღვნილ პოეტურ კონკურსში გაიმარჯვა...

რაც მეტად ვეცნობოდით ნათია ჭინჭარაულის პოეზიას, მით მეტად გვეუფლებოდა გაოცება: ერთმანეთს ცვლიდა ისეთი სტროფები, სახეები, რითმები, რიტმი, ჭეშმარიტ

პოეზიასთან ზიარებას რომ გაგრძნობინებდა, ამასთანავე, გალაკტიონის ცნობილ სენტენციას რომ გაგახსენებდა – მე ვხედავ სიზმრებს არათქვენებურსო. გადაჭარბებაში რომ არ ჩამოგვერთვას, თავად დააგემოვნეთ:

„ხელები ახალგაზრდა, ქორფა,
ტუჩები – უჩვეკი და უმი...
ჩუმი სიკვდილივით ყოფა,
ყოფა – სიკვდილივით ჩუმი“

ანდა:

„სხვა არაფერი, ამ დღით ვარ სავსე...
დროსთან თამაში... სადღაც სამი სვლაც...
მერე დავტოვებ ამ ცხოვრებას გახსნილი თასმით
სარკეშიც კი არ ჩავიხედავ გარეთ გასვლისას...“

ან თუნდაც:

„რა მოხდებოდა უფრო მეტად გვჯეროდეს გზების?!
რაც გინდა მითხრა, გაწბილებას ვერ მოვინელებ...
ჩვენი სულები, როგორც მინდვრის მზესუმზირები,
დგანან და ცაში ნაწილ-ნაწილ მიაქვთ ფრინველებს...“

და კიდევ:

„....მერე რა, თუკი თქვენს სიმდაბლეს ჯერაც ვერ შევწვდი
და ტყვიასავით გამიარა ბეჭებში ჭორმა!
სიზმრებიც ისე შავ-თეთრი მაქვს სიცივე ატანს...“

ნათია ჭინჭარაულმა, მაგალითად, მოახერხა და „თოვლით“ ასე მდიდარ ქართულ პოეზიაში ისეთი უჩვეულო სახეები გვისახსოვრა, როგორიცაა: „ცას ენის წვერზე მოადგა თოვლი...“, ან „ეს შენთან მინდა რომ ვიყო თოვლი და ამ თოვლივით მართალი ცამდე...“

უკვე მიზანდასახულად ვეძებდით „ფეისბუკში“ მარგალიტებივით გაბნეულ მის ლექსებს და ორივე მატულობდა – აღტაცებაც და გაოცებაც.

ვერ დაგტოვებს გულგრილს აფხაზეთში დაღუპული, საქართველოსთვის თავგანწირული მამისადმი მიძღვნილი სტრიქონები, ერთი მხრივ, ტკივილის სიღრმით, ხოლო მეორე მხრივ, მისი გამოხატვის უცნაური უბრალოებით:

„მე – სახსოვარი პოეზიის ყველა სტიქიას...
ცხელი ტყვიები, აფხაზეთი...
მითხრა – გადავრჩე!
ჩემზე არავის უფრო ძლიერ არ უფიქრია,
როგორც სიკვდილის პირას მამაჩემს...“

ანდაც, ასეთი:

„ეხლა როდესაც ძველ წერილებს ვკითხულობ,
ვსუნთქავ,
მძაფრად ვგრძნობ მამის ჩამოქნილ თითებს,
და ის, რაც არის ყველასთვის მუქთა,
ასე უბრალოდ არ მაქვს და
ვითმენ“.

ნათიას დედაც ახალგაზრდა წასულა იმქვეყნად...

მშობლებთან მარადიული სულიერი კავშირი ნათიას პოეტური ლაბირინთის ერთ-ერთი გასაღებია:

„ჰო, ადრესატი, მე ნათია ბადრის ასული,
შვილი თინათინ – ვფიქრობ მართლა – „მზის სადარების“.
არ ავიწყდება ამ წვიმასაც, ციდან ჩამოსულს,
გადმომცეს მათი მოკითხვა და დანაბარები.
როცა ღამეა, შავი ღამე და დარდს ვერ ვილევ,
დამფრთხალი ძილიც აღარაფრით არ მეკარება,
ქუჩებში ქარი დაატარებს წვიმის წერილებს
და გუბეებად დამიტოვებს სახლის კარებთან“.

სევდანარევი აღტაცება გეუფლება, როდესაც ხედავ, თუ როგორ შეუძლია ნათია ჭინჭარაულის რანგის შემოქმედს „დაამშვიდოს“ ზეციურ საქართველოში გადასახლებული დედა:

„შენ ნუ იღელვებ, ჩემს ცოდვებზე პასუხს მე ვაგებ:
მხარზე ლექსებზე დაგეშილი მიმინო მიზის!“

მართლაც რომ ლექსებზე „დაგეშილი მიმინო“ უზის მხარზე ამ უნიჭიერეს ახალგაზრდა პოეტ ქალს. ნათიას პოეზია, ეს არის სამყარო, სადაც ის ცხოვრობს თავისი განცდებით, ტკივილებით, სიხარულით; სამყარო, რომელსაც თავად აშენებს არაჩვეულებრივი პოეტური მიგნებებით, მთის ბროლის ლამაზი კრისტალებივით რომ ალაგებს ერთმანეთზე. ეს არის სამყარო, სადაც ლექსის ჭეშმარიტ შემფასებლებს მოუნდებათ ავტორთან ერთად გადასახლება.

ჩვენ, ვინც შევიყვარეთ ნათიას პოეზია, ვფიქრობთ, რომ მისი ლექსი გაალამაზებს დიდი ტრადიციების მქონე ქართულ პოეზიას. გვჯერა, რომ მალე საქართველოში ნათია ჭინჭარაულის ლექსებით გაუმხელენ შეყვარებულებს თავიანთ გრძნობას, მოეფერებიან სამშობლოს, შეებრძოლებიან შურსა და ბოროტებას და ამ ლექსებს მშვენიერების მანათობელ ჩირაღდნად გაიყოლებენ ცხოვრების გზაზე.

მართალი ვართ თუ არა, ამის განსჯა ამჯერად თქვენთვის, ჟურნალ „ჭოროხის“ მკითხველისთვის, მოგვინდია.

კონსტანტინე კიკნაძე
დიმიტრი კორძაია

* * *

მზე ისე ჩადის
გაშლილ ქედებთან
თითქოს მრავალფრად ყვავის საკურა...
მცირეა ჩემი შემოქმედება,
ხასიათი აქვს ალოგიკური...
დრო რეალობას ხელში მაჩეჩებს,
ჭირთ ქალაქის გზებს ტაქიკარდია,
როცა ცარიელ სოფლის ქუჩებში
უკვე ჭორებიც აღარ დადიან...

* * *

ასე აღარსად გავდივარ
ჩემი თავიდან გარეთ,
ეს ღამე ავანგარდია
მოდერნისტული მთვარით.
სხვამ წაიკითხოს მორალი
სულის ქაოსურ ქართან....
წამოვწვები
და, უბრალოდ,
საყვარელ სიზმარს ჩავრთავ!

* * *

ირგვლივ ფონია ისე შექმნილი
რომ თვალთმაქცურად
იტყვი: უკეთ ვარ!
სიმარტოვე კი, როგორც ვექილი,
შენს დუმილს კაბის კალთებს უკეცავს...
იზოგავ მარცვლებს, ნამცეცს გამომხმარს
(არ გიგზავნიან მოსაწვევს „ლანჩის“)
და გრძნობ, შენს მკვდრებთან უფრო ახლოს ხარ,
ვიდრე ვისთვისაც ცოცხალი დარჩი...

* * *

და ჰა, უსიტყვო სურვილთა ქვევრიც...
მივლებ სიჩუმის კედელს ქავისებრს...
თუმც ცხოვრებაში შეგხვდება ბევრი,
ჩემებრ ვერც ერთი გაგითავისებს.

გამწირეს შენი მკლავის ყულფებმა
ისე ცხადად და დანამდვილებით,
როგორც ხმელ ფოთლებს ჭირისუფლებად
თავს დასდგომია ხეთა ჩრდილები.
სადაც წვრილია, ძაფიც იქ გაწყდეს,
ან დამაბრმავოს მზერის სიელვემ,
ოღონდაც, როცა წასვლას გადაწყვეტ,
გთხოვ, ნუ დატოვებ სიცარიელეს!

* * *

დახეთქილია ჩემ ფეხქვეშ მიწა
და მეშინია უფსკრულად მექცეს...
როგორც სნეული, ცა ისე იწვა
და მე წყალივით ვაწვდიდი ლექსებს.
გამოვიგონე, რომ ეს დღეა ყველაზე გრძელი
და ყოველ საათს ერთი ორად იწყებს მატებას...
დგას ჩემს საწოლთან ისე, როგორც სიზმრების მცველი –
შენი უაზრო აკვიატება.

* * *

რა მოაქვს ამ ქარს სისხამ დილით მღვრიედ და სწრაფად,
ზამთრის დღეებში დაგროვილი მტვრითა და გარჯით?!
გავდივარ, რჩება საწოლი და მტვრიანი რაფა
დიდი ხნის წინათ უადგილოდ გაჭრილი ფანჯრის.
რადგან სამარეს არ სჭირდება არც ერთი ღრიჭო
(რომ ეს სიცოცხლე არ ითვლიდეს აღარც ერთ ცხედარს),
თუნდაც იმისთვის, რომ ამ უთქმელ ტკივილებს, ბიჭო,
გასაკვირია, მაგრამ ღმერთიც ვეღარა ხედავს.
ჩვენი სიცოცხლე დროსთან ერთად ისე შეცვლილა
(იქნებ, თავისთვის არა მხოლოდ, იქნებ, ჩვენს გამოც)...
მე კი ხანდახან, ანდაც, ვფიქრობ, უფრო მეტწილად,
მიზიდავს სივრცე უსაზღვრო და უკიდეგანო.
ჩემს გულცივობას უნებურად როცა ასახავ,
ალბათ, გგონია, მარილს ვაყრი ღია ჭრილობას,
დამეთანხმები, ასე ვფიქრობ, ალბათ, ცალსახად,
რომ მხოლოდ მკვდრები აფასებენ გულახდილობას.
ეს შენი ქარიც სისხამ დილით თამამად მოდის,
მოერეკება ყალბ ღიმილებს, სალამს და ვითომც
არც არაფერი, ქალაქია, ქუჩა, ბომონდი
და სულზე მეტი ფასი ადევს ოქროსფერ ლითონს.

აქ უნდა ყველას მუნჯის ენა, სიბრმავე, ტაბუ,
აქ ტკივილებმა უძლურების ხარკი იგემეს,
რა გენაღვლება – შენ ისედაც მოგცემენ საბუთს
რომ მიგათვალონ გამოჩენილ აბორიგენებს!
ჩემთვის კი გახდა სასაცილო: სუყველა ნატვრის
დასამარება და გაქრობა ისე სწრაფია!
მიაწერს ყოველ გაზაფხულზე გულცივი მარტიც
ატმის ყვავილებს ცივი ზამთრის ეპიტაფიას.
არ მოხვიდოდი, დაჟინებით რომ არ გიშლიდე,
რას ატან ამ ქარს სისხამ დილით – გავშალე ბანქო...
სადაც ვარსებობ, ვერ მოიტან კუთვნილ სიმშვიდეს
შენმა ლექსებმა ქვეყანაც რომ მთლიანად შთანთქონ.

* * *

გამბედაობა სჭირდება ისე:
თუკი მიმიზნებ, მომიღე ბოლოც,
რადგან ზურგსუკან მოზიდულ ისრებს
ხელის გაშვება აკლია მხოლოდ.
ადრე თუ გვიან მიწას გავცდები,
როგორც ეს წყალი ცდება კალაპოტს,
გამიცივდება ცაში განცდებიც
და მოვა თოვლი სალაპარაკოდ...

* * *

ჯერ ცოცხალი ვარ.
ან სხვაც რაღა უნდა დავწერო,
აქ ზედმეტია
სახელები
დრო ან რიცხვები.
ეს გზაც გველივით დაკლაკნილი
მისდევს სატევროს,
და მის ჭრელ ტყავში შემოღწეულ
მზეს ვეფიცხები.
ჯერ ცოცხალი ვარ
და ყოველდღე სურვილებს ვბადებ,
ან თუნდაც ამბებს
ნამდვილს, განა ვინმეს მონათხრობს...
წყალში თუ ცუდად გაისროლე გაშლილი ბადე,
იმ წყლის ქვეშ მშვიდად მობინადრე თევზებს დააფრთხობ.
ჯერ ცოცხალი ვარ,

ნისლიანი დღე მიდგას ბლანტი,
ან თუ ოდესმე წამლის სუნიც შეჭამს პალატებს,
არც მიფიქრია, დამიჯერე ვინმეს ღალატი –
ამით
მე მხოლოდ
საკუთარ თავს დავაღალატებ!

* * *

და შენ გახდები რიგითი „ვინმე“:
წყალწაღებულებს ვერ იჭერს ხავსი...
რადგან, როდესაც მე დავსვი მძიმე,
შენ სწორედ მაშინ წერტილი დასვი!

* * *

ასე ყოველთვის ბევრი ხალხი ირევა ჩემ წინ,
არ არის ჩემთვის ჩარჩოები, წესები, ნორმა,
მერე რა, თუკი თქვენს სიმდაბლეს ჯერაც ვერ შევწვდი
და ტყვიასავით გამიარა ბეჭებში ჭორმა.
სიზმრებიც ისე შავ-თეთრი მაქვს, სიცივე ატანს...
წყალი მითრევდა ამღვრეული და გაორება...
დღეს ისევ მოვა ღამე, როგორც გრძნეული კატა
მოვა და ისევ ჩემს ფეხებთან გაიზმორება...

* * *

სისულელეა იმაზე ფიქრი,
რომ ჩვენი ყოფნით თუ ჩვენ გარეშე
ირგვლივ სამყარო იგივე რჩება...
ჩემს თავში ბევრი აზრი თარეშობს.....

ღმერთმა თავისი თავისთვის შეგვქმნა
რომ ქვეყნად მარტო არ ყოფილიყო...
და სანამ ბევრი კითხვა გაჩნდება
ნუ მიესწრაფვით სრულყოფილებას
და არარსებულ ცნებებს – იდეალს!
რა ადვილია სხვების მხილება
თუ შენგან დროზე ადრე მიდიან...

არაფერია ჩვენ გარეშე მიწის დიდება...
თავს დავიმუნჯებ,
დავიყრუებ ან დავიბრმავებ

და წამს გაქრება იდუმალი ზეცის სილურჯე,
დაუბრუნდება უკუნს იმავეს!

რომ დავანახო ხელის მოსმით, როგორ გაქრება –
ჩემს ფანტაზიას გასაქანი მისცე ეგება,
რომ ვეღარ იგრძნოს ფურცლის გემო მხატვრის ფანქრებმა,
რომ ვეღარ იგრძნოს მწერლის სიტყვა ხალხის შეგნებამ
(თუმცა, ეს ისეც იშვიათს თუ მოეთხოვება),
რომ ვეღარ იგრძნოს სცენის სუნი,
ტაშის ხმაური,
იმ მსახიობმა, თავს რომ იკლავს უწინ სპექტაკლის
და გულმოდგინედ იმეორებს სხვების ცხოვრებას,
როცა საკუთარს მოისაკლისებს...

ან რას ეძახით დროულსა და სიზუსტით მოდერნს?!
ქვეყანას მოვდებ –
ცხადად მესმის ქარის ძრწიალი!
ცხადად ვხედავ მიწის სიმწირეს!
მე ცხადად ვამბობ, რომ ტყუილად მასწავლეთ-მეთქი,
რომ დავიბადე სამყაროში და ის მე მიტევს!
სამართალს ვითხოვ!
ეს ჰაერი არ ყოფნის ფილტვებს,
რადგან სამყარო თითოეულ ჩვენგანში ცხოვრობს....
გაგიადვილებ, ვფიქრობ, არჩევანს:
ეს ზურგის ქარი ვერ გააცლის ამ ხეებს მერქანს...
და რომ ღმერთივით ვერ შევძელით მარტო დარჩენა,
ჩვენ ერთმანეთის დავიწყეთ შექმნა!

* * *

ქარის ქროლვაში გატარებულ
დღეებს რა ჰქვია...
რა სახელი აქვს
ამ ფუჭ ქაოსს, მანძილს კარიდან,
თუ მუსიკის ხმა უსასრულო მოჰგავს რეკვიემს
ძლივსღა რომ მესმის შუა ღამის კაფე-ბარიდან.
ეს ჩემი სიტყვა
მომავლისთვის თუკი ბლაგვია,
მაშ, გზა მასწავლეთ ყოფისაგან ჩემი გამიჯვნის...
იყოს ალალი,
დილით როცა ქუჩებს დაგვიან,
უნებლიეთ თუ მიაყოლეს ჩემი ნაბიჯი!

* * *

აი, მოვიდნენ ღამეები თეთრი და ბასრი,
ბოლო სიცოცხლე უნდა იყოს,
ბოლო და მეცხრე.
პოეზიაში ხელებს ისე ნურასდროს გასვრი,
მათი სახალხოდ გამოჩენა ყოველთვის შეგრცხვეს...
მერე თანდათან აგაცლიან ლექსების ფუკებს,
ზღვაში წვეთია, რაც უნახავთ, არათუ ასლი,
მე აღარც ერთი მიზეზი მაქვს დარჩენის უკვე
და უამრავი მიზეზი მაქვს აქედან წასვლის.
თუმცა მოვიდნენ ღამეები თეთრი და უმად
მაკრატელივით გადამიჭრეს დუმილის ლენტი,
შენ კარგად იცნობ, მეგობარო, პოეტურ გუმანს,
ყოველთვის თავის სახეიროს ეძებს და ელტვის...
აი, ხელებიც,
ქალური და სუსტი მაჯებით
დიდი ხანია,
რაც უმართავს იჭერენ აღვირს...
გულის სიღმერში ისიც ვიცი, გავიმარჯვებდი,
მაგრამ ასეთი გამარჯვება არაფრად არ ღირს!

* * *

დგახარ
ამხელა სამყაროში ჰორიზონტს იქით...
აქ იქნებ აღარც არსებობ სულაც...
რაც ხარ,
ინახავ და იმას ფიქრობ
რომ გადაყლაპო ეპოკაფსულა..
უკან
მტვრიანი ნივთებია, სუნი სიძველის
წლებია სახლიც დაკარგე უკვე...
ფუკა!
და შენს სულს, ძვირად შეძენილს,
მუქთად რამდენი დაისაკუთრებს...

* * *

წვები...
სინათლე უნდა ჩააქრო...
მიგყავს სიჩუმე ნაპირთან რიყის...
გრძნობ,

ისეთივე ექნება ექო
სიტყვას,
როგორი ფორმითაც იტყვი...
ამღვრეულ სიზმრებს დაუშენ კენჭებს
დროს არ აქვს სუნი, ფერი ან გემო...
გრძნობ, კარგად ყოფნით ისე აეჭვებ
ღამეს, ვერ ითმენს არ გაგათენოს.

* * *

ქარში ყვითელი ფოთლების სინქრონს
ვხედავ, ბუმბულის დააქვს სიმძიმე...
შენთან მომსვლელმა გზებმა კი თითქოს
გრძელ გვირაბებში გამოიძინეს...
აქ უსაზღვროა უნარი ფიქრის,
ვერ გეტყვი,
მანდ როგორაა საქმე –
ილუზიაში, რომელსაც იქმნის
ხალხი და შემდეგ ცხოვრებას არქმევს.

* * *

უკვე მოვაკლდი დღის თვალსაწიერს,
ვერ გადამარჩენ სისხლის გადასხმით,
მე ეს-ესაა დრო გადავწიე
და ფიქრი ცხრა მთას იქით გადავსხი...
უნდა შემცვალოს ველარაფერმა,
მე არასოდეს დავწვავ ლავანდებს,
თუმც არ არსებობს შენი გაფრენა
ვინმესთვის მაინც ვარდნას არ ჰგავდეს.
დღეს ვარსკვლავები ჩაუქრა ზეცას...
ასე თვალები უქრებათ მხოლოდ
ადამიანებს, რომლებიც შეცდნენ
საბედისწეროდ და სამახსოვროდ.

* * *

მწუხრია, სავსემთვარობა, უქმე...

მათ ვინც ჩემსავით ვერ ფხიზლობს დღისით,
თუმც უყვარს ღია ფერების სითბო
და ეშინია იმისი, რასაც
სიცარიელე დაარქვა თვითონ,

აღარ აქვს აზრი გზების სირთულეს,
გამოიხურე კარები სახლის,
უქმეა, სავსემთვარობა, მწუხრი...
ხარ კი ისეთი, როგორიც გახდი?!

გახდი ისეთი, რაზეც სულ წუხან?
ღირს ყველაფერი გასამეტებლად?!
მით უფრო ნებით?!
სადაც მაღალი ფასი აქვს ცხედარს –
იმ დიდი გემის
ფართე გემბანზე – ვერ ეტევიან ჩემისთანები..
ჩემისთანები ტალღებზე სხედან..

ჩემისთანები ითრევენ მორევს,
ჩემისთანები ტოვებენ სახლებს,
და ვერაფერი გამოასწორებს
მათ კალაპოტებს, დინებას, სახელს...

ყოველთვის, როცა სევდაა გზაზე
სავსემთვარობას, მწუხრსა და... ბოლოს
მახსოვს დრო როგორ იზმორება მზესუმზირებზე
და შენს ღიმილთან იღვიძებს მხოლოდ...
მეც წამით შენი ცხოვრებით ვცხოვრობ,
რომ ყველაფერი გადავაგორო...

მზე ისე აჭერს პლანეტის ბეჭებს,
ცხელდება მიწაც ისე ადვილად,
თითქოს შორეულ გაზაფხულიდან
გამოაყოლეს საშემოდგომო და დედამიწა იმეცადინა..

როგორ მინდოდა მეც მანდ დარჩენა,
თუმც, ჩემდა ბედად, დროს საუბარში ვერ ჩავეჭრები...
ზურგს უჭორავენ ეჭვებს ეჭვები,
შენ უბრუნდები ხალხის არჩევანს
უფრო მაღალი ფასი აქვს ცხედარს,
თუმც ვცდილობ ვიყო მეტად საჭირო,
მეტად ზედმეტი – როცა შემხედავ!

აი, ეს არის, თუკი გაჩვენებ
ბოდვას იმ ღამის, მე რომ გითევდი
და ხელს ჰაერში სახტად დარჩენილს
არსად დაუხვდნენ შენი თითები...

მწუხრია..
სავსემთვარობა..
უქმე...

* * *

ეს ის ღამეა, რაც ვერსად ითქვა,
თავს კარგად ყოფნას როცა აჯერებ,
წინ...
ეკრანივით აშუქებს თითქოს
ხასიათს ცივი სახლის ფანჯარა..

დასანანია, ერთ-ერთი მეც ვარ,
ვინც შეცდა და გზა სხვაგან გაკვალა,
მიხვდა, ქალაქის ბუნდოვან ზეცას
სიმბოლურად აქვს ყველა ვარსკვლავი...

ფართოდ უღიმი მიზნებს მიზერულს,
რომ მოერიო ქვეყნის ბალაგანს
და ამ ყველაფერს ისე იბეზრებ,
რომ შენი თავის თავიც არა გაქვს...

აქ განმარტებაც აღარ დაერთვის,
ბევრი რამ ისე ფარულად ხდება...
და მადლიერი ხარ ყველა ღმერთის,
რომელიც ვინმეს თვალებში გხვდება!

* * *

მიდიან...
ხელებს ზურგსუკან მალავ.
მიდიან...
და გრძნობ, მათ რაც ვერ იგრძნეს..
ფიქრობ,
სხვადასხვა სახე აქვს ღალატს
სხვადასხვა ფერი, წონა და სიგრძე...
არაფერია,
ტუჩებს ისველებ...
ალბათ, დუმილის ხიბლიც ეგ არის
და ანგელოზებს ხედავ ისევე,
როგორც ბერლინის ცაზე ბერგმანი.
მერე კი ხვდები, არაფრად ვარგა,

სულ სხვანაირი ცხოვრება გსურდა
ნაცვალ იმისა...
რომ წერდე კარგად,
იმას, თუ როგორ ძლიერ ხარ ცუდად...

* * *

როდესაც ვამბობ, რომ შინ ანუ შენთან მოვდივარ,
ნაბიჯს კი არა, გულს მოვყავარ, გზა კი ყველა მხრის
აკეთებს შენთან მოსასვლელი გზის პაროდიას,
მაგას ვერ ავხსნი...

და რა ხანია, გადის წლები, თვე და კვირები...
თუ ისევ მიცდი, თუ ჯერაც არ გამომასახლე
(ამთავრებს ლექსი ჩემი ფიქრის რედაქტირებას
და აქეთ აწერს ხელს ჩემს გვარ-სახელს)...

ჩაუმდგარ ქარებს სადღა არ ვახლდი,
ვშლიდი სურვილის ყველა ეშელონს...
სხვა კი ბევრი რამ, თუმცა გზა სახლის
ჯერ არ ყოფილა რომ შემეშალოს...

და გეუბნები,
რომ შინ,
ანუ შენთან, მოვდივარ!

* * *

შენთან ვარ ახლა
თუნდაც იმისთვის,
ყველა კითხვაზე პასუხი გქონდეს...
უბრალოდ,
ცივად უნდა მიირთვა
ქარი, რომელიც წუხელის ქროდა...
პირობითია ყველა სიმცირე,
წვიმა წიწვებზე უწევს კვიპაროსს...
იცინე,
მთელი გულით იცინე...
და აჰა, ჩემი თხელი მტევნები
რომ ჭრილობებზე გადაიფარო...

ანდრია
დურგიში

ოზურგეთი

(ნოველა)

საყუდრეთი ჩემი მშობლიური სოფელია. მისი ცხოვრებიდან უამრავი ამბავი მახსოვს, ყველაზე მეტად გონებაში დამრჩა აქაურების ძვალრბილში გამჯდარი უფროს-უმცროსობის ჩვეულება. კორდზე ჯგუფად წამოწოლილი მოხუცების დინჯი, ჭკუის სასწავლი საუბარი, ზოგჯერ ერთმანეთზე ქიმუნჯის წაკვრა და ხუმრობაც.

ბავშვებს არ გვიშლიდნენ მათთან ყოფნას. ჩვენც ირგვლივ შემოვუსხდებოდით და ვისმენდით ამქვეყნის, იმქვეყნის, ამსოფლის, მთელი ხეობის ამბებს.

ვინმეს ჩვენთვის მოსასმენად აკრძალული, უხამსი ამბავი თუ უნდა მოეთხრო, ჯერ იქაურობას მოათვალიერებდა და გადმოგვძახებდა:

– ბაღნებო, გეყოფათ ამდენი მოსმენა, ყურები დაგეღლებათ, წადით სახლში, წიგნი წაიკითხეთ.

ძალიან კარგად ვიცოდით, ჩვენს ყურებზე ზრუნვა რომ არ იყო მიზეზი, მორჩილად გავეცლებოდით მოფიხვნეებს.

თუმცა აკრძალული ხილის მოყვარულნი, მეტისმეტად გაბედული, ცნობისმოყვარე და ცელქი ბიჭები მაინც მიიპარებოდნენ და მახლობლად ეწრებში ჩამალულნი ისმენდნენ უწმაწურ ლაზღანდარობას, ხანშიშესულთა ხითხით-ხარხარს.

ქორწილსაც თავისი წესი ჰქონდა, გვიან ღამით იწყებოდა და ალიონზე მთავრდებოდა. ხნიერები სუფრას მიუსხდებოდნენ, საქორწილო საზრდოს შეექცეოდნენ და მუსაიფობდნენ, ყმაწვილები და ნინველა გოგონები ამ დროს განცალკევებით დოლ-გარმონის, ჭიბონის ხმებით, ცეკვა-თამაშით და სიმღერით იქცევდნენ თავს.

სხვა დრო დაგვიდგა; მოხუცებს ქორწილში იშვიათად ნახავთ, მათ არც ეჭაშნიკებათ ჭყვიტინა, ყურისწამღები ჰანგების მოსმენა და ერთმანეთზე ურცხვად აპლაკულ-ჩახვეულ გოგო-ბიჭებზე ცქერა. სამაგიეროდ ცდილობენ არ გამოაკლდნენ გლოვას, მიცვალებულებისადმი მოწიწებას და თაყვანისცემას.

* * *

უფროსი მეგობრის შვილს ვგლოვობდით. შუა ეზოში ჩამომსხდარი ხნიერები შევნიშნე. დიდი კომბლით ხელში ჩემს თანატოლს, ენამჭევრს, ენაკვიმატს, სასაცილო ამბების შემთხზველსა და მთხრობელს, ვანოს უსმენდნენ. აქ ხუმრობის ადგილი არ იყო და ისიც უფრო დარბაისლურ თემებზე საუბრობდა.

ვანომ ძელსკამზე მსხდომნი მისწი-მოსწია, მის გვერდით დამისვა, ბაასი დაასრულა და მომიბრუნდა,

– რა ხდება, გვეშველება რამე?

ვიცი, დაუფიქრებლად ნათქვამს კუდს გამოაბამს, ამ მწუხარების დღეს ხალხს გააცინებს.

– განსაკუთრებული არაფერი, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გვეშველება და უკეთ ვიქნებით. – მშვიდად მივუგე და მის კეტს შევავლე თვალი.

– ჩვენს სოფელში კარგია, ძაღლებს, მგლებს მოიგიერიებ, მაგრამ ქალაქში, მგონი, უფრო მომცრო ჯოხი ჯობია, – ჩავულაპარაკე.

– ძაღლები და აფთრები ქალაქში იმდენია, არ დაითვლება, – არ შემარჩინა ვანომ, თუმცა ჩემდა გასაოცრად, თავადაც წყნარად ჩაილაპარაკა, ყველას რომ არ გაეგონა.

ხელჯოხი გამოვართვი, მემძიმა ნეკერჩხალი, უხეშად ნახარატალი.

– შენ მაგის წონა-ზომას მოეშვი, – ახლა ყველას გასაგონად თქვა ვანომ, – ის მითხარი, მახარაძეს სახელი რატომ შეუცვალეთ?

ვერ გავიგე; გვარების ისტორიაზე ვმუშაობ და მეგონა, ვინმეს გვარი შეცდომით ჩავწერე.

– მახარაძეს ოზურგეთი რატომ დაარქვით? – თავადვე განმარტა კითხვა.

– სახელის შეცვლას მე არავინ მეკითხება, თუმცა დამოუკიდებელ ქვეყანაში ყველა ქალაქს, დაბას, სოფელს, ბოლშევიკთა გვარი რომ ერქვა, ცხაკაია, გეგეჭკორი, ორჯონიკიძე, წულუკიძე, შეუცვალეს და ახალი კი არ დაარქვეს, დაუბრუნეს ძველი ისტორიული სახელი.

– ოზურგეთი რა ძველი სახელია, აბა, მითხარი, რომელ ენაზეა და რას ნიშნავს? ამიტომ უნდა მეზობელ ქვეყანას მისი წართმევა.

მივხვდი, ვანო საითაც უქცევდა. მართლაც, ერთი ასოს ჟღერადობის ზ-ს ს-დ შეცვლით, ძველკოლხური სახელი ოსმალურად იქცევა და შეურაცხმყოფელ შინაარსს იძენს.

– მოისაქმე და წადიო, – კვლავ დამასწრო ვანომ.

დავის ადგილი არ იყო, თუმცა მცირე სამეცნიერო პაექრობაზე მაინც გადავედით. ვანო ფილოლოგი არაა, მაგრამ ქართული ენის გრამატიკას და სიტყვიერებას კარგად იცნობს.

– აბა, მითხარი, რას ნიშნავს ოკრიბა? – ვეკითხები.

– კირიბა ბატკანია, ოკრიბა – საბატკნე. – მპასუხობს.

– ოჩხამური?

– ჩხომ – თევზია.

– ოფურჩხეთი?

– საფიჩხიაა, – იცინის.

– ჰოდა, ჩემო ვანო, ერთხელ თუ გიფიქრია, რომ ოზურგეთიც ამ სიტყვათა ჯგუფს მიეკუთვნება და ზურგ-ისგან მოდის?

სიჩუმე ჩამოვარდა.

ჯოხი დავუბრუნე და მხარზე დავკარი ხელი.

– ხვალ წავიდეთ ოზურგეთში, ან გაიხსენე ქალაქის ცენტრში, შემაღლებული ადგილი, „მთის ზურგი“, სადაც თეატრის მშვენიერი შენობა დგას და იქ შენც ხშირად ყოფილხარ.

ვანოს თვალები გაუბრწყინდა.

– შენი იმედი მაქვს, შენზე კარგ მთხრობელს ვის ვნახავ, ურჩიე სწორ გზას აცდენილებს, უმეცრებს, შინაურსაც და უცხოსაც, მეხსიერებიდან ამოიგდონ გამოგონილ-ნათარგმნი სახელი და მტრების სურვილიც, სხვისი მიწა-წყალი ჩაიგდონ ხელში. – დავასრულე საუბარი.

ამასობაში მიცვალებულიც გამოასვენეს. ვანომ გამოსათხოვარი სიტყვა უნდა თქვას, ხელჯოხი შემატოვა, ხალხის წრე გაიყო, გზა მისცეს და კუბოს თავთან დაიკავა ადგილი.

* * *

ერთი კვირის შემდეგ ვანომ წერილი და შეხვეული, მოგრძო ამანათი მიიღო. ორივე ერთად გახსნა:

„ჩემო ვანო!

გიგზავნი ჯოხს, ხარატული არაა, ქარხნულია, მაგრამ შენსას ჯობს, მსუბუქია, გაშლი და შენს ზომაზე დააყენებ.

თუ არ გენანება, შენი ჯოხი „ოსურგეთში“ გაისტუმრე, ან მე გამომიგზავნე და მუზეუმში შევინახავ.

შენი ძმა ანდრია“.

17 ნოემბერი, 2018 წ.

რობერტ ნადირაძე

*

* * *

იგივე ხენი ნაპირის ქვები
ოღონდ ხალხია სხვა
გემი ჩამოდგა მშვიდობით
დროთა გაიყო გზა

„ის წარსულია“ ასე ამბობენ
„ეს დღევანდელი რამ“
წარსული მიყვარს
დაუვიწყარი
მე წარსულელი ვარ

შენ მიყვარხარ

ვიჯექი და შენ გისმენდი
ლუდს ვსვამდი და თამბაქოს
უვარგისი ვინმე გავხდი
კარგი არ გამაგონო
დილის 4 საათია
თუ ქალი ხარ მაცალე
ერთიც დავკრა განვერიდო
პასიფაეს ხაფანგებს
არ ვხუმრობდი რა თქმა უნდა
გამოაცხვე ძვირები
შენ მიყვარხარ სხვა არავინ
მარტო შენ მეყვარები
გამლანძღე და გამომთათხე
წამიქციე ჭიქები
შენ მიყვარხარ
შენი ტანი
არის დაუვიწყარი

* * *

ჩანაფიქრები და სპექტაკლები
მსახიობებსაც შერჩევა უნდა
რომ გადაიქცნენ ნამდვილ არსებად
დაამახსოვრდნენ მოსეირეებს

პირველი აქტი კაფეში ხდება
მეზღვაურების კაფეა ერთი
ისევე მოვხვდი დრო შეიცვალა
ჭირ-ვარამები და სიხარულიც

თითქმის იგივე დეკორაცია
რაც განმიცდია ბევრჯერ ნახული
ოღონდ კედლებზე გამოეფინათ
სხვადასხვა ქვეყნის ბაირაღები
ბარმენმა მითხრა „უცხოელთ მოაქვთ
კახპებს ჩუქნიან ვით ყურებს ხარის
ჰემინგუეის გადმონაშთია
ბრეტს რომ მიართვა რომერომ მაშინ...“

ფარსი ამიხდა შემდეგნაირად
ბათუმში ორი თეატრი არის
საქირავებლად უარი მითხრეს
ორივეს მართავს მთავრობის ხელი

ერთმა პიესის იდეა მკითხა
ახალგაზრდული თეატრი იყო
პირველი აქტი რომ მოვუყევი
მას გაეცინა დ ასე მითხრა

* რ. ნადირაძის პორტრეტი შესრულებულია მხატვარ მზია ხალვაშის მიერ.

„რომეოსა და ჯულეტას“ ვდგამდით
არ დაგვანებეს მათი ალერსი
სადმე იპოვით ალბათ სტუდიას
არწვეულების თავშეყრილობის“

ეს კაფე დროში ორად იყოფა
ადრე იკრებდა ადგილობრივებს
ახლა შემოსულ უცხო მეზღვაურთ
ეგებებიან ჩვენი კახპები

კუთხეში სამი გოგონა იჯდა
ერთი მათგანი მეუცნაურა
თმა წითლად ჰქონდა მას შეღებილი
სიგარეტს სწევს და არაყს უკვეთავს

ამ დროს ხმაურით შემოაბიჯა
მეზღვაურების ჯგუფმა ლაღობით
ერთს დროშა მოაქვს ესპანიოლა
წითელთმიანთან მიდის ამ დროშით
დანარჩენს ნახავთ წარმოდგენისას
თუ მოვახერხე დადგმა სპექტაკლის

* * *

თვალი დავხუჭე
გაიფანტა ბურუსი ვხედავ
ცისკენ წავიდა და გამიკვირდა
ცუდს ხომ ყოველთვის
მისწრაფება მიწისკენ ჰქონდა
როგორღა მიდის სიმაღლეში
გამიჩნდა კითხვა
თუ იოცნებებ ის ორთქლია
რომ წარმოიქმნა
როცა წყალი ჰყვეს მიწა და ზეცა
როცა უხორცო ქმნილებები ერთურთს შეებენ
როცა ბოროტი შეერია უწმინდეს სუნთქვას
ის ოხშივარი ასდიოდა მაშინაც მიწას
ვით წვეთი შხამი სუფთა თაფლში მოთავსებული
ზეცით მოსული ბოროტება ზეცას წავიდა
სად დაუხვდება მას მიქაელი
თვალს აღარ ვახელ
ეს სამყარო თავიდან იშვა

* * *

შემთხვევის ასპექტს ვიაზრებდი დაღონებული
ეს მერამდენედ შემეშალა გაფუჭდა საქმე
მწარედ ვიხსენებ „ნეის კომპლექსს“
მჭირს უეჭველად
არ გასწორდება კუდი ძაღლის აღარასოდეს

ნეიც აღტკინდა გადამწყვეტი შეტაკებისას
შეტევა იწყო ქვეითების დაუხმარებლად
„ნეი“ შეჰყვირა ბონაპარტემ აღშფოთებულმა
გედის სიმღერა შემოესმა ვატერლოოსთან

ეტყობა სენი ამპარტავნების შეჰყარეს მისთვის
რომ მოეთოკათ თავგასული მათი სიშლეგე
და ვფიქრობ ახლა დამარცხება ტოლია სიბრძნის
ამიტომ არის რომ ვმარცხდები და არ ვიმარჯვებ

* * *

რად უვარგისობს თაობის აზრი
თუმც უვარგისობს იგი მთლიანად
არც თვისობრივით მოგვეცა ლხენა
კალაიდერმაც ვერ გაგვახარა

უაზროდ ეძებს ზოგი სიახლეს
და ნახულს ისევ აზრით გამოთქვამს
სხვა თუ არსებობს რამე საშველი
უაზრობის და აზრების მიღმა

რელიგიაში იგი ღმერთია
ვინც არის სუფევს და კვლავ იქნება
გაშალეს ფრთები ანგელოზებმა
მათგან დაიწყო მთელის გაყოფა
მეცნიერებაც ასეა თითქოს
მიბაძვის გამო უვარგისობა

* * *

შენ მართალი ხარ
ო გეორგ ჰეგელ
სულს
ბუნებრივთან

უხდება
ომი

და ერთხელ იყო მხარი აგვიბეს
ატლანტიდური იქმნა იორკი
ახალი ტროა
სხვა ბაბილონი
გინდა ათინა
ძე რომულუსი...

ახალ იორკში ეურჩებიან
საპირისპირო ორი ნაკადნი
სხვადასხვა დროში წამით თუ წლობით
პარიზიც იყო ორის გამყოფი
მირაბოს ხიდქვეშ ვით მიღელავდა
სენა
იქ ტემზა
მტკვარი
ჭოროხი...

მირაბოს ხიდქვეშ მიღელავს სენა
საპირისპიროს ის ვერ აღმოფხვრის
რადგან იცოდე
სახე ქალაქის
დასაბამიდან არის
კონფლიქტი

ეს შეჯახება მე წამოვიწყე
კონტაქტის გამო მოხდა ყოველი
ახლა არკვიე
თავად განსაჯე
გახსნილი ჯობნის
თუ ჩაკეტილი

* * *

მეწვევა გაღვიძებისას
შემოქმედური განცდა...
ჩვევაა ავტომატური
წერ და იაზრებ ნათქვამს
ღეღვმა შემიქმნა განწყობა
ლანგარზე დამიწყვია
მოხუცებს უყვართ ძალიან
დელიკატესად თვლიან
თავსასთუმალთან მიდვია
ტექსტს „ხელოვნური...“ ჰქვია
ეკლესიასტეც წერია
სულის და მტვერის დამღა...
„დედიკო ჩამობრძანდითო
ტიფი მკლავს ვეღარ მნახავთ“
ომია
ქარაშოტია
შვილის მიყვება ნატვრას
შვილი კი ბიძაჩემია
დედა-ბებია გახლავთ

* * *

იგივე ქუჩა იგივე ხედი
მაღაზიები იქვე
4 თუ 5 ბიჭი ვიდექით
აგვისტო იდგა იმ დღეს
გოგონები და უბნის მცხოვრებნი
გახარებული იყვნენ
სად გაქრა ნეტავ ის სიხალისე
გაუგებრობა მტანჯავს...
არსად წასულან
აქვე არიან
მათ აჩრდილები ჰქვიან
ეს აჩრდილები ისე ქმედებენ
როგორც ვქმედებდით მაშინ
გაიარე და გამოიარე
ჩრდილს მიესალმე აწი

* * *

ფიზიკა თითქმის მიილია
თომას ელიოტ
ციცნათელების ათინათივით
მოვიხსენიე მე ისინი
ერთ ლექსში ცოცხლად
ვთქვი რომ წარსული
უკვდავია და პირველადი

ახლა დავეჭვდი გადავავლე
თვალი შენს ნაჯაფს

რთულ პერიოდში გიცხოვრია
თუმცა ამაყად
ეს სიამაყე ეშაფოტზე მდგომს მომინდება
ვპატიობ ჯალათს
რადგან იგი უძლური არის

ასე ქნა ქრისტემ
როცა
მოკვდა
ერთხელ
ვით
ღმერთი

კაპრეშუმელ ქალიშვილს

პარიზისაკენ უნდოდა წასვლა
ვით ელიოტი ილტვოდა ლონდონს
მაგრამ შემთხვევამ არ გაუმართლა
და ახლა უბნის მაღაზიაში
სიგარეტით და ნაყინით ვაჭრობს
ოღონდ იერით და ჩაცმულობით
გამგზავრებისთვის მზადაა ახლაც
შვილები ქმარი სანათესაო
ვერ ანაცვალა ოცნების ქალაქს

ჯემალ უშვერიძეს ჩამოსვლა ბათუმში

არ დამელოდა ეჩქარებოდა
თვის ბოლოს გნახავ მითხრა
სახლში მოვედი მეზობლის ქალმა
მისი ნაწერი მომცა
გვარი სახელი და მობილური
დაუწერია გაკვრით
მისამართად კი „გაგრა“ ეწერა
არდავიწყების ნიშნით
გაგრა... შრიალი ქუჩის მომესმა
ფოსტასთან თითქოს ვდგავარ
გაირბენს ჩრდილი და გამოირბენს
ახალგაზრდობა მახლავს
მეკლდეურები სულის ბიჭები
ჩემთან არიან ახლაც
ჯემალი ასლან თემური ნოე
ბადრი კეფალბა ხიშბა...
ლამაზი ქალი აფთიაქიდან
აფხაზი გოგო იქვე
გულზე თუ დაწერ სხვაგან ვერ დაწერ
გაგრა წერია გულზე

* * *

ერთხელ თამადამ მთელი არსებით
სიყვარული როცა ახსენა
მე თურმე მითქვამს როგორც შემდეგ
მითხრა კამათში
სიყვარული მოდაში აღარ არის-თქო
მე ვიუარე „გეშლება-თქო“ ასე ვუთხარი
შემდეგ კი მივხვდი მართალი იყო
რადგანაც წუხელ ლექსში ვიფიქრე
რომ სიყვარული არის ნაკლული...

რადგან არ არის „სამაგიერო
არც სიყვარულის არც მეგობრობის“
რომ მის სანაცვლო ძიებამ მოკლა
უსწავლელი და ბევრი სწავლული

* * *

თავისუფლება თავისუფლება
როგორ გვწყუროდა მაშინ
გვიან აგვიხდა მაგრამ ეს განცდა
აჭარბებს მომხდარს ასგზის

ამბობდნენ ხალხში ახლაც იტყვიან
რომ მიღწეული წადილს
ვერ აჯობებსო რადგან სრულდება
გზა მწვერვალებზე ასვლით

როცა მთავრდება ყველა დაწყება
დასასრულია როცა
ხედავ არაფერს ვით დასაწყისში
შენ ყველაფერი გქონდა

გახსოვს „გაგრიფშის“ გამონათება
ან ის მგზავრობა გემით
ან უეცარი ქალთან შეხვედრა
მატარებელში ღამით
საით წავიდე მწვერვალზე მდგომი
საით წავიდე საით

ჭეშმარიტება

ათეისტურად ეს დამთხვევაა
ვისაც ღმერთი სწამს ქმედება სულის
ზოგი ნიჭს არქმევს შესაძლებლობას
რაც ბავშვობიდან სახლობს მის გულში
ჯერ ვთქვი კონფუცზე ის არსის პოვნას
უკავშირებდა ცდას ფიქრს და ბაძვას
ცდას იგი თვლიდა ძნელ ამოცანად
ფიქრს კეთილქმედად ბაძვას ადვილად

ხოლო მომდევნო მეცნიერებმა
არსი ჩათვალეს ფარდობითობად
რადგან სასრული უსასრულოში
ვერ იპოვიდა ჭეშმარიტებას

არპოვნას მიჯობს რომ კითხვა დავსვა
ჭეშმარიტება ამოვხსნა კითხვით
აზრი რომელიც სიზმარში იყო
სად იქნებოდა ყოფილი ცხადში
ექსპერიმენტში სახლში მეძინა
აზრით ვიყავი კინოთეატრში
(იხ. „ტრაფარეტი“, გვ. 161, 162, 163, 164)

* * *

უბნის სკვერში კატა უცქერს ჩიტს
რომელიც კენწეროში პალმის სახლობს
პოზა სფინქსური
ყურადღების კონცენტრაცია
სფინქსი ბუნებრივ პირობებში არ მინახია
ეტყობა გელათს ამდაგვარი აქვს გამოხედვა
შაბათს მივდივარ ბუნებრივის დასაუნჯებლად
უფრო დავითის ფენომენში მინდა გარკვევა
ქუთაისელმა როგორ შეძლო დიდგორის შექმნა
ის გაუმკლავდა აღმოსავლურ კოალიციას
ეტყობა კოლხა წარმოსახვით უღელში ედგა
მიკვირს ძალიან არ აჩნია კვალი ქუთაისს
აიეტების იმდროინდელ ციხე-ქალაქის
ვანს კი ატყვია
მონუსხულა სანთელ-საკვემლით
წრებრუნვამ ღვენთი მას დააჩნია
ამ სურათს ჰყავდა სხვა მეთვალყურე
რომელი ახლაც აქ მყოფადია
მეგონა ჩიტი კატამ მონუსხა
და კენწეროდან ის გადმოვარდა
კატა მას მოლზეც გამოეკიდა
მეც დავედევნე
კატა გაიქცა
მაგრამ ბალახში ჩიტი ვერ ვნახე
თამაში იყო
ლანდად გადიქცა
ეგვიპტის სფინქსიც დგამდა სპექტაკლებს
გაათამაშა მან ისტორია
დავით IV არის გელათი
დიდგორი ვანის კარით გაიხსნა

* * *

ის იყო კაცი სახელად ქრისტე
ვინც გადაკვეთა ცუდის საზღვარი
ალბათ მიხვდებით ამ შემთხვევაში
ჩვენ გამოვყავით მისგან არსული
ადამის მოდგმა თიხით შექმნილა
თიხა კი სულთან არის არარი
თიხა უსულო სუბსტანციაა
ადამიანურ სახის მაგვარი
იხსენებს ქრისტე კიდევაც წარსულს
დედას რომ ცნობდა
...როგორც ვარსკვლავი

ყველას ვინც ახლა კვდება

ამის დაწერას სტიმული არ აქვს
არც შთაგონება არავითარი
კვდება უბნელი და გამახსენდა
ერთი ნათქვამი სიკვდილზე თქმული
თუ გახსოვს ძმაო დაისის ის დღე
შეყვარებული გახლდა ლამაზი
გოგოს მოსწონდა ჩვენი გარემო
ის გვეპყრობოდა კდემით მოსილი
მისთვის ცხოვრობდი სხვა ყველაფერი გადაგავიწყდა
და ვიდრე ახლა ჯერ კიდევ ცოცხლობ
გახსენებ იმ დღეს სიყვარულის თოვლმა დაგთოვა
ჯერ არ მომკვდარხარ რადგან გახსოვს ის სიყვარული

* * *

თბილისი კლავს ქუთაისი არ კლავს
დავით მეფე ხიბლში იყო მაშინ
ტრიუმფები საჩუქრების მირქმა
შემოაწყდა მდაბალს ნილოსივით

საწამლავიც როგორც საჩუქარი
მან მიიღო
საწამლავმა მოკლა
რაც არ ითქვა ანდერძშია თქმული
მოინდომა წასვლა „სხვა ათინას“

ის დამარხეს დიდებული ზარით
გელათს ხსნიან როგორც „უფლის მიწას“
წარმართული იყო ნაუბარი
აქ მარხია უფლის მიწას შერჩა

რომ შევედი დავუჩოქე მგოსანს
ვლოცულობდი ძლიერ სევდის მძღოლი
გავიარე მის საფლავზე გასვლად
ფარისევლებს ჩაეკეტათ კარი

კიდეს მიველ გადავხედე არეს
მდინარე და საძმო მთები
გზას გაზდია ჩემმა მზერამ
ამ გზით შემოვიდა მტერიც

განსწავლისას დავით მეფის მწვრთნელი
მატიანურ ქართველთ ნაკლზე სწუხდა
„ორგულობა რაც დაგვჩემდა ქართველთ
თავდაბლობით განიკურნოს უნდა“
მაგრამ ცოდვას დაემატა მეტი
ამოთხარეს საფლავიდან უმალ

მღვდელმა მითხრა „საკურთხეველს იმყოფება
წმინდა გვამზე არამია სიარული“
ვთქვი გაცხადდა ცხონდებოდა მხოლოდ სულით
ხორცი ჰქონდა ნიშნად თავდაბლობის

კი წაიღეთ პატივითა განუზომლით
დარჩა მიწა უიმედო თავდაბლობის
მაინც აქ წევს უქარქაშოდ შეკაზმული
მშობელ მიწას ძელქვასავით შეღვენთილი

ბლეფის საუკუნე

მდგრადი ფორმულის მაგვარი ახასიათებს ცხოვრებას
ადამიანი ამ წესებს განავრცობს ხოლმე პოემად...
არიან ნაწარმოებნი გამომხატველნი ეპოქის
გინდ მარსელ პრუსტის გინდ კაფკას ელიოტის ან ჯოისის
თვით გლეხის ფენომენიც ხომ „სინანულია მყოფადის...“
იგივე სხვასაც უქნია დაკონკრეტებით ზოგადის
ბლეფობა მონატეხია საბჭოთა კონგლემერატის
ფაშიზმ-საბჭოთა წნეხიდან გამოდნა ჩვენი თაობა
რაც პოსტსაბჭოთა სივრცეშიც ცხოველმყოფელი აღმოჩნდა
პოეზიაში პროზაში მედიცინაში მეტწილად
გამეფდა ბლეფის პარტია დაკანონდა და გამტკიცდა
მსგავსი გადახდა ევროპას საუკუნის წინ ომს მერე
რაც კარგად გამოიხატა „ფიესტას“ მეტაფსიქოზით
„ფიესტას“ ეპიგრაფია სტაინის გამონათქვამი
მექანიკოსი ვერ წვდება მანქანის მექანიზმებში
ეს მრუდი შრომამ დასძლია მისულმა ფანატიზმამდი
ჯოისის აპოკალიპსი ფორმალურ არტახებშია
ამახვილებდა ფორმაზე გამონათქვამის ბრალია
რუსთველიც „ვეფხისტყაოსანს“ რვამარცვლიანით იწყებდა
გადაიწერა თექვსმეტით ორმაგი ქვანტი იქმნება
მარცვალს უმატებს ბოლოში დისჰარმონია რომ შექმნას
ახლაც ცდილობენ საწყისის პოზიციაზე დადგომას

ვიშორებთ მეგაბაიტებს ინფორმაციულ ზეწოლას
სხივების კორიანტელში მოზელილი ვართ ცომებად
გამოვიძერწეთ ცომიდან ელექტრონარკომანებად
ჩემ 10 კვ. კაბინეტს დასხივება აქვს ძლიერი
ქსელი სამია ჩართული ელექტრონების მორევი
გავთიშე მაგრამ კვლავ ჩავრთე პაუზა არის მცირედი
დავრეკო უნდა ზარს ველი ფეისბუქზე მაქვს საქმენი
ვიდრე ჩავერთე ღმერთს ვუხმე ლოცვა ვთქვი მუხლზე დამდგარი
ღმერთსაც არ სწყალობს მავანი ათეისტური მანერით
მავანთა რიცხვი მეტია მცირეა რიცხვი უვანი
ამ პროპორციას ადგენდა შექსპირის გმირი ჰამლეტი
პატიოსნებას ეძებდა ბოლოს იგემა მახვილი
ახლახან გაოცებული დავრჩი ქმედებით ნაცნობის
ზნეობა ჩამოეშალა ვით ზიქურატი შენების
სხვაში გმობს რაც მოსწრებულად მასში გამხდარა კანონი
თითქოს გოეთე ადგენსო მორალებს მეფისტოფელის
ვით სარეველა დარგული წადილის ტექნოლოგიით
„ამირან გულში მღეროდა ბანს უმღეროდა უსუფი“
საკუთარ ცუდზეც მითქვია ნაკლი მაქვს მრავალ-მრავალი
რაც ხასიათში წერია წინაპართ ნასახსოვარი
რადგან დროება ბლეფია სხვაზეც ვთქვათ კრიტიკოვანი
კაფესთან ვილაპარაკეთ სახელად ჰქვია ანზერი
ვინც დეპუტატი გავხადე ისტორიული ასპეკტით
მან გაიხსენა ბათუმში ლენინის ძეგლის დაქცევა
თქვა „როგორ გამოაბაო მარყუჟი ქობულეთელმა“
რომ გაწყდა ისიც იცოდა მაგრამ ტყუილებს ამბობდა
ეს აქტი მე ჩავიფიქრე რაც კარგად განხორციელდა
სხვას მიაწერენ ჯიუტად საბუთის მიუხედავად
სარკმელს გავხედე წვიმს ახლა ისმის ფოთლების შრიალი
ადამიანი თუ ტყუის ბუნებრივია მართალი
ან ის პოეტი აიღეთ წვერებცანცარა ცნობილი
ვინც სხვისი იდეა-ფიქსით ყელამდე იყო გამძღარი
მიმწოდებელი აღარ ჰყავს დაჰყარა ხორცი მრავალი
ჰიპოტამს დამსგავსებია ელიოტს რომ აქვს ნათქვამი
რეფერენდუმის დღე იყი 31 მარტია
იკრიბებიან სეირად არაფლისმაქნისებურად
კითხვებს ვერავინ პასუხობს პასუხი ისმის კითხვებად
არ ახსოვთ დავიწყებიათ მელია გაიძვერულად
რეფერენდუმი შერაცხეს თავისუფლების ნაბიჯად
მე სხვა აზრის ვარ ნაბიჯი ნაგვიანები აღმოჩნდა
ადრე ვითხოვდი კავშირის „ზბ“ მუხლით გაწყვეტას
ლიტვა წავიდა ამ გეზით პირველი განთავისუფლდა

საერთოდ ნამოქმედარის კრიტიკა უნდა შეგეძლოს
„გაფოთლილი არ შეგზარდეს...“ ჯონ გოლზუორთის არ იყოს
ითქვა „ბუნება არ სტყუის“ მაშ როგორ ჩნდება ტყუილი
ინერციული სივრცეა ვით გემის ქიმთან დელფინი...
მისწრაფებული სიღრმეა უსწრაფი ზედაპირული
რელიგიაშიც ბოროტსა გამოცლილი აქვს არსული
რაც ითქვა შესავალია კარი შევაღე პირველი
ახლახან „იბერიაზე“ იყო მწერალთა გამოსვლა
წყვილებად მოუწვევიათ ორი კაცი და ქალოსან
ერთ მათგანს ერქვა რუსტამი სხვებს არ ვიცნობდი კალმოსანთ
ამბობდნენ დემაგოგებზე დემაგოგები თაოსან
დემაგოგიით შეცვალეს ბლეფობა საუკუნესი
აშკარად ჩანდა სცენარი იყო სპეცმოხელეების
შეუსწავლიათ გულდასმით ამ თხუზულების მუხლები
შექსპირიც უხსენებიათ ჰამლეტი ცვალეს „კეისრით“
რუსტამი მჟავე საუბრით მონოლოგს იმეორებდა
დემაგოგია ეგონა ნართაულური გამოთქმა
ამ თავთან ერთად ვასრულებ ფიქრის ამ სტილით გამოთქმას
ამ ტექნო-საუკუნეში ფეოდალური არ ვარგა
ახლა ვიფიქრე ამ ნაწერს სხვა სტილით უნდა დაწერა

* * *

ინტერვიუში ერნესტმა სამი სიცოცხლე ინატრა
ტალანტი რედიარდისა ამ შესანიშნავ პოეტის
განსაკუთრებით მიყვარდა ბალადა ბრაკონერებზე
ორ კაპიტანზე რომ მოკვდნენ წავებზე მონადირებზე
რადგან ის ექო ცვლილების მუტაციად რომ ვლინდება
გვიან მჟღავნდება ვით ცნობა ტვინიდან გამოგზავნილი
აქ სიახლეა ერთგვარი პარალიზების მაგვარი
როცა სიგნალი მოძრაობს შეფერხებებით მრავალით
სიცოცხლე პროგრამირებით სამი სიცოცხლის ტოლია
პირველი შემოქმედურის ძისა და სულის მსგავსია
მეორე არის სიკვდილი გარდაცვალების მაგია
მესამე უკვდავებაა კარგის ცუდისგან გარჩევა
არის მეოთხე სიცოცხლე რუსთველის მოგონილია
„მართ მასვე ჰბაძვენ თუ ოდეს არ სიძვენ შორით ბნდებიან“
მეხუთე დონეს მე ვიტყვი წუთისოფელში მყოფადის
ვირტუალური სამყაროს წინმსწრებ პირობის მაგვარი
რაც არ არის და იქნება მრავალრიცხოვან ამალით
როცა არ ხარ და იქმნები არაფრიდან და არაფრით

დევან გორგანელი

იესო

დაღამდა, იესო სახლში მისვლას აგვიანებდა. კარზე გაისმა მძაფრი ხმა, ცოტაც და შემოამტვრევდნენ. ოჯახის უფროსმა გააღო.

– თქვენს შვილს იესო ჰქვია? – ეკითხება შეშინებულ მასპინძელს უცნობი პიროვნება, რომელსაც არაფერი ეტყობოდა აღელვების.

– დიახ, დიახ, იესო ჰქვია... სად არის? ხომ არაფერი დაშავებია? – გაიგონებდით მოხუცის ცრემლმორეულ სიტყვებს, რომელსაც, ირაციონალური განცდით, შინაგანად ახრჩობდა ავის მომასწავებელი წინათგრძნობა.

ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინათ, იესოს ბედნიერს ნახავდით. ის ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა: ეწეოდა, სვამდა, საროსკიპოებში დაეხეტებოდა, კითხულობდა სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურას, თუმცა ბიბლია ეჯავრებოდა. შინაგანი პროტესტის გრძნობა გააჩნდა, რომელსაც ვერა და ვერ თრგუნავდა. მოსწონდა თავისი სახელი, მიუხედავათ იმისა, რომ ვიღაც გაიძვერას, მატყუარასა და შიზოფრენიკს ერქვა წარსულში (როგორც თვითონ თვლიდა), რომლისთვისაც მცენარეული ნაყენის დამზადება ერთგვარ „ჰობად“ იქცა, რისი საშუალებითაც ადამიანებს ასულელებდა და აჯერებდა წარმოსახული მოვლენებისა და საგნების რეალურობას. ასეთი კატეგორიული დასკვნების გაკეთებაში იესოს ეხმარებოდა ფილოსოფოსთა და ისტორიკოსთა მრავალი თვალსაზრისი, საზროვნო სივრცეში გაფანტული უზოგადესი ცნებები, ადამიანის შესაძლებლობების შემოუფარგლავი ძლიერება, სამყაროსათვის დამახასიათებელი მრავალფეროვნება და არსობრივი გარდასახვა.

იესოს დედ-მამა, ტრადიციული ოჯახის შვილები, მისაბაძ კათოლიკეებად ითვლებოდნენ. ყოველი კვირის ბოლოს, როდესაც წირვას დაესწრებოდნენ, აუცილებლად ჩააბარებდნენ აღსარებას პადრე ჯოვანის. შვილების რელიგიურ „განათლებას“ მატილდა და ფრანცი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. იესოს გარდა, მათ ორი ვაჟიშვილი და ორი ქალიშვილი ჰყავდათ.

ფრანცისა და მატილდას ცხოვრება, იესოს დაბადების შემდეგ, რადიკალურად შეიცვალა... ქალს რთული ფეხმძიმობა ჰქონდა, ექიმებმა სასწაულებრივად გადაარჩინეს. – ღვთის წყალობა რომ არა, მშობიარობას გადაჰყვებოდა, – უთხრა მთავარმა ექიმმა საავადმყოფოს ფოიეში მომლოდინე სასოწარკვეთილ ფრანცს, რომელიც ბოლთას სცემდა.

რამდენიმე წელიწადში მატილდა გარდაიცვალა. ფრანცის უფროსი ბიჭი სახლიდან გაიქცა; შუათანა შეიარაღებული ძარცვის დროს მოკლეს. ფრანცის უფროსი ქალიშვილი ოთახში იპოვეს ნარკოტიკის გადამეტებული დოზით მკვდარი; უმცროსი იესოს შემოაკვდა, როცა, თამაშის დროს, ცხოველური ემოციით დასცხო

ბეისბოლის ჯოხი... იესო ამ დროს 8 წლის თუ იქნებოდა.

გავიდა წლები. იესო გაიზარდა, ჩამოყალიბდა. ფრანცი ბერდებოდა. რთული ცხოვრება გაიარეს. იესოს კოშმარები ჯერაც ტანჯავდა, ესიზმრებოდა მისი და, რომელიც 15 წლის წინათ სასტიკად მოკლა. აგონდებოდა დედა, მისი და-ძმა... ყველაფერი ბუნდოვნად ახსოვდა, თუმცა მოგონების განცდები მოსვენებას უკარგავდა, სურდა კვლავ დაბრუნებულიყო ბავშვობაში და დედას გულში ჩაეკრა. ტრაგიკულ პიროვნებად ჩამოყალიბდა იესო.

სკოლის დამთავრების შემდეგ, კოლეჯში განაგრძო სწავლა. გოგონებს მოსწონდათ მისი გარეგნობა და სახელი, რომელიც მამამ დაარქვა „იესოს წყალობით“ გადარჩენილ ბავშვს. როდესაც კოლეჯში მოეწყო, ბიჭები დასცინოდნენ, ეუცნაურებოდათ, რომ სახელი ,,იესო“ ჩვეულებრივ ადამიანს ერქვა. რამდენჯერმე იჩხუბა კიდეც, თუმცა სერიოზულად არ დაშავებულა. გადიოდა წლები და იესოც ყალიბდებოდა ღირსეულ პიროვნებად, თუმცა თვითმკვლელობის სურვილი უმძაფრდებოდა, რაც ბავშვობიდან ხრავდა მის ფსიქიკას და რამდენიმე ცდაც განახორციელა.

– რას აკეთებ, ამის დედაც... მომეხმარეთ ბიჭებო, ჩქარა ჩამოვხსნათ. თავის მოკვლა გადაუწყვეტია ამ ჩემისას. – ასეთი რეაქცია ჰქონდა იესოს მეგობარ ჯოზეფს, რომელმაც კოლეჯის ტუალეტში ქამრით ჩამოკიდებული იესო დაინახა. იესოს გაუმართლა, რომ ჯოზეფმა მიუსწრო. ჩამოხსნეს, მოასულიერეს. თითქმის ყველა სტუდენტმა გაიგო. მომდევნო დღეებში, იესოს სიბრალულითა და გაუცნობიერებელი შიშის შეგრძნებით უყურებდნენ, თითქოს მოსიარულე, ხორცშესხმულ სიკვდილს ხედავდნენ, ამავდროულად კი იცოდნენ, რომ ეს სიკვდილი იესოს შეყროდა და მათ არაფერი ემუქრებოდათ.

– „ძუძუზე მიკბინე იესო... ყოველთვის მინდოდა სასწაულებრივი სექსი გვქონოდა“, – „დამლოცე იესო“... – ასეთი რეაქცია ჰქონდა გოგონებს, რომლებთანაც იესო საკმაოდ ხშირად ერთობოდა. იესო არ იყო რელიგიური, მაგრამ საკმაოდ აფიქრებდა ადამიანების მიერ გამოვლენილი უვიციზმი რელიგიური დოქტრინების მიმართ და გადამეტებული სარკაზმიც არ ხიბლავდა. ფიქრობდა, ნუთუ ღმერთი მართლა სიმპათიური, წვერიანი მამაკაცი ჰგონიათ, რომელსაც აიგივებენ იესოსთანო. იესო ხომ, იესოს აზრით, ერთი თაღლითი, ხალხით მანიპულაციის დიდოსტატი იყო, რომელშიც არაფერი მოიძებნებოდა ღვთაებრივი?!

– მე რომ ღმერთი ვყოფილიყავი, აღმოსავლეთს, დასავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს ადგილებს შევუცვლიდი ყოველ საღამოს, რადგან მზე იმდენჯერ ამოსულიყო დასავლეთიდან, სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან, რამდენჯერაც აღმოსავლეთიდან ამოვიდოდა. თუმცა, მე სურვილიც არ გამიჩნდებოდა ადამიანის ფსიქიკის შეცვლისა, რომელთაც ჰგონიათ იციან, რომ აღმოსავლეთი – აღმოსავლეთია, რათა ყოველ დღე შემეგრძნო მათი განცვიფრებული განცდა და მენახა მათი სასოწარკვეთილი მზერა. – ასეთ საკითხებზე ესაუბრებოდა პადრე ჯოვანის იესო, როცა, კვირაში ერთხელ, „აღსარების საიდუმლოს“ ანდობდა. პადრეც დიდი ყურადღებით უსმენდა.

ჯოვანის, ტიპიურ პადრეს, რომელსაც ჩვეულებრივ სასულიერო პირებთან შედარებით მეტად შავ-ბნელი ცხოვრება ჰქონდა, ვერასოდეს შეატყობდით აღელვებას. მშვიდი, გაწონასწორებული, ჭეშმარიტი კათოლიკეს გამომეტყველებით დააბიჯებდა ქალაქის ქუჩებში. როცა „ნიღაბს“ მოიხსნიდა, მრავალი სისაძაგლის ჩადენა შეეძლო. ეკლესია, რომელშიც მსახურობდა, ნამდვილ ბორდელად ჰქონდა გადაქცეული. განსაკუთრებით ახალგაზრდა ქალების მიმართ იჩენდა ინტერესს, ისეთი ქალების მიმართ, რომელთაც ბევრი რამ ჰქონდათ დასაკარგი, ჰყავდათ ოჯახი, შვილები. მათ აუპატიურებდა, რასაც სისტემატური სახე ჰქონდა.

ბოლო პერიოდში, იესო ხშირად მიდიოდა ჯოვანისთან, ეკლესიაში. ბევრს საუბრობდნენ, თითქოს მასთან ბევრ საერთოს პოულობდა.

ზოგჯერ დასხდებოდნენ ხალხისაგან დაცარიელებულ ეკლესიაში და იესოს ქანდაკების წინ რამდენიმე საათის განმავლობაში საუბრობდნენ.

– დედაშენი საოცარი ქალი იყო, სიცოცხლით სავსე, ბედნიერად გრძნობდა თავს, როცა აქ მოდიოდა. – უთხრა ჯოვანიმ იესოს, ბოლო საუბრისას. – მე არ მახსოვს დედა ბედნიერი, ის არასოდეს იღიმოდა, ვერასოდეს ნახავდით, რომ გულში ჩავეკარი, მომფერებოდა. – აღნიშნა იესომ. – ალბათ, შენ ცუდად გახსოვს, მაშინ ხომ პატარა იყავი? დედას ნამდვილად ძალიან უყვარდი. – განაგრძობს ჯოვანი. – არა, ყველაფერი მშვენივრად მახსოვს... ყოველთვის მკაცრი და მომთხოვნი იყო ჩემ მიმართ, რამდენჯერმე, უმნიშვნელო შეცდომის გამო საშინლად მცემა, ერთხელ კი ბალიშით აპირებდა ჩემს მოკვლას, როცა მეძინა... გამეღვიძა და შევეწინააღმდეგე, ამ დროს მამა შემოვიდა და გადამარჩინა, დედას კი ისტერიული კივილი ტირილში გადაუვიდა და გაიძახოდა: უნდა მოვკლა ეს ნაბიჭვარიო. მე კი შეშინებული ვტიროდი, ვერ გამეგო, რა დავაშავე, რის გამო მიბრაზდებოდა. ამ შემთხვევიდან რამდენიმე თვეში მოკვდა. – ბავშვობა გაიხსენა იესომ. ჯოვანის თითქოს არც გაკვირვებია ეს ამბავი, იესოს ბეჭზე ხელი დაადო და გაამხნევა. – კარგი, დამშვიდდი. ბოლო პერიოდში მატილდას ფსიქოლოგიური პრობლემები ჰქონდა, ამის გამო უნდა აპატიო, უნდა მიუტევო. – ამ სიტყვების თქმისას ჯოვანის გაახსენდა წარსული, გაახსენდა, როგორ გააუპატიურა მატილდა ხალხისაგან დაცარიელებულ ეკლესიაში, ქრისტეს ქანდაკების წინ, ზუსტად იმ ადგილზე, სადაც ახლა იჯდა იესოსთან ერთად. – მე ვპატიობ, ყველაფერს ვპატიობ, მაგრამ მის ალმოდებულ თვალებს ვერ ვივიწყებ, როცა მამას ოთახიდან გაჰყავდა, ეს სურათი გონებიდან არასოდეს წამეშლება. – აღელდა იესო, მაგრამ თავის გაკონტროლებას ყოველთვის ახერხებდა. – ის დედაშენი იყო, ეს უნდა დაიმახსოვრო და შეცდომები აპატიო. ახლა კი წავიდეთ, უკვე გვიანია. – თქვა ჯოვანიმ და წამოდგნენ.

ჯოვანი კარგად ირგებდა ღვთისნიერი პადრეს როლს, რაც უამრავი სპეკულაციის საშუალებას აძლევდა, ხალხზე ზეგავლენის მოხდენა ეხერხებოდა. მაგრამ მის უმთავრეს სისუსტეს, საკუთარ თავს, ვერაფერს უხერხებდა. ვიდრე მატილდა გარდაიცვლებოდა, ჯოვანი თავისი ცხოვრების მნიშვნელოვან ეპიზოდებს ფურცელზე წერდა და ინახავდა. მატილდას სიკვდილის შემდეგ, მან შეწყვიტა წერა და ქალების გაუპატიურებაზეც ხელი აიღო, თუმცა სასმელი და ნარკოტიკი მისი მუდმივი თანამგზავრი გახდა. მატილდა უყვარდა. განიცადა მისი სიკვდილი. თავს დამნაშავედ გრძნობდა... ამ ოჯახის მთელი უბედურება მის კისერზე იყო. ნარკოტიკისა და სასმელის სიყვარულთან ერთად, ჯოვანის ბანდიტური დაჯგუფება ჰქონდა შექმნილი, რომელშიც რამდენიმე კაცი შედიოდა, მათ შორის იესოს შუათანა ძმა ჯეკი, რომელიც ერთ-ერთი შეიარაღებული ძარცვის დროს მოკლეს. დანარჩენებმა თავი დააღწიეს, მაგრამ ძალიან შეშინებულები იყვნენ ახალგაზრდა ბიჭები და როცა ჯოვანის შეხვდნენ, უთხრეს, რომ ამ საქმეს აღარ გააკეთებდნენ, რომ საქმიდან გასვლა უნდოდათ. ჯოვანიმ 3 ახალგაზრდა მდინარის პირას დაიბარა, იქვე დახოცა და გვამები ნიანგებით სავსე მდინარეში გადაყარა. იესოს უფროსი და ჯოვანის „წყალობით“ გახდა ნარკომანი, რომელიც პადრესვე მიცემულმა ნარკოტიკმა გაისტუმრა იმქვეყნად. იესოს უფროს ძმას კი შეყვარებული ჰყავდა, ახალგაზრდა, მშვენიერი კლარა. ჯოვანიმ ის მაშინ გააუპატიურა, როცა აღსარების საიდუმლო გაუმხილა კლარამ, რომ ნიკოლასთან სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა. ჯოვანი გოგონას დაემუქრა, თუმცა გოგონამ ნიკოლასს მაინც უთხრა ეს ამბავი, რაც რამდენიმე თვის განმავლობაში აწუხებდა. ნიკოლასს, სუსტი ხასიათის პიროვნებას, არ შეეძლო „სახელგანთქმულ“ პადრეს დაპირისპირებოდა, ვეღარც ოჯახური დაძაბულობა აიტანა და ქვეყნიდან გაიქცა.

დროთა განმავლობაში, მატილდას მოძალადე ჯოვანის მიმართ გარკვეული სიმპათიები

გაუჩნდა და, შეიძლება ითქვას, რომ შეუყვარდა. როცა იესო დაიბადა, რთული ფეხმძმობის გამო, მშობიარობაც ძალიან გართულდა. მატილდას ნერვული სისტემა ნელ-ნელა ნადგურდებოდა. 3-4 წლის განმავლობაში ეს შეუმჩნეველი რჩებოდა, თუმცა შემდეგ თვალსაჩინოდ გახდა. ამ წლების განმავლობაში, მატილდა და ჯოვანი სტაბილურად ხვდებოდნენ. მოძალადე ჯოვანი შეუყვარდა მატილდას. თუმცა, შემდეგ პერიოდში, როცა ნერვიული სისტემის რღვევა დაიწყო, მატილდას დასანახად ეჯავრებოდა ჯოვანი, რადგან მის ფსიქიკაში ჯოვანისთან ურთიერთობის მხოლოდ ძალადობის მომენტიღა დარჩენილიყო და ამ ძალადობის შედეგი – ბავშვი, რომელსაც ფრანცმა იესო დაარქვა, რადგან სასწაულებრივად გადარჩა ბავშვიც და დედაც.

ფრანცმა არ იცოდა, რომ იესო ჯოვანის შვილი იყო; ცხადია, არც იესომ იცოდა. ჯოვანი კი რამდენიმე თვეში ჩადგა საქმის კურსში, როდესაც მატილდამ მასთან სტაბილური ურთიერთობა დაიწყო.

ჩანაწერებში, რომელსაც პადრე ჯოვანი აკეთებდა, ასახული იყო მისი გავლილი ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი ფაქტი. პადრეს შინაგანი წინააღმდეგობა მოსვენებას უკარგავდა, სურდა ყოველი განცდილი ემოცია და დასამახსოვრებელი ფაქტი ფურცელზე გადაეტანა, რათა მათი ყოველი წაკითხვისას დაუფლებოდა მღელვარე ნოსტალგია, ისე შეეპყრო ემოციებს, როგორც ეს აწმყოში ხდებოდა და თავი კვლავ ცოცხლად ეგრძნო. ეკლესია სახლივით ჰქონდა, დიდ დროს ატარებდა ეკლესიაში, ჩანაწერებიც იქვე, ერთერთ სათავსო ოთახში მდგარ სეიფში ჰქონდა შენახული. მარტო დარჩენილს უყვარდა კითხვა, როცა ეკლესია დაცარიელდებოდა და იესოს ქანდაკებასთან ერთად რჩებოდა დარბაზში. ჯოვანი და იესოს ქანდაკება ძალიან დამეგობრდნენ.

იმ დღეს, როდესაც იესო გააცილა, თავად ჯოვანი არ წასულა ეკლესიიდან. ჩანაწერები გამოიღო და კვლავ შეუდგა კითხვას. მატილდას ოჯახის შესახებ დაწერილ ფურცლებზე გადაშალა და სინანულით კითხულობდა. ნანობდა ჩადენილს, თუმცა წარსულს უკან ვეღარ დააბრუნებდა. საღამოვდებოდა. ტელეფონმა დაურეკა. ჰეროინის მომწოდებელს დიდძალი პარტია ჩამოეტანა და ჯოვანიც საქმეში იყო ჩრთული. სწრაფი ნაბიჯებით წავიდა.

იესო დაბნეული გავიდა ეკლესიიდან. ბავშვობის მოგონებები აწუხებდა, აინტერესებდა, რატომ გაწირა ღმერთმა ის და ფრანცი, რატომ წარიმართა მათი ცხოვრება ასე ტრაგიკული სცენარით... თითქოს რაღაც ძალამ უბიძგაო, გადაწყვიტა ეკლესიაში დაბრუნებულიყო, ჯოვანისთან. ცენტრალური კარი ღია დახვდა, გაუხარდა: ჯოვანი ჯერაც აქ იქნებაო. როდესაც შევიდა, ცარიელ დარბაზში შიშნარევი ემოციით აცეცებდა თვალებს. ჯოვანი არ ჩანდა. იესომ იესოს ქანდაკებისაკენ დაიწყო ნელი ნაბიჯებით სვლა, ყოველი მომდევნო ნაბიჯი წინაზე მტკიცე და გაბედული ჩანდა, ამას გრძნობდა იესო, მთელი არსებით გრძნობდა. მიუახლოვდა გაქვავებულ ქანდაკებას, მისგან არაფერს ელოდა, ღმერთის მიმართ კი უამრავი კითხვა ჰქონდა. ჩამოჯდა. იქვე დადებული ფურცლების გროვას მოჰკრა თვალი. გადახედა. რამდენიმე წუთში, იესო საკუთარ თავს აღარ ჰგავდა. „ჯოვანი, შე ნაბიჭვარო!“ – გაიძახოდა და ბოლთას სცემდა. შემდეგ დამშიდდა, თვალებში საშინელი ცეცხლი, მღვრიე, ბუნდოვანმა, ფიქრიანმა მზერამ ჩააქრო.

ჯოვანი რამდენიმე საათში დაბრუნდა. ნარკოტიკი დააბინავა. როცა საქმე მოაგვარა, გაახსენდა, რომ ჩანაწერები არ შეუნახავს და სწრაფად გამოემართა ეკლესიისაკენ. როცა ჯოვანი შემოვიდა, იესო კედელს მოეფარა. ჯოვანიმ მიირბინა იესოს ქანდაკების წინ, ჩანაწერები იქ ეგულებოდა. – ამ წერილებს ხომ არ ეძებ, პადრევ? – შემოესმა უკანა მხრიდან იესოს ხმა. ხმით რომ არ ეცნო, ჯოვანის ნამდვილად სასწაული ეგონებოდა: ქანდაკება ალაპარაკდაო (თუმცა ორივეს იესო ერქვა). ფრთხილად შეტრიალდა და სახეწაშლილი იესო დაინახა. – ყველაფერს აგიხსნი, იესო, ყველაფერს აგიხსნი, ჩემო ბიჭო! – გაიგონებდით პადრეს სასოწარკვეთილ სიტყვებს.

იესო მიუახლოვდა პადრე ჯოვანის და გულში ძლიერად დაარტყა ჯიბის დანა, რომელსაც ყოველთვის თან ატარებდა. ჯოვანი უსულოდ დაეცა. შემდეგ აიყვანა და ქრისტეს ქანდაკების გვერდით, თავისუფალ კედელზე მიალურსმნა. ფეხებიდან დაიწყო, გვამი ასწია და ხელებიც დაულურსმნა, ბოლოს კი, შუბლს ქვემოთ, თვალსა და თვალს შორის დააჭედა გრძელი ლურსმანი, რომელმაც ჯოვანის ტვინისა და სისხლის შხეფებით დასვარა იესო. ჩანაწერები იქვე, რკინის ყუთში დაწვა. შორიახლოს მდგომმა, დამცინავი მზერა მიაპყრო იესოს ქანდაკებასა და ჯოვანის „ლეშს“. – ორივე ერთნაირი ნაბიჭვრები ხართ! – თქვა დაბალ ხმაზე და კარისაკენ მობრუნდა. ნელი ნაბიჯებით წავიდა, სულ ბოლო რიგში მდგარ სკამზე დაჯდა და თავისი დანა ამოიღო ჯიბიდან, დანა, რომლითაც ჯოვანის გაუსწორდა. – მე არ ვარ იესო, მე ვარ სამყარო! ყველაფერს ერთი სუბსტანცია აქვს, ბოროტიც კვდება და კეთილიც! სად გადის ზღვარი სიკეთესა და ბოროტებას შორის?! შენგან არც ველი პასუხს, ღმერთო, მე თავად ვიპოვი პასუხს!... – თქვა მშვიდი ხმით. დანა ყელში გაიყარა... უნდოდა, სიკვდილი შეეგრძნო.

– თქვენმა შვილმა, იესომ, პადრე ჯოვანი სასტიკად მოკლა და შემდეგ თავი მოიკლა. – უთხრა ფრანცს მოსულმა პოლიციელმა და მოსთხოვა, რომ სწრაფად განყოფილებაში გაჰყოლოდა.



შოთა ანანიძე

რა გვემართება

ნელი ნაბიჯით მიიპარება
დღე მოთენთილი,
მძიმედ დაღლილი,
გულნაკლული მზე მთებს ეფარება,
ქუჩები რჩება სისხლით დაღვრილი.

რამ გადარია ეს ხალხი, ნეტავ?
ქვეყნად რამდენი მკვლელობა ხდება,
ვერ გამიგია, რა გვემართება?
სად არის ჩვენი გონიერება?

მიწა წაგვართვეს,
წაგვართვეს ძმებიც,
რა ცოტანი ვართ ჩვენ ამ ქვეყანას,
ვინ დაგვიშალა ერთობა ძველი
და სასიკვდილო გზებზე შეგვყარა.

ვერ დავაბრალით ჩვენს ცოდვებს ვინმეს,
მათ საკუთარი ჭკუით ჩვენ ვიწერთ,
ასე უჭკუოდ თუ დავრჩით კიდევ,
მიწას კი არა,
სულსაც სხვას მივცემთ.

„მეზობელო კარისაო“

„მეზობელო კარისაო“,
სახე ბადრი მთვარისაო,
ერთმანეთის დირედ ვდგავართ
შინ და გარეთ,
ყველგან მარად.

შენი ჭირის მოზიარე
ვდგავარ შენთან, ვით მარაო,
სიმწრით მოსილ მძიმე გზაზე
მინდა, რამით გაგახარო.

ხშირად ვნახოთ ერთმანეთი,
მისვლა-მოსვლა ბადებს სითბოს,
უტყუარი ეს გზა ერთი
დიდ სიყვარულს ნერგავს, ვფიქრობ.

უმეზობლო ცხოვრებაში
ობოლივით მეცოდება,
მოსაუბრეს,
მომტანს ამბის
ვინმეს რომ არ ელოდება.

„მეზობელო კარისაო“
სახე ბადრი მთვარისაო,
ერთმანეთის დირედ ვიდგეთ,
ცოცხლები ვართ ქვეყნად, ვიდრე!

დალოცვა

შაქრო ჩიკვაიძეს

გაზეთ „ქედას“ ნამძინარევს
ცისკარივით გაელვიძა,
მშობლივით შინ და გარეთ
ქედელების ნებას იცავს.

საგაზეთოს ეძებს თიხას
ყველას გულის გასახარად
და გვიგზავნის წასაკითხად
შარბათიან ახალ ამბავს.

ამ გაზეთით გავიზარდეთ
შემომქმედნი სულიერად,

მრწამს კვლავ გაზრდის ახალგაზრდებს,
შეაყვარებს მშობელ კერას.

გაზეთ „ქედას“ დაბადება
სიხარულის გვინთობს კოცონს,
მისი სულის ჩამდგმელი და
მარჩენალი დაილოცოს.

ნასაყდრალი

აქ ჩვენს წინაპრებს ჰქონდათ საყდარი,
ცხოვრობდნენ წყნარად საკუთარ ჯაფით,
არ უნატრიათ ყოფა სხვაგვარი,
არ ჰქონდათ დარდი და არცა ჯავრი.

ოჯახში ჰქონდათ იმდენი საქმე,
რომ დრო დარდისთვის რჩებოდა არვის,
უსაქმურობის ჩაკეტილ სარქველს
ვინ გაუღებდა კარს ერთხელ მაინც.

ვინც გაივლიდა უსაქმოდ გზაში,
გმობდა სოფელი იმ კაცის მარჯვენს,
ჩანს, წონა ჰქონდა მათ სიტყვებს მაშინ,
რომ ვერვინ ცვლიდა ხალხის განაჩენს.

იყო წესრიგი, ზესამართალი, –
თანადგომა და ძმობა, გატანა,
ფინიშს აღწევდა კაცი მართალი
და ვერ მარჯვობდა, ვით დღეს სატანა.

იმ დროში ხალხი ისე მომრავლდა,
სასახლე მიწა არ დარჩა ცენტრში,
ამიტომ ცხმორისს უწოდეს დაბა, –
მცხოვრებთ სიმრავლით და მისი ეშხით.

ახლა რა ხდება?
საით მიდიან?
სოფელს დღეს ხალხი ისე აკლდება, –
მუჰაჯირობა გამხსენებია,
რამდენი სახლი მიკეტილია,
ოხ! მოიწყინეს კაკლის აკვნებმაც.

რა ეშველება ამ ვითარებას,
ზოგ სახლის ბუხრებს გაუშრა კვამლი,
ჩემს გულს ტკივილის ხავსი ედება,
ღმერთო, სად არის მისი მკურნალი?

მიხეილ მახარაძე

ეს მხატვრული ნაწარმოებები თუ ჩანახატები სამი ათეული წლის წინ დაიწერა და მაშინ ზოგიერთი მათგანი გავაცანი პოეტ შოთა ზოიძეს. მან გულდასმით წაიკითხა ეს ნაწარმოებები და საქმიანი რჩევები მომცა, განსაკუთრებით „მერიემის“ თაობაზე. მე ეს რჩევები გავითვალისწინე და რაკიღა მათი გამოქვეყნება გადავწყვიტე, მინდა, ბატონ შოთას მადლობა ვუთხრა ამ თანადგომისთვის.

მიხეილ მახარაძე

14.11.2018

მერიემი

„შიში მაქვს ჩემიანების, რომელნიც უნდა მემკვიდრონ. ჩემი ცოლი უნაყოფოა; მომანიჭე მემკვიდრე, რომელიც შენგან შთამოებდეს“.

(„ყურანი“, XIX სურა, მარიამი, მე-5 აია) [1906 წლის გამოცემა].

გაზაფხულის მზე უძალოდ ათბობდა მარჩენალ მიწას, მიწა კი ხელსა და პატრონობას ითხოვდა. ნური სამოლიძე ყანის ბოლოში ჩასულიყო მორღვეული ღობის შესაკეთებლად. გვარიანი წამუშავების შემდეგ დასვენება გადაწყვიტა და ქვის მაღალი ყორის ჩრდილში წამოწვა, ბალიშად ცულის ტარი ამოიდო თავქვეშ. დაღლილს ნელ-ნელა ძილი ეპარებოდა, როცა ყორის მეორე მხრიდან საუბარმა გამოაფხიზლა.

წამოდგომა დააპირა, მაგრამ მოსაუბრეთაგან ისეთი სიტყვები გაიგონა, რამაც ჯერ დააბნია, შემდეგ – გაოგნა. მოსაუბრეები ხმაზე იცნო, ერთი მათგანი არცთუ ისე შორეული ნათესავი იყო, მეორე კი – ახლო მეზობელი.

„რა ტყუილად იკლავს ეს კაცი თავს, ვისთვის წვალობს და ვის უტოვებს მის ქონებას“. ამას მისი ნათესავი ამბობდა.

არც მეზობელს დაზარებია შხამიანი სიტყვები: „ჯერ იწვალოს, სანამ ჯანი ერჩის, მერე რაღა გზა ექნება, შეეგუება ბედს“.

მოსაუბრეებს რომ არ შეემჩნიათ, ნური ყორეს ძირს გაეკრა და, როცა მოსაუბრენი წავიდნენ, ხიდან ჩამოვარდნილი და მიწაზე დაჟღვერთებულივით წელმოწყვეტილი წამოდგა, იქვე, ქვაზე, ჩამოჯდა და ფიქრებში ჩაიძირა.

ნურის ორი წლის წინანდელი პირქუში შემოდგომის საღამო გაახსენდა, როცა ყანის ბოლოში, ხეჩალაზე, ჩალის კონების დაბინავებისას სასწაულით რომ გადაურჩა ხის კენწეროდან ჩამოვარ-

დნას. ნური ხეჩალაზე იყო, მისი ცოლი მერიემი კი ჩალის კონებს აწვდიდა საძლეველათი. ბოლოსწინა ჩალის კონა, ალბათ, დაღლილობის გამო ქალმა უხერხულად მიაწოდა მეუღლეს და კონაზე გამოდევნებული ნური ასხმულ ჩალის კონებზე ჩამოცურდა და სულ ბოლო მომენტში შეიკავა თავი. ნურის არაფრის თავი აღარ ჰქონდა და მერიემის მიყუდებული საძლეველის მეშვეობით ძლივს ჩამობობღდა ძირს, მიწაზე. გაზეთის ნაგლეჯში თუთუნი გაახვია, მოუკიდა და გააბოლა.

„გადავრჩიო“, – თავისთვის ჩაილაპარაკა ნურიმ და იდაყვით გაოფლილი სახე მოიწმინდა. მშვიდობიანი დასარულით კმაყოფილმა ცოლმა, უფალს მადლობა შესწირა და ქმარს გვერდით მიუჯდა.

– ღმერთი, ღმერთი... ამ ბოლო დროს ყველაფერი მეეჭვება და ბევრი რამის აღარც ძველებურად მწამს, – ჩაილაპარაკა ნურიმ.

– სუ, ნუ იტყვი მაგას, ღმერთის საქმეს ჩვენ ვინ გვეკითხება, – ჩურჩულით გადაულაპარაკა ცოლმა ქმარს.

„ღმერთის საქმეს ადამიანი რომ სწვდებოდეს, მაშინ რაღა ღმერთი იქნება ის“, გაიფიქრა ნურიმ. თუმცა, მალე მიატოვა ფიქრი და საუბარი გააგრძელა.

– როგორ არა ვთქვა, რა გაძვირდა ამისთანა, ერთი ბიჭი ჩვენთვისაც რომ ეჩუქებინა ღმერთს. ვბერდები და შველას ვერსაიდან ვხედავ. ამის ბრალია, რომ ჩვენი ნაბოლარა გოგო ვერ გაგვითხოვებია. აქ მაინც არ ვცხოვრობდეთ, სიძე რომ სახლში მოვიყვანო ამის უფლებაც არა მაქვს, სხვაგან ეს თურმე იოლია, ჩვენთან... ცალკე გოგოს ვეცოდებით, ცალკე თვითონაა შესაცოდებელი. რა ვქნა ახლა, ამის გულისთვის გოგოს სახლში ხომ ვერ დავაბერებ.

ამ ბოლო დროს ნური უფრო და უფრო წუხდა, რომ გვარის გამგრძელებელი არ ჰყავდა. მერიემიც შეწუხებული იყო ამით და თანაუგრძნობდა კიდეც ქმარს.

– ჩვენი საშველი მაინც არ არი და ამის გამო ყანის ბოლოში ხომ არ დავრჩებით, ქალო?! – ცოლის დახმარებით ნური მძიმედ წამოდგა, ხეჩალაზე მიყუდებული საძლეველა აიღო, მხარზე გაიდო და სახლისკენ გაუყვა. ცოლიც უკან გაჰყვა. ისე ივახშმეს ერთმანეთისთვის ხმა არ გაუციათ. დედაშვილი სუფრის ალაგებას შეუდგნენ, ნური კი საძინებელისკენ წავიდა.

დაღლილ-ნაჯაფარ ნურის ძილი დიდხანს არ მიეკარა. ახალჩაძინებული კი ცოლის ქვითინმა გამოაფხიზლა. „იქნებ, რაზე ტირისო“, გაიფიქრა ნურიმ და ერთხანს ცოლს არ შეეხმიანა, არადა, ქვითინმა იმატა.

– გაწუხებს რამე? – შეეხმიანა ცოლს. – მერიემი არ პასუხობდა.

– ამოიღე ხმა, ქალო! – უფრო მკაცრად უთხრა ქმარმა ცოლს.

– რა ვიცი, რაღაც ისე ამომიჯდა გული.

– რაღაც არ ჰგავს მარტო გულის ამოჯდომას.

– ეხ, იქნებ სხვა რაღაცაა, მაგრამ არ ვიცი, რაა და ვერც ვხვდები.

– თუ ასეა, მაშინ ის მაინც მითხარი, რაზე ფიქრობ ახლა.

– რომ მეშინია.

– რისი?

– ეგ რომ ვიცოდე...

– მერიემ, ათეული წლებია, ერთად ვცხოვრობთ და რაღაც ვერ ვიხსენებ ოდესმე ასე უცნაურად მოქცეულიყავ.

– რა ვქნა, კი მინდა რაღაცის თქმა, მაგრამ... თუ არ გამიბრაზდები... მაშინ...

– როდის ყოფილა ასე, ახლა რომ პირობას მართმევ?

– მაგრამ ახლანდელი სათქმელი სხვაა, საძნელოა.

– ჰო, გაძლევ პირობას და მოვრჩეთ.

– არც ისე ადვილი სათქმელია, ადვილად რომ მოვრჩეთ.

– თქვი, – უფრო მუდარა გაისმა ნურის ხმაში.

– პირობა, პირობა უნდა იყოს!

– ისე იყოს, როგორც მთხოვე.

მერიემს საუბრის დაწყება უჭირდა, სათქმელი ეძნელებოდა. ბოლოს რაღაც დაულაგებელი და გაუგებარი ფრაზა წარმოსთქვა.

– ვერაფერი გავიგე, თუ ამბობ თქვი, – ცოტა გაბრაზებით მიმართა ნურიმ ცოლს.

ცოტა ხანს იყუჩა მერიემმა და, როცა ნური რაღაცის თქმას აპირებდა, ჩაახველა, თითქოსდა, ყელის დაუწმენდაობა უშლიდა ხელს. ნათქვამისთვის მეტი სიმტკიცის მისაცემად ხმამაღლა უთხრა ნურის:

– მომიყვანე ამხანაგი! – მერიემი მეორე ცოლის მოყვანას სთავაზობდა ქმარს.

– რაო, რა თქვი? კიდევ გაიმეორე, ვერ გავიგე კარგად.

მერიემმა კიდევ ერთხელ გაიმეორა თავისი სიტყვები, თანაც უფრო მტკიცედ.

ნათქვამმა ნური გააოგნა, ცოტა დაახანა და, როცა მერიემის სიტყვების არსს ჩაწვდა ბოლომდე, ოდნავ გვერდზე გადაიხარა, საწოლში ნახევრად წამოჯდა და მარჯვენა ხელი მაღლა აღმართა. მერიემზე მიცემულმა პირობამ თუ რაღაც იდუმალმა ძალამ გონს მოიყვანა, თორემ შეიძლება გამოუსწორებელი შეცდომა მოსვლოდა. საწოლიდან გადმოვიდა, გადაიცვა და აივანზე გავიდა.

შემოდგომის ღამე იყო, ცოტას ჟინჟღლავდა. ნურიმ თუთუნი გაახვია, მოუკიდა, გააბოლა და ფიქრებს მისცა თავი. „რა დანაშაული მაქვს ასეთი, ასე რომ დავისაჯე?“, „ნეტა, როდის დავუშვი შეცდომა, ასე რომ გამინაწყენდა ღმერთი?!“, ფიქრებში ეკითხებოდა თავის თავს ნური. თავისი ოჯახური, არცთუ ისე შორეული წარსული გაიხსენა, ძმის დანიშნული რომ შერთეს ცოლად. მისი საყვარელი ძმა ნადირობისას რომ დამარცხდა, ერთი კარგი ოჯახის ერთადერთ ქალიშვილზე იყო დანიშნული.

უფროსი ვაჟის დაღუპვის შემდეგ ნურის მშობლებს გაუჭირდათ შეჩვეული სარძლოს „ხელიდა გაშვება“ და რომ იტყვიან, სარძლოს მეორე ვაჟისთვის დაბრუნება გადაწყვიტეს. ნური სასტიკ უარზე დადგა, ვერ წაროედგინა ძმის დანიშნულის ცოლად მოყვანა. „ძმის საცოლის შემრთველი ვერ იხეირებს“, იმეორებდა ნური.

მას შემდეგ, რაც ნურიზე ვერც ხვეწნამ და ვერც მუდარამ ვერ გაჭრა, ერთ ახლობლის ცოლი მიუჩინეს. არავინ იცის, რა უთხრა ისეთი ბიჭს ამ ქალბატონმა, მოტეხა კი. ასე და ამ გზით მერიემი გახდა ნური სამოლიძის ცოლი.

ფეხი შემოდგა თუ არა მერიემმა ნურის ოჯახში, მას შემდეგ ეს ოჯახი, რომ იტყვიან, სულ წინ მიდიოდა. ყველაფერი გამოსდიოდა მერიემს. მალე მისი მზარეულობის გარეშე სოფელში რაიმე წვეულება არ ჩატარდებოდა. ის კი არა, მეზობელ სოფლებშიც მიჰყავდათ საზეიმო სუფრების გასაწყობად.

მერიემი ქმრის ნათესაობის, მეზობლებისა და მთლიანად სოფლის თვალი შეიქმნა. რვა წელიწადში ნურის ოთხი შვილი აჩუქა და ყველა ქალიშვილი. არადა, სოფლად მტკიცედ დამკვიდრებული ტრადიციით გვარის გამგრძელებელი ოჯახში აუცილებელი იყო. აქ ხომ უბიჭობა ლამის უშვილობას იყო გატოლებული. სწორედ ამიტომაც ნურისა და მისი ოჯახის კეთილმოსურნენი ხშირად დაიჩივლებდნენ, „რა იქნებოდა ამ ღვთისმოსავ და სიკეთით აღსავსე ქალს ერთი ბიჭი მაინც ჰყოლოდაო“.

ბოლო ხანებში ეს უწესო წესი ძალას ჰკარგავდა. თუმცა აქა-იქ მაინც იყო შემორჩენილი. მერიემიც ამ წესის ტყვეობაში იყო და სწორედ ამან გააბედვინა იმ ღამეს ქმრისთვის ეთქვა „ამხანაგი მომიყვანეო“.

ნურიმ კიდევ ერთხელ გაახვია თუთუნი, ცეცხლი მოუკიდა და ვიდრე გააბოლებდა, ზურგს უკან ქვითინი შემოესმა. მერიემი იყო. მძიმედ წამოდგა, ქალს ხელი მოჰხვია და ორივე საძინებლისკენ გაემართა.

რამდენიმე დღე ცოლ-ქმარი ერთმანეთთან უბრად იყვნენ: ნური – ცოლის შეთავაზების გამო, ხოლო მერიემი – რათ ვერ გამიგო ქმარმაო...

გავიდა ხანი, ნური სამოლიძე შეეგუა ბედს და ნაბოლარა ქალიშვილის ხელის სათხოვნელად მოსული ელჩები უკან აღარ გაუბრუნებია. ტრადიციის წინააღმდეგ მათგან სარძლოს დასანიშნი ბეჭედიც მაშინვე დაიტოვა და მოკლე დროში მშვენიერი ქორწილიც გადაუხადა ქალიშვილს.

ქალიშვილის გათხოვების შემდეგ აბეზარი და არამკითხე ნათესავ-ახლობლებისგან მყუდროება და მოსვენება დაეკარგა ნურის. საქმე მეორე ცოლის მოყვანას ეხებოდა. თუმცა, იყვნენ გამონაკლისებიც, რომლებიც მეორე ცოლის მოყვანას შეუფერებელ და არასაკადრისად მიიჩნევდნენ, მაგრამ ამის ხმამაღლა თქმას ვერავინ ბედავდა და დუმილს ამჯობინებდა.

ამდენი თხოვნა-ჯიჯინის შემდეგ იქნებ ნურისაც გადაედგა ეს ნაბიჯი, მაგრამ მერიემის დათესილი სიკეთე აკავებდა. ამიტომაც მისთვის წარმოუდგენელი იყო ამ ნაბიჯის გადადგმა ...

ნური ამ ნაირნაირი მოგონებებიდან გამოერკვა, ნელა წამოდგა და დანგრეულ-გატეხილი წალასლასდა სახლისკენ.

ახლობელთა ამ შხამიანმა სიტყვებმა მთლიანად შეცვალა ნური. ხასიათიც შეეცვალა, მოსვენება დაკარგა, უფრო მკაცრი გახდა, მაგრამ ცუდი არც ცოლისთვის და არც სხვისთვის არ უკადრებია. მერიემის გამოცდილ თვალს არ გამოჰპარვია ქმარში ეს ცვლილებები, გუმანით იმასაც გრძნობდა, რომ რაღაც გაუთვალისწინებელი მოხდა, მაგრამ ორი წლის წინანდელი ამბის გამო, ვერაფერს ეკითხებოდა ქმარს.

ნურის უხასიათობას ბოლო არ უჩანდა, ამიტომაც გადაწყვიტა მერიემმა დაერღვია მდუმარება. ერთ საღამოს, როცა ადრე დაწოლილ ქმარს გვერდით მიუწვა, ხმადაბლა ჰკითხა:

– გძინავს?

– არა! – მოკლედ მოუჭრა ქმარმა.

– ეს მეოთხე გოგოც რომ თავის ბედს ვწიეთ, ხომ ხედავ, როგორ უპატრონოდ დავრჩით... – და მერიემს ხმა გაებზარა.

ნურიმ მარჯვენა ხელისგული მერიემს მარცხენა ლოყაზე მიადო, სისველე იგრძნო.

– შენ ხომ გიყვარს თქმა – „ღმერთია მომხმარე, რაღაც იქნება“.

ცოტა ხნით მყუდროებამ დაისადგურა და რაკი ნურის მხრიდან მკვეთრი პასუხი არ ყოფილა, მერიემი ამან გაათამამა და სათქმელიც ბოლომდე თქვა.

– ნური, იქნებ გადაწყვიტო, ხომ ხედავ სხვა გამოსავალი არ ჩანს. მომიყვანე ამხანაგი, სხვა თუ არაფერი, შენ რომ სახლში არ იქნები, ხმის გამცემი მაინც მეყოლება. ნური ხმას არ იღებდა. მერიემმა ცოტა კიდევ დაახანა და შემდეგ უკვე კითხვით მიმართა:

– არაფერი გესმის თუ სულაც ხომ არ ჩაგეძინა, კაცო?

ნურის ყველაფერი ესმოდა, მაგრამ კითხვაზე რა პასუხი გაეცა, ის კი აღარ იცოდა. სულ მოკლე დროში ნურის თვალწინ მისმა წარსულმა გაიელვა. მერიემის უკეთილშობილესი მშობლები, პირველი შვილის გაჩენით გამოწვეული სიხარული... საითაც არ გაიხედა და თუ რამე გაახსენდა, ყველგან მერიემსა და მის კეთილ საქმეებს გადაეყარა. ფიქრებში კითხვაც დაუსვა თავის თავს – „რომ დავთანხმდე, მერე გადაიტანს ყველაფერ ამას ქალი?“ ამ მწველ კითხვაზე ნურის პასუხი არ მოეპოვებოდა. ფიქრებში ჩაძირული ისევ მერიემის ხმამ გამოაფხიზლა.

– მე შევარჩევ ამხანაგს და მე დაგასახლებ, ნური. ყველას ხომ არ შემოვიყვანთ სახლში? შენ რომ შეგეფერება და მე რომ არ გამამწარებს ისეთ ვინმეს მოვძებნი. – ნაწყვეტ-ნაწყვეტ და გაურკვევლად ლაპარაკობდა მერიემი.

ამ ხნის განმავლობაში ნური სულგანაბული უსმენდა ცოლს. ერთი-ორჯერ შეპასუხებაც დააპირა, მაგრამ თითქოს ენა გადაყლაპა, ბურთი გაეჩარა ყელში, ვერაფერი მოახერხა. ნურიმ ცოლს თავზე ხელი გადაუსვა, ნაზად და რბილად, მოეფერა თმებზეც. ის. რაც სიტყვიერად ვერ დაუდასტურა, თითქოსდა, ამ ქმედებით მიახვედრა ცოლს, რომ თანახმა იყო.

რაკი მერიემმა ჩათვალა, რომ ქმარი ყაბულს იყო ამხანაგის მოყვანაზე, მეორე დღეს დილიდან თადარიგი დაიჭირა. თან ეჭვის ჭია ღრღნიდა, „ვაითუ, გადაიფიქროსო“ და ამიტომაც ჩქარობდა.

დილით, როგორც კი ქმარი სამუშაოდ წავიდა, კოხტად გამოეწყო, სკივრიდან ნიშნობისდროინდელი დიდი თავშალი ამოიღო, მოისხა და ასე მორთულ-მოკაზმული, პირველად ცხოვრებაში, ქმრის დაუკითხავად გავიდა სახლიდან.

მერიემი იმ შორეული სოფლის გზას დაადგა, სადაც ქმრის ახლო ნათესავი და ქმართან დასავით შეზრდილი, მათი ჭირისა და ლხინის გამზიარებელი, ადრე დაქვრივებული ესმა ცხოვრობდა.

ესმა 18 წლის დაქვრივდა, ერთადერთი ვაჟი დარჩა მომაკვდავი ქმრის იმედად. ქმარი საფლავში გაციებულიც არ იყო რომ ესმას ხელის მთხოვნელი გამოუჩნდა. მერედამერე ხელის მთხოვნელები მომრავლდნენ. მისი და ქმრის ნათესავები ამბობდნენ, რომ სჯობს ესმა გათხოვდეს, ვიდრე რაიმე უბედურებას გადავეყრებითო. ესმას ქმრის „ნამუსის შენახვა“ სხვანაირად ესმოდა, ვიდრე მის კეთილისმსურველთ. ის მტკიცედ იდგა იმ აზრზე, რომ ჩემს დიდ სიყვარულს რაღა შეცვლის და მის დაცვაზე დიდი ბედნიერება რაღა უნდა იყოს.

ესმა მტკიცედ იცავდა წინაპართა ერთ მცნებას: „ქალმა ქალიშვილობაში მამის ჭკუაზე უნდა იაროს, გათხოვების შემდეგ ქმრის ნება უნდა აღასრულოს, ხოლო დაქვრივების შემთხვევაში, უფროსი ვაჟი უნდა სცნოს ოჯახის უფროსად!“ ესმას ახლობლები და კეთილისმსურველნი გაკვირვებულნი იყვნენ, თავის შვილს, ჯერ კიდევ პატარა ბიჭს, როგორ აჩვევდა ოჯახის უფროსობას. ბიჭმაც გაუმართლა, დროულად მოეკიდა ოჯახს და ახლა ესმა შვილისშვილების მოვლა-აღზრდით იყო დაკავებული.

ბინდდებოდა. ესმა ვახშმის სამზადისში იყო, როცა კარი გაიღო და დიდთავშალმოხვეული ჯოხიანი ქალი შემოვიდა სამზარეულოში.

ესმას გაუკვირდა კიდეც – ამ მოღამებულზე ასე გაბედულად რომ შემოვიდა უცნობი სახლში. უცნობმა ხელები გაშალა და პირდაპირ მისკენ წამოვიდა.

– ვეღარ მიცან, ესმა?

უცნობმა ხმა ამოიღო თუ არა, ესმამ მაშინვე იცნო დიდი ხნის უნახავი რძალი, მოეხვია და მისი დაბნეულობა მერიემის ჯოხს დააბრალა.

– საჯოხოდ ჯერ არ მაქვს საქმე, მაგრამ ამხელა გზაზე, რაი იცი რა შეგხვდება. არ გაიკვირვო, რომ ჯოხი შემოსასვლელში არ დავტოვე, დიდი მამამთილის ნაქონია და ვუფრთხილდები.

რძალ-მულიანმა ცოტა ხანს კიდევ ისაუბრეს და შემდეგ ერთად შეუდგნენ სუფრის გაშლას. მერიემი ხომ თავის სახლშიც მასპინძელი იყო და სტუმრადაც. ესმას სახლიც თანდათან გაივსო – შვილით, რძლით, შვილიშვილებით. ერთად ივახშმეს, წაისაუბრეს და შემდეგ გაიკრიფნენ თავთავიანთ საძინებელში. მას შემდეგ, როცა მარტოდ დარჩნენ, მაშინ გაანდო მერიემმა ესმას თავისი სტუროობის მიზეზი.

– დიდი ცეცხლი მაქვს გულში, ჩემო ესმა. არ ვიცი, რით დავიწყო და როგორ გითხრა. ერთი სიცოცხლე მოვილიე, ვიდრე ამ გზას დავადგებოდი. არადა, სხვა გამოსავალიც რომ აღარ არის? კი იცი,

მეოთხე შვილიც გაგვიფრინდა და ხმის გამცემი აღარავინ დაგვრჩა. შენმა ძმამ და მე, ერთად ერთი ოჯახის კვალობაზე, არა უშავს ცხოვრება მოვაწყვეთ, მაგრამ ვისთვის? ხალხი სანამ არ დარწმუნდა, რომ ზე-სიძის მოყვანას არ ვაპირებდით, მანამ ქალიშვილის ხელი არავინ ითხოვა. – მერიემი ნაწყვეტ-ნაწყვეტ და არეულად ლაპარაკობდა.

– რაღაც დიდი გაჭირვება რომ დაგდგომიათ, არ არის იმის გაგება ძნელი, მაგრამ ის კი არ ვიცი, რანაირი დახმარება გჭირდებათ, ან რა შემიძლია მე. ბარემ ისიც მითხარი, რა გადაწყვიტეთ შენ და ჩემმა ძმამ.

– შენს ძმას არაფერიც არ გადაუწყვეტია. მე მინდა, რომ შენი ძმა დავასახლო და ამხანაგი მოვიყვანო სახლში.

ესმას სახეზე გაკვირვება გამოიხატა, თითქოს ვერც კი გაეგო, რას ეხებოდა ლაპარაკი. ესმამ ახლა უფრო კატეგორიულად მიმართა მულს:

– შენი ძმა უნდა დავასახლოთ! სხვა გამოსავალი აღარ არის.

– რას ამბობ, მერიემ, ჩემს ძმას დაქორწინება უნდა და შენ ამაში ხელს უწყობ?!

– მისი ცოდვა რად მინდა, პირიქით, დიდხანს მეწინააღმდეგებოდა, წუხელს თითქოს მოტყდა და მეც აღარ დაველოდე საბოლოო პასუხს და მის დაუკითხავად აქეთ გამოვწიე.

– ვითომ სხვა გზა აღარ დარჩა? იქნებ, დავფიქრდეთ, მოვძებნოთ სხვა გამოსავალი, – მრავლისმთქმელად შენიშნა ესმამ.

– არა, არ იზამს სხვანაირად! – მტკიცედ უპასუხა მულს რძალმა. მეტი დამაჯერებლობისთვის მერიემმა იქვე დასძინა: – უბიჭობა უშვილობის ტოლფასი ყოფილა.

– ნუ იტყვი მაგას, მერიემ, ღმერთმა არ გიწყინოს.

– ვიცი, რომ ცოდვას ვამბობ, მარა რა ვქნა? შენ ადრე დაქვრივდი, ერთი ბიჭი დაგრჩა და ახლა არავითარი სიძნელე აღარა გაქვს და რატომ? ბიჭიშვილი რომ გყავს იმიტომ! მე კი ოთხი შვილის დედა ვარ, ქმარიც გვერდზე მყავს და ამის მიუხედავად, რა წყალში გადავვარდე, არ ვიცი. ვიცი, ცოდვას ჩავდივარ, მაგრამ ამას რომ გაჭირვება მათქმევინებს, ღმერთიც გამიგებს.

ესმა მდუმარედ უსმენდა რძლის საუბარს და ხვდებოდა, რომ მერიემი რახან ამ აზრზე დადგა, ახლა ამას ვერავინ გადაათქმევინებდა.

– უნდა დამეხმარო ჩემო ესმა, ისეთი ვინმე უნდა მომანახინო, რომ შვილიც გაუჩნდეს და არც ჩვენ გაგვამწაროს. თუ ბიჭი შეეძინა პირველი, ავშენდებით და ის არის.

ესმას ჯერჯერობით პასუხი ვერ მოეფიქრებინა. ეს უხერხული მდგომარეობა რომ ცოტათი შეემსუბუქებინა, სიცივე მოიმიზეზა, ადგა და ღუმელს შეუნთო. მერიემის გადაწყვეტილებამ საგონებელში ჩააგდო. რა ძნელ საქმეს სთხოვდა მერიემი, კარგი ქალიც უნდა იყოს, მაგრამ არც მერიემს უნდა სჯობდეს. არ გინდა ასეთი ქალის ნახვა, შვილიც გააჩინოს და სამოც წელს მიტანებულ კაცზე ცოლად გაყოლაზეც დაითანხმო. ყველაფერ ამას ემატებოდა ისიც, რომ ესმას ჭირის დღესავით ეჯავრებოდა ამისთანა საქმეებში გარევა. „დასწყევლოს ღმერთმა, ვინც უბიჭობა უშვილობას გაუთანაბრა“, თავისთვის გაიფიქრა ესმამ.

– ჩემო რძალო, რაღაც ვერ არის ლამაზი საქმე. არ ექნება ამას კაი ბოლო. იქნებ, რომელიმე ქალიშვილის ბიჭი მოგეყვანათ და გაგეზარდათ, თქვენი სისხლი და ხორცი არ იქნება თუ რა?

– ამაზეც მიფიქრია, მაგრამ ვიცი, შენი ძმა ამას არაფრით იზამს.

– მაინც მიჭირს ამაზე დათანხმება. იქნებ, ცოტა ხნით გადავდოთ ეს საქმე, ასე საჩქარო რა არის?

– საჩქაროით საჩქაროა. კაცს ხანი გაუდის, სადაც არის, სამოცს გადასცდება. ამ საქმეს ახლავე უნდა მოებას თავი.

მართალია, ესმა წინააღმდეგობას უწევდა მერიემს, მაგრამ თანდათანობით ტყდებოდა და გონებაში სარძლოსაც ეძებდა. ამ ფიქრში, თითქოსდა, თავისი თავიც დატუქსა, „რა ღობე-ყორეს ედები, აგერ არ არის ამ საქმეებში გამობრძმედილი დიდხანუმი“. გვიან ღამით ესმამ რძალი სწორედ დიდხანუმით დაამშვიდა, ხვალ დილით ვეწვიოთო. მხოლოდ ამის შემდეგ დათანხმდა მერიემი დაძინებაზე.

სოფელში, ალბათ, უმრავლესობამ არც კი იცოდა დიდხანუმის ნამდვილი სახელი. დიდხანუმი – დიდი დედოფალი, ეს სახელი მას არა წარმომავლობით, გვარიშვილობით, არამედ თავისი ჭკუით, სიდარბაისლითა და კაიქალობით ჰქონდა დამსახურებული. დიდხანუმი საერთოდ უშვილო იყო და მასაც მოუყვანეს ამხანაგი. მაგრამ როგორც კი გააჩინა ბიჭი, აითვალწუნეს, სამი თვის შვილი დაატოვებინეს და სახლიდან გაუშვეს. დედამ ვერ გადაიტანა შვილის მიტოვება და ერთი წლის თავზე გარდაიცვალა. ამხანაგის გაშვებას სახლიდან უფრო დიდხანუმის მულს აბრალებდნენ. დიდხანუმმა, როგორც საკუთარი შვილი, ისე აღზარდა ბიჭი და ახლა მოზრდილი შვილიშვილებიც ჰყავდა...

დიდხანუმი დილით მოსულ სტუმრებს გულთბილად შეხვდა, ხილი გამოუტანა და სასაუბროდ ჩამოჯდა სტუმრებთან. როცა სტუმრობის მიზეზი გაიგო, თავი შორს დაიჭირა და მიზეზად მისი ამხანაგის ტრაგიკული ბედი ახსენა. დაიფიცა, რომ ამ ცოდვაში მას ხელი არ ერია.

– მეც ჩემი უნდა გითხრა, მერიემ. ბევრ ამნაირ საქმეს მოვსწრებივარ, მაგრამ კეთილი ბოლო არც ერთს არ ჰქონია. რაღა შორს წავიდეთ, განა ჩემი ამხანაგის ხვედრი ამას არ მოწმობს? შვილივით ამოვზარდე ბიჭი, დავასახლე და დავაკარე, არც დედამისის სიკვდილში მიმიძღვის ბრალი. მაგრამ რაც უფრო გადის დრო, მით უფრო მაწუხებს იმ საცოდავის ხვედრი. იქნებ, მე რომ არ დავთანხმებულიყავ ამ საქმეზე, ისიც სხვა ბედს ეწეოდა და ახლა ცოცხალი იქნებოდა. მართალია, ოჯახს მემკვიდრე დაუტოვა და ამის წყალობით ვართ ახლა ავსებული, მაგრამ... მე ამ ბოლო დროს უფრო ბევრს ვფიქრობ იმაზე, რომ არავისი ოჯახი, არავისი გვარის გაგრძელება არ ღირს ვინმეს სიცოცხლედ. მომკალით და ეს აზრი ამ ბოლო დროს თავიდან აღარ ამომდის.

ესმა რას არ ეცადა, მაგრამ დიდხანუმი მტკიცედ იდგა თავის აზრზე. ბოლოს ერთ ხერხსაც მიმართა.

– ნალოც-ნაკითხი, ღვთისმოსავი ქალი ხარ, დიდხანუმ, შენი გაშენებული და გამოყვანილი ხილის გემო ვინ არ იცის. – დიდხანუმს ეამა ამ თემაზე საუბარი, რითაც ძალიან მოსწონდა თავი და ესმასთან მაშინვე ჩაერთო საუბარში.

– ღმერთს მადლობა, ჩემი ხილის ნერგებს, ნეტა, სად არ ნახავთ, საქართველოს რომელ კუთხეში და ბევრ საქებარსაც ამბობენ.

– ჰოდა, ჩვენც ნუ გვეტყვი უარს, გაფიცებ შენს ნალოც-ნაკითხს. ხომ ხედავ, როგორ გაჭირვებულია, განა ოდესმე შეგხვედრია ცოლი ქმარს ელჩად დადგომოდეს, ამხანაგის მოსაყვანად გარჯილიყოს?

ამ სიტყვებმა დიდხანუმზე ძლიერ იმოქმედა. მას თავისი ნალოც-ნაკითხობით თავი მოჰქონდა და ესმამაც მარჯვედ შეარჩია ეს დიდხანუმის დასაყოლიებლად. ამ საქმეზე თავად მერიემის სტუმრობამ ისიც აფიქრებინა, უარის თქმა უფრო მეტი ცოდვა ხომ არ იქნებაო.

– ოღონდაც დაგვეხმარე, დიდხანუმო, ამ საქმეში და თუ რამ ისე არ მოხდეს, ცოდვა ჩემს კისერზე იყოს, – უთხრა ესმამ.

– არა, შვილებო! თუ ამ საქმეში კიდევ ჩავდგები, ცოდვაც ჩემი იყოს და მადლიც. ოღონდ ახლა ამ საქმეს კეთილი ბოლო ჰქონდეს და მადლი თქვენთვის დამილოცნია. ეს უკვე თანხმობა იყო და ჯერ ესმა, შემდეგ მერიემი მაგრად გადაეხვია დიდხანუმს.

ამ შეხვედრიდან მეათე დღეს, მერიემის ოჯახში გაწყობილ სუფრას შემოუსხდნენ დიდხანუმი, ესმა, მერიემის ქმარი და ერთი შედარებით ახალგაზრდა ქალი, რომელიც ამ საღამოდან მერიემის ამხანაგი უნდა გამხდარიყო.

ვახშმის შემდეგ დიდხანუმი და ესმა ნურის ახლობელთან წავიდნენ ღამის გასათევად. ნური კი პირველად, მერიემთან ერთად ყოფნის განმავლობაში, სულ სხვა ოთახში წავიდა დასაძინებლად. მაშინ კი მერიემს რაღაც ძვირფასი, ენით აღუწერელი მოწყდა გულიდან, თვალთ დაუბნელდა და სექვზე რომ არ ჩამომჯდარიყო, უთუოდ წაიქცეოდა. როცა გონს მოეგო და თვალშიც გამოიხედა, კარებთან თავისი უფროსი ქალიშვილი შენიშნა. „რა დროს მოვიდა, მან ხომ არაფერი იცოდა?“, მაშინვე ეს გაიფიქრა მერიემმა. ქალიშვილი დედასთან მივიდა, გვერდზე მიუჯდა, მოეხვია და ორივე მწარედ აქვითინდა. იმ ღამეს დედასთან მამის ნაცვლად დაწვა ქალიშვილი და ისე შემოათენდათ, რომ თვალი არ დაუხუჭავთ.

ნურის ოჯახში „ამხანაგებმა“ საქმე დაუწერელი წესით დამკვიდრებული ტრადიციით გაინაწილეს. მერიემი ძირითადად სახლსშინა ოჯახური საქმეებით იყო დაკავებული, ამხანაგი კი გარეს საქმეებით. ნურისაც საქმე შეუმსუბუქდა და თუ ერთ ღამეს მერიემთან იყო, მეორე ღამეს ამხანაგთან. ხანდახან რიგი აირეოდა და, როგორც წესი, მერიემის ხარჯზე.

რას განიცდიდა და რა უტრიალებდა გულში მერიემს, ამას, განსაკუთრებით პირველ ხანებში, ვერაფერს შეამჩნევდა კაცი. მაგრამ, თანდათან, როცა ცხადი შეიქმნა, რომ ქმარი სანახევროდ მაინც განსხვისდა, გამოცდილი თვალი შეამჩნევდა უარესობისკენ მიმდინარე ცვლილებებს მერიემში. ხოლო მას შემდეგ, როცა თვალსაჩინო გახდა, მის გარჯას რომ უკვალოდ არ ჩაუვლია, სიხარულთან ერთად სევდაც მოეძალა.

მერიემს ამხანაგი კარგი შეხვდა, ყველაფერს აკეთებდა მისთვის მძიმე ვითარება რომ შეემსუბუქებინა. მაგრამ მერიემისთვის ეს დიდი ვერაფერი იყო, მისთვის ყველაფერმა დაკარგა ფასი და თვალსა და ხელს შუა ილეოდა. მალე ლოგინად ჩავარდა ეს ამაყი, პეწიანი ქალი და სხვისი მოსავლელი გახდა. მხოლოდ ერთხელ გაიღიმა, ისიც სიკვდილამდე სამი დღით ადრე, როცა მათი ნანატრი ახალდაბადებული ბიჭი ანახეს. პატარას შუბლზე აკოცა, გაიღიმა და თვალთაგან ცრემლი წამოუვიდა.

თითქოს ბავშვის დაბადებას უცდიდაო მერიემი და სამი დღის შემდეგ გარდაიცვალა. ნურის დაჟინებული თხოვნით სახლთან ახლოს ახალი სასაფლაო გახსნეს და მისი სახლის აივნიდან რომ კარგად მოჩანდა, ისეთ ადგილას მიაბარეს მიწას მერიემი გარდაცვალებიდან მესამე დღეს.

ნურის ოჯახში კიდევ ორი ბიჭი გაჩნდა. მაგრამ ბიჭების გაჩენამ ის სიხარული ვერ მოიტანა ოჯახში, რასაც ასე ელოდნენ. ოჯახის უფროსი ჯერ 65 წლისაც არ იყო და მოკლე დროში ისე მოტყდა, უცნობს ღრმად მოხუცებული ეგონებოდა. სულ მთლად გათეთრდა, წვერიც მოუშვა. ხშირად გამოდიოდა სახლის აივანზე, ჯორკოზე ჩამოჯდებოდა, მაგარ თუთუნს გაახვევდა, გააბოლებდა და შიგადაშიგ ახველებდა. მალ-მალე მერიემის საფლავს გახედავდა და ამ ქვის გულის კაცს თეთრი თმებით დაფარული ღაწვები უსველდებოდა.

ამგვარმა ყოფამ ნური ოჯახის ამბებს თითქმის ჩამოაშორა, დაჩიავდა და დაპატარავდა. ასე მიიცვალა კიდეც და მერიემის საფლავის გვერდით გაჩნდა ახალი საფლავი. საკითხავი მხოლოდ ის იყო – როდის იყო ნური სამოლიძე ბედნიერი, როცა ბიჭიშვილი არ ჰყავდა, მაგრამ მერიემთან იყო, თუ, როცა ბიჭები ჰყავდა, მაგრამ მერიემი აღარ იყო მის გვერდით.

ჩანახატები

პირველი გაღიმება დიდი ტრაგედიის შემდეგ

1959 წლის იანვარში ზემო აჭარაში დიდი თოვლი მოვიდა. მრავლად იყო თოვლის ზვავები, მათ შორის, ჩვენს სოფელშიც. ზვავების დაწნეხილმა თოვლმა ამოავსო ხევხუვები და იქ, სადაც უთოვლობის დროს ფეხით გავლა ჭირდა, ახლა ადვილად შეიძლებოდა ხის უზარმაზარი მორების გამოტანა მცირედი ძალისხმევით. როგორც სოფლის უხუცესები ამბობდნენ, ასეთი ზვავიანობა ათეული წლებია, არ ყოფილაო. ამის გამო ტყის მასივმაც ერთგვარად დაისვენა, ნაძვისა და სოჭის ხეებმაც საკმაოზე მეტად აიყარა ტანი, მომაგრდა და წელშიც გაიმართა. მაგრამ ზვავებმა ვითარება მკვეთრად შეცვალა და ადამიანისთვის უღრანი და მიუვალი ტყე მისაწვდომად აქცია.

სოფლის მცხოვრებნი გამოდარების მოლოდინში იყვნენ. ეს დღეც დადგა და ხალხიც ტყეს შეესია. მათ რიცხვში იყო ბაბუაჩემიც.

ზამთარში, დიდთოვლობის შემდეგ, გამოდარებას, როგორც წესი, ყინვები მოსდევს ხოლმე. ასე იყო იმ ზამთარსაც – გამოიდარა და ძლიერი ყინვებიც დაიჭირა. მოყინულზე დამზადებული მორების ჩამოყრა გაცილებით ადვილი იყო, თუმცა ამავე დროს საკმაოდ სახიფათოც.

ამ ისტორიას იმისთვის არ ვყვები, რომ მოგითხროთ, თუ ვინ რამდენი მასალა დაამზადა იმ ზამთარს; ვინ რამდენი ნაძვის ხე მოჭრა და ვინ რამდენი – სოჭი; ვის გადაუვარდა გამზადებული მორები ხევსა თუ უფსკრულში. სულაც არა, ბატონებო! იმ ზამთრის ერთ ცივ დილას მოხდა შემთხვევა, რაც 55 წლის შემდეგაც მახსოვს კარგად და ცხოვრებაში ამ ფაქტმა ბევრ რამეზე ჩამაფიქრა და ბევრიც მასწავლა.

ბაბუას ამ დროისთვის დიდი ტრაგედია ჰქონდა გამოვლილი – თვენახევრის წინ უფროსი ვაჟიშვილი ჰყავდა ტრაგიკულად დაღუპული 39 წლის ასაკში. ბაბუას ერთადერთი ვაჟი ამ დროს სტუდენტი იყო და იანვარი მოგეხსენებათ, გაგანია სასესიო გამოცდების დროა. მოზრდილი შვილიშვილები თავიანთი საქმით იყვნენ დაკავებული, ამიტომაც ბაბუას მარტოს უხდებოდა ტყეში სიარული. ერთ დღესაც, უთენია ბაბუამ გამაღვიძა და ამიხსნა, რომ არავინ ჰყავს პირდაპირი ხერხის გამწევი და უნდა გავყოლოდი.

სახლიდან გამოსულები ერთი საათის შემდეგ შევუყევით ტყიან, დაკიდულ და მოყინულ ფერდობს, სადაც წინა დღეებში, უფრო რბილ ამინდში ადამიანთა ნაფეხურები ახლა უკვე გაყინულ და უნებლიე საფეხურებად გადაქცეულიყო. ეს კი გვარიანად აადვილებდა აღმართზე ასვლას. რაც უფრო მაღლა მივიწევდით და ვუახლოვდებოდით სამუშაო ადგილს, მით უფრო მატულობდა ცულების კაკუნის ხმები. უფრო ადრე ასულები მორებს დასაცურებლად ამზადებდნენ და, როცა ქვევით აღარ იქნებოდნენ მაღლა ამსვლელები, დაიწყებოდა კიდეც მორების დაცურება.

მოულოდნელად ზემოდან ყვირილი მოგვესმა – „მორი გამოგვექცაო“. მაღლა ავიხედეთ და დავინახეთ, თუ როგორ ზიგზაგებით ეშვებოდა დაკიდულ ფერდობზე მორი და თანაც მკვეთრად უმატებდა სიჩქარეს. მე დავიბენი და ადგილზე გავქვავდი. ამასთან, მორი ისე სწრაფად იცვლიდა მიმართულებას, რა სჯობდა ამ დროს – ადგილზე გაჩერება თუ რომელიმე მიმართულებით გაქცევა ან გადახტომა, ძნელი გასარკვევი იყო. ბაბუამ ერთი შეჰკივლა, მტაცა ხელი და რაღაც არაადამიანური ძალით რამდენიმე მეტრით გვერდზე მომისროლა, თვითონ კი ადგილზე გაქვავდა და პირისპირ დარჩა „აწყვეტილ“ მორთან. მორმა კი, თითქოსდა, დააფასა ბაბუას თავგანწირვა, სადაც ის იდგა

ნახევარი მეტრის დაშორებით „კუდი მოიქნია“, გვერდზე გაუხვია და იმ ადგილს გადაუსრიალა, მე რომ ვიდექი რამდენიმე წამის წინ.

ცოტა ხანში ბაბუა გონს მოეგო, ჩემთან მოვიდა და გულში ჩამიკრა. არაჩვეულებრივი სანახავი იყო მისი გაღიმებული სახე, დიდი ტრაგედიის შემდეგ მის სახეზე პირველად დავინახე ღიმილი.

ყავა – „საეჰბაბო“ სასმელი

ყავა, ადრე ასე ყოველ ნაბიჯზე როდი იყო. მეტიც, ეს ერთობ სასიამოვნო და სურნელოვანი სასმელი დელიკატესადაც ითვლებოდა. 10-11 წლის ვიქნებოდი, როცა ბაბუამ პირველად ყავაზე მიმიპატიჟა სტუმრის სუფრასთან. სტუმარი კი იყო დიდად დაფასებული მუსლიმი სასულიერო პირი (არაოფიციალური, რა თქმა უნდა), ჩვენი წრისა და საკუთრივ ჩვენი ოჯახის მოყვარე.

მე ბავშვობაშიც ჩქარა მივირთმევდი და არც ცხელი სასმელი მიქმნიდა ამ მხრივ დაბრკოლებას. ყავა სულმოუთქმელად დავლიე, მაშინ, როცა ბაბუას და სტუმარს ყავის სმა დაწყებულიც კი არ ჰქონდათ.

სტუმარმა შემომხედა და მშვიდი, დამრიგებლური ტონით მითხრა: „ბაბული, ყაჰვე საეჰბაბო (სასაუბრო) დასალევია და არა ვალის მოსახდელი. ერთ ფინჯან ყაჰვეზე შეიძლება ერთ საათსა და მეტ ხანაც იეჰბაბო“.

ამ ღვთისნიერი ადამიანის ეს კეთილი რჩევა ვერ გავითავისე და როგორც ყავას, ისე ჩაის, ძველებურად სწრაფად გეახლებით.

ჯუმარდა

1963 წლის ცივი შემოდგომაა. ყინჩაურის (ხულოს რაიონი, სხალთის თემი) საშუალო სკოლის დამამთავრებელი მე-11 კლასის მოსწავლე ვარ. ჩემი სოფლელი თანაკლასელები ჩემ გარდა, ყველა ინტერნატშია. ამიტომაც მარტოდ მიხდება სკოლაში სიარული. იმ ნაშუადღევს სკოლიდან წამოსულმა, ხიდი გადმოვიარე და მდინარე სხალთისწყლის მარჯვენა ნაპირზე გადმოსული, სხალთის ცენტრისკენ მიმავალ მოკლე აღმართს შევუდექი. საქონლის ზმუილი შემომესმა. ცხოველთა დამზადების სპეციალურად შემოღობილი საქონლის სადგომი სანახევროდ იყო შევსებული შინაური ცხოველებით. აქ იბარებდნენ ცოცხალი წონით პირუტყვს და შემდგომ გაუყენებდნენ ბათუმის გზას, რომლის ბოლო პუნქტი ბათუმის „ბოინი“ (სასაკლაო) იყო.

ღობეზე მივეყრდენი და საქონლის თვალიერება დავიწყე. ვუყურებდი თითოეულ მათგანს და მებრალებოდნენ. აქ ხომ იყვნენ ხარები, რომლებიც წლების განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდნენ პატრონს; აქ იყვნენ ძროხები, რომელთა რძესა და რძის ნაწარმს არაერთი ოჯახი გამოუკვებავს; აქ იყვნენ მოზარდი დეკეულები და მოზვრები, რომელთაც ჯერ კიდევ ვერ მოესწროთ თავიანთი მისიის შესრულება და ახლა პატრონებისგან განწირული გრძელი, სამდღიანი დამქანცველი მგზავრობის წინ, აქ შემოღობილში ნახევრად მშიერი და სიცივისგან მობუზულები და ბედს შეგუებულნი ელოდნენ, როდის გაიღებოდა „საპყრობილეს“ კარები.

დროდადრო ისმოდა არეული ზმუილი. მათგან ერთის გამორჩეულად ხვდებოდა ჩემს სმენას. დამაინტერესა და უფრო ყურადღებით დავიწყე ჯოგის თითოეული წევრის თვალიერება. ოი, საოცრებავ! – ცოტა შორს, კუთხეში ჩვენი ხარი, ჩემი ჯუმარდა (პარასკევა) იყო, მაგრამ არა მობუზული,

არამედ ჩემკენ მოპყრობილი ნაღვლიანი თვალებით. მის დანახვაზე რაღაც ისეთი ტკივილიანი განცდა დამეუფლა, რომელიც ახლაც თან მდევს. პირველი რეაქცია იმის გაფიქრება იყო, რომ ჩემი ცხოვრების რაღაც მონაკვეთი დამთავრდა და იწყება მეორე, სადაც მარტო ვიქნები და არ ვიცი, რამდენ ხანს. იმ მოკლე დროში ჯუმარდასა და ჩემთან დაკავშირებულმა ამბებმა ელვის სისწრაფით ჩაიარა ჩემ თვალწინ და მოგონებებში ჩავიძირე...

როცა მამა გარდაიცვალა ერთ სახლში, მაგრამ ცალკე ოჯახად ვცხოვრობდით – დედა, მე – 3 წლის და ჩემი 2 წლის და, გვყავდა ერთი ძროხა და მისი შვილი, ზუსტად ჩემი ასაკის ჯუმარდა. ერთი წლის შემდეგ ჩემი და გარდაიცვალა. დის გარდაცვალებიდან 6 თვის შემდეგ დედა წავიდა ჩვენი ოჯახიდან. ახლა უკვე ბებია-ბაბუასთან ვიყავი და ვიცოდი, რომ ძროხა და მისი შვილი ჩემი საკუთრება იყო. თანაც ძროხას ისე შევეჩვიე, რომ 5 წლის ბავშვი ზოგჯერ მისი ძუძუდან ვწოვდი რძეს.

ერთ საღამოს სახლში მისულს, ეზოში საშინელი სურათი დამხვდა: ბაბუა და ბიძაჩემი ყელგამოჭრილ ჩემს ძროხას ატყავებდნენ. რაღაც სენი შეეყარაო. ეს ამბავი ძალიან განვიცადე, ჩუმად ბევრი ვიტირე კიდეც. როცა ჩემი ჯუმარდა ხარად იქცა, კოლმეურნეობამ შეისყიდა, თუმცა ჩვენი მეურვეობის ქვეშ დარჩა, ჩვენ ვუვლიდით და ვამუშავებდით როგორც კოლმეურნეობის ფართობებში, ისე საკარმიდამო ნაკვეთში.

თხუთმეტ წელს რომ გასცდება ხარი, უკვე ვეღარ არის ძველებურად, დაღმასვლა ეწყება და მისი აღსასრულიც დგება. ჯუმარდა კოლმეურნეობის კუთვნილება იყო და მისი ბედიც კოლმეურნეობის მესვეურებმა გადაწყვიტეს და ხორცის დამზადების პუნქტში უკრეს თავი.

ამის შემდეგ იყო ის სევდიანი შეხვედრა ჩვენს ამაგდარ ხართან დამზადების პუნქტში.

ბზა

სხალთის ეკლესია ამ ხეობის, და არა მხოლოდ ამ ხეობის, სიამაყეა. მის შესახებ ბევრი დაწერილა და ბევრიც დაიწერება. ეკლესიასთან მიმართებით სხვა მომენტს მინდა შევეხო.

უკვე დაწყებითი კლასებიდან ყოველ წელს სკოლიდან ორგანიზებულად ვსტუმრობდით „ქილისას“, როგორც მაშინ უწოდებდნენ სხალთის ეკლესიას. ეკლესიის მონახულებისას, დავრბოდით მის ირგვლივ და სხვადასხვა თამაშებით ვერთობოდით. მაღალ კლასებში კი უფრო ყურადღებით ვაკვირდებოდით მის შემოგარენს. ერთხელაც ჩემს თვალსაწიერში მოხვდა უცნაური, მარადმწვანე მცენარე. ეს უცხო მცენარე ეკლესიის შესასვლელიდან ასე 20-25 მეტრში იყო, იქ, საიდანაც მდინარე სხალთისწყლის ფერდობი იწყება. მცენარეს ცხადად ეტყობოდა, რომ ასაკოვანი იყო: წვერი გადატეხილი, ტოტები შემოტეხილი, მისი ერთი ნაწილი მოხლეჩილი და თითქმის მიწაზე გართხმული. ირგვლივ ბუჩქებად იყო ამოსული მისი მსგავსი მცენარეები. ამასთან, ეს მცენარე სულაც არ ჰგავდა ჩემთვის ნაცნობ მარადმწვანე სხვა მცენარეებს, რომლებიც ჩვენს მხარეში, უფრო სწორად სხალთის ხეობაში, რომ გვხვდება. ბოლოს უფროსებისგან გავიგეთ, რომ ეს იყო ბზა, მაგრამ რატომ იყო ის მაინცადამაინც ეკლესიასთან, ამის თაობაზე მათ არაფერი იცოდნენ...

გავიდა დრო, გავიგე ბზის არსი და დანიშნულება ქრისტიანობისთვის და მაშინ მისმა ნაშთებმა სხალთის ეკლესიის ეზოში განსაკუთრებული დატვირთვა და მნიშვნელობა შეიძინა. მე არ ვიცი სხალთის ეკლესიის ბზის ასაკი. შეიძლება, სულაც სხალთის ეკლესიის თანატოლია, შეიძლება ცოტა ან მეტად ნაკლები. მაგრამ ოთხი საუკუნისა მაინც იქნება, რადგანაც ისლამის გავრცელების და მით უმეტეს, დამკვიდრების შემდეგ, აქ ბზას არავინ დარგავდა.

ყველაფერი ამის გათვალისწინებით, როცა სხალთის ეკლესიის ფენომენზე ვფიქრობ, მის შემოგარენში ბზის ნაშთების (ძირი ხე და ბუჩქები) არსებობა ჩემთვის ასევე დიდ, ეკლესიაზე არანაკლებ, მნიშვნელობას იძენს.

ტაშტან-აღა

1963 წლის ცხელი აგვისტოს შუადღეა, სოფელი დაცარიელებულია, ზოგი მთაშია, ზოგიც ქალაქში საშოვარზეა წასული. სოფლის ცენტრში რამდენიმე ქალი და გოგო-ბიჭია. მე დამამთავრებელი კლასის მოსწავლე ვარ. ასაკოვანი უცნობი გამოჩნდა, ზაფხულის კვალობაზე უცნაურად აცვია: თბილი, ნახევარპალტო – „ბუშლატი“, თავზე ყაბალახი და ფეხზე ქალამანი. ხელები ზურგზე მორგებულ ჯოხზე აქვს გადადებული. მოგვიახლოვდა თუ არა, ხმადაბლა მოგვესალმა, გვერდზე ჩაგვიარა და გზა გააგრძელა.

– ეს ბახმაროს უბნის დაწყებითი მასწავლებლის – ჩიტო ჯაიანის მამაა – ტაშტან-აღა, – გვითხრა ყველაზე ასაკოვანმა ქალბატონმა...

საღამოს სახლში დაბრუნებულმა ბაბუას ტაშტან-აღაზე ვკითხე და თანაც იუმორშერეულად დავამატე – ქალამნიანი აღა ვის გაუგონია.

ბაბუამ სიტყვა გამაწყვეტინა და გამაფრთხილა, მეორედ არ თქვა ესო. ტაშტან-აღაზე კი აღნიშნა, რომ ეს გაუნათლებელი კაცია, მაგრამ ათეული წლებია, უმძიმესი საქმეების გარჩევაში მონაწილეობს და ერთი შემთხვევაც არ ყოფილა, რომ მას საქმე არ ან ვერ მოეგვარებინოს.

როგორ დაიწერა „სხალთის ხეობის მშვენება“?

გასული საუკუნის 70-იანი წლებია. ზაფხულს მშობლიურ სოფელში ვატარებ. დროგამოშვებით სოფლიდან ჩვენი თემის ცენტრში, – ისტორიულ სხალთაში ჩავდივარ, მე-13 საუკუნის ეკლესიას ვეწვევი, ნაცნობებს შევხვდები. ჩემი ახლობლები ყურადღებას არ მაკლებენ და უმეტეს შემთხვევაში ეს შეხვედრა სუფრით მთავრდება.

სხალთაში მორიგი ვიზიტისას დამხვდურებმა მითხრეს, რომ დათო შაინიძეს (1954-1994) (აქაურს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტს) თბილისელი სტუმრები ჰყავს ეკლესიაში და თუ მიხვალ მათთან, კარგი იქნებაო.

ეკლესიის გალავანთან მცირე პურობა იყო. დათომ თავის სტუმრებს ჩემი თავი წარუდგინა და მეც შევუერთდი მათ კამპანიას. ვსაუბრობთ ყველაფერზე,

ახალგაზრდები რიდით არიან ჩემ მიმართ. ბოლოს ერთმა მათგანმა მთხოვა, იქნებ გამეცოცხლებინა ის დრო, როცა აქ ყვაოდა ქრისტიანული კულტურა, ეკლესიაში ზარები რეკდა, ტარდებოდა წირვა, ნათლობა და ა. შ.

მე დავაკმაყოფილე სტუმრის თხოვნა და ჩემებურად აღვწერე თუ დავხატე სხალთის ეკლესიის საერთო გარემო ჩვენი კულტურის აყვავების ხანაში... საღამოს სახლში დაბრუნებულმა ყველაფერი ეს ჩავიწერე.

ამ ამბიდან გავიდა წლები და 1986 წლის გაზაფხულზე ჩემი ნაწერების დახარისხებისას ამ წერილს გადავაწყდი. იმ ღამესვე გადავამუშავე, გადავბეჭდე და სათაურით – „სხალთის ხეობის მშვენება“, მეორე დღეს ხუთშაბათს მივიტანე „ლიტერატურულ საქართველოში“. იმ დროისთვის სულ რამდენიმე წერილი მქონდა გამოქვეყნებული სხვადასხვა თემაზე და რედაქციებთანაც არ ვიყავი

გაშინაურებული. მორიდებით შევაღე გაზეთის რედაქტორის – ვახტანგ ჭელიძის კაბინეტის კარი და გადავეცი წერილი. თანაც მოვუბოდიშე, რომ შევაწუხე.

ვნახავო, მითხრა რედაქტორმა და მეც წამოვედი. თხუთმეტი წუთის შემდეგ სამსახურში – ფილოსოფიის ინსტიტუტში ვიყავი, სადაც დამახვედრეს ამბავი, რომ ბატონ ვახტანგ ჭელიძესთან უნდა დამერეკა. როგორც კი ყურმილში რედაქტორის ხმა გავიგონე, დავიწყე ბოდიშებით ჩემი „ნაცოდვილარის“ გამო. ბატონმა ვახტანგმა საუბარი გამაწყვეტინა და მითხრა: „რას ამბობ, წერილი ისე მომეწონა, სხვა მასალა ამოვიღე და ხვალინდელ ნომერში გავუშვიო“.

მეორე დღეს შალვა ხიდაშელთან ვიყავი ოჯახში. მოვიდა ვახუშტი კოტეტიშვილი, გადამეხვია და მილოცავს. ვერ გავიგე რაში იყო საქმე. მან კი მიპასუხა, რომ წაიკითხა ჩემი ეს წერილი და ცრემლები ღაპაღუპით მომდიოდა, როგორ კარგად გაქვს აღწერილი ჩვენი ტკივილიანი ისტორიაო.

მოკლედ, ასე დაიწერა „სხალთის ხეობის მშვენება“, რომელიც შემდგომ ჩემს ორ კრებულში შევიტანე და ახლაც ძალიან მომწონს.

მემედ-ეფენდი (1894-1987)

ცხოვრებაში სხვადასხვა კონფესიის არაერთ სასულიერო პირს შევხვედრივარ, მათ შორის, უმაღლეს იერარქებს. მაგრამ ისეთ შთაბეჭდილებას, როგორიც ჩემზე დატოვა თხილვანელმა (ხულოს რაიონი) მემედ-ეფენდიმ (სწორედ ასე მოხსენიებდნენ მოლა მემედ ბოლქვაძეს) სხვებთან მიმართებაში, ვერ ვიხსენებ.

მემედ-ეფენდის სასულიერო განათლება თურქეთში ჰქონდა მიღებული. მას, რამდენადაც ვიცი დიდი სასულიერო რეგალიები არ ჰქონია. ის უფრო ცნობილი იყო, როგორც მოძღვარი, დამრიგებელი და უაღრესად კეთილშობილი ადამიანი. იშვიათი გამონაკლისის გარდა, მას რიდითა და პატივისცემით ეპყრობოდნენ რელიგიის მსახურთა მკაცრი და შეურიგებელი მოწინააღმდეგები, საბჭოთა პარტმუშაკებიც კი.

ისიც გამიგონია და წამიკითხავს (იხ. ჯემალ ბერიძის წიგნი – „მამა“. თბილისი, 2012, გვ. 251-252), რომ თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე მყოფ მემედ-ეფენდის შუადღის ნამაზის შესასრულებლად სალოცავი მოუკითხავს. შვილს – სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტს, უთქვამს, რომ მუსლიმთა სალოცავი ორთაჭალაშია და აქედან საკმაოდ შორს.

მემედ-ეფენდის უთქვამს, რომ ის ქართველების სალოცავი არ არის და მახლობელი ეკლესიით დაინტერესებულა. შესულან ქაშუეთში. ეკლესიის მოძღვარს მისთვის ნამაზის რიტუალის აღსრულებისთვის (ე. წ. განბანვისთვის), ტაშტი და წყალი მოუტანია, შემდეგ კი ფარდაგი გაუფენია ლოცვის შესასრულებლად. ასე და ამგვარად, ქაშუეთის ქრისტიანულ ეკლესიაში ზემო აჭარის ცნობილ მუსლიმ სასულიერო პირს მემედ-ეფენდი ბოლქვაძეს ნამაზი შეასრულებინა. ეს უნიკალური შემთხვევა კი მომხდრა გასული საუკუნის 60-იან წლებში.

ჰოდა, სწორედ ასეთ გონიერ და ღვთისნიერ პიროვნებასთან მარგუნა ბედმა შეხვედრა 1981 წლის ზაფხულში. იმ ზაფხულს ცხოვრებაში პირველად და უკანასკნელად ვისვენებდი მაღალმთიან კურორტ ბეშუმში. აქვე მომივიდა სამწუხარო ამბავი, რომ ტრაგიკულად დაღუპულიყო მამაჩემის ბიძაშვილი. სოფელში მისულს მითხრეს, რომ ამ ამბავთან დაკავშირებით სოფელს სტუმრობდა მემედ-ეფენდი. უკვე გვიანი იყო და მემედ-ეფენდი სხვა სტუმრებთან და სოფლის უხუცესებთან ერთად დაღუპულის მეზობლის ოჯახში ისვენებდა.

მეც მივედი იმ ოჯახში და ერთხანს ვუსმენდი ასაკოვანი ადამიანების ტკბილ მასლაათს. როგორც კი ამის საშუალება შეიქმნა, მასპინძელმა მთავარ სტუმარს ჩემი თავი წარუდგინა და ჩემი

მოკლე ბიოგრაფიაც გააცნო. აღმოჩნდა, რომ სტუმარი კარგად იცნობდა ჩვენს ოჯახს და როცა გაიგო, რომ სწორედ მათი სოფლის ახლო მთაში გარდაცვლილი ახალგაზრდა მასწავლებლის შვილი ვიყავი, გულისტკივილით გაიხსენა ეს ისტორია. იქვე, გვერდით, მჯდომ მასპინძელს დაბალი ხმით ჰკითხა: „ეს ახალგაზრდა თუკი თბილისში ლექციებს კითხულობს, ხელფასი იმდენი არა აქვს, რომ შესაბამისად ჩაიცვასო?“.

საქმე ის იყო, რომ მე კურორტიდან მოვდიოდი და შესაბამისად ვიყავი ჩაცმული, რის შესახებ, რა თქმა უნდა, არაფერი იცოდა მემედ-ეფენდიმ. მე ეს შენიშვნა ჩვეულებრივად მივიღე. მალე სტუმარმა საუბარი მოულოდნელად შეწყვიტა, ფეხზე წამოდგა და ჩემთან მოვიდა. მე ფეხზე წამოდგომა დავაპირე, მაგრამ მან თავზე ხელი დამადო და იჯექიო. შემდეგ მოიბოდიშა და მითხრა: „ლამაზად ვერ გითხარი და ბერიკაცს თუ მეპატიებაო“.

მარტო მე კი არა, ყველა გაოცებული დარჩა სტუმრის ქცევით. ადამიანი, ვისაც ყველა იქ მყოფი, როგორც განსაკუთრებულსა და გამორჩეულს, ისე უყურებდა, მისი უბრალო, მისივე აზრით, უტაქტობის გამო, მოუბოდიშა ახალგაზრდა კაცს.

სულოს იასაღი

როგორც ყოველ სოფელს, ისე ჩემსას, საკმაო ჰყავს ამაგდარი ადამიანები. ზოგიერთს გზა მოუყვანია სოფელში, ზოგიერთს – არხები, ვიღაცას სკოლის შენობისთვის საკუთარი მიწის ნაკვეთი გადაუცია უსასყიდლოდ, ვის სკოლა გაუხსნია და ვის სკოლა აუშენებია, ვიღაცამ ომში ისახელა თავი, ასევე სწავლაში, მეცნიერებაში, სახელმწიფო სამსახურში და ა.შ. მაგრამ მათი სახელები და დამსახურებები სოფლის ტოპონომიკაში არ არის ასახული. სამაგიეროდ, სოფელში არის გელაძეების უბანი, ფეთოშვილის კალო, მაკარახევი (მაკარას ან მაკარის ხევი), იდრისახო (იდრისის საყანე ნაკაფი). მაგრამ კაცისშვილმა არ იცის, ვინ იყვნენ გელაძეები, ვინ იყო ფეთოშვილი ან მაკარი თუ მაკარა, იდრისი.

რაც ითქვა ამის ფონზე გაკვირვებას იწვევს სოფლის ერთი ადგილის სახელწოდება – „სულოს იასაღი“ (სულოს ნაკრძალი). ეს სახელი 25-30 წლის წინ გაჩნდა. ამ ნაკრძალის ტერიტორიას პატრონობდა სულო (სულეიმან) ცეცხლაძე.

საერთოდ ვინ იყო ეს სულო? სულოს არც ოჯახი ჰქონია და არც სახლი და არც არავითარ მეურნეობას არ მისდევდა. სრულიად უსაფუძვლად და გაუგებრად ედავებოდა მის ერთადერთ პატიოსან ძმას. მისი საცხოვრებელი, ძირითადად, ჩვენი სოფელი იყო, შიგა და შიგ მეზობელი სოფლები და ძალიან იშვიათად – რაიონის სხვა სოფლები. მოკლედ, სულო ერთ ღამეს ერთ ოჯახში იყო სტუმრად, მეორე ღამეს – მეორე ოჯახში და ა. შ. იშვიათად, რომ ზედიზედ ორი ღამე გაჩერებულიყოს ერთ ოჯახში. საკუთარ სოფელში ერთ წრეზე რომ გავიდოდა, ერთი კვირით რომელიმე მეზობელ სოფელში დაიკარგებოდა და ისევ დაიწყებოდა მისი ახალი წრე ჩვენს სოფელში.

სულოს არავინ უჯავრდებოდა და როცა რომელიმე ოჯახში გამოჩნდებოდა, ამას ჩვეულებრივად იღებდნენ. ერთი კი იყო – სოფელში, და არა მხოლოდ მის სოფელში, დამკვიდრდა გამოთქმები: „რავა სულოსავით დადიხარ“, „სულო ხომ არა ხარ“, „სულოსავით დაგიღამდა“ და სხვა.

სულო გასული საუკუნის 80-იან წლებში გარდაიცვალა. ის კი არ ვიცი, ტყის იმ მონაკვეთს, რომელსაც დროდადრო სულო იცავდა, სოფელმა „სულოს იასაღი“ როდის შეარქვა – სიცოცხლეში თუ მისი სიკვდილის შემდეგ. ეჭვგარეშეა, რომ ეს სახელი ისევე შემორჩება სოფელს, როგორც ზემოთ ნახსენები – „ფეთოშვილის კალო“, „მაკარახევი“ , „იდრისახო“ თუ „გელაძეები“.

რა არის ეს ყველაფერი – შემთხვევითობა თუ სულაც რაღაც უხილავი კანონზომიერება, ვერაფერს ვიტყვი. ეს მოვლენა ჩემთვის იდუმალებათა სფეროა.

ფიჭვის ტოტის „სევდა“

ჩემს სოფელში, ბახმაროს უბანში, მიმავალი გზიდან 4-5 მეტრის ქვემოთ გადატეხილი ფიჭვი ჯერ კიდევ სოფელში ცხოვრებისას შევამჩნიე. გადიოდა დრო და გადატეხილ ფიჭვს განსაკუთრებით გაეზარდა ერთი ტოტი და დროთა განმავლობაში ამ ტოტმა გასაოცარი – დათვის ჩონჩხის ფორმა მიიღო.

2000 წელს იმ უბანში მცხოვრები მეზობელ-ნათესავების თანხმობითა და დახმარებით ფიჭვის ხეს მოვაჭერ ეს ტოტი, კანი და ზედმეტი ნაწილები მოვაცილეთ და ჩემი სოფლის სახლის ბაღში დავუდეთ ბინა. რამდენიმე წლის შემდეგ ხის ჩონჩხი ბათუმის აკვარიუმს გადავეცი საჩუქრად. მას აკვარიუმის შესასვლელში, თევზების აუზთან მიუჩინეს ადგილსამყოფელი. ფიჭვის ტოტი-ჩონჩხი აკვარიუმის დამთვალიერებელთა, ტურისტთა დიდი მოწონებით სარგებლობდა.

მეც მოვინახულებდი ხოლმე ჩემს ნაფერებ ტოტს და ზოგჯერ თითქოს მეჩვენებოდა, რომ მსაყვედრობს, რატომ მოვწყვიტე მშობლიურ გარემოსო.

მაღხაზ ჩოხარაძე

ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი ანზორ კუდბას შემოქმედებაში

შესავალი

ანზორ კუდბა – მწერალი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელისმომწერი – მე-19 საუკუნის შუა ხანებში აჭარაში ჩამოსახლებულ აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავალია. იგი ბათუმში მოღვაწეობს და მკითხველი კარგად იცნობს მის, ორიგინალური ხელწერით გამორჩეულ, შემოქმედებას, რომელშიც ასახულია როგორც თანამედროვე საქართველოს პრობლემები, ასევე ამ პრობლემათა წინაშე მდგარი ადამიანის ურთულესი სულიერი სამყარო.

ანზორ კუდბას შემოქმედების გაცნობა გულისხმობს შეხებას მისი თხზულებების, მეტადრე, რომანების, ფსიქოლოგიურ, მისტიკურ, სიმბოლურ თუ რეალისტურ ფენებთან, მრავალგანზომილებიან, რთულ სტრუქტურასთან. არაერთხელ აღნიშნულა ქართულ კრიტიკაში, რომ მწერალი ფსიქოლოგიური პროზის მიმდევარია (ბიბილეიშვილი, 2005: 145), რომ მისი მიზანი ღმერთის, სამყაროსა და ადამიანის არსობის, სულიერებისა და ყოფიერების მარადიულ კითხვებზე პასუხის გაცემაა (მსხილაძე, 2004:10), ადამიანის სულიერ სამყაროში ჩაღრმავების მცდელობაა (შოთაძე 2017:122)...

ანზორ კუდბას მოთხრობების პირველი კრებული 1986 წელს გამოვიდა. დღეს იგი მრავალი წიგნის ავტორია. კერძოდ, „სიცოცხლის დედა“ (მოთხრობები) – 1986 წელი; „ზენაქარი“ (რომანი) – 1998 წელი; „აპოკალიფსი“ (რომანი) – 2001 წელი; „უჟამო ჟამი“ (რომანი, მისტერია) – 2004 წელი; „დროის წიგნი“ (პოემა) – 2011 წელი; „ფიქრის სავარძელი“ (რომანი) – 2013 წელი; „მარიამ მაგდალინელი“ (მისტერია) – 2014 წელი; „დიდი წვიმის სიმფონია“ (მოთხრობები) – 2015 წელი.

ფართოა ანზორ კუდბას თხზულებებში ასახულ ეპოქათა ქრონოლოგიური ჩარჩო, თუმცა მნიშვნელოვანი ადგილი აწმყოს უჭირავს, ანუ მხატვრული ასახვის ობიექტი, სათქმელის გამოსახატავად მოხმობილი მასალა, საკმაოდ ხშირად, სწორედ მწერლის თანადროული კონკრეტულ-ისტორიული ფაქტები და მოვლენები, ჩვენ თვალწინ განვითარებული მწვავე პოლიტიკური პროცესებია: ეს ამჟამინდელი საქართველოა, ქაოსური, წინააღმდეგობრივი, სისხლიანი... ნაზა-

ვი სიკეთის და ბოროტების, შენების და ნგრევის, მშვიდობის და ომის... ამგვარ რეალობაზე დაფუძნებული მხატვრული სამყარო, ანზორ კუდბას ბელეტრისტიკა, თვალნათლივ წარმოაჩენს მწერლის არსებაში ჩაკირულ ტკივილსაც. ტკივილი კი, როგორც შემოქმედის სულის ნაწილი, პირველივე თხზულებიდან მოდის და შემდეგ დაუსრულებლად გრძელდება სხვა ნაწარმოებებშიც, როგორც ერთი მთელის, ერთი ფიქრის სხვადასხვა ფრაგმენტი, რომელთაც ცალკეული თხზულებების წიგნებად გამოცემის თარიღთა შესაბამისად აჩნია დროის ნაჭდევები... რასაკვირველია, „წიგნიდან წიგნში გადასვლა“ არ გულისხმობს გამეორებას; ამ შემთხვევაში უნდა ვისაუბროთ დიდ საფიქრალზე, ფიქრის სხვადასხვა ეტაპსა და საფეხურზე, პრობლემის დეტალურ ანალიზზე, სხვადასხვა კუთხიდან, სიბრტყიდან, განზომილებიდან დაკვირვების პროცესზე.

თანამედროვეობის ამსახველ თემატურ რკალზე თავიდანვე ვამახვილებ ყურადღებას იმიტომ, რომ ქვემოთ, ძირითადად, სწორედ ამ კუთხით შევეხები მწერლის შემოქმედებას და, თუ სათქმელს კიდევ უფრო დავაზუსტებთ, ამჯერად ჩვენი ინტერესის ძირითადი ობიექტი ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობაა – ეს საანალიზო თხზულებათა ერთ-ერთი ძირითადი თემაა, რაც, ბუნებრივია, მეტ აქტუალობას სძენს ისედაც მრავალი თვალსაზრისით საყურადღებო ნაწარმოებებს. თუმცა, სანამ უფრო ფართოდ განვიხილავდეთ ხსენებულ თემას, უნდა აღინიშნოს, რომ ანზორ კუდბას ბელეტრისტიკა ზოგადად და, კერძოდ, მასში წარმოჩენილი დეტალები ქართულ-აფხაზური დაპირისპირებისა, არ ემორჩილება ერთ რომელიმე შაბლონს. პირიქით, ეს თხზულებები ყოველგვარი შაბლონის და სტერეოტიპის მიღმა დგას – სტრუქტურითაც, შინაარსითაც, იდეური მრწამსითაც და სათქმელის გამოხატვის მანერითაც. აქ არ არის დახატული არც ჰეროიკული და არც რომანტიკული სამყარო, ვერ შეხვდები მაინცდამაინც „კარგ ქართველს“ და „ცუდ აფხაზს“ ან პირიქით, „კარგ აფხაზს“ და „ცუდ ქართველს“. აქ უფრო ძიებაა, განსჯა... აქ ავს ავი ჰქვია და კარგს – კარგი. შემოქმედი ცდილობს, ობიექტურად აწონოს ტრაგედიის მონაწილე ყველა მხარის სიკეთეც და ბოროტებაც, მხატვრულ სახეებში ჩამოასხას სიმართლე. სწორედ ეს განსჯა, ძიება და ამავე ველში მოქცეული ნარატიული ჩარჩო განსაზღვრავს ანზორ კუდბას მთელი შემოქმედების შინაგან მთლიანობას, წარმართავს თანაწყობას სიუჟეტური ხაზებისა, რომლებიც თითქოს ერთიანდება, ფოკუსირდება უფრო ფართო კონტექსტში.

ამდენად, მიუხედავად თემატური მრავალპლანიანობისა და პრობლემათა ფართო სპექტრისა, ანზორ კუდბას შემოქმედება საქვეყნო ტკივილითაა აღბეჭდილი და მასში, ზოგადადამიანურის და ზოგადსაკაცობრიოს კვალდაკვალ, ყურადღება ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პრობლემებზეა გამახვილებული. „აფხაზეთი ჩემი ოცნება – ჩემი მშობლიური მხარე; საქართველო – ჩემი სიცოცხლე და მარადი ფიქრი, აფხაზეთი – ტკივილი ჩემი და საქართველო – დიდი სატკივარი“ (მსხილაძე, 2014:2), – ამბობს მწერალი და ეს სიტყვები მთელი მისი შემოქმედების განწყობას იტევს...

§1. ფრონტის ხაზებით დასერილი საქართველო

„რაინდები“ ნიკო ლორთქიფანიძის ცნობილი ნაწარმოებია და მისი ეპიგრაფიც ბევრს ეხსომება: „ვისაც გამოუცდია დიდი ავადმყოფობა, ახსოვს ბოდვა, ტკივილების დროს, ჩანგი თუ არა, ზღაპარი მაინც მოუსმენია, – ის გაიგებს ჩემს სულისკვეთებას და სასიამოდ დარჩება არეული ისტორიის, დავიწყებული ზეპირგადმოცემული და დაღლილი ოცნების ხლართი, მწარე ღამეებში ნაღვლიანი ფიქრების გასაფანტავად შეკონილი“.

ნაღველის გაფანტვისა რა მოგახსენოთ და „არეული ისტორიის“ ფრაგმენტი „რაინდებში“ შინაომია: ოდიშის და აფხაზეთის სამთავროთა

შორის წინააღმდეგობა დაუძლეველი აღმოჩნდა და საქმე ომამდე მივიდა. ოდიშის მთავარმა დახმარება იმერეთის მეფეს, თავის ნათესავს, სთხოვა. მანაც დაუყოვნებლივ გაუწოდა დახმარების ხელი და ბრძოლაც შედგა. აფხაზეთის მთავარი ბრძოლაში დამარცხდა.

საუბედუროდ, შინაური აშლილობა ჩვენი ქვეყნის წარსული ცხოვრების თანამდევი ჭირი იყო მრავალი საუკუნის განმავლობაში და ასეა დღესაც. შეუჩნდებოდა პატივმოყვარეობის ჭია რომელიმე ერისთავს თუ ათაბაგს და... იმ ჭიას თავისიც ჰყოფნიდა, თუმცა შორიდანაც ხშირად აცხოველებდა ხოლმე მის მადას რომელიმე ამირა თუ ნოინი, შაჰი თუ ხონთქარი, იმპერატორი თუ პრეზიდენტი... გადარჩენის გზა რომ ერთიანობაა, ამას მხოლოდ საქართველოს ისტორია როდი მოწმობს და განკერძოების შედეგების თვალსაჩინო მაგალითებსაც არ სჭირდება განსაკუთრებული ძებნა – საუბედუროდ, ბევრჯერ ყოფილა, როცა „ორნივე დაღალული“ ხან ძაღლს შეუჭამია, მგლისფერს, ხან მგელს, ხან, სულაც, დათვს...

„რაინდებისთვის“ მაინცდამაინც იმიტომ არ მიმიმართავს, ნიკო ლორთქიფანიძის მიერ აღწერილ წარმოსახვით შინაომში დაპირისპირებულთა შორის აფხაზეთი რომ ფიგურირებს. არც ამ ნაწარმოებში დასმულ პრობლემათა ანალიზს ვაპირებ. მე მხოლოდ ქართული მწერლობის ერთ არსებით თვისებაზე მინიშნება მინდა, „რაინდები“ კი ერთ-ერთი მაგალითია და არა ერთადერთი: ქართულმა მწერლობამ ვერ შეიძულა შინაომში ერთმანეთის პირისპირ მდგარი ძმებიდან რომელიმე მხარე*... ბოროტება დაგმო, მკაცრადაც ამხილა – მუქი საღებავი არ დაუკლია და არაფერი შეულამაზებია – ომის სისასტიკეზეც მიუთითა, სისხლიან აბსურდზეც, უგნურებაზეც, სამარცხვინო ქმედებებზეც... შეძულებით კი – ვერ შეიძულა, არც სიძულვილი გაუღვივებია დაპირისპირებულთა შორის, ყოველთვის ტოვებდა შერიგების – ე. ი. გადარჩენის გზას...

ამ ტრადიციის ნაწილია ანზორ კუდბას შემოქმედებაც, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი აფხაზეთის თემას უჭირავს. „ფიქრის სავარძელში“, მაგალითად, აფხაზური მოტივი დალის მხატვრული სახით შემოდის – ჯერ მკრთალად, შემდეგ უფრო მკაფიოდ და არსებითად. ნოეს ერთ-ერთი ხილვა საომარ მოქმედებათა სურათებს, კერძოდ, ტყვეობის ეპიზოდებს აცოცხლებს. ფსიქიატრიული საავადმყოფოს პაციენტის დაბინდული ცნობიერება თანდათან იწმინდება და ნაომარ ჯარისკაცს ახსენდება, რომ მისი დამტყვევებელი „სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ქალების რაზმი“ იყო. ტყვეობაში მყოფი მალევე გააცნობიერებს, რომ რაზმის წევრები „ქართულად არ ლაპარაკობენ, არც რუსულად“. ესე იგი, „აფხაზები ყოფილან.“ მართალია, ნოემ აფხაზური არ იცის, მაგრამ მას „ყველა სხვა ენაში“ გამოარჩევს („ფიქრის სავარძელი“: 54).

რომანის რთული და მრავალწახნაგოვანი სიუჟეტური რკალის ერთ-ერთი ძირითადი საყრდენი ნოეს და ამ რაზმის მეთაურის ურთიერთობაა – სისხლის წვიმაში გაჩენილი მოულოდნელი გრძნობა სიყვარულისა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ სიყვარულს თხზულებაში ერთობ მნიშვნელოვანი სიმბოლური დატვირთვა აქვს და ქართულ-აფხაზური ურთიერთობის, წარსულის, აწმყოს, სამომავლო პერსპექტივის არაერთ დეტალს ან თვალსაჩინოდ წარმოაჩენს, ან მიანიშნებს – ფრთხილად, მოზომილად და ამასთან – ტკივილით. მხატვრული ფუნქციის თვალსაზრისით, არანაკლებ საყურადღებოა აფხაზი ვაზას და ქართველი თამარის, ქართველი ალმაზგირის და აფხაზი ნატოს სიყვარული („უჟამო ჟამი“).

„ფიქრის სავარძელში“ ტყვისა და დამატყვევებლის საუბარი იმ საჭირბოროტო თემასაც ეხე-

* რა თქმა უნდა, საზოგადო სურათზე ვლაპარაკობ, შემოქმედებით ფანტაზიას კი საზღვარი არ აქვს და კონკრეტული გამოვლინების მრავალი ვარიანტი შეიძლება არსებობდეს, კაზმულსიტყვაობა ცხოვრების ანარეკლი კი არის, მაგრამ მთლად ცხოვრებაც არაა... ანგარიშგასაწევია ეპოქათა ტენდენციებიც: ნიკო ლორთქიფანიძესთან შინაომი ნადიმით მთავრდება, 21-ე საუკუნეში კი ნადიმის ადგილი აღარ არის, მიზეზთა და მიზეზთა გამო გაჩენილი დაპირისპირება უფრო შორს წასულა და რაინდობითვის, – რაინდობის პაროდიისთვისაც კი – ადგილი აღარ დარჩენილა... ცნობილია ისიც, რომ განაპირებული აფხაზეთის მწერლობაში უკვე ჩნდება ბოროტებით სავსე ქართველის ლიტერატურული პერსონაჟი. მეტიც – სტერეოტიპად ყალიბდება...

ბა, რომელმაც მათი შეხვედრა განაპირობა. ესაა ომი. რა თქმა უნდა, ცნება „საუბარი“, ამ შემთხვევაში, პირობითია. ეს არც ის კამათია, რომელშიც ჭეშმარიტება იბადება ხოლმე. ეს დიალოგი აზრთა ორი, ერთმანეთისგან მკაცრად გამიჯნული მდინარებაა, რომლებიც პარალელურად მიედინებიან, ერთმანეთს არ კვეთენ და, ურთიერთობის ამ ეტაპზე მაინც, კომპრომისს გამორიცხავენ: ქართველი თავისი სამშობლოს ერთიანობისთვის იბრძვის და მისთვის გამარჯვება ნიშნავს აფხაზთან ერთად ერთ ქვეყანაში ცხოვრებას. აფხაზი ამ ერთიანობის წინააღმდეგ იბრძვის და მისთვის კეთილი მომავალი ქართველის (ქართული სახელმწიფოს) გარეშე ცხოვრებაა...

აფხაზი უფრო რადიკალურია. მის არსებაში წაშლილია ზღვარი სუბიექტურსა და ობიექტურს შორის. უკან მოსახედსაც აღარ ტოვებს და სპობს ყოველგვარ საყრდენს, სამომავლო შერიგების საფუძვლად რომ გამოდგება. აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ დიალოგი, რომელზედაც ყურადღებას ვამახვილებთ, ომის დროს მიმდინარეობს, სადღაც, მეომართა საველე ბანაკთან თუ ფრონტის რომელიღაც ხაზზე... ომი კი რაფინირებული და აკადემიური ბაასის ადგილი როდია. ომი ის ეტაპია ურთიერთობისა, როცა სიტყვამ, მეტადრე პოლემიკურმა განსჯამ, ამოწურა თავისი შესაძლებლობები და ფუნქცია, როცა დაპირისპირება მტრობაში გადაიზარდა, როცა სისხლის მდინარეები წამოვიდა...

ამდენად, უკვე გასაკვირი აღარაა, რომ აფხაზი მეომრის სიტყვებში აშკარა და თვალსაჩინოა ყველა ის მოტივი, რომელიც პირველი ნაბიჯებიდანვე საზოგადოდ იყო დამახასიათებელი აფხაზეთის ანტიქართული მოძრაობისთვის.

„– ვიცი, ვისაც ვებრძვი, – გადაჭრით აცხადებს ამორძალთა რაზმის მეთაური, – სამშობლოს ვიცავ. შენ თავს მესხმი ქართველო და მოკვდები!“ აფხაზი მეომრის აზრით, ამ ცის ქვეშ ორის ადგილი აღარაა, ამიტომ მტრის დანდობა გამორიცხულია. ან ერთი უნდა გადარჩეს, ან – მეორე.

„შენ არა და მე უნდა მოვკვდე მაშინ...“ – ამ რადიკალიზმს განაპირობებს უპირატესად ის, რომ აფხაზთა და ქართველთა ურთიერთობაში თავიდანვე ჩარეული იყო ავისმოსურნე მესამე ძალა – ის უფრო ვერაგი აღმოჩნდა, ამასთან, ძლიერი, მიზანმიმართული... და შეძლო მოძმეთა არათუ დაპირისპირება, არამედ სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდება. შესაბამისად, აფხაზმაც დაიჯერა, რომ ქართველი მტერია, ხოლო ის, ვინც ქართველთან გადაამტერა – მოყვარე. ასეთი ვითარებაა „მიმდინარე ეტაპზე“, ამიტომ მისთვის ზემოხსენებული ეტაპის უმთავრესი ამოცანა ქართველისგან და საქართველოსგან თავის დაღწევაა!

ქართველის, როგორც მტრის სტერეოტიპი კი მის ცნობიერებაში თანდათან ჩამოყალიბდა სწორედ ზემოხსენებული ვითარებიდან გამომდინარე და თუ გავითვალისწინებთ ამ ვითარების ბუნებას და სულისკვეთებას, ძნელი წარმოსადგენი არაა აფხაზი პერსონაჟის ცნობიერებაში ჩაბეჭდილი მტრის (ქართველის) ხატი.

აფხაზს სჯერა, რომ ქართველი „ქვეყანას ართმევს“, „აფხაზური სისხლით და ოფლით“ გაჟღენთილ მიწას ედავება. აფხაზეთი ქართული მიწა არაა, „ვერ ასდის მას ქართული სუნი“. წინათ აქვე მცხოვრებ ქართველს ძმად მიიჩნევდა, მაგრამ, მისი აზრით, ეს დრო წარსულში დარჩა და აწი ვეღარ გაუყოფს თავის საარსებო სივრცეს. შესაბამისად, უნდა გათავისუფლდნენ ერთმანეთისგან, შვებით ამოისუნთქონ, კარგ მეზობლებად იქცნენ და მერე „დრო გვეტყვის, როგორ მოვიქცეთ“ („ფიქრის სავარძელი“: 58).

ქართველის პოზიცია მკაფიოა, მაგრამ ნაკლებად რადიკალური. „ნაკლები რადიკალიზმი“ არ გულისხმობს შემრიგებლურ პოზიციას, კომპრომისს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის რაიმე ფორმით დაშვების ხარჯზე. შეთანხმების საფუძველი შეიძლება იყოს მხოლოდ სიყვარული და პატივისცემა, ძმური ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია და ისტორია. აქედან გამომდინარე ეძებს ზემოხსენებულ პარალელურ დინებათა შემაერთებელ ხაზებს ნოე. მას არ შეუძლია, უარი თქვას ძირძველ ქართულ მიწაზე. მისთვის აფხაზეთი

ორივესია, ქართველების და აფხაზების. მათი მომავალი უეჭვოდ და უპირობოდ ერთი ცის ქვეშ, ერთ სახელმწიფოში წარმოუდგენია. თვით ომის პირობებშიც კი ამის დავიწყება დაღუპვის ტოლფასია ორივესთვის. ყველაზე დიდი უსამართლობა კი ისაა, რომ გადამთიელს უნდა სათავისოდ ეს მიწა, ფეხიც მოუკიდებია მყარად და თავადვე წერს სცენარის ძირითად და ყველაზე ტკივილიან ეპიზოდებს; ფაქტია, რომ ამ, თითქოსდა აფხაზთა საშველად და შემწედ მოსული, მესამე ძალის მოქმედება დამღუპველია აფხაზებისთვისაც და ქართველებისთვისაც.

ორ სიტყვაში ჩატეული დოქტრინა „დაჰყავი და იბატონე“ ძველისძველია და მრავალგზის ნაცადი მრავალი იმპერიის მიერ. არათუ ჩვენს ეპოქაში, არამედ მეოცე საუკუნეშიც, მეცხრამეტეშიც და მანამდეც, მისი გამოყენების არაერთი ვარიანტი ვიხილეთ კავკასიაში. ამ პოლიტიკის ნაწილია აფხაზური სცენარიც, რომელიც მეტად მოხერხებული ბერკეტი აღმოჩნდა რუსეთისთვის, როგორც საქართველოში, ასევე ჩრდილო კავკასიაში სიტუაციის სამართავად.

ორი ან რამდენიმე ერის ურთიერთობის აღწერისას არცთუ იშვიათად არის ხოლმე შესაფერისი ცნებები: „უთანასწორობა“, „დისკრიმინაცია“, „მონობა“... მაგრამ სანთლით საძებარი როდია თანასწორი, პატივისცემის გრძნობით გამსჭვალული, გულწრფელი ურთიერთობა, რომელსაც მონობა კი არა, ერთობა ჰქვია და მას შობს მრავალსაუკუნოვანი კეთილმეზობლობა, ერთიანობა ისტორიისა, კულტურისა, ტრადიციებისა, ყოფისა, ოჯახებისა... ამ ღირებულებათა უგულებელყოფა დაპირისპირებამდე და, ზოგჯერ, ომამდე მიდის. ძმათა ომში კი გამარჯვებული არ არსებობს. უფრო ზუსტად, როცა ძმები მარცხდებიან, ყველაზე ხშირად გამარჯვებული რჩება რომელიმე მესამე, ვისაც სინამდვილეში ორივეს ძლევა, დასუსტება და დათრგუნვა მოუნდომებია.

აქ საქმე მხოლოდ ქართველებს და აფხაზებს, ან ქართველებს და ოსებს როდი ეხება. ეს გაუთავებული ომიანობა – კავკასიის ხალხების (მათ შორის ქართველების, აფხაზების, ოსების) მტკიცე კავშირის და, შესაბამისად, ერთიანობის მოსალოდნელი შედეგის – ჭეშმარიტი თავისუფლების – წინააღმდეგ ბრძოლაა. ეს სიტყვები არც პათეტიკაა და არც რომანტიკულ იდეათა ანარეკლი. დამპყრობთა თარეშის მრავალსაუკუნოვან რეალობაში ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობა ოდესმე შეიძლება მართლა ქცეულიყო კავკასიელ ხალხთა მონოლითურობის მაგალითად და ერთ-ერთ მყარ საფუძვლად... თავისუფალ კავკასიელთა ერთიანობა კი არასდროს შედიოდა ზემოხსენებულ დამპყრობელთა, მეტადრე, იმპერიების, პრაგმატულად გათვლილ და შორს გამიზნულ გეგმებში. ამიტომაცაა, რომ ისტორია დაჟინებით მეორდება: თვით კავკასიელები იბრძვიან ერთმანეთის, ე.ი. მთლიანობის, ე.ი. თავისუფლების წინააღმდეგ...

ის დრო დამდგარა, რომ აფხაზები და ქართველები... მხოლოდ მაშინ თუ ახერხებენ მოლაპარაკებას, როცა, სასტიკი შეტაკების შემდეგ, დაღუპულთა ცხედრებია ამოსაცნობი და დასამარხი. „აპოკალიფსში“ სწორედ ასეთი სურათია წარმოდგენილი და მოლაპარაკების ეპიზოდი, მეტად ლაკონიურად, მაგრამ თავზარდამცემი ნატურალიზმით ასახავს ობიექტურ რეალობას და ამასთან, ომის მთელ აბსურდს:

„უპატრონოდ დაყრილ გვამებს აუტანელი სუნი ასდით.

მოვილაპარაკოთო, დუმილი ქართველთა მხარემ დაარღვია.

– მოვილაპარაკოთ. მოულაპარაკებელი რა გვჭირს აფხაზს და ქართველს, – უპასუხეს აფხაზებმაც.

მოილაპარაკეს კიდეც.

გადაწყდა, ყველა თავის მკვდარს მიხედავდა.

ეს იყო მეოთხე დღე ბრძოლის დაწყებიდან“ („აპოკალიფსი“: 24)...

ნურავინ იტყვის, თითქოს კავკასიელებმა, მათ შორის, ქართველებმა და აფხაზებმა ვერაფერი გაიგეს ზემოხსენებული დოქტრინისაო. ამის დანახვა, ან გაგება არ არის ძნელი (მეტისმეტად ნათლად ჩანს ყველაფერი)... სა-

მაგიეროდ მასთან დაპირისპირება, მისი დაძლევა აღმოჩნდა შეუძლებელი. უფრო იმიტომ, რომ ვინც ამ დოქტრინას იყენებს, ვერაგია, უსაზღვრო ძალის მქონეა და შესწევს უნარი, მოვლენათა განვითარების სასურველი სცენარი მოახვიოს იმპერიის მორჩილებაში მყოფ თუ მასთან დაპირისპირებულ ხალხებს – მაშინაც კი, როცა ასეთი სცენარი ამავე ხალხებისთვის მაქსიმალური ზიანის მომტანია დღესვე ან ახლო თუ შორეულ მომავალში. უსაზღვრო ტკივილით აღსავსე ერთ-ერთი მაგალითი წარსულისა – მუჰაჯირობაა. ამის სათქმელადაც არის ჩართული აფხაზთა მუჰაჯირობის ტრაგიკული ეპიზოდები „უჟამო ჟამში“ (გვ. 101-110), ამავე ტრაგედიაზეა მინიშნება – „ფიქრის სავარძელში“ (გვ. 62).

ამ რეალობას კარგად აცნობიერებენ ანზორ კუდბას თხზულებათა პერსონაჟები. „აფხაზებს კი არ ვებრძოდით ჩვენ ქართველები, არამედ – რუსეთის იმპერიას და ჩვენი მარცხიც ამიტომ იყო გარდაუვალი...“ – იტყვის ნუგზარ კვესელავა „აპოკალიფსიდან“ („აპოკალიფსი“: 118). კიდევ უფრო კონკრეტულია მისივე თანამებრძოლის, იოსებ ნიჟარაძის სიტყვები: „ვიცი, ვინც აამღვრია სისხლი ჩვენი და... ვარსკვლავიან დედაქალაქში მართავს ბოროტი სული საერთაშორისო კონფლიქტების კომისიას... მაინც რამდენი ასეთი ჭუჭყიანი ინსტიტუტი მოქმედებს ბოროტების იმპერიაში? დაჭირდათ და „ოსეთი“ მოგვიწყვეს, დაჭირდათ და „აფხაზეთი დაანთეს“... დაჭირდებათ და ცეცხლის ალში გახვევენ სრულიად საქართველოს... და საოცარია, ამ ომის გამჩაღებლებს კი არ ვებრძვით, არამედ ერთმანეთს დავრევივართ და ძმათამკვლელი ომი გაგვიჩაღებია... ვიცოდით, რასაც გვიწყობდნენ და მაინც წამოვეგეთ იმ ანკესზე, ბოროტების იმპერიის დაკვეთით რომ გადმოგვიგდეს. და ვსვამთ ახლა, ვსვამთ კი არა და, შევსვით უკვე ერთიმეორის სისხლი“ („აპოკალიფსი“: 118)...

ბარემ ისიც ვთქვათ, რომ არსებითად, რომანები „აპოკალიფსი“, „უჟამო ჟამი“ და „ფიქრის სავარძელი“ ტრილოგიაა და ასეც ჰქონდა ჩაფიქრებული მწერალს (ხომერიკი, 2008), ამიტომ ბუნებრივია, რომ ეს ხაზი სამივე ნაწარმოებში არის გამოხატული. „ფიქრის სავარძელში“ თითქოს ობიექტურად აანალიზებს ვითარებას აფხაზი ამორძალიც: „მტერიც ერთი გვყავს ორივეს. ბრმები კი არ ვართ, ვერ ვხედავდეთ ამას“ (კუდბა, 2013: 59), – ეუბნება იგი ნოეს და იქვე აკონკრეტებს: „ტყუილია, თითქოს ჩვენ გვეთქვას, ღელეში დახრჩობას ზღვაში დახრჩობას ვარჩევთო... ჩვენ არც ღელეში დახრჩობას ვაპირებთ და არც – ზღვაში“ („ფიქრის სავარძელი“: 59).

დალი მიიჩნევს, რომ რუსეთთან ყოფნა ერთ-ერთი ეტაპია მხოლოდ. რუსები ეხმარებიან თავისუფლებისთვის ბრძოლაში და უგნურება იქნება დახმარებისთვის გამოწვდილ ხელზე უარის თქმა: „რუსეთი მხარში გვიდგას დღეს!“ „რუსები არიან ჩვენი მოკავშირეები!“ – დაბეჯითებით აცხადებს იგი და უკვე ცხადია, რომ სწორედ ზემოთ ნახსენებ სცენარში ჩადებული იდეოლოგიური სატყუარას ტყვეა... მე-19 საუკუნის ევროპასა და მთელ მსოფლიოში რუსეთი ერების საპყრობილედ იქნა სახელდებული. ასე მოიხსენია იგი ფრანგმა მოგზაურმა და მწერალმა დე კიუსტენმა. იმპერიის ბუნება არც მეოცე საუკუნეში შეცვლილა და არც ოცდამეერთეში. აქედან გამომდინარე, წარმოდგენა იმისა, რომ რუსეთი თითქოს მხარს დაუჭერს ყოფილი კოლონიების ნაწილთა მისწრაფებას განკერძოებისკენ და იბრძოლებს მათი თავისუფლებისთვის, უკვე პარადოქსია... ამ უზარმაზარ ქვეყანას იმპერიული მიზნები ამოძრავებს, რაც ნიშნავს იმას, რომ მისთვის მისაღებია მხოლოდ ის, რაც იმპერიისთვის (მიუხედავად იმისა, ცარისტული იქნება იგი, სოციალისტური თუ „დემოკრატიული“) არის საჭირო და სასარგებლო, მიზნის მისაღწევად კი ნებისმიერ ხერხს და მეთოდს იყენებს... მაშინაც კი, როცა ოფიციალური იდეოლოგია არწმუნებდა ხალხს, რომ ჩვენი ქვეყანა თავისუფალ ერთა ძმური კავშირიაო, სახელმწიფო მანქანა აპატიმრებდა, ასახლებდა, ხვრეტდა, ანადგურებდა!.. ეს იმპერია უკომპრომისოა მშვიდობიანობის დროს და რა გასაკვირია დაუნდობლობა ომიანობაში.

ომის თვისებაა დაუნდობლობაც და გამარჯვებისკენ სწრაფვაც. სანამ რუსეთი არსებობს როგორც იმპერია, მას შესწევს ძალა, სძლიოს ქართველებსაც და აფხაზებსაც, თანაც ისე, რომ რომელიმე მათგანს გამარჯვების ილუზია შეუქმნას. თუმცა ისტორია ზოგჯერ რადიკალურად გადააწყობს ხოლმე მოვლენებს და, ვინ იცის, იქნებ ოდესმე (ისევ ნიკო ლორთქიფანიძე რომ გავიხსენოთ), „ვინც დამხმარე იყო, დასახმარებელი შეიქმნეს“... დღეს კი... „ჯვარცმაა აფხაზეთი საქართველოსთვის! მაინც რა დაემართათ აფხაზებს! ქართველებს რაღა სჭირთ? ვინ გვათამაშებს ასე ოსტატურად და ულმობლად?! ისევ და ისევ ის აწრიალებული და დაულაგებელი, დაუდეგარი რუსული სული! სული, რომელსაც ჯერაც ვერ უპოვია თავისი სხეული და ამ უსხეულო სულმა შეაჯახა ერთმანეთს აფხაზ-ქართველი“ („აპოკალიფსი“: 115)...

ეუბნება კიდეც ნოე აფხაზ ამორძალს, რომ რუსეთს მხოლოდ თავისი მიზნები ამოძრავებს და არა აფხაზთა მისწრაფება, რომ „აფხაზეთი მისი გუბერნია გახდება“ („ფიქრის სავარძელი“: 62), მაგრამ დალის ეჭვიც არ ეპარება, რომ აფხაზეთი, რუსეთის დახმარებით, გაემიჯნება საქართველოს. ამის შემდეგ კი „პროგრამა მაქსიმუმის“ შესრულებაზეც შეიძლება ფიქრი: „ჯერ გავთავისუფლდეთ თქვენგან, ქართველებისგან და იმპერიასაც მოევლება მერე“ („ფიქრის სავარძელი“:59).

ეს „პროგრამა მაქსიმუმი“, წინმსწრები მინიმუმებითურთ, თავის მოტყუებაა მხოლოდ – მარცხისთვის განწირული. მწერალი მხატვრულ სახეებში აცოცხლებს წარსულის სურათებსაც – თითქოს ამჯერადაც გადახლართვია ერთმანეთს ძველი და ახალი ტკივილები, იმპერიული პოლიტიკა ზემოხსენებული კავკასიური ომებიდან და აფხაზთა მუჰაჯირობიდან მოყოლებული... ამ ტრაგიკულობის განცდით ჩნდება „უჟამო ჟამის“ რექვიემი, რომელიც თხზულებაში კონკრეტულად მუჰაჯირობის ეპოქას მიემართება, მაგრამ ზუსტად ეხმიანება თანამედროვეობას:

„აფხაზეთში, ვაიმე, ნანა, უცხო თესლი ჩამოთესლილა;

წკვარამეთიდან!!

აფხაზეთში წყვდიადი ჩამოწოლილა, ვაიმე, დედავ!

ყინულეთიდან!!!

აფხაზეთში შიში-ძრწოლა დაბუდებულა...

გვიანეთიდან!!

აფხაზეთი ძაძებში გახვეულა!

აფხაზეთში დრო შეჩერებულა!

უცხო ჩექმის ქვეშ ძე-ხორციელი აძაგძაგებულა!!!

* * *

აფხაზეთში აფხაზებს ჰკლავენ! აფხაზეთში ქართველსაც ჰკლავენ!

მკვლელი ერთი ჰყავს აფხაზს, ქართველსაც!“ („უჟამო ჟამი“: 101)

„ჩვენ ისევ ვებრძოდით ერთმანეთს, თუმცა კაი ხანია შეგნებულიც გვქონდა, რომ ვცოდავდით და არასოდეს გვეპატიებოდა“ („ფიქრის სავარძელი“: 75), – ამბობს ნოე და მწერლის პოზიციაც მკაფიო და ნათელია. თითქოს „ფიქრის სავარძლის“ ზემოთ წარმოდგენილი კოლიზიაც იმისთვის შეიქმნა, რომ დაპირისპირებულთაგან ყველაზე რადიკალურს, უკომპრომისოს ეთქვა ის სიტყვები, რომლებშიც ხსნის (არა მხოლოდ ფიზიკური გადარჩენის) კოდია ჩადებული: „უნდა მძულდე, მაგრამ არ მძულხარ...“ – ეუბნება ნოეს აფხაზი ამორძალი განშორებისას, მას შემდეგ, რაც ტყვეს თავისუფლებას უბოძებს და ამით საფრთხეს შეუქმნის საკუთარ სიცოცხლესაც. ეს „არ მძულხარ“ გამოსავალია, საშველია, ქართველთა და აფხაზთა სამომავლო ურთიერთობის საფუძველია. ომი ბოროტებაა. იგი სიძულვილს თესავს და მასვე იმკის. მაგრამ თუ ეს გრძნობა დაძლეულია, თანდათან კეთილგონიერი ურთიერთობებისთვის, მეტიც, სიყვარულისთვისაც იხსნება გზა. ამ კონტექსტში კი სიმბოლურ დატვირთვას იძენს რომანის ერთი ჩვეულებრივი, თითქოს მხოლოდ ყოფითი ურთიერთობის გამომხატველი დეტალი, ერთ წინადადებაში ჩატეული: „ჩვენ შეგვეძლო ერთი დიდებული, შერეული ქართულ-აფხაზური ოჯა-

ხი შეგვექმნა“, – ეუბნება ნოე აფხაზ ამორძალს და ამ სიმბოლურ რკალში საგრძნობია ეპოქის ანარეკლი. ობიექტური რეალობის გამომხატველია თან მიდევნებული ეჭვიც: „დარწმუნებული არ ვიყავი, რომ ჩემი ბოლო სიტყვები მისწვდებოდა იმის ყურს“ („ფიქრის სავარძელი“: 61).

აფხაზი ქალის გულში გაჩენილი გრძნობა ქართველი მეომრის სიყვარულისა მოტივირებულია და ამ მოტივაციის მხატვრული ინტერპრეტაციაც ქმნის მეტად არაორდინალურ სურათს ადამიანური ურთიერთობებისა: ნოე ტყვეა მოსისხლედ ქცეული აფხაზებისა, მებრძოლ ქალთა რაზმისა. მას ემუქრებიან წამებით, დახვრეტით („ისეთ დღეში ჩაგაგდებ, სიკვდილს ნატრობდე! მაინც გაგტეხავ და გათქმევინებ ყველაფერს. აზრი არა აქვს შენს დუმილს“ („ფიქრის სავარძელი“: 56)! მაგრამ ნოეს ღირსეულად უჭირავს თავი, წარბსაც არ იხრის, არ ეშინია და იმაშიც დარწმუნებულია, რომ ვერ გატეხენ. დალიმ შეძლო ნოეს ვაჟკაცური ბუნების არა თუ დანახვა, არამედ – აღიარება, მტრის ღირსებათა პატივისცემა, რაც თანდათან სიყვარულში გადაიზარდა... იქნებ სიყვარულის ეს ტრაგიკული ნასკვი „ფიქრის სავარძელში“ არის მინიშნება იმ ერთადერთ სწორ გზაზე, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ყველაზე კრიტიკულ მომენტში თვალი აარიდეს ქართველებმა და აფხაზებმა, მინიშნება იმ ისტორიულ შანსზე, რომელსაც უნდა მოეტანა მანამდე არნახული პროგრესი და არა ომი. ერთ ფერხულში უნდა ჩაბმულიყო ქართველი და აფხაზი – სხვა გზა სიკეთეს ვერ მოიტანდა. დალის სიყვარულიც ერთგვარი სიმბოლოა გამრუდებული ხაზის გასწორებისა და იგივე შეიძლება ითქვას ნოეს სიყვარულზე. შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ეს არის იმ არქიტექტონიკური ჩარჩოს მნიშვნელოვანი დეტალი, რომელმაც უნდა შეკრას ტრილოგიის („აპოკალიფსი“, „უჟამო ჟამი“, „ფიქრის სავარძელი“) – და იქნებ არა მხოლოდ ტრილოგიის – ერთიანობა.

§ 2. ომის ბუნებისათვის, ანუ სისხლისფერი ენგური

ნოე, „ფიქრის სავარძლის“ პერსონაჟი, ფსიქიატრიული საავადმყოფოს პაციენტია. შესაბამისად, მკითხველისათვის მოულოდნელი არაა, რომ მას უჭირს რეალობის აღქმა. ვერ იხსენებს ბევრ დეტალს თავისი ცხოვრებიდან, ვერ იხსენებს სანათას, მარეხს, დალის... რაც აგონდება, მხოლოდ ფრაგმენტულად და ამ ფრაგმენტების გამთლიანება, ერთ ლოგიკურ, თანმიმდევრულ ისტორიად, ერთი ადამიანის გაბმულ ყოფად აღქმა არ შეუძლია. ეს უფრო იმიტომ ხდება, რომ იგი გაურბის აწმყოს „აწმყოში... აღარ მინდა ყოფნა“, – ამბობს („ფიქრის სავარძელი“: 48) და დროის მისეული აღქმა მხოლოდ ფიქრის სავარძელში განმარტოებისას ცნობიერებაში აღბეჭდილი ხილვებით განისაზღვრება. ამ ხილვებშიც საგრძნობია დროისა და სივრცის დახშული სექტორები: სკოლაშია, გაკვეთილზე. დაუსჯიათ და კუთხეში დაუყენებიათ, მასწავლებელი სიას კითხულობს და... ნოეს სახელს და გვარს გამოტოვებს!.. აქ თითქოს ლიტერატურული თამაშია, თითქოს მწერალი ცდილობს, სამყაროს ათვისების ახალი გზები მოძებნოს, ჩაუღრმავდეს მხატვრული სახის აგების ხერხებს: დროის მდინარება, მოვლენათა ჩვეულებრივი, ქრონოლოგიური თანმიმდევრობა დარღვეულია და ყველაფერი ერთ სიბრტყეზეა მოცემული: ნოე ხომ საავადმყოფოში ყოფნისას დაჟინებით უარყოფს ავადმყოფობის ისტორიის შევსების შესაძლებლობას, საკუთარი ვინაობის დაფიქსირებას. ჰოდა, იმ წარსულიდან მოგვრილ ზმანებასაც, უფრო ზუსტად, სიის ამოკითხვის ეპიზოდს აწმყოსთვის გააჩნია კონკრეტული დატვირთვა: „ჩემი სახელი და გვარი რომ ამოეკითხა, ჩემი ავადმყოფობის ისტორიაც ხომ შეივსებოდა და სათუოც აღარ დარჩებოდა ჩემი წარმომავლობის საკითხი, – ამბობს ნოე („ფიქრის სავარძე-

ლი“: 193) და ცდილობს, საკუთარ ნაჭუჭში კიდევ უფრო ღრმად ჩაიკეტოს. მაგრამ ადამიანს ძალიანაც რომ არ უნდოდეს აწმყოს მიღება, მაინც ვერსად გაექცევა მას, მითუმეტეს, თუ სუიციდზე ფიქრიც შეუძლია და თვითმკვლელობის უარყოფაც („ფიქრის სავარძელი“: 42), მით უმეტეს, თუ მისი მიმდინარე რეალობა საგიჟეთია და ეს მდგომარეობა სულისა, ისევე, როგორც ქვეყნის უბედურება – აწმყოთია განპირობებული. ამიტომაც ესოდენ გამაღიზიანებელია კაენ ადამაძის, მისი მკურნალი ექიმის „თითქოსდა დამცინავი ხმა“: „– ვერ აგიტანია აწმყო და აწმყოში ტრიალებ მაინც! აწმყო ბედისწერაა შენიც... შენც, როგორც ყველა, აწმყოთი გაჟღენთილხარ!“ („ფიქრის სავარძელი“: 85).

რა ხდება აწმყოში? რატომ გაურბის ნოე აწმყოს?

დალი, აფხაზი ამორძალი, ნოეს ფიქრების, განცდების, ფანტაზიების... საფუძველთა საფუძველია. ფსიქიატრიული საავადმყოფოს პაციენტად ქცეულ მეომარს აღარ სურს რეალობაში დაბრუნება, რადგან მისთვის წარმოუდგენელია არსებობა აფხაზი ამორძალის გარეშე – ანუ აწმყოდან გაქცევის უმთავრესი მიზეზი დალის სიკვდილია. აფხაზეთის ომი და მასთან დაკავშირებული პრობლემები საზოგადოდ არის „ფიქრის სავარძლის“ (და არა მხოლოდ ანზორ კუდბას ამ რომანის) სიუჟეტური რკალის ერთი არსებითი ნაწილი, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს აუცილებლად, რომ ნოეს მედიტაციები, ზეცნობიერი მოგზაურობები დროში და „მიღმურ“ სამყაროში, უამრავი კითხვა, რომლითაც გათანგულია მისი არსება და დაჟინებული ძიება დიახაც ურთულეს კითხვებზე გასაცემი პასუხებისა – აუცილებლად ასოცირდება თანამედროვე საქართველოს ტრაგიკულ რეალობასთან და რომანის მისტიკურ ხვეულებში ისტორიული ბედისწერის სავსებით ხელშესახები სიმბოლური ნაკადი შემოაქვს...

რასაკვირველია, ომმა წარუშლელი დაღი დაასვა ნოეს სულს. ომი საყოველთაო ჭირია და მასში მონაწილე ყოველი კონკრეტული ადამიანისთვის კონკრეტული უბედურების მომტანი (რაც ადეკვატურად აისახა ანზორ კუდბას შემოქმედებაშიც). შესაბამისად, რომელიმე პერსონაჟის (ომზირ ხატიძე, კრავაი ხატიძე, იოსებ ნიჟარაძე, „აპოკალიფსიდან“, ვაზა აკუდბა, ამრა სოლომონი – „უჟამო ჟამიდან“, ნოე, დალი – „ფიქრის სავარძლიდან“ და სხვანი, და სხვანი...) პირადი უბედურება იმდენად არის გადაჯაჭვული მთელი ქვეყნის სისხლიან კოშმართან, რომ მათი განაწილება, დაყოფა შეუძლებელია. მაგალითად, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, როგორც აღვნიშნეთ, ნოე უარყოფს აწმყოს, რომელშიც დალი აღარ ფიგურირებს, მაგრამ უარყოფს იმ რეალური ფაქტების და მოვლენების გამო, რომელთაც განაპირობეს ამორძალის დაღუპვა.

ბუნებრივია, რომ „მთელის“ ვითარება „ნაწილშიც“ აისახება. ეს სრულ თანხმობაშია ყოფიერების ლოგიკასთან, წუთისოფლის ბუნებასთან, მაგრამ ჩვენ კონკრეტული ავტორის კონკრეტულ თხზულებებზე ვსაუბრობთ და უნდა აღინიშნოს, რომ ანზორ კუდბას მთელი შემოქმედება შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ფაქტთა და მოვლენათა მისტიკური კავშირის უწყვეტი ჯაჭვის მხატვრული ინტერპრეტაცია: ჰარმონიის რღვევა, ბოროტების მოძალება – გლობალურია. კაცისკვლა, ომი, ადამიანის ჩაგვრა და სხვა ბიწიერებანი მთელ დედამიწას მოსდებია და ეს არის სწორედ საზოგადო სურათი, „მთელში“ არსებული ვითარება. მაგრამ ეს „მთელი“, ანუ კაცობრიობა განყენებულად როდი არსებობს. იგი რეალურ ქვეყნებში მცხოვრები ადამიანებისგან შედგება. საქართველოც ერთ-ერთი ქვეყანაა და მისი მოქალაქეები კაცობრიობის ნაწილს შეადგენენ. შესაბამისად, იმათ სულშიც ჩაბუდებულა ბოროტი, რომლის გამოვლინების ფორმები, ასევე, შესაფერისია ეპოქისათვის.

ეს „შესაფერისი“ არ ნიშნავს მაინცადამაინც საომარ ვითარებას და ფრონტის ხაზს. აბსურდული ყოფის ფრაგმენტია „ზენაქარის“ ეპიზოდი: სამთაგან ერთმა წააგო – უნდა მოეკლა ქალი, რომელსაც პირველად მოჰკრავდა თვალს.

ეს პირველი ლელა აღმოჩნდა. „ორმა ხელები დაუჭირა, მიაგდეს ხიდის მოაჯირთან, მესამემ ძუძუს თავზე დაჰკრა დანა“... მერე ჩაავლეს ხელი სასიკვდილოდ დაჭრილ ქალს და მდინარეში გადააგდეს. ეს მოხდა დღისით-მზისით, ხალხის თვალწინ!.. („ზენაქარი“: 4)

რამ მოიტანა ასეთი ვითარება? რა მოუვიდა სამყაროს? მწერლის პოზიცია მკაფიო და ნათელია: თუ ადამიანი უარს ამბობს ღვთის გზაზე – ზნეობით ნასაზრდოებ ორიენტირებზე, ცოდვის და მადლის გარჩევაზე – ამქვეყნიური ცხოვრებისგან სიკეთეს არ უნდა ელოდეს!..

სწორედ ამ ნიშნით არის ნახსენები „აპოკალიფსში“: ფრიდრიხ ნიცშე და მისი ფორმულა „ღმერთი მოკვდა“. ნიშანდობლივია, რომ ამ თემაზე სატანა ესაუბრება ომზირ ხატიძეს და დაბეჯითებით ცდილობს დაარწმუნოს ღმერთის სიკვდილში. „მოუკვდა ღმერთი ადამიანს, მოუკვდა და ეს ვერ დაგიჯერებიათ ადამიანებს!... ვეღარ გაიგეთ, რომ საჭირო აღარაა ღმერთი, განსაკუთრებით თქვენთვის, ადამიანებისთვის“ („აპოკალიფსი“: 36).

ზემოთქმულიდან გამომდინარე ლოგიკით სავსებით ბუნებრივია, რომ საქართველოც ამ უღმერთო სამყაროს ნაწილად არის წარმოდგენილი: „მართლაც რომ უღმერთო ქვეყანაა ეს თქვენი... ასე შეკოწიწებული სამშობლო...“ („აპოკალიფსი“: 29).

რას ნიშნავს ღმერთის სიკვდილი?

ღმერთი არის განსახიერება ტრანსცენდენტური, ზეგრძნობადი სამყაროსი, იგი აძლევს ადამიანს მყარ ორიენტირებს იმისთვის, რომ განასხვაოს ერთმანეთისაგან ჭეშმარიტება და მცდარობა, სიკეთე და ბოროტება, მშვენიერება და სიმახინჯე. ღმერთი, როგორც იდეალურ ღირებულებათა ერთობლიობა, გვეუბნება, რა არის გამართლებული და რა – არა, რა არის ნებადართული და რა – არა, რა უნდა გვიყვარდეს და რა – გვძულდეს.

„ღმერთი მკვდარია“, – მებრძოლი ათეისტის მიერ წამოსროლილი ფრაზა კი არ არის, არამედ გულისხმობს, რომ იდეალური, თავისთავადი ღირებულებები, იდეათა სამყაროს იმპერატივები ჰკარგავენ ძალას, უფერულდებიან. „ღმერთი მკვდარია“, – ნიცშეს მიხედვით ნიშნავს, რომ ზეგრძნობად სამყაროს არა აქვს ძალა. ამ დებულებით გამოხატულია ღრმა პირადი ტრაგედია, რომელიც თავის მხრივ ამოზრდილია ევროპული კაცობრიობის სულიერი ცხოვრების ისტორიული მოძრაობის შინაგანი ლოგიკიდან.

მრავალი საუკუნის განმავლობაში კაცობრიობა ღმერთს იყო მინდობილი. მისი არსება განათებული იყო ღვთაების შუქით. ამით ენიჭებოდა მის სიცოცხლეს ღირსება და კეთილშობილება. მან იცოდა, რისთვისაც ცხოვრობდა და რისი იმედი უნდა ჰქონოდა. თუ ღმერთი „მოკვდა“, კვდება, უპირველესად, ღვთის არსებობით განპირობებული ღირებულებები, რომელთაც ადამიანი ეყრდნობოდა. კარზეა მომდგარი ნიჰილიზმი, როცა უმაღლესი ღირებულებები უფასურდებიან (ბუაჩიძე, 1986: 44).

ანზორ კუდბას პერსონაჟები (ომზირ ხატიძე, ვაზა აკუდბა, ამრა-სოლომონი, ნოე...) ხშირად მედიტირებენ, დროში თუ სხვა განზომილებებში მათი მოგზაურობის დიაპაზონი ფართოა და მოიცავს, ერთი მხრივ, პროტაგონისტის ცხოვრების ამა თუ იმ საფეხურს, მეორე მხრივ – კაცობრიობის ისტორიის სხვადასხვა ეპოქას. გარდა ამისა, მათი მედიტაციები ხშირად ადამიანური ლოგიკის ფარგლებს სცდება და ირაციონალურის საზღვარს გადაკვეთს ხოლმე. მიუხედავად ამისა, იგი სულაც არ არის ქაოსური ხილვები. ეს უფრო საკაცობრიო პასუხისმგებლობით და მოვალეობით განპირობებული პროცესია ძიებისა: სიკვდილისა და სიცოცხლის, დროისა და სივრცის, ცოდვისა და მადლის რაობაზე ფიქრი ამავე დროს კაცობრიობის ბედზე დაფიქრებაა, ხსნის გზის ძიებაა. ეს მნიშვნელოვანია მეტადრე მაშინ, როცა აშკარად თვალსაჩინოა ნიშნები მოახლოებული კატასტროფისა. ცოდვა და მადლი გამუდმებით იწონებაო, ვამბობთ და ისიც უნდა ითქვას, რომ ბოროტება არა მხოლოდ ავისმქნელს ვნებს, რომ მომრავლებულ ცოდვათა გამო მთელი კაცობრიობა დგება ხოლმე საფრთხის წინაშე: „კა-

ცობრიობას კიდევ ერთხელ ემუქრება წარღვნა და ამ წარღვნას თქვენგანვე, ადამიანებიდან გამომდინარე უარყოფითი ენერგია წარმოშობს... გთხოვთ, დამშვიდდეთ და გააცნობიეროთ, რომ ადამიანებმა უნდა შეიცვალოთ ზნე, ცხოვრების წესი და გამოხვიდეთ აბსურდის თეატრიდან. სპექტაკლი დასრულდა, ფარდა ჩამოშვებულია...“ – ასე, წარმოადგენს კატასტროფის მიზეზებს და მოსალოდნელ სურათს დალი მიღმა სამყაროდან („ფიქრის სავარძელი“: 304).

მწერალი რეალურ მოვლენებში ნახულობს საფუძველს შემოქმედებითი ფანტაზიისათვის. რომანის მიხედვით, მოსალოდნელი წარღვნის ნიშნები აშკარად ჩანს დედამიწაზე. ესაა ჩერნობილის ტრაგედია, იაპონიის მიწისძვრა, ცუნამი, წყალდიდობები... საქართველოში კი ბოროტება, სხვა უბედურებებთან ერთად, ომებით ვლინდება. ესაა ქართველთა და აფხაზთა ომი, ესაა ქართველთა და ოსთა ომი, ესაა ქართველთა და ქართველთა ომი... ესაა „ტყვეობა, მოკვლა, ტაცება, ქვრივთა, ობოლთა, მწირისა“. ანუ ვლინდება იმ მოქალაქეთა სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებით, რომელთაც დამოუკიდებელ საქართველოში ერთად უნდა ეცხოვრათ, მიუხედავად ეროვნებისა, რელიგიური მრწამსისა, პოლიტიკური და მსოფლმხედველობრივი შეხედულებებისა...

ჩვენი დროების ამ აბსურდული ნაწილის, ძმათა ომის ქრონიკები ანზორ კუდბას რომანებში შთამბეჭდავ ფრაგმენტებადაა გაბნეული. უნდა შევნიშნოთ, რომ ხსენებული ნაწარმოებები მხოლოდ ომზე დაწერილი წიგნები როდია, მაგრამ აფხაზეთი მათთვის იმდენად არსებითი ნაწილია, რომ მაშინაც კი იგრძნობა, როცა რადიკალურად განსხვავებული თემა დომინირებს. ჩვენი მიზანი არ არის აღნუსხვა და რაიმე ფორმით სისტემატიზაცია სისხლიანი ეპიზოდებისა, თუმცა გვერდსაც ვერ ავუვლით და, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მათ დიდი სიფრთხილით და მოზომილად ეხება ავტორიც.

მაგრამ ომი მარტო სისხლიანი ეპიზოდებისგან როდი შედგება. ომი ცნობიერების დეფორმაციაა, რაც ფრონტის ხაზს მიღმაც ვლინდება. სურათის სრულყოფისათვის „აპოკალიფსის“ ერთ ფრაგმენტს გავიხსენებ, კერძოდ, აფხაზეთიდან ლტოლვილი „ერთი ახალგაზრდა კაცის“ ჩანაწერს: სოხუმიდან გამოქცეულებს მანქანა გაუფუჭდათ გზაში. ვერავინ გააჩერეს, „ბუქსირზე“ რომ ჩაბმულიყვნენ: „დავიწყებოდა იმ დღეს მოყვასს მოყვასი“. ვიღაც გვარდიელს გამოუვლია, შეცოდებია შარაგზაზე ასე უპატრონოდ დაგდებულები, ავტომატით გადადგომია სოხუმიდან მომავალ „ვოლგას“, მძღოლისთვის უბრძანებია, ბუქსირზე გამოება გაფუჭებული მანქანა. იმასაც სხვა რა გზა ჰქონდა, ჩაუბამს ბუქსირზე და თავი გვარდიელისგან შორს რომ დაუგულებია, დაახლოებით ერთი კილომეტრის შემდეგ, გაჩერებულა, ბუქსირი ჩაუხსნია, ისე უპატრონოდ დაუგდია ის ხალხი და უკანმოუხედავად გაქცეულა („აპოკალიფსი“: 62).

თხზულებაში ხაზგასმულია ისიც, რომ ომმა რადიკალურად გადააწყო საუკუნეობით ნალოლიავები ურთიერთობანი და ცალკეული ოჯახების ტრაგედიაც განზოგადებულ მნიშვნელობას იღებს გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო, როგორც ერთიანი სახელმწიფო (ერთი დიდი ოჯახი) – აღარ არსებობს.

ამრა-სოლომონის („უჟამო ჟამი“) მეგობრის, მამით ქართველის და დედით აფხაზის, სოხუმელი გოგონას, მედეას ოჯახის ტრაგედია ამ უბედურებათა წყების ერთი სულისშემძვრელი, ეპოქის სურათის ლამის ნატურალისტური სიზუსტით ამსახველი, ფრაგმენტია: ტამიშთან ბრძოლაში დაიღუპა მისი ნახევარძმა, დედამისის პირველი შვილი აფხაზი ასტამურ ზვამბა; მაგრამ ტამიშთანვე დაეცა მეორე ნახევარძმაც, მამამისის შვილი ქართველი ზურა ქალდანი... ეს ორი ახალგაზრდა ომამდე მეგობრობდნენ და მერე ერთმანეთის დაუძინებელი მტრებად იქცნენ. აქაც საგრძნობია სიმბოლური შრე: მედეას არსებაში ორივეს სიყვარულიც ეტევა და – უსაზღვრო ტკივილიც. ამავე სიყვარულით და ტკივილით ცხოვრობენ მედეას მშობლები – ალმასგირი და ნატო.

ნუგზარ კვესელავა დედით აფხაზია და აფხაზი ბოევიკის, გია ლომაიას მამიდაშვილი. ბიძაშვილ-მამიდაშვილი ფრონტის ხაზის სხვადასხვა მხარეს დგანან და უკან დასახევი გზა მოჭრილი აქვთ... („აპოკალიფსი“: 118)

ძმათა ომის ერთ ოჯახში ასახული ფრაგმენტია კიზილას ამბავი. კიზილა მამით ოსი იყო, დედით – ქართველი. არც დედა ჰყავდა, არც – მამა. დედა ოსებმა მოუკლეს, მამა – ქართველებმა. „კიზილა ოსიც იყო და ქართველიც, მაგრამ ერთი გული უცემდა მხოლოდ, გული ალალი და მართლა მართალი!..“ ამ ისტორიის ნაწილია ისიც, რომ კიზილა „აფხაზეთში გაჰყოლია ბიჭებს“, – იგი საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში დაიღუპა: „ამბობენ ლაბრასთან მოუკლავთო“, – წერს ავტორი („აპოკალიფსი“: 144).

აქვე გავიხსენოთ, რომ ამრა-სოლომონიც, „უჟამო ჟამის“ პერსონაჟი, მამით აფხაზია (აკუდბა) და დედით ქართველი (გალოგრე); ბუნებრივია ისიც, რომ „სტკიოდა ამრა-სოლომონს აკუდბობაც და გალოგრეობაც“ (უჟამო ჟამი: 243).

აფხაზი მამა „ამრას“ უძახის, ქართველი დედა „სოლომონს“ („სოსიკოს“), მაგრამ სავსებით ნათელია, რომ ეს არ არის ბოღმიანი დაპირისპირება. ჯიბრი კეთილიც არსებობს... თუ, საერთოდ, სწორად არის მონახული სიტყვა ამ ვითარებისთვის – ეს სიყვარულით სავსე ჯიბრია...

ჩვენივე ცხოვრების შუაგულიდან ამოკრეფილ ამ ეპიზოდებში, მხატვრულ დეტალებში გამოხატული განცდა სიმბოლურ დატვირთვას იძენს ამჯერადაც: საქართველოს ერთიან სხეულს და სულს ხრავს აუტანელი ტკივილები, რომლებიც ომში დაღვრილი სისხლის თითოეულ წვეთთან ერთად ხელახლა იბადება... რასაკვირველია, ომისგან შეძრული ქვეყნის ჭრილობები, ობიექტური ანალიზის შემთხვევაში, თანაბრად უნდა ეტკინოს აფხაზსაც და ქართველსაც, ოსსაც და ქართველსაც, თვით ფრონტის ხაზს გაღმა-გამოღმა მდგომთაც, მაგრამ ზემოხსენებული სურათები კიდევ ერთი ხაზგასმაა სულისშემძვრელი რეალობისა, რომელსაც ძმათა ომი შობს.

ამავე თემის ერთ-ერთი ტრაგიკული გაგრძელებაა, აგრეთვე, ვაზა აკუდბას წარმოსახვაში შექმნილი სურათი – ამრას სოხუმში ატყვევებენ „აფხაზთა დამოუკიდებელი რესპუბლიკის სახელით“... იმიტომ, რომ იგი თურმე „თავისი ქმედებით ხელს უშლიდა აფხაზეთს, რომ მონობის უღელი გადაეგდო“ („უჟამო ჟამი“: 186). როგორც აფხაზს, ღალატში უთვლიან რომ ქვეყნის ერთიანობის მხარდამჭერია, რომ საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობს... ვაზას წინასწარჭვრეტა დასახვრეტად განწირულ ამრასთან წყდება, სურათის დასრულება მის ძალებს აღემატება... თუმცა, მამა არ უმალავს შვილს, რომ არსებობს სხვა გზაც და არჩევანი თავად უნდა გააკეთოს.

ამრა-სოლომონ აკუდბას არჩევანი ერთიანი საქართველოა. ამასთან, მას კარგად ესმის, რომ შინაომები საზოგადოდ, და, შესაბამისად, შინაომები საქართველოში, აწმყოს და სამომავლო პერსპექტივის ყველაზე წყევლაკრულვიანი საკითხია; შინაომები თრგუნავს თავისუფლებისკენ მისწრაფებას მაშინაც კი, როცა თავისუფლებისთვის ბრძოლის სახელით იწყება და ღვივდება. ამ შინაომში მხოლოდ ის ხეირობს, ვისთვისაც ღმერთი მოკვდა...

ანზორ კუდბას თხზულებებში ომამდელი ვითარებაც არის ასახული – ეროვნული მოძრაობის ყველაზე გულწრფელი პერიოდი, მათ შორის, 9 აპრილი, ასევე, შემდგომი ვითარება – გზა რომანტიზმიდან მწარე რეალობისკენ და ცალკეულ პიროვნებათა ბედი ამ ტრაგიკულ რეალობაში. „უჟამო ჟამში“ ხსენებული მოვლენები თავდაპირველად მოცემულია როგორც დღიურის ფრაგმენტი, ვაზა აკუდბას წინასწარჭვრეტა. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის აღმავლობა ვერ აიტანა „ჩრდილოელმა დათვმა“ და „არნახული ეგზეკუცია გაგზავნა წესრიგის დასამყარებლად დედაქალაქში. 9 აპრილს „მოუკლეს ფიქრი და ოცნება ქართველთ, სურვილი და იდეა! ეს იყო დიდი, ჯერარნახული მკვლელობა“ („უჟამო ჟამი“: 177). „თავისუფლება ინდომა ერმა და ცხვირ-პირიდან ამიტომაც

ადინეს სისხლი“ („აპოკალიფსი“: 78); მიუხედავად ამისა, როგორც აღნიშნულია „უჟამო ჟამში“, 9 აპრილი „ქართველთა დიდი გამოღვიძების დღეა“ („უჟამო ჟამი“: 327).

საანალიზო თხზულებებში არცთუ იშვიათად, გაიელვებს ხოლმე თავისუფლებისათვის მებრძოლი სულის აღზევების შთამბეჭდავი ფრაგმენტები, მათ შორის – ბათუმური ქრონიკებიც. ამრას არჩევანი ვახსენეთ ზემოთ და ამ თვალსაზრისით არის საინტერესო „უჟამო ჟამის“ ერთერთი ეპიზოდი, როცა იგი ბათუმში, თეატრთან გამართულ აქციაში ჩაერთვება. საქართველოს დამოუკიდებლობა და ერთიანობა მიაჩნია ერთადერთ სწორ გზად და ამიტომაცაა მასთანვე მამის აჩრდილი. აქცია 9 აპრილს მოწამლულთა მხარდასაჭერად ეწყობა. ამრა შეუერთდება მოშიმშილეებს. აქციაში მონაწილეთა სულისკვეთების წარმმართველი ლოზუნგი აქ ხმამაღლა და გამოკვეთილად ისმის: „თავისუფალ, დემოკრატიულ საქართველოს გაუმარჯოს“ („უჟამო ჟამი“: 330): ქვეყნის მომავალი იქ მცხოვრებმა ყველა ერმა უნდა აშენოს. ერთიანი, თავისუფალი, ძლიერი სახელმწიფოსთვის ბრძოლაც ყველას თანაბრად მართებს, მაგრამ არც ეშმაკს ძინავს: აქვე აღწერილია ის დევნა-შევიწროვება და აშკარა პროვოკაციები, რომლებსაც ხელისუფლება მიმართავდა ეროვნულ მოძრაობაში ჩართული პატრიოტების მიმართ. მერე და მერე, იმავე ჩრდილოელი დათვის – რაღა გაღიზიანების... – ისედაც უკიდეგანო ბოროტების კიდევ უფრო ზრდის კვალობაზე, მისივე სცენარით, მწვავედ და ტრაგიკულად განვითარდება მოვლენები აღმოსავლეთ თუ დასავლეთ საქართველოში, დედაქალაქში და პერიფერიაში, აფხაზეთსა თუ ოსეთში. აირევა ერთმანეთში კეთილი და ბოროტი, ომი და მშვიდობა, ერთგული მებრძოლი და მოღალატე, ყაჩაღი და მსხვერპლი...

„სრულიად საქართველოო, უკვე ვეღარ იტყოდით საქართველოზე“ – ასე ახასიათებს ტრაგიკულ რეალობას მწერალი... („უჟამო ჟამი“: 183).

სიტყვა „სრულიად“ მთელს აღნიშნავს, მთლიანს... ამ მთელის დანაწევრებაზე, ბოროტი ძალის პოლიტიკურ თამაშებზე, თავს დატეხილ უბედურებებზე და მასთან – ცოდვათა მომრავლების ტენდენციაზე მინიშნებაა ნამთრის სიმბოლიკაც. შუმერული მითოლოგიის თანახმად, ნამთარი ქვესკნელის დედოფალია, სიკვდილისა და უბედურების დემონი (გელოვანი 1983: 228, 399). „ზენაქარსა“ და „აპოკალიფსში“ ნამთარი ქალაქის სახელია, „დროის წიგნში“ – ქვეყნის, – თავისუფლებისკენ მისწრაფება რომ არ აპატია ძალამ, რომელიც მანამდე მის ბედს განაგებდა, – იმ ქვეყნის: „ჩემო კარგო ქვეყანავ... დღეს ეს ჰიმნია სრულიად ნამთრის... ერთ დროს სრულიად ნამთარს ეს წმინდა მიწა – ოქროსუბნად წოდებული ურცხვად წარტაცეს – გლოვობს ნახევარქვეყანა, დაკოდილი ნამთარი“ („დროის წიგნი“: 33, 35).

ამდენად, ბოროტების შედეგი თვალსაჩინოა: „აფხაზეთში ქვა ქვაზე არ დადუღებულა, თორემ... იმდენი სისხლი დაიღვარა, რომ ენგურს ფერი შეცვლოდა და შედედებულიყო თითქოს“ („ფიქრის სავარძელი“: 80)... მაგრამ ჩრდილოელის სტრატეგიამ შედარებით უჩინარი, თუმცა არანაკლებ სახიფათო კვალიც დააჩნია ეპოქას და ხალხს – გაბზარული სული და გატეხილი ნებისყოფა, რაც, სამწუხაროდ, ბევრში გამოვლინდა პირდაპირ თუ ირიბად. ამგვარი სულისკვეთება კი, სიფრთხილის ნიღაბს ამოფარებული, შობს თავისუფლების შიშს, სხვისი კალთის ქვეშ თავის შეფარების მუდმივ სურვილს და მისწრაფებას: „დაიკარგება კაცი უპატრონოდ! კაცის ბედს კაცი უნდა განაგებდეს ყოველთვის. პატარა ერის ბედსაც – დიდი ერი და პატარა ერი ხომ ჭეშმარიტი თავისუფალი ვერასოდეს იქნება! („უჟამო ჟამი“: 287)“ – ასე იმოძღვრება სატანის მსახური კაენ ადამაძე „დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქისთვის“, „საშუალო ქართველისთვის...“ და ეს, არაერთი თაობის ცნობიერებაში ჩანერგილი სიტყვები, დემაგოგიის ერთი ფრაგმენტია მხოლოდ! ამგვარი დემაგოგიის წინაპირობა უკვე მონიშნულია „აპოკალიფსში“: „ქართული ყოველთვის მიჭირდა, როგორც ასეთი, სამიანს ძლივს მიწერდნენ ქართულში... ჩემი

ქართულის მასწავლებელიც იმდენ ხანს მყავდა კლინიკაში, რამდენსაც მასწავლიდა სკოლაში“ („აპოკალიფსი“: 50)... ამასაც კაენ ადამაძე ამბობს, ოღონდ „აპოკალიფსის“ პერსონაჟი: შეიძლება ითქვას, რომ კაენ ადამაძე ანზორ კუდბასთან თხზულებიდან თხზულებაში გადადის, როგორც ბოროტების მთესველი: რეალური ცხოვრებაც ხომ სავსეა მსგავსი ადამაძეებით, ამგვარმა თესლმა ხომ არაერთი მოწამლა წინათ და ბევრს წამლავს დღესაც...

რაკიღა კაენ ადამაძე ვახსენეთ, უნდა ვთქვათ, აგრეთვე, რომ ეს გვარი თავიდანვე ჩნდება მწერლის მხატვრულ სამყაროში. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ მოთხრობა „საგალობელი ჩემი სულისა“ („საგალობელი“... 52-125). ოღონდ ხსენებულ ნაწარმოებში ადამაძეს ნოე ჰქვია და შესაბამისად, იგი არ არის ბოროტების მუხტის მატარებელი. უფრო პირიქითაა. „აპოკალიფსში“ (2001) კი ადამაძე, რომელსაც უკვე კაენი ჰქვია, ბიბლიური კაენის ცოდვის თანაზიარია. ანალოგიური მხატვრული ფუნქცია აკისრიათ ამავე სახელისა და გვარის პერსონაჟებს „უჟამო ჟამსა“ (2004 წ.) და „ფიქრის სავარძელში“ (2013 წ.). სამივე თხზულებაში თვალსაჩინოა პირდაპირი თუ სიმბოლური მინიშნებები, პარალელები ბიბლიურ ისტორიებთან, რაც კონკრეტული მხატვრული დეტალებით აისახება.

„აპოკალიფსის“ ერთ-ერთ ეპიზოდში, მაგალითად, ვინმე პარმენი (იგივე ზემდეგი ხუსეინი) ფსიქიატრიული საავადმყოფოს მთავარ ექიმთან (კაენ ადამაძესთან) მიდის, რათა როგორმე გაურიგდეს და მისი დახმარებით ძმა მოიცილოს თავიდან: „ძმა მყავს ერთი, უძირო და უცხვირპირო ვინმე. ჩემზე უფროსია თხუთმეტი წლით და სახლში ხელს გვიშლის ყველას...“ – ამბობს იგი და მზადაა, ქრთამის სახით დიდი თანხა გაიღოს ამ დახმარების სანაცვლოდ, ანუ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ძმის სამუდამოდ გამომწყვდევისთვის.

კაენ ადამაძისთვის არათუ მისაღებია ასეთი გარიგება, არამედ სულსაც ყიდულობს პარმენისგან სატანისთვის და საბოლოოდ ჩაწერს მას ბოროტი ძალის ერთგულ მსახურთა შორის. შემდეგ კი ამ კაცს იყენებს ომზირ ხატიძის ნებისყოფის გასატეხად, მის დასათრგუნად და ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ომზირს უფლის კალთა იფარავს. იგი ადამიანებს ემსახურება და მოწოდებულია, რომ „დიდი მასწავლებელი დადგეს, კაცობრიობის მასწავლებელი“ („აპოკალიფსი“: 54).

კაენ ადამაძე ფსიქიატრია „უჟამო ჟამშიც“, ოღონდ აქ შეთავსებით სამშობიარო სახლშიც მუშაობს. იგი ამრა-სოლომონზე ფეხმძიმე თამარს აბორტის გაკეთებისაკენ მოუწოდებს. ახალი სიცოცხლის მოშთობის აუცილებლობას კი იმით ხსნის, რომ, მისი აზრით, შესაძლოა, ქალმა მშობიარობა ვერ გადაიტანოს. შესაბამისად, უნდა გააკეთოს არჩევანი: ან დედა იცოცხლებს, ან – შვილი. თამარი უარყოფს ექიმის გადაწყვეტილებას, მზადაა, თავი გასწიროს შვილის სიცოცხლისთვის. მკურნალს, რომელიც სხვათა სიცოცხლის სადარაჯოზე უნდა იდგეს, აღიზიანებს ქალის თავდადება, ის, რომ ვერ დათრგუნა მისი უტეხი სული და გამოიტანს კიდეც თვითნებურ განაჩენს: „ეს ქალი მშობიარობას უნდა გადაჰყვეს!“ („უჟამო ჟამი“: 134)

მართალია, ამრა-სოლომონიც დაიბადება, თამარიც გადაურჩება სიკვდილს, მაგრამ ამით კაენის ბოროტებას არაფერი აკლდება. პირიქით, ემატება და ბოროტების კვანძი იმით იხსნება, რომ „მიღმა სამყაროდან“ სწორედ კაენ ადამაძე წინასწარმეტყველებს სისხლის მორევს, ქართველის და აფხაზის სისხლს, ერთმანეთში გაჯერებულს („უჟამო ჟამი“: 14).

ნიშანდობლივია ისიც, რომ როცა ამრა-სოლომონის და ადამაძის გზები კიდევ ერთხელ გადაიკვეთება ირაციონალურის და რეალურის ზღვარზე, აქ უკვე არა სამშობიარო სახლი, არამედ ფსიქიატრიული საავადმყოფო ფიგურირებს და ექიმისა და პაციენტის ურთიერთობა განსაზღვრავს სულის მოძრაობის ურთულეს ხლართებს. ეს საყურადღებოა გამომდინარე იქიდანაც, რომ „ფიქრის სავარძლის“ ერთ-ერთი სიუჟეტური ხაზიც მთავარი გმირის – ნოეს და მისი მკურნალის – ფსიქიატრიული საავადმყოფოს მთავარი ექიმის, კაენ ადამაძის – ურთიერთობაზე გადის.

„ფიქრის სავარძელში“ ავტორი პირდაპირ მიუთითებს „რომან მისტერიაზე“, რომლის „ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი კაენ ადამაძეა“, „ეშმაკის მსახური“. კაენ ადამაძის მბრძანებელი კი – შავი სილუეტი, დიდი მევიოლინე – მაესტრო... ჯადოქარი მევიოლინე...“ („ფიქრის სავარძელი“: 98). ისღა დაგვრჩენია, გავიხსენოთ, რომ „აპოკალიფსის“ პირველივე ეპიზოდში ჩანს „დიდი მაესტრო“ მეტსახელად შავი სილუეტი... დიდი მევიოლინე, რომელსაც ვაჭრობისთვის, ადამიანის სულების ყიდვისთვის კარგი დრო დასდგომია. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ აქ უკვე ბოროტების წრეც იკვრება, მითუმეტეს, რომ კაენ ადამაძე ბოროტების მსახურია „აპოკალიფსშიც“, „უჟამო ჟამშიც“ და „ფიქრის სავარძელშიც“. თუმცა აქვე ისევ და ისევ სიკეთის ძალაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება: „კუდიანი“ ნატალიას ამბავიც ხომ თითქოს ჩვეულებრივი სურათია – სოფლის ცხოვრების პატარა ფრაგმენტი... სინამდვილეში ეს ფრაგმენტიც რომანის სიმბოლური შრის არსებითი ნაწილია: ნატალია, რომელიც პატარა ბიჭუნას ქლიავის ქურდობაზე წაასწრებს, ჯერ წაართვამს ნაქურდალს, მერე მტირალს და დაფეთებულს შეიცოდებს, დაუყვავებს, მოეფერება და დაკრეფილ ქლიავსაც უფეშქაშებს („შეგიძლია წეიღო ეს ქლიავი, ნენა... თებრონეს გადაეცი, ნატალიამ გამოგიგზავნა-თქო“)...

ეს არც დაგეგმილი სიკეთეა და არც ანგარებიანი. შესაბამისად, სოფლური ყოფის ტიპური ფრაგმენტი განმაზოგადებელ მნიშვნელობას იძენს, მითუმეტეს, როცა პატარა ბავშვს, სიკეთით გამთბარს, უკვე ეჭვი ეპარება ქალის კუდიანობაში... მაგრამ ოდესღაც ხომ ვიღაცამ შეარქვა კუდიანი, ხომ აიტაცა საზოგადოებამ ეს დამამცირებელი მეტსახელი... მკითხველს კი ისღა დარჩენია, ეჭვი შეიტანოს იმ საზოგადოების სამართლიანობაში, თავის ნაწილს, ხშირად, დაუმსახურებლად, ადგილს რომ მიუჩენს ხოლმე სადმე ჩრდილში... მაგრამ აქვე სიკეთის ძალაზე ფიქრისთვისაც რჩება ადგილი – იმ ძალაზე, რომელსაც შეუძლია მეტად თუ ნაკლებად დეფორმირებული ცნობიერების გასწორება და სამართლიანობის აღდგენა.

§ 3. სიცოცხლე, როგორც შესაძლებლობა სულის სრულყოფისთვის

„აი ჩემი ფესვებიც: ორი მომდურავი გენი... – ამბობს ანზორ კუდბა ერთ-ერთ ინტერვიუში, – ჩემში უკვე შემორიგებია აფხაზი ქართველს და პირიქითაც – ქართველი აფხაზს. მწამს, შერიგდებიან ქართველები და აფხაზები, დამყარდება საქართველოში დიდი, ნანატრი შერიგება – მშვიდობა“ (ხომერიკი, 2008)... არაა გასაკვირი, რომ ამგვარი განცდა მწერლის თხზულებათა თანამდევია, ქართველთა და აფხაზთა რთული ურთიერთობა მის შემოქმედებაში ასახულ პრობლემათა არსებითი ნაწილია, მაგრამ არა ერთადერთი. ამ მხატვრულ სამყაროში პრობლემათა მასშტაბური და მრავალფეროვანი სპექტრია წარმოდგენილი, თუმცა ისინი აუცილებლად უკავშირდებიან, განსაზღვრავენ ურთიერთს და ესეც განაპირობებს თხზულებათა რთულ კონსტრუქციას.

„ეს ჩემი წიგნიც სიკვდილ-სიცოცხლის გაცნობიერების ერთგვარი ცდა-ექსპერიმენტი“ აღნიშნულია „ფიქრის სავარძელში“ („ფიქრის სავარძელი“: 235) და ამ გაცნობიერების გზა არ არის მარტივი კატეგორიულობით მოცემული. ფიქრის სავარძელში ჩაფლული ნოესთვის უცხო არ არის დაეჭვება, იქნებ, მართლაც „არსად არ ვყოფილვართ და გავჩნდით უბრალოდ და გვაქვს საწყისი, ვკვდებით და (სასრულიც გვქონია თურმე) სიცოცხლეც მთავრდება“ („ფიქრის სავარძელი“: 236). მაგრამ აქვე ჩნდება განსჯის, ჩაღრმავების სხვა არხიც, რომელიც გამორიცხავს სიკვდილის არსებობას, როგორც სასრულს სიცოცხლისას, ადამიანის არაფრობისთვის, არარსებობისთვის გაწირვას. შეიძლება არაერთი ვარიანტის დაშვება, მაგრამ მთავარი ისაა, რომ „სიკვდილი სიცო-

ცხლის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია და ხიდივითაა, ორ სიცოცხლეს შორის საიმედოდ გადებული: წარსულისა და აწმყოს, აწმყოსა და მომავლის, მომავლისა და წარსულის დამაკავშირებელი". მოხმობილი ციტატა „ფიქრის სავარძლიდანაა" („ფიქრის სავარძელი": 236), მაგრამ აუცილებელია აღინიშნოს, რომ ეს აზრი ადრინდელი შემოქმედებიდან იღებს სათავეს და დაჟინებით მეორდება თხზულებიდან თხზულებაში, ხოლო დაახლოებით ამგვარივე ფორმულირებით უკვე მონიშნულია „დროის წიგნში". აქაც აღნიშნულია, რომ სიკვდილი „რომელსაც, ჩვეულებრივ, ადამიანი აღიქვამს როგორც აღსასრულს, სიცოცხლის აჩრდილია. სიცოცხლეც, თავის მხრივ, სიკვდილის „დიადი გაგრძელებაა..." აქ, ამქვეყნად, სიკვდილი სხვა არაფერია, „თუ არა წარსულისა და აწმყოს (ეს პირველი), აწმყოსა და მომავლის (ესეც მეორე) და (მესამეც) მომავლისა და წარსულის ურთიერთშეხება" („დროის წიგნი": 43).

ამდენად, გამოდინარე ზემოთქმულიდან, არარსებობა გამორიცხულია. შესაბამისად, „არ იყო" და „აღარ იქნება" კი არ განსაზღვრავს საქაო ცხოვრების მიღმა არსებულ ვითარებას, არამედ, კითხვები „სად იყო?", „სად იქნება?" ანუ სად იყო ადამიანი, სანამ თვალს გაუსწორებდა მზეს და იხილავდა მზის სინათლეს?" აქ არის დასაშვები შესაძლებლობებზე ფიქრი: „იქნებ დაბადებამდეც აქ ვიყავით, მაგრამ სხვა საინფორმაციო ველში, ან ვიყავით სადღაც, სხვა განზომილებაში, ჩვენს პარალელურ სამყაროში..." („ფიქრის სავარძელი": 236) ანუ ყოველთვის რჩება ადგილი რეინკარნაციისთვის და „სიკვდილ-სიცოცხლეც" მარადიული არსებობის ფორმებია მხოლოდ: „იყო სადღაც და სიკვდილზე გავლით შემოაბიჯა ჩვენს დროში (წუთისოფელში), ან ვართ აქ და ისევ და ისევ სიკვდილის მეშვეობით ვიბადებით (ვჩნდებით) იქ, სადღაც ჩვენს პარალელურ სამყაროში ვახელთ თვალს" („ფიქრის სავარძელი": 236).

კითხვები არ შეწყდება მაშინაც კი, თუ ადამიანი შეძლებს ჩამოაყალიბოს მკაფიოდ გამოკვეთილი პოზიცია, „ამ დებულებებს შორის რომელია მისაღები და რომელი – აბსურდული..." არ შეწყდება იმიტომ, რომ ერთია, დაადგინო როგორ ხდება, და მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი – რატომ ხდება. რომანში ამ კითხვაზეც არის გაცემული პასუხი. რა თქმა უნდა კატეგორიულობა გამორიცხულია, მაგრამ პასუხის შესაძლო ვარიანტი სავსებით შეეფერება მხატვრული ნაწარმოების მსოფლმხედველობრივ და ზნეობრივ საფუძველს:

„...იქნებ სწორედ აქ სრულიყოფა სული. წუთისოფელი – სულის წრთობის სამჭედლო!

ნუთუ სიცოცხლე სულის სრულყოფაა მხოლოდ?" („ფიქრის სავარძელი": 237)

ერთ-ერთ ჩანაწერში ვაზა აკუდბა („უჟამო ჟამი") რეინკარნაციის არსზე საუბრობს და დედამიწაზე დაბადებას სიცოცხლის უწყვეტი ჯაჭვის ერთ-ერთ რგოლად მიიჩნევს: „მოვდივართ საიდანღაც... იქ, ალბათ, სულისთვის შეიძლება სულაც არ იყოს საჭირო ეგრეთ წოდებული ფიზიკური სხეული. იქ სხვა ყოფა-ცხოვრებაა. მოვედით სულ სხვა სამყარო-ცივილიზაციაში და დედამიწისთვის საჭირო ფიზიკური სხეული დაგვახვედრა აქ განგებამ" („უჟამო ჟამი": 156). ამის შემდეგ გასაკვირი აღარაა სიცოცხლის არსის მისეული ჭვრეტა კლინიკური სიკვდილის შემდეგ: „სიკვდილი, როგორც ასეთი, არც არის, არც არსებობს. იგი ახალი დაბადებაა! სიკვდილი... ყველაზე დიდი ილუზიაა" („უჟამო ჟამი": 125).

დედამიწაზე ყოფნა და ამ ჯოჯოხეთში ცხოვრება კი, შესაძლოა, იყოს, ერთი მხრივ, სასჯელი წინა ცხოვრების ცოდვების გამო, მეორე მხრივ, ეს არის ერთგვარი გამოცდა, მოსამზადებელი ეტაპი ახალი საფეხურისთვის – „სულის სრულყოფისათვის გადმოვუსროლივართ აქით განგებას", – აღნიშნავს ვაზა („უჟამო ჟამი": 156).

სიკვდილ-სიცოცხლის გაგების უკიდურესობათა შორის პოზიციის არჩევა ჭირს. აქ გასათვალისწინებელია ადამიანური სისუსტეც, თუმცა, ეს უკანასკნელიც შეიძლება ნაბიჯიც აღმოჩნდეს ოპტიმიზმისკენ: „წყალწაღებულის ფსიქოლოგია მოგეხსენებათ და ჩვენც ხომ არ მოვეჭი-

დოთ იმედის ხავსს, ოღონდაც გვჯეროდეს, რომ სიკვდილი სიცოცხლის ნაირსახეობა კი არა, მისი ნაწილია მხოლოდ და მასთან ზიარებაც ნეტარება უნდა იყოს“ („ფიქრის სავარძელი“: 238).

ფიქრის სავარძელი, როგორც კონკრეტული ფუნქციის მქონე საგანი, ნივთი, ფიქრისთვის, მეტიც – მედიტაციისთვის მოსახერხებელ გარემოს ქმნის „აპოკალიფსშიც“, „უჟამო ჟამშიც“, „ფიქრის სავარძელშიც“... ხოლო დროის, სივრცის, მრავალგანზომილებიანი სამყაროს, სიცოცხლისა და სიკვდილის ირაციონალისტური გაგება, სულის უკვდავების რწმენა, საზოგადოდ არის დამახასიათებელი ანზორ კუდბას შემოქმედებისთვის, განსაკუთრებით, რომანებისათვის. მეტიც, მათი სტრუქტურისა და მსოფლმხედველობრივი მრწამსის საფუძველთა საფუძველია. გასაკვირი არაა, რომ პერსონაჟებიც მარადიული არსებობის წრეში ტრიალებენ. უფრო ზუსტად, ასე არიან წარმოდგენილი ისინი ომზირ ხატიძის, ვაზა აკუდბას, ამრა სოლომონის, ნოეს თუ სხვათა ხილვებში. შემთხვევითი არაა, რომ „დროის წიგნში“ სიცოცხლის არსზე საუბრისას გამოიკვეთება სამი ჰიპოსტასი: „დრო, სივრცე და წარმოსახვა“ („დროის წიგნი“: 67).

ადრინდელ ნაწარმოებებში, არსებითად, უკვე მოხაზულია დროის და მასთან, სიკვდილ-სიცოცხლის მიმართ ის დამოკიდებულება, რომელიც მეორდება შემდგომი პერიოდის თხზულებებში, ფართოდ არის წარმოდგენილი „ფიქრის სავარძელშიც“ და მისი სიუჟეტური რკალის ერთი შეხედვით ქაოსურ ნაწილებში საკმაოდ მწყობრი, წინასწარგანზრახული და ლოგიკური თანმიმდევრობით აკინძული.

მწერლის პირველსავე კრებულში უკვე მოინიშნა დროის თავისებური აღქმა: „სხვანაირად აღვიქვამ დროსა და სივრცეს. ჩემი აწმყო, წარსული და მომავალი ერთ სიბრტყეზე დევს“, – აღნიშნავს ანზორი, პერსონაჟი მოთხრობისა „საგალობელი ჩემი სულისა“ („სიცოცხლის დედა“: 123). „დროის წიგნში“ კი, კაცის და დროის წარმოსახვითი საუბრისას, ეს უკანასკნელი მკაფიოდ განმარტავს: „წარსული, აწმყო და მომავალი მიმდინარეობს ერთდროულად... მაგრამ სხვადასხვა განზომილებაში... გადავდივართ და გადმოვდივართ“ („დროის წიგნი“: 23).

მეორე მხრივ, „დროის წიგნში“ იმ პარალელური თუ მიღმა სამყაროს ბინადარი მზეთუნახავი (რომლის სახელია უკვდავება) განუმარტავს ამ განზომილებაში მოხვედრილ ადამიანს, რომ წუთისოფლისეული აღქმა-გაგება სამყაროსი აქ არ არის გამოსადეგი, იმიტომ, რომ „აქ დრო არ არის... აქაური ყოფა უდროობაა... დრო თქვენთანაა წუთისოფელში, დროით დამძიმებული უცებ ბერდება“ („დროის წიგნი“: 48).

– „სად ვარ? წარსულში თუ“?... ეკითხება აფხაზ ამორძალს „ფიქრის სავარძელის“ ნოე ერთ-ერთ ხილვაში.

– „არც მომავალში, ნოე... უბრალოდ, შენ სხვა განზომილებაში ხარ. თუ გინდა ამას დროში მოგზაურობა დაარქვი, – პასუხობს დალი და იქვე განმარტავს, – წარსული, აწმყო და მომავალი ეს თქვენთანაა – წუთისოფელში. აქ კი... ის თქვენი დრო და მისი სამი შენაკადი არც შეიძლება იყოს! ამის ახსნა ძალიან გამიჭირდება, ეს კი არ უნდა გაიგო, აღიქვა უნდა... კი არ მიმდინარეობს დრო, არის“ („ფიქრის სავარძელი“: 303)...

ამდენად, ამ სხვადასხვა განზომილების ერთდროულად აღქმა ადამიანის შესაძლებლობებს აღემატება. თუმცა, ამის მიუხედავად, ადამიანი უკვდავია, იმიტომ, რომ უკვდავია, მარადიულია მისი სული. სული ადამიანში ღვთიური ნაპერწკალია, ღმერთი მარადიულია და ასეთივეა მისი ნაწილიც ადამიანში:

„უკვდავია ადამიანი!

მარადიული ნეტა რამ მოკლას?

მე აქვე დავსძენ:

დრო ვარ – იგივ სივრცე და სასრული როდი აქვს სივრცეს?!

უსასრულობაში მოარული სული ეძებს სიმართლეს,

იპოვის და გამთლიანდება“ („დროის წიგნი“: 40).

ასევე, „ფიქრის სავარძლის“ მიხედვით სწორედ უფლის ნებაა, „სული მოყინულ სხეულს რომ

ტოვებს, მაშინვე თბება და ახალ სიცოცხლეს იწყებს“ („ფიქრის სავარძელი“: 257).

„ფიქრის სავარძელში“ ეს ყველაფერი წარმოდგენილია, როგორც სავსებით ხელშესახები რეალობა, შესაძლებლობა, რომელიც ადამიანური ცნობიერების სტანდარტულ ჩარჩოში ვერ თავსდება, მაგრამ ამისგან დამოუკიდებლად, მაინც არსებობს.გავიხსენოთ, რომ დალის სიკვდილის ვერსიები ნოეს ხილვებში შემოდის, როგორც ანარეკლი რეალობისა. ერთი ვერსიით, იგი სიკვდილით დასაჯეს მისმავე თანამებრძოლებმა – იმისთვის, რომ ქართველი ტყვე დაინდო, იმისთვის, რომ შვილს ელოდა მისგან („ფიქრის სავარძელი“: 136). ეს თითქოს უფრო რეალისტური პლანია ნაწარმოებისა – იმ ეპიზოდის ჩათვლით, მოხუცი მედროგე დალის ცხედარს რომ მიასვენებს: მას ნოე ხვდება და მერე, გააცნობიერებს რა თავს დატეხილ უბედურებას, საფლავსაც თავად გათხრის იქვე.

მეორე ვერსია ნოეს ზმანებაში მოცემულია როგორც შესაძლებლობა: ნოე სამშობიაროსკენ მიიჩქარის. იქ მისულს ბებიაქალი მიუძღვის მარმარილოს კიბეებზე. სურათის სისრულისათვის ხსენებულ ეპიზოდში ხაზგასმულია, რომ ამ უკანასკნელს სამახარობლოს მოლოდინიც აქვს. იგი ჯვრიანი კარის მიღმა უჩინარდება და... უკან აღარ ბრუნდება („ფიქრის სავარძელი“: 38). მაშასადამე, მკითხველმა შეიძლება იფიქროს, რომ დალი მშობიარობამ შეიწირა.

„ჩემის სახელიც არ იცი“, – ეუბნება აფხაზი ამორძალი ნოეს, მაგრამ გამიჯნურებული ქართველისათვის იგი არის „ქალღმერთი დალი“. ეს უჩვეულო სიყვარული, ქალის ოქროსფერი თმები, მშობიარობის და სიკვდილის მოტივი კიდევ ერთი ნაწილია რომანის მითოსური შრისა.

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ტრილოგიის („აპოკალიფსი“, „უჟამო ჟამი“, „ფიქრის სავარძელი“), ასევე, სხვა ნაწარმოებების პრობლემატიკას, თემატურ მიმართულებებს, ბუნებრივად უკავშირდება მითოსური პლანი, მისტიკა და სიმბოლოთა მრავალსახეობა. თუ ამასთან ერთად საუკუნეთა სიღრმეების ანარეკლსაც გავითვალისწინებთ, შეიძლება ვისაუბროთ ერთგვარ კონტრაპუნქტზეც, ხოლო ამ სიბრტყეზე ასახული კონკრეტული რეალობა ერთიანი, დროისა და სივრცის მიღმა მდებარე სამყაროს კერძო გამოვლინებად ჩავთვალოთ.

შესაბამისად, წარმოდგენილი მხატვრული სახეების არსის გაგება მხოლოდ თხზულებათა მთლიანი კონცეფციიის ფარგლებში განსჯით შეიძლება. რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია ამ სახეთა მრავალპლანიანობა. მედიტაციებზე და ილუზიურ სამყაროზე რომ არაფერი ვთქვათ, თვით სავსებით რეალისტური სცენა, ეპიზოდი შეიძლება, მოცემული იყოს, როგორც სიმბოლო, იდუმალებით სავსე ნიშანი ობიექტური რეალობისა...

ხოლო როცა მხატვრული სინამდვილე სამყაროს მატერიალისტური აღქმის მიღმაა, წარმოსახვის, შემოქმედების მანერა თავისთავად იხრება ირაციონალურისკენ და აქ უკვე დიდ ინტერესს იწვევს ადამიანის ქვეცნობიერზე საუკუნეთა განმავლობაში „მიბმული“ ყველა ის წარმართული თუ ქრისტიანული, აღმოსავლური თუ დასავლური რწმენა და წარმოდგენა, მითი და მისტერია, იგავი და ფანტასმაგორია, რასაც, საუკუნეთა განმავლობაში, წინათ თუ ახლა, კვალი დაუჩნევია ადამიანის გონებაზე ან, მეტადრე, სულზე...

ზემოთქმულიდან გამომდინარე,საყურადღებოა, რომ დალის ხატება (ისევ და ისევ ქართული მითოლოგიის ჩარჩოს ფარგლებში) უკვე მონიშნულია „უჟამო ჟამში“ – მხედველობაში მაქვს აიას ქვეყანა და აია გოგო: „დეიდაშენს შენთვის დალი უნდა დაერქმია, მე კი აია დაგარქვი“, – ეუბნება დედა აიას („უჟამო ჟამი“: 335) აია კი (აია-დალი) ამრა-სოლომონის რეალური თუ ილუზიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.

ბუნებრივია „ფიქრის სავარძლის“ ასოციაციებიც „უჟამო ჟამის“ ამრა-ამირანთან. მითუმეტეს, რომ „ფიქრის სავარძელში“ ნახსენებია სულკალმახიც („ფიქრის სავარძელი“: 60). ეს უკვე ბედისწერაზე მინიშნებაა და აფხაზი ამორძალიც, რომელიც სახელდებულია, როგორც „დალი“

– იღუპება. სიყვარული კი რჩება და არა მხოლოდ სადღაც... მესამე განზომილებაში, არამედ, ამქვეყნადაც, როგორც ამაღლებული ამბავი, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა ისევე, როგორც იმ ძველისძველ მითში ფრაგმენტად დარჩენილი ისტორია ადამიანური ყოფისა: „დალისა და შენს სიყვარულზე ლეგენდები დადის“, – ეუბნება მარეხი ნოეს („ფიქრის სავარძელი“: 52).

ეს სიყვარული ცოდვებისგან გათავისუფლების ორიენტირიცაა. ამ ორიენტირის კიდევ უფრო მკაფიო სახე ისევ და ისევ ნოეს ხილვებით გვეძლევა: „იქით – ჩემი აფხაზი ამორძალი, მარწყვისფერ კაბაში გამოწყობილი და აქით – მე და ჩვენს შორის ოქროსფერთმიანი გოგონა, ადგილზე რომ ვერ ისვენებს“ („ფიქრის სავარძელი“: 112). ეს ოქროსთმიანი გოგონა ნოეს და დალის შვილია, იგი შვიდი წლისაა უკვე და მის გამოკრთომას, ასევე, სიმბოლური დატვირთვა გააჩნია რომანში. ამ თემას ქვემოთ კიდევ მივუბრუნდები, აქ კი ერთხელაც შევნიშნავ, რომ სიცოცხლის სხვა განზომილებაში გადასვლისას ისევ ერთდებიან დაცილებული სულები: „როცა შენი წამიც მოაღწევს და აქეთ გადმოხვალ, შენი აფხაზი ამორძალი აქ დაგხვდება... აქ შენს ქალიშვილსაც იხილავ, როგორც მე მხედავ, ისე“ („ფიქრის სავარძელი“: 304). დალი დარწმუნებულია, რომ ისინი კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს, ოღონდ ეს შეხვედრა იქნება აუცილებლად „მეორე ცხოვრებაში“ („ფიქრის სავარძელი“: 87).

აქვე არსებობს ერთი უაღრესად არსებითი და მნიშვნელოვანი დეტალი: ზემოთ უკვე მივუთითებდით, რომ წუთისოფელი სულის წრთობის სამჭედლოა: ამიტომ ცოდვაც და მადლიც მისხალ-მისხალ იწონება. მხოლოდ სიცოცხლის გზის ბოლომდე გავლის შემდეგ არის შესაძლებელი „ახალ, ჭეშმარიტ გზაზე“ შედგომა მარადსოფელში („ფიქრის სავარძელი“: 246).

ეს ყველაფერი ფანტასტიკა როდია. საანალიზო თხზულებები არ არის ფანტასტიკური ლიტერატურა. სინამდვილეში განხილული მასალა უაღრესად რთული კომპოზიციის მქონე ნაწარმოებების მისტიკური რკალის ნაწილია. რასაკვირველია, შეიძლება ზემოხსენებული ბიბლიური მოტივების და თემების, მაიას ისტორიის თუ გილგამეშიანის მწერლისეული ინტერპრეტაციის დეტალური განსჯაც, მაგრამ უფრო არსებითი მაინც მიზანზე დაფიქრებაა... ანუ შეიძლება, ვცადოთ გააზრება არა მაინცდამაინც იმისა, როგორ გარდაისახება შემოქმედის ლაბორატორიაში კაცობრიობის ისტორიის რომელიღაცა ნაწილი, არამედ იმისა, თუ რატომ გარდაისახება, რის სათქმელად ფოკუსირდება ეს ყველაფერი.

ნოე გილგამეშს დაეძებს და ამ ძიებას წარსულიდან იწყებს. მოივლის საიქიოს „თავისი სამოთხით და ჯოჯოხეთით“ და იქიდან დაბრუნებული იპოვის კიდეც მითურ გმირს. სულთა ქვეყანაში მოგზაურობის მოტივიც (ერთგვარი ანარეკლი კატაბასისისა) ანზორ კუდბას პირველივე წიგნში უკვე ჩანს. „გრძნეულთა გამოქვაბულის“ პერსონაჟები დავითი და მზეხა მოივლიან სულთა ქვეყანას („სიცოცხლის დედა“: 134). ამავე მოთხრობაში მარადიული სიცოცხლის მოტივიც გამოკრთის.

მაგრამ მივუბრუნდეთ „ფიქრის სავრძელს“. ნოეს და გილგამეშის ილუზიური დიალოგიც სხვა ეპიზოდებში არაერთგზის გაცხადებულ ჭეშმარიტებას ადასტურებს – სიკვდილი და სიცოცხლე ერთი განუყოფელი ცნებაა, ადამიანის სული უკვდავია, „რაც მარადსოფელში უნდა გაგვიმჟღავნდეს“ („ფიქრის სავარძელი“: 157). სხვა ეპიზოდში კი გილგამეშთან შეხვედრა რიცხვების მაგიას უკავშირდება და მისტიკურ რიცხვს 21 („ფიქრის სავარძელი“: 259).

ეს საბედისწერო თარიღი მაიას ტომის კალენდრისა – 2012 წლის 21 დეკემბერი (21.12.2012) ტრაგიკულ ნასკვად გასდევს „ფიქრის სავარძელს“. წარღვნისგან, განადგურებისგან კაცობრიობის ხსნა კი მხოლოდ რჩეულთა თავგანწირვას შეუძლია. ამიტომ მიემართებიან უდრტვინველად ცეცხლოვანი კრატერისკენ მაიას ტომის ის გამორჩეული წევრები, რომლებიც 21 დეკემბერს დაიბადნენ. მათთან ერთად არიან წინასწარმეტყველი და დიდქურუმი: ეს ერთადერთი გზაა, ტომი რომ გადარჩეს!

მაგრამ ეს უკვე იყო შორეულ წარსულში. ახლა?

„– ჩვენ გადავრჩებით, ადამიანი ღირსია, რომ იცოცხლოს“ – ნოეს ამოძახილი დიდქურუმთან ილუზიური საუბრისას („ფიქრის სავარძელი“: 178) თანამედროვე ეპოქას ეხება, მაგრამ მანამდე აუცილებელია „დაინახონ გადარჩენის გზა“, თანაც აუცილებელია აჩქარება, რათა „არ მოიშალოს სამყაროში სიცოცხლის იდეა“ („ფიქრის სავარძელი“: 178). ამდენად, მოშვება, მოდუნება დამღუპველია და მწერალიც არაერთგზის მიუთითებს არა მხოლოდ მოქმედების აუცილებლობაზე, არამედ მიზანშეწონილ აქტივობათა არსსა და ბუნებაზე.

§ 4. იმედის სხივი მხატვრული განზომილებისთვის

დავით გურამიშვილმა ქვეყანაში დატრიალებული უბედურება (შინაური აშლილობა, გარეშე მტრების თარეში...) ცოდვათა მომრავლებით ახსნა. ცალკეული ადამიანი, ისევე როგორც მთელი ერი, საკუთარი ცოდვების გამო ისჯება – „მათ ღმერთსა სცოდეს, ღმერთმან მათ პასუხი უყო ცოდვისა“, – წერს პოეტი.

ესქატოლოგიის მოტივი მკაფიოდაა გამოხატული ქართულ მწერლობაში გურამიშვილამდეც და მის შემდგომაც. თუ თვალსაჩინოებისთვის აგიოგრაფიას მივმართავთ (რომლის საფუძველი, ბუნებრივია, არის, ბიბლია და საზოგადოდ, ქრისტიანული სწავლება), აღმოჩნდება, რომ ჩვენამდე მოღწეულ პირველსავე თხზულებაში საგანგებოდაა აღნიშნული, რომ ვარსქენის გამაზდეანება და შესაბამისად, სასახლეში დატრიალებული უბედურება მხოლოდ პიტიახშის ცოდვილიანობის შედეგი როდია. როდესაც ვარსქენის ამბავი გავიგეთ, „აღვივსენით მწუხარებითა და დიდითა ტირილითა ვსტიროდეთ განმწარებულნი ცოდვათა ჩვენთა წარმოჩინებისათვის“, – წერს იაკობ ხუცესი.

კიდევ უფრო პრინციპულადაა დასმული საკითხი „აბოს წამებაში“ ეროვნული ტრაგედიის არსის ასახსნელად, საკუთარი ეპოქის დასახასიათებლად იოანე საბანისძე მოიხმობს სიტყვებს სახარებიდან („მრავალნი სცთებოდიან და მრავალთა აცთუნებდნენ“ – მათე: 24.5-11) და მიუთითებს, რომ ქართველებმა დაივიწყეს „ჩვეულებისაებრ მამულისა სლვაჲ“ და მისი რწმენით, ამის დავიწყებიდან მომდინარეობს ქვეყნის ყველა უბედურება, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში არაბთა მძლავრობით გამოიხატა.

ჩამოთვლა კიდევ შეიძლება გაგრძელდეს, მაგრამ სურათი ისედაც ნათელია და ეს მაგალითებიც, უპირველესად, ტენდენციაზე მინიშნებისთვის მოვიხმეთ: „ჩადენილი ცოდვების გამო უნდა ზღოს კაცობრიობამ“, – ხმამაღალ გაფრთხილებად ისმის „ფიქრის სავარძელში“. სამყაროს შესაძლო აღსასრულის ახსნა ადამიანის მორალური დაცემით არახალია და ძველისძველია კითხვაც: სად გადის გადარჩენის გზა? თუ კაცობრიობას საფრთხე ემუქრება მოჭარბებული ცოდვების გამო, მაშინ ერთადერთი გამოსავალი ბოროტებაზე ხელის აღებაა: „არა კაც კლაო და ჰკლავთ და გვკლავენ, დაბრმავებულხართ, ვეღარ ხედავთ, რომ სისხლისფერია დღეს დედამიწა?! ნუთუ გგონიათ, რომ არ მოგეკითხებათ?.. გონს მოდით ადამიანებო!“ – ამ ჭეშმარიტებას აფხაზი ამორძალი მარადსოფელში გადასვლის შემდეგღა ხვდება და მითუმეტეს მნიშვნელოვანია, რომ ციტირებულ სიტყვებს მეომარი ამბობს მეომართანვე საუბრისას, ბევრს არაფერს ცვლის, რომ რიცხვების მაგიაზე დაყრდნობით კაცობრიობის დაღუპვის თარიღი ერთი საუკუნით „გადაიდო“ („ფიქრის სავარძელი“). არსებითად, ამგვარი „გადადებაც“ მინიშნებაა ასწლიან გამოსაცდელ ვადაზე, მაგრამ სინამდვილეში ასი წელიც წამია მარადისობასთან მიმართებაში.

ამ კონტექსტითაა ნასაზრდოები რომანიდან რომანში გარდამავალი მედიტაციები – „მოგზა-

ურობანი“ დროსა და სივრცეში, თხზულებათა სიუჟეტურ ქარგაში ჩაწნული გილგამეშიანი და მაიას ტომის ქურუმები, უცხო ცივილიზაციების კვალი და „მეათე პლანეტა“ ნიბირუ – სამი ათას ექვსას წელიწადში ერთხელ რომ შემოუვლის მზეს... ამავე კონტექსტითაა ნასაზრდოები ესოდენ თვალსაჩინო ბიბლიური მოტივები, რომელიც, რასაკვირველია, მწერლის მთელ შემოქმედებაშია გამოხატული.

უმოქმედობა, თუნდაც ბიწიერებისგან გარიდება და განზე დგომა დამღუპველია. „დამდგარა მოქმედების ჟამი“ („ფიქრის სავარძელი“: 308) და ამ მოქმედების არსი ხალხისადმი სამსახურია. კაცობრიობის ბედის გადაწყვეტაში მონაწილეობს ყველა თავისი ცხოვრებით, ცოდვით თუ უცოდველობით... ინდიელი დიდი ქურუმი გარკვევით ეუბნება ნოეს – „რომ გადარჩეთ, აქედანვე უნდა შეუდგეთ მონანიების გზას... შენზე და შენისთანებზეა დამოკიდებული დედამიწის ბედი“ („ფიქრის სავარძელი“: 308) – ეს აუცილებელია, მაგრამ არა – საკმარისი. საჭიროა თავგანწირვა. კითხვა – „მოვა კი ის, ვისაც ჩვენი გადარჩენა შეუძლია, ვინც ჩვენთვის ილოცებს, ლოცვას აღავლენს ადამიანის ბედსა და ბედნიერებაზე?..“ („ფიქრის სავარძელი“: 206) – დაეჭვება კი არა, არამედ დაფიქრებაა ხვალინდელი დღის გამო, ხოლო თავგანწირვის მაგალითი – ცოდვებისაგან საკუთარი ხალხის ხსნისთვის თავის გადადების მაგალითი – ჰქონდა კაცობრიობას იესო ქრისტეს სახით!..

ბრძოლის ველი და საზოგადოდ ომი, მხოლოდ გმირების ასპარეზი როდია. მათ გვერდით სულმდაბლობის, საარაკო სისასტიკის თუ სიხარბის მაგალითებიც არ ყოფილა თითებზე დასათვლელი – ამიტომაა ანზორ კუდბას შემოქმედებაში წარმოდგენილი ესოდენი დაჟინებით ჯვარცმულის მაგალითი. ცოდვებით სავსე ადამიანური ყოფის ბუნება ისაა, რომ ადამიანის გონება ვეღარ ჭვრეტს აწმყოს მიღმა. „ადამიანი მარადიული აწმყოს დამკვიდრებით ცდილობს, მოიპოვოს უკვდავება“. შესაბამისად, უარყოფილია წარსული და მომავალი. გამოსავალი ერთია: „კაცი დროში უნდა იყოს, აწმყოში, აწმყომდე წარსულში და მომავალში ერთდროულად“ („უჟამო ჟამი“: 88); ეს ყველაფერი არც მარტივად ასახსნელია და არც მარტივად გასაგები, მაგრამ იმის აღიარება ხომ შეიძლება, რომ პიროვნების თუ საზოგადოების სრულყოფამდე მიღწევის გზა მხოლოდ და მხოლოდ სიკეთესა და სიყვარულზე გადის. ამათ გარეშე ვერ იარსებებს ვერც თავისუფლება, ვერც უკვდავება: „სიკეთის მატარებელი უნდა იყო, შენ, ამრა სოლომონ! მხოლოდ მაშინ ეზიარები უკვდავებას“ („უჟამო ჟამი“: 27), – ასე ეუბნება ამრას მზე – მარადიული ნათლის სიმბოლო. ახალი თაობა კი, თუ „დასისხლიანებული ხელებით და შერყვნილი სულით“ მოდის, ვერ შეძლებს თავისუფლებასთან ზიარებას. ქვეყანას „ახალი, ქართველი მოსე სჭირდება“ („უჟამო ჟამი“: 145) და როცა სისხლი დაღვრილია, ისევ სიკეთეს და სიყვარულს უნდა მოვუხმოთ მშველელად. გადარჩენის გზა მონანიებაზე გადის, უპირობო ურთიერთშენდობაზე. აქედან კი შორი გზა აღარ რჩება მოყვასისთვის, მოძმისთვის თავგანწირვამდე. ქრისტეს მოძღვრება, როგორც სიკეთის, სიყვარულის წყარო და სიმბოლო, განსახილველი თხზულებების მსოფლმხედველობრივ საფუძველს წარმოადგენს, კაცობრიობის ისტორია კი ჯიუტად ადასტურებს, რომ ჯვარცმულის ღვაწლის დანახვა, მისი გაგება და შემეცნება ძნელია მოკვდავისთვის და უდიდესი სულიერი ძალაა ამისთვის საჭირო. მაგრამ კიდევ უფრო ძნელია ადამიანისთვის, რომ ამაღლდეს და ტანჯვა შეუმსუბუქოს „ჯვარცმულ იეშუა კაცს“ („უჟამო ჟამი“: 114), რათა გახდეს თანაზიარი ამ დიადი თავგანწირვისა.

ომზირ ხატიძის და იოსებ ნიჟარაძის („აპოკალიფსი“), ვაზა აკუდბას და ამრა-სოლომონის („უჟამო ჟამი“) თუ ნოეს („ფიქრის სავარძელი“) ტრაგიკული განცდის საფუძველიც ესაა:

„– მინდოდა და ვერ მივეშველე!

– გინდოდეს და ვერ შეძლო?

ესეც ტრაგედიაა კაცის“! („უჟამო ჟამი“: 93)

მაგრამ სურვილი უკვე ნიშნავს სიკეთის სხივს და იმედის გზასაც სწორედ ეს სხივი ანათებს...

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ა. კუდბას რომანების ფაბულის საყრდენი აფხაზეთის ომია. ნოეს, ომით დაღდასმულს, ერთ-ერთ ხილვაში მარეხი ეუბნება: „მართლა მიდიხარ? მერედა ვინ უნდა მოკლა? აფხაზი?“ მაგრამ ომს თავისი კანონები აქვს. ამიტომ ქალის თხოვნა („არავინ მოკლა და არც შენ შემოაკვდე ვინმეს“) აბსურდულივე ნაწილია იმ აბსურდისა, რომელსაც ომი ჰქვია. მაგრამ ამ ომში (ქართველთა და აფხაზთა ომში) ეს გულუბრყვილო „ნუ მოკლავ“ სიმბოლურ დატვირთვას იძენს: „თუკი არავინ შემოგაკვდა, მაშინ უვნებელი ჩამოხვალ... სიტყვა უნდა მომცე, რომ დაბრუნდები“ („ფიქრის სავარძელი“: 162) – ეუბნება მარეხი ნოეს და სჯერა, რომ ასეც იქნება... მაგრამ სამყარო სხვანაირად არის მოწყობილი და თანაც აღარც ის დროა, სიკეთეს რომ უცებ გაიგებენ...

აშკარაა, რომ აფხაზეთის ტრაგედია თითქოს ანარეკლია, მიკრომოდელია კატასტროფისა, მთელ დედამიწას რომ ემუქრება. არ არის შემთხვევითი, რომ „ფიქრის სავარძელში“ საზოგადო ჭირი (უბედურება, რომელიც მსოფლიოს ემუქრება) კერძო ჭირთან (უბედურება, რომელიც საქართველოში ტრიალებს) ერთად, პარალელურად არის წარმოდგენილი.

ისედაც ტრაგიკულ რეალობას კიდევ უფრო ამძაფრებს ეშმაკის ამოძახილი: „უარეს დღეში ჩავარდებით, ვეღარაფერი გიშველით. თქვენ თქვენს ღმერთს მიუტოვებიხართ!..“ (ფიქრის სავარძელი: 313), მაგრამ ეშმაკი იმის ეშმაკია, რწმენის და იმედის ჩაკვლა რომ სცადოს. სინამდვილში ღმერთი არასდროს ტოვებს ადამიანს, პირიქით, ყოველთვის მასთანაა! „უჟამო ჟამის“ ზარების ჟღერაც ამაზე მინიშნებაა და პასუხიც კითხვაზე „– ნეტა საიდან ზარის ხმა?“ – ერთმნიშვნელოვნად ნათელია:

„არც ჩრდილოეთიდან და აღარც – სამხრეთიდან! არც აღმოსავლიდან და აღარც – დასავლიდან!

მხოლოდ მაღლიდან!..“ („უჟამო ჟამი“: 345)

თხზულებათა ქაოსური პლანიც ეპოქის გამოძახილია, თანაც, არა უნებლიე. მწერალი მიზანმიმართულად ქმნის ქვეყანაში არსებული აბსურდის ლიტერატურულ მოდელს. ანზორ კუდბას ნაწარმოებთა კომპოზიცია, მხატვრული სამყარო არ არის იოლი აღსაქმელი. ხშირად რეალურის და პერსონაჟთა ფანტაზიაში წარმოსახვის გამიჯვნაც ჭირს, თუმცა ამის გარეშეც ნათელია მკითხველისათვის, რომ იმ სამყაროში, რომელსაც ეს ნაწარმოებები ეხება, რბილად რომ ვთქვათ, ბევრი რამ რიგზე არ არის... მიზეზი, როგორც ითქვა, ცოდვების მოძალებაა და ხსნა – სიკეთეში, მოყვასის სიყვარულში, მოყვასისთვის თავის გაწირვაშია... სწორედ ამ ზოგადში არის კოდირებული ქართველთა, აფხაზთა და ოსთა ერთად გადარჩენის საფუძველი... სიყვარულია სწორედ სამკვდრო-სასიცოცხლოდ წაკიდებულთა საშველი. ის სიყვარული, რომლის ნაპერწკალი თვით მტრადმოკიდებული მოძმის არსებაშიც აუცილებლად უნდა ბჟუტავდეს მომავლის იმედად... – აქ კიდევ ერთხელ შეიძლება გამეორება მწერლის ზემოთ ციტირებული სიტყვებისა: „ჩემში უკვე შემორიგებია აფხაზი ქართველს და პირიქითაც – ქართველი აფხაზს“, – ან გახსენება გურამ ოდიშარიას ტკივილით განცდილი ჩანაწერისა „დევნილთა უღელტეხილიდან“: „თვალნათლივ ვხედავდი, რომ ჩვენს შორის ბევრად მეტი სიყვარული ყოფილა, ვიდრე სიძულვილი, ამას ხედავდნენ სხვებიც, თითქმის ყველა. მშვიდობიანობის ჟამს მხოლოდ ერთგულები გრძნობენ სიყვარულის სიდიადეს, უმრავლესობას კი, ჩვენდა საუბედუროდ, თურმე რაღაც დიდი უბედურება სჭირდება თვალის ასახელად. მე ყოველივე ეს ღმერთის ნიშნად მივიღე მაშინ და დღეს სულით ხორცამდე მწამს, რომ ნამდვილად გადაურჩება ჩვენი მამული დაღუპვას“.

ნოეს, „ფიქრის სავარძლის“ მთავარ გმირს, აქვს იმედი, რომ ქართველები და აფხაზები შერიგდებიან და მაშინ დადგება საქართველოსთვის ოქროს საუკუნე!

მაგრამ „ფიქრის სავარძელი“ არც ოპტიმისტური განწყობის დემონსტრირებაა და არც პათეტიკის. უფრო პირიქითაა – ვისაც ნოეს სიყვარული შეეხო (სანათა, მარეხი, დალი), ყვე-

ლა გაშორდა წუთისოფელს... ამასთან, აფხაზი ამორძალის სიკვდილი ხომ მისი სიყვარულის ნაყოფის გაქრობაცაა: სრულიად არაორდინალურ ვითარებაში გამიჯნურებული ქართველის და აფხაზის შვილი ვერ იხილავს მზის ნათელს... თუმცა, რომანის სიმბოლური შრის ნაწილია, აგრეთვე, სიკვდილის ზემოთ აღწერილი „სხვა განზომილებაც“, ნოეს და დალის ურთიერთობა გრძელდება, რაც ომში ჩასახული ახალი სიცოცხლის არსებობის შესაძლებლობაზე მინიშნებაა, იმედიანი განწყობის საფუძველია და „ოქროსფერთმიანი, ცელქი, ცქრიალა“ გოგონა ჩანს კიდევაც ნოეს წარმოსახვაში. მეტიც, ამ ურთიერთობის ზებუნებრივი, მისტიკური ნაწილი იმის შესაძლებლობასაც იძლევა, კიდევ ერთხელ ჩაისახოს სიყვარული დალის არსებაში. „ორსულად ვარ შენგანო“, – ეუბნება ნოეს („ფიქრის სავარძელი“: 225), ხოლო მკითხველმა შეიძლება იფიქროს, რომ კავშირი არ წყდება და შეუძლებელია, რომ გაწყდეს!

შვილის დაკარგვის მოტივი ჩანს „უჟამო ჟამშიც“. მართალია, იქ განსხვავებული კოლიზიაა წარმოდგენილი, მაგრამ „ფიქრის სავარძელთან“ გადაკვეთის წერტილებიც თვალსაჩინოა. შვილის მკვლელობა ვაზა აკუდბას ჩანაწერებში აისახება, როგორც სიზმრის შინაარსი, თუმცა, აქვე არ არის გამორიცხული, რომ ეს მართლაც მოხდა, ოღონდ „სადღაც სხვა განზომილებაში, სხვა დროში“ („უჟამო ჟამი“: 72). არანაკლებ შთამბეჭდავია ორივე რომანის ზემოხსენებული რკალისთვის დამახასიათებელი ტრაგიკულობის განცდა, რაც მკითხველის ცნობიერების სიღრმეში ნაცნობი რეალობის ასოციაციებსაც აღძრავს.

მისტიკური კვანძი კი ისევ ირეალურ სამყაროში იხსნება. მხედველობაში გვაქვს ვაზასვე ჩანაწერი: მომავლის მამისეულ განჭვრეტაში დასახვრეტად დამიზნებული ავტომატების წინაშე მდგარი ამრა-სოლომონის ამბავი გასროლამდე სულ რაღაც ერთი წამით ადრე წყდება – მანამდე, სანამ გაიხმიანებს ბრძანება „ცეცხლი“ და სანამ მეომრები ჩახმახს გამოჰკრავენ.

„მომავალში შეჭრილი ამრა-სოლომონის კვალდაკვალ ვიარე ამ ხნის განმავლობაში და სწორედ იქ შევდექი, სადაც ნებით თუ უნებლიეთ უნდა შეწყვეტილიყო ერთი დიდი სიცოცხლე...“ („უჟამო ჟამი“: 188). ამ შედგომით, შეჩერებით, ცეცხლის და ტყვიის უარყოფით თითქოს უარი ეთქვა სიკეთის გზიდან ამცდარ ყოფას ამ ომში ჩართული ადამიანებისა; თითქოს დაწმენდის შესაძლებლობა მიეცა ამავე ადამიანების ამღვრეულ სულს.

იმედის სხივად შემოდის წიკწიკიც კი კედლის საათისა, რომელიც, მართალია, ამუშავდა, მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში ხმას არ გამოსცემდა და ახლაღა აწიკწიკდა („ფიქრის სავარძელი“: 319). იმედის სხივია გულის ფორმის ქვაც.

ნოე დაკარგავს დალის ნაჩუქარ ქვას. ამ უბრალო ზღვის კენჭს გულის ფორმა ჰქონდა. აფხაზმა ამორძალმა თავიდანვე ჩადო მასში სიმბოლური შინაარსი: გაუფრთხილდი, ჩათვალე, რომ ნატვრისთვალიაო... „დაკარგავ და დამკარგავ მეც, მოვკვდები, ნოე! ჩვენი სიყვარულის სიმბოლო იყოს ეს ქვა“ („ფიქრის სავარძელი“: 82). ამ შემთხვევაშიც თანაარსებობენ უდიდესი ბოროტება და სიკეთე – ომი და სიყვარული... ეს ქვაც ომის დროს იკარგება – აფეთქებისას, რასაც ნოეს კონტუზია მოჰყვა და მერე – ცნობიერების დაბინდვაც. თითქოს გულის ფორმის ქვამ გაიყოლა მისი სულის ნაწილიც. თუმცა, მიუხედავად ამისა, სიყვარული არ გამქრალა და, შესაბამისად, ცოცხლობს იმედიც. არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ ნაწარმოების ბოლოს კიდევ ერთხელ გამოჩნდება გულის ფორმის ქვა – ინდიელი ქურუმის თქმით, მასში უნდა აირეკლოს რეალობა: „– შენ რომ ზღვის ნაპირზე გულის ფორმის გამჭვირვალე ქვა ნახე, ყოველდღე დახედე იმას და თუკი ფერს შეიცვლის, ჩათვალე, რომ ჩვენი მზის სისტემის ცენტრში იმყოფები და მზის სხივები შენში, როგორც ფილტრფოკუსში იყრიან თავს და იწმინდებიან“ („ფიქრის სავარძელი“: 310)... მოცემული რკალის სიმბოლური შინაარსი კი იმით ძლიერდება, რომ ქვა ფერს იცვლის, იწმინდება, ანუ ნოესთან დაკავ-

შირებულ ყველა განზომილებაში იმედისთვის, ოპტიმიზმისთვის რჩება ადგილი: „სულ უფრო გამჭვირვალე ხდებოდა ჩემი გულისქვა (გულისთქმა); იწმინდებოდა, ნათდებოდა და ოქროსფერდებოდა...“ („ფიქრის სავარძელი“: 311).

გულისქვის დაწმენდა მხოლოდ ადამიანის სულიერი გასპეტაკების შედეგი შეიძლება იყოს. ამდენად, როცა მოქმედების აუცილებლობაზე ვამახვილებთ ყურადღებას, იქვე თითოეული ადამიანის ვალდებულებებზე, პასუხისმგებლობებზეც უნდა ვისაუბროთ. მწერალი დარწმუნებულია, რომ გადარჩენის, ერთობის გზა არსებობს და სწორედ ვალდებულებებზე მიუთითებს, როცა ერთ-ერთ ინტერვიუში გადაბრუნებული ურმის მეტაფორას იხსენებს:

„ურემი გადაბრუნებულია და მოჩანს გზა. რა ქნას მეურმემ?

პასუხი: შეებას უღელში“.

მაშასადამე, თუ გზა მოსჩანს – უღელში შებმა ერთადერთი საშველია! ცხადია, მწერლის პასუხიც მეტაფორაა და რეალურ ცხოვრებაში სხვადასხვანაირი კონკრეტული მოქმედებით შეიძლება გამოიხატოს, მითუმეტეს, რომ ადამიანები ძალიან ხშირად წინააღმდეგობათა გადალახვის რადიკალურ ფორმას ირჩევენ და თვალს არიდებენ ქრისტესმიერ გზას, მაგრამ მწერალმა ასეთი გზა დაინახა და აირჩია, რადგან ასე სწამს და მისი იმედიც ქართველთა და აფხაზთა მომავალი ურთიერთობის შესახებ, ამ რწმენას ემყარება: „მჯერა, რომ გალხვება ჩვენს შორის ჩამოწოლილი ყინული, გადნება და ცხოველი მდინარეც ყველა თავისი შენაკადითურთ გააგრძელებს თავის ჩვეულ გზას.

უფალს ასე სურს და წინ რა დაუდგება მის ნება-სურვილს“ (კუდბა, 2015: 24).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ბიბილეიშვილი, 2005:** ბიბილეიშვილი ი. „უკვდავი სული“; ბათუმი;

2. **ბუაჩიძე, 1986:** ბუაჩიძე თ., „თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის სათავეებთან“, თბილისი;

3. **გელოვანი, 1983**: გელოვანი ა., „მითოლოგიური ლექსიკონი“, თბილისი;

4. **კუდბა, 1986:** კუდბა ა., „სიცოცხლის დედა“, ბათუმი;

5. **კუდბა, 1996:** კუდბა ა., „ზენაქარი ანუ როცა იშლება ნაპირი სულთა“, ბათუმი;

6. **კუდბა, 2001**: კუდბა ა., „აპოკალიფსი“, ბათუმი;

7. **კუდბა, 2004**: კუდბა ა., „უჟამო ჟამი“, ბათუმი;

8. **კუდბა, 2010:** კუდბა ა., „დროის წიგნი“, ბათუმი;

9. **კუდბა, 2013**: კუდბა ა., „ფიქრის სავარძელი“, ბათუმი;

10. **კუდბა, 2015:** კუდბა ა., „დიდი წვიმის სიმფონია“, ბათუმი;

11. **მახაჭაძე, 2009:** მახაჭაძე შ., „და სიტყვა იყო ღმერთი...“, ბათუმი;

12. **მსხილაძე, 2004:** მსხილაძე რ., „მწერლის მისტერია“; გაზეთი „აჭარა“, №235 (27 ნოემბერი), ბათუმი;

13. **მსხილაძე, 2014:** მსხილაძე რ., ანზორ კუდბა კიდევ შექმნის რაიმეს დიდებულს, გაზეთი „აჭარა“, №144 (23-24 დეკემბერი), ბათუმი;

14. **ქუთათელაძე, 2013:** ქუთათელაძე გ., „ფიქრის სავარძელი“ (წინათქმა ანზორ კუდბას რომანისა, „ფიქრის სავარძელი, გვ. 3-7), ბათუმი;

15. **შაინიძე, 2004:** შაინიძე ჟ., წინათქმა ა. კუდბას რომანისა („უჟამო ჟამი“, გვ. 5-12), ბათუმი;

16. **შოთაძე, 2017:** შოთაძე ქ. ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი ანზორ კუდბას რომანში „უჟამო ჟამი“, ფილოლოგიური მაცნე, ტ. 4, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი, ბათუმი;

17. **ხომერიკი, 2008:** ხომერიკი ლ., „ჩემში უკვე შემორიგებია აფხაზი ქართველს“ (ინტერვიუ ანზორ კუდბასთან), გაზეთი „აჭარა“, №135 (2 დეკემბერი), ბათუმი.



ოთარ გოგოლიშვილი

გრიგოლ ვოლსკი, როგორც საზოგადო მოღვაწე და პოეტი

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და პროგრესული ქართული მწერლობის დიდ მედროშეებს – ილიასა და აკაკის, გვერდში ედგნენ თავისი დროისთვის ცნობილი საზოგადო მოღვაწენი, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქვეყნო საქმეში. მათ შორის ერთ-ერთ თვალსაჩინო ფიგურას წარმოადგენს გრიგოლ ვოლსკი, რომელიც ათეული წლების მანძილზე სიტყვითა და საქმით ეხმაურებოდა ყველა მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საკითხს.

ქართულ მემუარულ ლიტერატურასა და პერიოდიკაში შემონახული მასალები გრიგოლ ვოლსკის მოღვაწეობას, კერძოდ, ოსმალეთის ხელიდან გამოხსნილი ბათუმის კეთილდღეობისათვის ბრძოლას, დიდი სიყვარულითა და პატივისცემით წარმოგვიდგენს. „ღმერთმა ჰქმნას, როგორც მესმის და საქმეებიდან დავინახე ბათუმში ყოფნის დროს, ბევრი მისცეს ჩვენს ქვეყანას ისეთი გულწრფელი მოღვაწე, როგორც ვოლსკია, რამეთუ იგინი არიან მარილნი სოფლისა“ – წერდა ანტონ ფურცელაძე ვოლსკის შესახებ გაზეთ „ივერიაში“ 1898 წელს. თუ როგორ გულწრფელად, სიყვარულით ეკიდებოდა გრიგოლ ვოლსკი სამშობლოს კეთილდღეობის საქმეს, ამას ცხადჰყოფს მისი პუბლიცისტური წერილებიც.

„გვიზიდავს ჩვენი ქვეყნის ეთნოგრაფია და არქეოლოგია, ჩვენი ერის ბუნება და გრამატიკული აგებულება, წარსული იურიდიული ყოფა, საერო პოეზია, მუსიკა, სიმღერა და ამასთანავე უფრო და უფრო გვებადება სურვილი, რომ ჩვენს შრომას ეტყობოდეს მეცნიერების სხივი, მისგან აღიარებული დედა-აზრი და ძიება-კვლევის სახსარი“ – წერდა გრიგოლ ვოლსკი გაზეთ „ივერიის“ 1888 წლის 160-ე ნომერში.

ყველაზე მტკივნეული საკითხი, რომელსაც გრიგოლ ვოლსკი ფასდაუდებელ მნიშვნელობას ანიჭებდა, იყო საქართველოს ისტორიის შესწავლა. იგი ილიასეული პრინციპით აყენებდა მრავალსაუკუნოვანი გმირული წარსულის მქონე ქართველი ხალხის ისტორიის საფუძვლიანად შესწავლის საკითხს: „არაფერი ისე არ ამტკიცებს ჩვენს დაძაბუნებას და დავრდომილებას, როგორც ის გარემოება, რომ აქამდის არ მოგვეძევა არც ისეთი სისტემატიური და მეტ-ნაკლებად ისტორიული კრიტიკის ქარცეცხლში გატარებული მოთხრობა იმის შესახებ, თუ რანი ვყოფილვართ, როგორ გამოგვივლია გასულ საუკუნეთა გრძელი მანძილი, რა დაგვიკარგავს, რა შეგვიძენია და რა სასიცოცხლო ნაბიჯი გვაქვს დღეს განათლებული კაცობრიობის სამსჯავროს წინაშე წარსადგენი“ – წერდა გრიგოლ ვოლსკი 1893 წელს ჟურნალ „კვალში“. ეროვნულ-კულტურული ინტერესებისათვის მებრძოლ ადამიანს გულს უკლავს ის რომ ქართველი ერის დიდ კულტურულ წარსულს მზრუნველი არ ჰყავდა, არ იყო ისეთი შრომების გამოცემის სურვილი და მისწრაფება, რომლებიც ნათელს მოჰფენ-

დნენ ქართველი ერის ისტორიას. ასეთ ვითარებაში გრიგოლ ვოლსკი პირველხარისხოვან საკითხად აყენებდა ერის ისტორიის ცოდნას.

„თავისი ისტორიის უცოდინარი ერი გავს იმ უგვარო კაცს, რომელსაც არ გაეგება თავისი დაბადების ამბავი, არ იცის სადაურია. ჩვენს გარემოებაში მყოფ ერისთვის ისტორიასა და წარსულს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. შეიძლება თამამად სთქვას კაცმა, რომ ისტორიას ჩვენთვის ახლა პირველი ადგილი უჭირავს ლიტერატურაში“ – წერდა გრიგოლ ვოლსკი ზემოთ აღნიშნულ ჟურნალში.

სამშობლოს სიყვარულს ვოლსკის გულში ღრმად ჰქონდა გადგმული ფესვი. იგი მთელი არსებით მხარს უჭერდა დიდი ქართველ მოღვაწეებს ილიასა და აკაკის „არა არის არცერთი მხარე ჩვენი ცხოვრებისა, როგორც სხვისაც, რომ რაიმე წარსულის ნაშთი ზედ არ შერჩენოდეს, ხოლო ამ ნაშთისა დღეს ჩვენ არა გაგვეგება რა, ვიმეორებ, იმიტომ, რომ დავიწყებული გვაქვს მისი ამხსნელი და განმამარტებელი ისტორია“. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამშობლოს გულშემატკივარი გრიგოლ ვოლსკი მოითხოვდა შექმნილიყო საქართველოს ისტორიის შესწავლით დაინტერესებულ მეცნიერთა წრე და ამ საქმის შესრულებას იგი ავალებდა მოწინავე ახალგაზრდა ინტელიგენციას. „ცხადია, რომ მეცნიერული შრომა და ყველაზე უწინარეს ისტორიულად ჩვენის წარსულის შესწავლა და გაგება უპირველესი ვალია, რომელიც კისრად ადევს დაწინაურებულ ახალგაზრდობას“.

გ. ვოლსკის საზოგადოებრივი მოღვაწეობა ორგანულად უკავშირდება ქართველი ხალხის კულტურასა და ეროვნულ ინტერესებს. იგი მთელი თავისი შეგნებული ცხოვრებით იბრძოდა უსაქმურობის, მცონარობისა და უზრუნველობის წინააღმდეგ. მის ხელნაწერში შემონახულია ერთი გამოუქვეყნებელი წერილი სათაურით „აქეთურ-იქეთური“, რომლის სათაურზე ვოლსკი შენიშვნას აკეთებდა და გაზეთ „ივერიის“ რედაქტორს სთხოვდა: „ნება მიბოძე, ბატონო რედაქტორო, რომ ხანდახან გამოვეხმაურო „ივერიის“ მკითხველს და გთხოვოთ ეს სათაური დარჩეს ჩემი წერილების საზოგადო სათაურად“. ის გამუდმებით ამხელს იმ სულიერ სიღატაკესა და უნაყოფობას, რომელიც თვითმპყრობელური პოლიტიკის წყალობით სუფევდა მაშინდელ დროში, როცა საზოგადოების თავისუფალი აზრი „ყმაწვილივით არტახში“ იყო „გაკრული“.

გრიგოლ ვოლსკი ერთი ის საზოგადო მოღვაწეთაგანია, რომელმაც ზედმიწევნით იცოდა ქართული ენა, უყვარდა იგი და იბრძოდა მისი სიწმინდისათვის. იმ პერიოდში, როდესაც საქართველოში თვითმპყრობელობას თავისი რუსიფიკატორული პოლიტიკით ყველაზე დიდი იერიში მიჰქონდა ქართული ერის წინააღმდეგ, ის მუდამ გვერდში ედგა მშობლიური ენის დიდ მოამაგეებსა და დამცველებს. ქართული ლიტერატურული ენის განმტკიცება და დანერგვა მიაჩნდა მას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებად ახალი თაობის აღზრდის საქმეში. დედაენას ის თვლიდა ეროვნული ერთიანობის უმთავრეს საფუძვლად. „ქართველო, ბუნების შვილო... შენს ენაზედ უნდა იწყებდე ლაპარაკს, ამას გვეუბნება მეცნიერებაც და უბრალოდ საღი გონებაც“ – წერდა ის უმწიფარიძის ფსევდონიმით გაზეთ „დროებაში“.

მშობლიურ ენაზე სწავლების მნიშვნელობამ, ქართველთა ეროვნული შეგნების ამაღლებამ განაპირობა გ. ვოლსკის გაბედული და სამართლიანი გალაშქვრა იმ თავადაზნაურთა ჯგუფის წინააღმდეგ, რომლებმაც დაგმეს მშობლიური ენა: „უმეცრება მიეტევება კაცს, მაგრამ ვინც უმეცრებასთან ერთად მოკლებულია პატიოსანი გულის ძგერას და ზნე მონურ ფარეშობით გარდაქცევია, სწორედ მასზეა ნათქვამი: შაბაშ კაცი, შაბაშ სიტყვა, შაბაშ საქმე მისგან ქმნილი“.

სოციალური და ნაციონალური ჩაგვრის პირობებში, როცა მშობლიური ენა დამცირებული და განდევნილი იყო სახელმწიფო დაწესებულებებიდან, ხოლო ქართველ ახალგაზრდობას არ ესმოდა რუსული ენა, მათ განათლების მიღების გზა დახშული ჰქონდათ. ამიტომ ქართველი ხალხის მოჭირნახულე ადამიანების – ი. ჭავჭავა-

ძის, ა. წერეთლის, ი. გოგებაშვილის, გ. წერეთლის, ნ. ნიკოლაძისა და სხვების თავდადებული შრომითა და ბრძოლით საქართველოს სკოლებში ქართული ენის ცალკე საგნად შემოღებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა მომავალი თაობის გათვითცნობიერებისათვის. ამის შესახებ გ. ვოლსკი 1883 წელს გაზეთ „დროებაში" წერდა: „დღეიდან ქართული ენა შტატის საგნად იქნა ჩარიცხული... ახლა საქმე იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი პროგრამა ექნება ქართულ ენას და როგორი მასწავლებელი ეყოლება, მეტადრე ამ პირველ ხანს. დიდი მოვალეობა ედება კისრად და დიდი შრომა მოელის ქართული სიტყვიერების მასწავლებელს. თუ რიგიანად ესმის დედა-ენის მასწავლებლის მნიშვნელობა, საზოგადოდ მისი სიმძიმე და ღვაწლი, ჩვენში კერძოდ, მეტადრე ამ ჟამად... მან უნდა იცოდეს, რომ მას ადევნებს ყურადღებას და მოითხოვს ზნეობის ანგარიშს ყველა სამშობლოს, ქვეყნის, წარმატების მსურველი".

გ. ვოლსკი დაუღალავად იბრძოდა, რომ ახალი თაობის აღზრდის საკითხი დამდგარიყო მოწინავე საზოგადოების კულტურული ამოცანების სიმაღლეზე. მას აწუხებდა, რომ სკოლას არ გააჩნდა ერთიანი სასწავლო გეგმა და სახელმძღვანელოები. სკოლებში მეტწილად ასწავლიდნენ პედაგოგიური ცოდნის არმქონე პირები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებდნენ აღზრდის მოთხოვნებს. მას ღრმად ჰქონდა შეგნებული, რომ მომავალი თაობა იყო ერთ-ერთი საიმედო ძალა, რომელსაც თავის კისერზე უნდა გადაეტანა ცხოვრების ახალი ტვირთი, ამიტომ შეგნებული საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის მათი აღზრდა ვოლსკის დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხად მიაჩნდა. იგი პედაგოგობას დიდი პასუხსაგებ მოვალეობად თვლიდა. დაუნდობლად ილაშქრებდა აღზრდის საქმეში კომერციული ინტერესების წინააღმდეგ, მკაცრად აკრიტიკებდა უხამსი წიგნების ავტორებს, რომელთა „ნაჯღაპნს" არავითარი სარგებლობა არ მოაქვთ მოზარდი თაობისთვის.

სწავლა-აღზრდისა და განვითარების საკითხში გ. ვოლსკი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ქართველი ებრაელების მიმართ. იგი გადაუდებელ საჭიროებად თვლიდა ქართველი ებრაელების სწავლის საკითხში უკუეგდოთ დრომოჭმული შეხედულება, რომელიც წარმოიშვა სარწმუნოების სხვაობის ნიადაგზე, რომ გვერდში ამოდგომოდნენ თავიანთ ძმებს ქართველებს, დამდგარიყვნენ სწავლა-განათლების გზაზე. თავის ვრცელ სტატიაში „ებრაელების საქმე ჩვენში" გ. ვოლსკი ფართოდ მიმოიხილავს ებრაელთა მაშინდელ მდგომარეობას, იგი ეხება ებრაელების უუფლებობის, ათვალწუნების, დამცირების და დაბეჩავების საკითხებს, გაბედულად ილაშქრებს ხელისუფლების ანტისემიტური პოლიტიკის წინააღმდეგ.

„მაშინდელი სენის ფესვებმა, – წერს ვოლსკი, – ჩვენს დრომდე მოატანა და ჯერადაც არ ამოვარდნილა ძირიანად, რაც მტკიცდება სამხრეთ-რუსეთში ამ უკანასკნელ ხანს ებრაელების წინააღმდეგ მომხდარი მოძრაობით... აქ შუა საუკუნეებიდან დანატოვარს უმეცრების და სარწმუნოებრივ სიკერპის გარდა მოქმედებს აგრეთვე ეკონომიკური და საზოგადოებრივი მიზეზები. რუსეთში ებრაელები არ არიან გათანასწორებულნი კანონის წინაშე დანარჩენ ქვეშევრდომებთან და მოკლებულები არიან ბევრს უპირატესობას. ებრაელი იჩაგრება და კანონი მას არ ესარჩლება, რაც უნდა დიდი ნიჭისა და მშვენიერი ხასიათის პატრონი იყოს, მხოლოდ იმიტომ, რომ ებრაელად დაბადებულა ქვეყანაზე".

გ. ვოლსკის აზრით, ებრაელთა „ვერცხლის მოყვარეობის" და ჩარჩული საქმიანობის მიზეზად ჩაითვლება არა ებრაელი ხალხის ბუნება და ყოფა-ცხოვრებითი ზნე-ჩვეულებანი, არამედ ის წეს-წყობილება, რომელმაც ებრაელი ხალხი ჩააყენა უუფლებო, არაადამიანურ პირობებში. იგი, როგორც კეთილშობილი საზოგადო მოღვაწე, დიდი კმაყოფილებით ხვდება ებრაელების ბრძოლას თანასწორუფლებიანობისათვის. შეჰხარის რუსეთში მყოფი ებრაელების საზოგადოებრივი შეგნების ამაღლებას, „განათლების მიღების სურვილს, გამარჯვების იმედს, მომავალზე ფიქრს" და წერს: „რუსეთში ებრაელები

მაინც მიმხვდარან თავის გაძაღლებულ ყოფას, აპირებენ დაბრკოლების თავიდან აცილებას... რუსეთში ყოველ საზოგადო მოძრაობაში და საქმეში ამ ბოლო დროს ურევია ებრაელი და არ არჩევს თავის თავს დანარჩენ რუსეთის ხალხში... რუსეთში ბლომად არის ამჟამად განათლებული ებრაელი, რომელიც თავის განათლების ძალითა და გონებით ეხმარება რუსეთის პროგრესის საქმეს და უმატებს გამარჯვების იმედს დანარჩენ მამულის შვილებს". ასე, აფასებდა გ. ვოლსკი იმ მოწინავე ებრაელთა საქმიანობას, რომლებიც სხვებთან ერთად იბრძოდნენ სამშობლოს კეთილდღეობისათვის „გრძნობდნენ მის ტკივილს" და იღვწოდნენ მისთვის. აქვე, ის ღრმა ანალიზს უკეთებს ქართველი ებრაელების ისტორიულ წარსულს, სადაც სარწმუნოებრივ განსხვავებას არ თვლის ნაციონალური სხვადასხვაობის საფუძვლად „ჩვენ ვანებებთ თავს ისტორიულ ცნობებს იმაზე, თუ როდის და რა მიზეზის წყალობით გადმოიხიზნენ ებრაელები საქართველოში... მათ იპოვეს აქ ახალი სამშობლო, დასახლკარდნენ, სცხოვრობდნენ აგერ რამდენიმე საუკუნეა, შეითვისეს ქართული ენა, ტანსაცმელი, ბევრი ზნე და ჩვეულება, ერთი სიტყვით გაქართველდნენ და წმინდად შეინახეს მხოლოდ თავისი სარწმუნოება. ჩვენს დროში სარწმუნოება სინდისის საქმედ მიაჩნიათ. სხვისი სინდისის საღვთო საგანთან არავის ხელი არა აქვს. კაცი იწონება მხოლოდ საქმით, მისი კაცური კაცობით, იმით თუ როგორი მოქალაქეა, რისი მოქმედია საზოგადო საქმეში და საზოგადოდ როგორი მამულის შვილია".

სარწმუნოებრივი სხვადასხვაობა რომ არ არის ნაციონალური განსხვავების ნიშანი, ამის საილუსტრაციოდ გ.ვოლსკის მაგალითი მოჰყავს აჭარის ცხოვრებიდან: „ქართველობა აღტაცებით და უსაზღვრო სიხარულით შეეგება ბათუმის შემოერთებას, რადგან აქ დიდი ხნით დაკარგული ძმა-ქართველები სახლობენ. არა კაცს არ უთქვამს, ისინი ქართველები როდი არიანო, რადგან მაჰმადი წამთო და არა ქრისტე".

დემოკრატიულად მოაზროვნე გ.ვოლსკი გულმოდგინედ ზრუნავდა ქართველი ებრაელების ცხოვრებისა და სწავლა-განათლების საკითხებზე, იგი ვერ ურიგდებოდა მაშინდელი ებრაელების ჩამორჩენას სწავლა-აღზრდისა და საზოგადოებრივ საქმიანობაში. ის გაბედულად მოუწოდებდა მათ: „დროა, ჩვენებური ქართველი ებრაელები დაუკვირდნენ თავიანთ მდგომარეობას... შეიცვალონ შეხედულება, შეუერთდნენ დანარჩენ ქართველებს... შეიგნონ სწავლა-განათლების საჭიროება, იცნონ ახალი დრო და მიანებონ თავი თავის კარჩაკეტილობას და იმ უსაფუძვლო შიშს, ვითომც თანამედროვე ევროპული განათლება სარწმუნოებასა და მამა-პაპურ სიწმინდეს წაბილწავსო".

გ. ვოლსკი სტატიაში „ზღვის გადაღმიდან საუბარი" გვევლინება მშობლიური ენის სიწმინდის თავგამოდებულ დამცველად. ის იბრძვის უგვარტომო კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ. მისი აზრით, უცხოელთა წინაშე მონური ქედის მოხრა იმიტომ არის შეუწყნარებელი და მოუთმენელი, რომ იგი ამცირებს ჩვენი ხალხის წიაღში წარმოშობილ მრავალსაუკუნოვან კულტურას. იგი სასტიკად ეწინააღმდეგება იმ მდიდარი კულტურის დაგმობას, რაც რუს ხალხს შეუქმნია, მის კულტურულ საუნჯეს შეიცავს. საზოგადოდ გაბედულად ილაშქრებს იმ ცრუ პატრიოტების მიმართ, რომლებიც ქედმაღლურად უყურებენ თავისი ხალხის კულტურულ მონაპოვარს, ღალატობენ ეროვნულ რწმენას და ქედს იხრიან უცხოეთის წინაშე. ამას ადასტურებს დ. კლდიაშვილის მოგონება თუ როგორ დასცინოდა და აკრიტიკებდა გ.ვოლსკი მოთხრობა „ის"-ის ავტორს კალანდაძეს ნაწარმოებში გატარებული კოსმოპოლიტური აზრისათვის.

გ. ვოლსკის კრიტიკული და პუბლიცისტური წერილები გვიჩვენებენ, რომ იგი მტკიცედ იდგა მაშინდელი ცხოვრების გარდაქმნისა და განახლების გზაზე. მას ორი რამ ამოძრავებდა – ხალხის ბედი და სამშობლო. სძულდა თვითმპყრობელობა, რომელიც განუკითხავად წიხლავდა ყველა ეროვნების ხალხს. მისი, როგორც საზოგადო მოღვაწის, შესაძლებლობანი, ნათლად იქმნა გამოვლენილი ბათუმში მოღვაწეო-

ბის პერიოდში, სადაც ის ქალაქის თვითმმართველობის დაარსებამდე რკინიგზის ექიმი იყო, მაგრამ, საზოგადოებრივი საქმიანობით გატაცებულს თავისი სპეციალობა არ იზიდავდა. პირად ბედნიერებაზე არ ფიქრობდა, კერძო პრაქტიკა არ ჰქონდა და მუდამ ეკონომიურ სივიწროვეს განიცდიდა, რასაც ცხადჰყოფს გერმანელი მწერლის არტურ ლაისტის მოგონებანიც.

ეკონომიკური სივიწროვე გასული საუკუნის ქართველ საზოგადო მოღვაწეთა უმრავლესობის ხვედრი იყო. გ. ვოლსკი თავის ხელმოკლეობაზე სულაც არ ფიქრობდა. მისი მთავარი საზრუნავი იყო ქალაქის თვითმმართველობა ხელში არ ჩაეგდოთ იმ პირებს, რომლებსაც სწადდათ ქართველი ხალხის ინტერესების ფეხქვეშ გათელვა. მათ შორის გამოირჩეოდნენ გაზეთ „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ რედაქტორი პალმი, დეკანოზი რალცევიჩი, ნოტარიუსი გრელსკი და სხვები. გ.ვოლსკის და ი. მესხის აქტიურმა საქმიანობამ განაპირობა რომ ქალაქის თვითმმართველობაში 1894 წლის არჩევნების შედეგად უმეტესობა მოიპოვეს ქართველებმა. მწერალი სოფრომ მგალობლიშვილი წერს ამ არჩევნების შესახებ: „ბათუმელ ქართველებს წინ ედო უფრო დიდი და საშვილიშვილო მისიის შესრულება, ეს იყო ქალაქის არჩევნები. ძნელი წარმოსადგენია რა ჯაფა, შრომა დასჭირდებოდა ბათუმის ქართველობას საზოგადოდ და კერძოდ თვით ვოლსკის, თავისი თავგანწირული ამხანაგებით საქალაქო არჩევნებში გამარჯვებისათვის... ეს იყო და ეს, ქართველობამ ძირი მოიმაგრა და მას უკან დღემდე ბათუმს განაგებდა ქართველობა. მიზეზი ამისა იყო და არის გრიგოლ ვოლსკი, რომელსაც შინაურობაში გრიშას ვეძახდით“.

გრიგოლ ვოლსკი არ უშინდებოდა არავითარ დაბრკოლებას და მუდამ მზად იყო საკადრისად გამასპინძლებოდა ყველას, ვინც მოინდომებდა ქართველი ხალხის აუგად ხსენებასა და დამცირებას.

„ღრმად ნაკითხი, ცოდნით აღჭურვილი, მშვენიერი მოლაპარაკე, ოხუნჯი – იგი სასიამოვნო მოსაუბრე იყო ყოველ შეკრებულობაში, ყოველ საზოგადოებაში... გულკეთილი, ღრმად მგრძნობიარე, ხალისიანი, იგი ძლიერ ადვილად იზიდავდა ყოველ შემხვედრს. მებრძოლი ხასიათის მქონე, გაბედული და შეუდრეკელი იყო ბრძოლაში. როცა მან სავსებით დაინახა ყოველივე უსამართლობა და უკუღმართობა, რომელიც გამეფებული იყო გარშემო, გადაწყვიტა ყოველი ღონე ეხმარა, რომ ბათუმში ცხოვრების პირობები სხვაგვარ ნიადაგზე დაეყენებინა“, – იგონებს დ. კლდიაშვილი.

ქედმოუხრელობა, შრომისმოყვარეობა და უსამართლობის მხილება გ. ვოლსკის განუყრელი თვისება იყო. მას შეგნებული ჰქონდა საზოგადო მოღვაწის მოვალეობა და პასუხისმგებლობა. ყოველივე ეს ნათლად ჩანს როტშილდის ქარხნის ინჟინრის ზრდილოვსკის, ნოტარიუს გრელსკის მხილებაში, რომლებიც ყოველნაირად ცდილობდნენ ქართველი და სომეხი მუშების დაპირისპირებას, თვითმმართველობისა და ქალთა საშუალო სასწავლებლისათვის შენობის აგების საკითხის ჩაშლას. მისი სატირული სიტყვა ხშირად იყო მიმართული პალმის რეაქციული ზრახვის წინააღმდეგ: „ხშირად ისეთ რამეს იოხუნჯებდა პალმზედ საზოგადოებაში, რომ განაგონით პალმი გულზე სკდებოდაო“. – იგონებს დავით კლდიაშვილი.

სამშობლო ქვეყნის უანგარო სიყვარული, გამთიშველი, ბნელი ძალებისადმი სასტიკი სიძულვილი, გასაოცარ ენერგიას ამჟღავნებდა ვოლსკში. იგი თავისი სამშობლოს სიყვარულში ხედავდა კაცობრიობის იდეალის განხორციელებას და ცდილობდა მუდამ საზოგადო აზრით ეცხოვრა. პირდაპირი და გულახდილი ვოლსკი მუდამ საზოგადო მისწრაფებით იყო გატაცებული.

მრავალი წინააღმდეგობისა და უკუღმართობის პირობებში გ. ვოლსკში მძლავრად გაიდგა ფესვი იმ მისწრაფებამ, რომ თურქეთის ბატონობისგან აჭარის განთავისუფლების შემდეგ საჭირო იყო ადგილობრივ მოსახლეობაში განათლების შეტანა, სკოლების, ბიბლიოთეკებისა და სხვა კულტურულ დაწესებულებებთა გახსნა, რასაც სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ რეაქ-

ციული ძალები. უფრო მეტიც, უნერგავდნენ ადგილობრივ მოსახლეობას სიძულვილს საქართველოს სხვა კუთხეებისადმი და აძაგებდნენ ყოველივე ქართულს. „თვითმპყრობელობა მიისწრაფოდა ჩაეხშო ნაციონალური კულტურის ყოველგვარი გამოვლინება, ატარებდა არარუს ეროვნებათა გარუსების პოლიტიკას“.

ასეთ პირობებში ბათუმის მაშინდელმა მოწინავე ქართველმა ინტელიგენციამ გაბედულად იკისრა ისეთი კულტურული ღონისძიებების გატარება, რომლებიც ხელს შეუწყობდა ადგილობრივი მოსახლეობის ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას.

გ. ვოლსკი, დ. კლდიაშვილთან და ი. მესხთან ერთად, ბათუმში ყველა კულტურული წამოწყების მოთავე იყო. მისი ხელმძღვანელობით დაარსდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აჭარის განყოფილება, რომელსაც თვითონვე თავმჯდომარეობდა. ის ხელმძღვანელობდა, აგრეთვე, ბათუმის ქართული სკოლის კომიტეტს.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აჭარის განყოფილების მიზანი იყო აჭარაში გაეხსნა სკოლები და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები. ამ საქმეში მას დიდი დახმარებას უწევდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი და სხვა საზოგადო მოღვაწენი, რომლებიც ხშირად ჩამოდიოდნენ ბათუმში. მათ მიერ დაარსებული ქართული სკოლები უსახსრობის გამო ძალზე უსუსურნი იყვნენ, მუდმივ ზრუნვასა და დახმარებას მოითხოვდნენ. დ. კლდიაშვილი იგონებს: „ვოლსკიმ და მესხმა გადაწყვიტეს ყოველწლიურად 14 იანვარს, ნინოობას, სასწავლებლის (ბათუმის პირველი ქართული სკოლის – ო. გ.) სასარგებლოდ განსხვავებული საღამოს მართვა... საღამოზედ მოწვეული იყო აკაკი წერეთელი, რომელსაც სადგურზედ დაუხვდა მთლიანი ქართველობა. აკაკიმ საღამოზედ წაიკითხა თავისი ლექსები და რაღა თქმა უნდა დიდად აღაფრთოვანა ხალხით გაჭედილი დარბაზი... საღამომ დიდი ფული შემოიტანა – სამი ათასზე მეტი და დიდი შთაბეჭდილება დატოვა. თოთხმეტი იანვრის საღამო, ნინოობა „მაცხოვრებელ წყაროდ შეიქმნა სასწავლებლისათვის – გაჭირვებიდან გამოიყვანა და ფეხი მოამაგრებინა“. მაგრამ ამ მიღწევით როდი კმაყოფილდება ვოლსკი. იგი მჭიდრო კავშირს ამყარებს წერა-კითხვის გამავრცელებელ ნიკო ცხვედაძესთან და უმოკლეს დროში ახერხებს სასწავლებლის შენობის აგებას.

ვოლსკი მოხერხებულად იყენებდა ქალაქის თვითმმართველობის წევრის უფლებას და ქალაქის თავთან ლუკა ასათიანთან ერთად ცდილობდა სახე შეეცვალა მაშინდელი ბათუმისათვის.

დ. კლდიაშვილის ცნობით, ვოლსკის მოღვაწეობის პერიოდში გაუხსნიათ ბათუმის გიმნაზია და საქალაქო სასწავლებელი, ორივესთვის აუგიათ ორსართულიანი შენობები, აუგიათ ელსადგური, ქალაქის საავადმყოფო, გაუხსნიათ ქალაქის ლომბარდი და რამდენიმე დაბალი ტიპის სკოლა სხვადასხვა ეროვნებისათვის. ნურიის მოედანზე ბაზრისათვის აუგიათ რამდენიმე ახალი შენობა, განუახლებიათ მუშაობა ბათუმის გარშემო მდებარე ჭაობების ამოსაშრობად, მოუკირწყლავთ ზღვისკენ მიმავალი ქუჩები, გაუშენებიათ ქალაქის ბაღები. ვოლსკის ინიციატივით შედგომიან თვითმმართველობისათვის შენობის აგებას.

თავისი ქვეყნის სიყვარული, მისი ეკონომიკური და კულტურული წინსვლისათვის თავგანწირული ბრძოლა ასულდგმულებს ვოლსკის, როგორც საზოგადო მოღვაწეს. იგი მთელ თავის სიცოცხლეს უკავშირებს საზოგადოებრივ ინტერესებს, ქვეყნის სამსახურს, სამშობლო კუთხის აღორძინებასა და წინსვლას. ამას მოწმობს დ. კლდიაშვილის მოგონება, თუ როგორ გააგრძელა ვოლსკიმ ქალაქის თვითმმართველობის სხდომა და დაუპირისპირდა ქალაქისთავის მოვალეობის შემსრულებელს ივანოვს. ქალაქის თავის ი. ანდრონიკაშვილის მოგონებაში „ჩემი აღსარება“ აღწერილია თუ როგორ შემთხვევით გადაურჩა გ. ვოლსკი 1905 წლის ბოლოს სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილებას, მისი თავიდან მოშორების შესახებ თვითმპყრობელობის წა-

რმომადგენლობის განკარგულების შეუსრულებლობისათვის.

გ. ვოლსკი საოცარი რისხვით, პირდაპირობითა და გაბედულებით, ყოველგვარი მორიდების გარეშე ესხმოდა თავს ყველას, ვინც მოინდომებდა ქართველი ხალხის ეროვნული თავმოყვარეობის შებღალვას.

ქალაქისთავის ლ. ასათიანის სიკვდილის შემდეგ იგი იყო ერთადერთი პიროვნება, რომელსაც შეეძლო გაძღოლოდა ქალაქის საქმეებს, მაგრამ ამ თანამდებობაზე თავისი კანდიდატურა არ წამოუყენებია. უფრო მეტიც, ყოველნაირად უწყობდა ხელს ქალაქისთავად გასულიყო ი. ანდრონიკაშვილი, რასაც ადასტურებს ზემოთ აღნიშნული მოგონებები.

გ. ვოლსკის აქტიურ საქმიანობას თვითმმართველობაში შეშფოთებაში მოჰყავდა ხელისუფლება და ამან განაპირობა ის, რომ 1902 წელს ქალაქის თვითმმართველობაში ერთხმად არჩეული ქუთაისის გუბერნიის გენერალ-გუბერნატორმა წევრად არ დაამტკიცა. მიუხედავად ამისა ის მოსახლეობაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ თვითმმართველობის წევრის, რეაქციონერ ივანოვის, ვადის გასვლის შემდეგ, ბათუმის მოწინავე ინტელიგენციამ, ხელისუფალთა დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, გამგეობის წევრად ვოლსკი გაიყვანა. თვითონ ასე იგონებს ამ ფაქტს: „წლეულს ასე მოხდა, რომ 24 იანვარს ჩემს დაბადების დღეს, დანიშნული იყო ბათუმის საქალაქო გამგეობის წევრის არჩევა, რადგან ივანოვს გაუთავდა ვადა, მთხოვეს მეყარა ისევ კენჭი. დავდგით ყუთი მე და ივანოვმა. სხვა მოცილე არავინ ყოფილა. სულ იყო 23 ხმა. ამ 23-ში ივანოვს ამოუვიდა მხოლოდ 8 თეთრი, დანარჩენი 15 შავი. მე ამომივიდა 8 შავი და 15 თეთრი, ესე იგი ის გაშავებული იქნა. მოიშორა ქალაქმა ის წუწკი და საძაგელი კაცი, დარჩა უალაფოდ, მეტი გზა არა დარჩა, უნდა წასულიყო აქედან“.

ქალაქის თვითმმართველობაში ვოლსკის სამსახური ხანგრძლივი არ აღმოჩნდა. თვითმპყრობელობა სასტიკად სდევნიდა მას. 1907 წლის ზაფხულში იგი იძულებული გახდა გასცლოდა ბათუმს და გადასულიყო თბილისში, სადაც მასწავლებლად დაიწყო მუშაობა სათავადაზნაურო გიმნაზიაში.

გ. ვოლსკის, თავიდანვე არჩეულ ძნელად სავალ გზაზე, არასოდეს ღირსებია წყნარი და უშფოთველი ცხოვრება. მთელი მისი ცხოვრება იყო ბრძოლა ძალმომრეობის წინააღმდეგ, სამშობლოს უკეთესი მომავლისათვის, რაშიც ზურგს უმაგრებდა, მხნეობას მატებდა და გამარჯვების რწმენას უნერგავდა მოწინავე ქართველი ინტელიგენცია.

ამ წრეში იგი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. როგორც საზოგადო მოღვაწე მრავალმხრივ იყო დაკავშირებული ქართველი ხალხის ისეთ ღირსეულ შვილებთან, როგორებიც იყვნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ანტონ ფურცელაძე, ივანე მაჩაბელი, სოფრომ მგალობლიშვილი, დავით კლდიაშვილი, ივანე და სერგეი მესხები.

მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა გაზეთების „დროების“, „შრომის“, „ნოვოე ობოზრენიესა“ და „კვალის“ თანამშრომლებთან. ამ გაზეთების ფურცლებზე ხშირად ეხმაურებოდა საზოგადოების საჭირბოროტო საკითხებს, საგაზეთო ტრიბუნას მოხერხებულად იყენებდა ხალხის საკეთილდღეო საქმეების მოსაგვარებლად. ის მუდამ იმის ცდაში იყო, რომ რაც შეიძლება მეტი წვლილი შეეტანა ქართველი ხალხის, განსაკუთრებით ოსმალეთის ხელიდან გამოხსნილი აჭარის მოსახლეობის ეკონომიკურ და კულტურულ აღმავლობაში.

გ. ვოლსკი დროულად ეხმაურებოდა თავისი დროის ლიტერატურულ და პოლიტიკურ მოვლენებს ლექსებით, კრიტიკული და პუბლიცისტური წერილებით. მონაწილეობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოწყობილ ლიტერატურულ შეკრება-საღამოებში იმდროინდელ მოწინავე ინტელიგენციასთან ერთად. შეკრება-საღამოებზე გ. ვოლსკის აქტიური მონაწილეობის შესახებ მოგვითხრობს აპოლონ მახარაძის ნაშ-

რომი „ლიტერატურული შეკრება-საღამოები საქართველოში“, სადაც გადმოცემულია ი. გოგებაშვილის მოგონება გ. ვოლსკის მონაწილეობის შესახებ თბილისში ჩატარებულ ლიტერატურულ საღამოებში.

ქართულ პროგრესულ საქმეებში აქტიური მონაწილეობისა და საქართველოს ეროვნული და სოციალური ცხოვრების საჭირბოროტო საქმეების გადაჭრაში აქტიური ჩარევისათვის დიდად აფასებდა მას ქართული ინტელიგენცია. ამან განაპირობა რომ, გიორგი წერეთელმა მისწერა: „ჩვენი ფარ-ხმალი ბათუმში შენა ხარო“.

როგორც ითქვა, გ. ვოლსკი ილიასა და აკაკის თაყვანისმცემელი იყო, ამ ორ ადამიანში ხედავდა იგი ქართველი ხალხის მანათობელ ლამპარს. თავისი მხრივ ილია და აკაკიც დიდად აფასებდნენ მას. ი. გოგებაშვილი იგონებს: „გრიგოლთან ხშირი სტუმარი იყო აკაკი. კარგად მახსოვს, აკაკის ჭარბად უყვარდა ბორჯომის წყლის სმა და მის ყველა ჩამოსვლაზე გავრბოდი ბორჯომის წყლისთვისო. ილია ჭავჭავაძე სულ ორჯერ იყო. მისი და აკაკის ჩამოსვლის გამო გრიგოლი განსაკუთრებულ სიხარულს გრძნობდა. ჩაიკეტებოდნენ იგი და ილია ოთახში და მთელი დღე საქართველოს ამბებზე ლაპარაკობდნენ. გრიგოლი იმ დღეებში „უპრავაში“ არც კი წავიდოდა“. ამასვე მოწმობს ი. მანსვეტაშვილის მოგონებანიც.

ანტონ ფურცელაძე საკმაო დროის მანძილზე გ. ვოლსკის საქმიანობის უშუალო მოწმე ყოფილა. წერილში „გრიგოლ ვოლსკი და ბათუმის თაობა“ იგი წერს: „იმის მოღვაწეობასა და მოქმედებას უყურებენ როგორც გულწრფელს და სრულიად უანგაროს ქრისტიანი თუ მუსლიმანი ქართველობა, რუსობა, ბერძნობა ხომ სწორედ თაყვანებით იხსენიებენ ამას და მასში ხედავენ, როგორც წმინდათ და მაღალი გრძნობით აღსავსე საზოგადო საქმეების გულის შემატკივარს“.

გ. ვოლსკი რომ უაღრესად დაფასებული, ღირშესანიშნავი და საყვარელი პიროვნება იყო, გვიდასტურებს მე-19 საუკუნის სახელოვანი მოღვაწის ივანე მაჩაბლის წერილიც, რომელიც დათარიღებულია 1893 წლის ოქტომბრით. მომავლის რწმენით გულანთებული გრიგოლ ვოლსკი არაჩვეულებრივი გაბედულებით იბრძოდა ილიას, აკაკის და სხვა გამოჩენილ მოღვაწეთა მხარდამხარ, რათა ეხილა თავისი ქვეყნისა და ხალხის უკეთესი მერმისი, მაგრამ აღარ დასცალდა. მუდმივმა მღელვარებამ, ცხოვრების ეკლიანმა გზამ, თვითმპყრობელობის მხრივ დევნამ გატეხა მისი ჯანმრთელობა. როცა ბათუმიდან თბილისში გადავიდა, იგი უკვე ფიზიკურად დასუსტებული და დაავადებული იყო, აღარ ჰქონდა მისთვის ჩვეული ენერგია და ხალისი.

„მე დავბერდი, მოვიღალე, ძარღვები სულ აშლილი მაქვს და სრული დასვენება მჭირია. ბევრი ვიტანჯე, ბევრი გამოვცადე და გამოვიარე. მეყოფა, აწ ვეღარ გავუძლებ ამდენ მწუხარებას“ – წერდა გ. ვოლსკი.

ძალ-ღონე გამოლეულ გ. ვოლსკის თბილისში დიდხანს არ უცოცხლია. იგი გარდაიცვალა 1909 წლის 5 ოქტომბერს.

ბათუმის საზოგადოებამ, იმ ქალაქის საზოგადოებამ, რომლის აყვავებისთვისაც ვოლსკის არ დაუზოგავს თავისი ძალ-ღონე და ცოდნა, მისი ცხედარი თბილისიდან ბათუმს გადმოასვენა და დიდი პატივისცემით დაკრძალა ქართული ეკლესიის შესასვლელ კარებთან.

გ. ვოლსკი ძვირფასია ქართველთათვის არა მარტო როგორც საზოგადო მოღვაწე, არამედ როგორც ნიჭიერი პოეტი, ლიტერატურის კრიტიკოსი, პუბლიცისტი და მთარგმნელი. მისი ლექსები ქართველმა ხალხმა შეითვისა და თავის საკუთრებად აღიარა.

გ. ვოლსკის პოეტური შემოქმედება 1880-90-იანი წლების მწერლობის ჩარჩოში თავსდება. მისი ლექსები დაწერილია მეტწილად 1879-დან 1893 წლამდე. ისინი გვაგრძნობინებენ რომ პოეტი მთელი ძალით იმაღლებს ხმას უსამართლობის წინააღმდეგ. მას სძაგს წამგლეჯი, მტაცებელი და ავაზაკი.

გრძნობდა რა ცხოვრების სუსხს, ნაციონალურ ჩაგვრას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ

დაბეჩავებას, ვოლსკი თავის ლექსებში შეურიგებელ ბრძოლას უცხადებდა უსამართლობას. ამას მოწმობს მისი ამ ლექსის სტრიქონები:

„მართალია დღეს დიდი ზეიმი
აქვთ გამართული მტარვალ ჯალათებს
და ომში ბევრი გმირიც ემსხვერპლა
ორთავ-არწივის ვერაგ ბასრ ბრჭყალებს.
მაგრამ მოვა დრო, ხალხი აღსდგება,
ამაყ დროშას კვლავ ააფრიალებს
და მის მახვილქვეშ უსამართლობა
სასიკვდილოთა დაიხრიალებს“.

თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ასეთივე პროტესტული შინაარსის მატარებელია მეორე ლექსიც, რომელშიც პოეტი მოუწოდებს ჩაგრულთა მასას გადამწყვეტი ბრძოლისაკენ:

ჰო, ხალხო, უსამართლო
ცხოვრების მომჩივარო,
ამა ქვეყნის მტარვალთაგან
ნაგვემო და განამწარო.
კმარა ოხვრა, კმარა მოთქმა
სავალალო, სამწუხარო,
ზე-აღსდეგ და კვლავ წინ გასწი
საბრძოლველად ჩაგრულთ ჯარო!

ჭაბუკობის წლებიდანვე განმსჭვალული იყო გ. ვოლსკი სოციალური სამართლიანობის მაღალი იდეებით და მისი ერთგული დამცველი დარჩა სიკვდილამდე. მის ლექსებში ჩანს, თუ როგორ გულმოკლულია პოეტი სამშობლოსა და ხალხის დაბეჩავებით. სოციალური უთანასწორობის მკვეთრი დანახვა, ეროვნული ჩაგვრის უმტკივნეულესი განცდა, პატრიოტიზმი, ენობრივი სისადავე – აი, რით სულდგმულობდა გ. ვოლსკის შემოქმედება 1890-იანი წლების მწერლობაში.

პატრიოტული განწყობით არის დაწერილი ლექსი „მე იქ შევზრდილვარ, იმ ტურფა მხარეს“, სადაც მშობელი კუთხის მიდამოებს, ზაფხულის ღამეში მშობლიური რიონის „ჩქარი ზვირთების“ ტკბილ ალერსს პოეტი რომანტიკულ განცდამდე მიჰყავს:

მე იქ შევზრდილვარ, იმ ტურფა მხარეს,
სად ჩქეფს რიონი ამპარტავანი,
რასაც ის დამღერს ნაპირს მდინარეს,
იმას მოვძახო, მსურს მე დღეს ბანი.

გ. ვოლსკი დამწუხრებულია ცარიზმის პირობებში თავისი სამშობლოს დაჩაგვრით. იგი მოუწოდებს თავისი ქვეყნის მოსიყვარულე ძმებს „ზენა გრძნობისაკენ“, რომ მათ მხოლოდ სამშობლოს სიყვარულისთვის ჰქონდეთ გული „გაშლილი“ და ხელი აიღონ უსარგებლო განცხრომაზე. პოეტი ღრმადაა დარწმუნებული, რომ წუთისოფელი „ვარდ-მოფენილი“ ტახტი არ არის და თავისუფლებისათვის საჭიროა ბრძოლა:

თუ გრძნობთ, რომ ჩვენთვის წუთისოფელი
ტახტი როდია ვარდ-მოფენილი,
თუმც ვიცით ლხინი, ანდერძი ძველი –
განცხრომა გვძულდეს, იყოს დევნილი!

პოეტი კარგად ხედავს თავისი დროის სინამდვილეს, ქადაგებს მისდამი შეურიგებელ ბრძოლას და არასოდეს სასოწარკვეთილებაში არ ვარდება. იმედიან რწმენას, ოპტიმისტურ ამღერებას და გამამხნევებელ პოეტურ ხმას გვაგრძნობინებს ლექსი „მეგობარს“:

დეე გინათოს ძმაო იმედმა,
არ შეკრთე წამით მწარე ომშია!
არ გაწყევლინოს უწყალო ბედმა
გაჩენის წამი ბრძოლის დროშია!

პოეტი უკმაყოფილებას გამოთქვამს იმ ადამიანების მიმართ, რომლებმაც ბრძოლას სიძნელეებში პირი აუქციეს, დაკარგეს მომავლის რწმენა და უღალატეს „წმინდა იდეალს“. იგი უკუღმართ ბედთან ბრძოლაში თავდადებას, ვაჟკაცობას, გულმაგრობას, გამბედაობასა და შეუდრეკლობას ურჩევს მეგობრებს:

მაგრამ შენ, ძმაო, ისევ იმედით,
ისევ გულმაგრად ჰკაფე ეკალი!
ჯვარზე რომ გაცვან კრულვა-გინებით,
მაინც არ შეკრთე, თქვი „ვარ მართალი“.

დემოკრატიული იდეების მნერგავი პოეტი სიმართლის ძლიერი ხმით მოუწოდებს თავისი მხატვრული აღმაფრენის სიმბოლოს – მუზას – „არ დასცხრეს, არ შემოაკლდეს სიმხნევე, ძალა სამართლობასთან ბრძოლაში“. ვოლსკი მუზას ხალხთა ძმობისა და სამშობლოს ბედნიერებისათვის ბრძოლისკენ მოუწოდებს, რითაც ნათლად ვგრძნობთ თავისუფლების მღაღადებელი პოეტის მღელვარე სულს:

გრძნობის ცეცხლით მორთე ქნარი,
აკანკალდეს იწყოს ჟღერა,
მასში იყოს გლოვის ზარი და
ქორწილის ამღზნე მღერა!
თვით მოხუცსაც წასკდეს ცრემლი,
სიყვარულის ნაკუერცხალი,
კვლავ უყვარდეს მას სიცოცხლე,
კვლავ უყვარდეს მომავალი!

ბედნიერებისაკენ უსაზღვრო სწრაფვა და პოეტური ფანტაზიის აღმაფრენა იგრძნობა ლექსში „სიზმარი“. მასში ცხოველი ლირიზმით, იმედით, სავსე ოცნებით, სულისა და გულის წვით თავს ევლება პოეტი „თავისუფლების ტაძარს“. უცხო, მაგრამ საამო და ტკბილ ზმანებაში, სიზმარში ესახება სამშობლო ქვეყნის ბუნება, გიჟურად მოცეკვავე წყარო, ტოტებგაშლილი მუხები, ქარვასავით გამჭირვალე მტევნები. იგი დამტკბარა ბუნების ზღაპრული სიმშვენიერით და ჯადოსნური სურათების ხილვით. ბუნების ამ გოროზ, ჭეშმარიტ გაზაფხულს პოეტი უკავშირებს ბედნიერებით აღსავსე ცხოვრებას, მაგრამ ქრება ეს იდეალური ზმანება, ტკბილი ოცნება, წამიერი ბედნიერება და ოცნების სამოსელი და მოტყუებული პოეტი გულმოკლული რჩება:

„გაქრება სიზმარი... უცხო ჩვენება,
ტკბილი საამო მოსაგონია!
და ძგერს გლახ-გული მოტყუებული
ოცნების მხარე მოუპოვნია!“

პატრიოტი პოეტი უდიდეს ზიზღს გამოხატავს გაუტანელი, ფარისეველი და ამორალური ადამიანების მიმართ, რომელთათვისაც არავითარი საზოგადოებრივი ინტერესი არ არსებობს. იგი გულმოკლული უცქერის ამ გარემოებას. აღონებს ის, რომ ზოგმა ახალგაზრდამ დაივიწყა თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობა და „კუჭის“ მრწამსით სულდგმულებს:

„ვაი, საწყალს და ბნელ მხარეს,
სად ძმა ძმაზე ლესავს კბილებს
სად ძვალ-რბილში გასჯდომიათ
კუჭის „მრწამსი“ თვით ყმაწვილებს...“

პოეტი გმობს იმ მავნე, მაცდური და ადამიანების გრძნობის შემლახველი აზრის ბუდეს, საიდანაც ჩნდება ცხოვრებაზე ეგოისტური შეხედულება. მან კარგად იცის, რომ ასეთი მრწამსის ადამიანებს შეუძლიათ უდიდესი ზიანი მოუტანონ სამშობლოს:

„...წარწყმედილის, კრულის აზრის
სად ტაძარი აგებულა,
რომ მე ვიყო თვარა მერე
ქვა-ქვაზე დადუღებულა“.

ილია ჭავჭავაძის მსგავსად, გ. ვოლსკი უმოქმედო, უმეცარი, დაკნინებული ცხოვრების გამოსწორების საშუალებას სწავლასა და ცოდნის მიღებაში, მეცნიერების დაუფლებაში ხედავს. მას წამს მეცნიერების ყოვლისშემძლეობა და წერს: „მეცნიერება ერთ-ერთი საბუთია, უტყუარი და რიხიანი, რომელიც გამოგვადგება ფარად და ხმალად განათლებულ ხალხთა შორის თავის გამოსაჩენად, იგია ჩვენი საუკეთესო მფარველი და დამცველი, მტერთა პასუხის გამცემი“.

გ. ვოლსკიმ ახალგაზრდობაშივე განიცადა ეროვნული ჩაგვრა. იგი მთელი სიმწვავით გრძნობდა თავისი ქვეყნის ტკივილებს. მშვენიერი, მრავალფრად მოხატული, კეთილშობილი და გმირული წარსულის მქონე ქვეყნის სურათები და მამულისადმი სინამდვილით მიყენებული ტკივილები კარგად არის გადმოცემული „ელეგიაში“, რომელიც ეროვნული სევდისა და მწუხარების გამომხატველია. უნუგეშო მდგომარე-

ობის მიუხედავად პოეტი მაინც ელის განთიადს, რაც კარგად ჩანს შემდეგი სტრიქონებიდან:

„ვჭვრეტ ჯერ მეც წყვდიადს,
მაგრამ განთიადს
მაინც კი ველი,
ვიყო გინდ მკვდარი“.

გ. ვოლსკის პატრიოტული ლექსების ციკლს აგვირგვინებს ცნობილი ლექსი „შენ გეტრფი მარად“, რომელმაც დიდი პოპულარობა მოუპოვა ავტორს. იგი მკითხველს ხიბლავს სამშობლოსადმი უანგარო სიყვარულის იდეით, მოხდენილი ფორმით, უშუალობით, მუსიკალურობით, დახვეწილი ენით. ეს ლექსი ფართოდ გავრცელდა საქართველოში და დღესაც ყოველ კუთხეში მღერიან, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა კომპოზიტორმა მ. ბალანჩივაძემ მის ტექსტზე შექმნა რომანსი „შენ გეტრფი მარად“.

პროფ. დ. არაყიშვილი „ქართული მუსიკის“ მოკლე ისტორიულ მიმოხილვაში წერს: „...რომანსი „შენ გეტრფი მარად“, დამოუკიდებელ მელოდიას წარმოადგენს... მისი გამოსვლა ამ მიყრუებულ დროს შუქურ ვარსკვლავს მოასწავებდა ქართული მუსიკალური ცხოვრების კაბადონზე... მათ (მსგავსმა მელოდიებმა – ო. გ.) საფუძველი ჩაუყარეს მუსიკალური შემოქმედების ამ დარგს“.

პატრიოტული ლირიკის შესანიშნავი ნიმუშია გ. ვოლსკის ლექსი „როს საუკუნედ დავდუმდე“. ამ ლექსში პოეტი გვევლინება დიდ ოპტიმისტად. მან იცის რომ სიკვდილი ყველასთვის აუცილებელია, გარდაუვალია, იგი მოელის მას, მაგრამ ერთი წუთითაც არ ანელებს თავის სამშობლოსატრფოზე ფიქრს, რადგან სამშობლოს აწმყო და მომავალი მისთვის ერთ-ერთი მანუგეშებელი იმედია. ქართული ლიტერატურის ისტორიის მკლევარი პროფესორი ალ. ხახანაშვილი „ქართული სიტყვიერების ისტორიაში“ გ. ვოლსკის შემოქმედების განხილვისას, ყურადღებას ამახვილებს მის ლექსებზე „შენ გეტრფი მარად“ და „როს საუკუნედ დავდუმდე“. იგი წერს: „შენ გეტრფი მარად“ გადაღებულია ნოტებზე და სასიმღერო ლექსად არის გადქცეული. ალეგორიულადაც თუ არ ავხსნით ამ ტკბილ სალირიკო ნაწარმოებს, მაშინაც იგი თავისი ჰარმონიით იპყრობს ჩვენს ყურადღებას...ალეგორიული გრძნობა ჩაწნულია ლექსში „როს საუკუნედ დავდუმდე“, რომელიც თავდება მამულის აყვავების სურვილით“.

გ. ვოლსკის ბევრი ლექსი, რომ სასიამოვნოდ იყო მოსასმენი და თავისი ჰარმონიულობით დიდად ფასდებოდა, ამას მოწმობს ნიკო გაბუნიას მოგონებაც: „აღარ მახსოვს-მგონი 1903 წელს ჩამოვიდა ჩვენი საყვარელი მომღერალი ვანო სარაჯიშვილი, რომელმაც ოფიცერთა საკრებულოში გამართა კონცერტი. კონცერტზე ვანომ იმღერა გ. ვოლსკის სატრფიალო ლექსი:

„როდესაც გიცქერ, ტკბილად ძგერს გული,
შენდამი ტრფობით გატაცებული.
ოდეს გშორდები მარად ვტირი მე,
შენ გენაცვალე, შენი ჭირიმე“.

ეს ისე მშვენივრად იმღერა, რომ დამსწრე საზოგადოება აღტაცებაში მოვიდა და ვანოს სიმღერა რამდენიმეჯერ გაამეორებინეს“.

გ. ვოლსკი სახელმოხვეჭილი მწერლის კვარცხლბეკზე არ დამდგარა. ის წერდა იმ ხერხებით, რომლებიც გამომუშავებული და ხმარებული იყო ქართველი კლასიკოსების მიერ. მისი ლექსები ხასიათდება პოეტური ფორმის სიმარტივით, გრძნობის სიმდიდრით, სიწრფელით და მუსიკალური ჟღერადობით.

სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის დღიდან გ. ვოლსკი მთელი თავისი ძალ-ღონით, უპრეტენზიოდ და მოკრძალებით ემსახურებოდა ხალხს. მისი შემოქმედება შთაგონებულია დემოკრატიული იდეებით. იგი იწვოდა ხალხის სიყვარულით და იყო მოქალაქეობრივი იდეების მამაცი გამომხატველი.

გ. ვოლსკი არ შეზღუდულა მხოლოდ საზოგადოებრივი და პოეტური მოღვაწეობით. მას გარკვეული შრომა აქვს გაწეული თარგმნაშიც. ის თარგმნიდა, როგორც ქართულიდან რუსულად, ასევე, რუსულიდან ქართულად. მისი თა-

რგმანებიდან ცნობილია ჩეხოვის მოთხრობები და ანდერსენის ზღაპრები. ქართულიდან რუსულად თარგმნა მოთხრობები: „სამი ცოდვა“, „ოსური ლეგენდა“, შიო არაგვისპირელის „ესაა ჩვენი ცხოვრება“, ეკატერინე გაბაშვილის „სახრჩობელასთან“, დუტუ მეგრელის „ბაბუა სვიმონი“, ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“

ცხადია, მცირეა ვოლსკის მიერ თარგმანში გაწეული მუშაობა, მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ მას ღრმად სწამდა ამ საქმის უდიდესი მნიშვნელობის. ვოლსკის შეგნებული ჰქონდა, რომ თარგმნა მხოლოდ ტექსტის უბრალო, მექანიკური გადმოღება არ იყო და ითხოვდა ნაწარმოების სულის სიღრმეში წვდომას.

გ. ვოლსკი მწერლობას, პოეზიას, მხატვრულ ნაწარმოებს მაღალ მოთხოვნილებებს რომ უყენებდა, მოწმობს მის მიერ ფსევდონიმად „უმწიფარიძის“ არჩევა. მიუხედავად იმისა, რომ იგი სახელმოხვეჭილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე იყო, ილიას, აკაკის, ვაჟას გვერდით თავის პოეტურ ძალას მომწიფებულად არ თვლიდა, თუმცა მის ლექსებს საქართველოს ყველა კუთხეში მღეროდნენ და მასაც დიდ პატივს სცემდნენ.

ალმანახ „ქართველი ერის“ 1909 წლის პირველი ნოემბრის ნომერში გ. ვოლსკის მოღვაწეობა შემდეგნაირად არის შეფასებული:

„ჩვენდა სამწუხაროდ, დღეს ისეთ მდგომარეობაში ჩავვარდით, რომ ბევრი ქართველი თავის შთამომავლობასაც მალავს... ამ ასი წლის განმავლობაში მთელმა ქართლ-კახეთმა გვარები გადაიკეთა, ალბათ, იმ აზრით, რომ ეჭვი არ შეიტანონ მათ ქართველობაში. საზოგადო ასპარეზი დაიცალა... ასეთ დროს სანატრელია ისეთი ტიპის ადამიანი, როგორიც იყო გრიგოლ ვოლსკი.

მუდამ საზოგადო აზრით მცხოვრები, მუდამ საზოგადოებრივ მისწრაფებათა მატარებელი, მუდამ აღგზნებული მოტრფიალე ჩვენი განვითარებისა, გატაცებული და მოხარული, როცა რაიმეს სიკეთეს დაინახავდა ჩვენში... ის იყო პიროვნება ძლიერი ხასიათით, ძლიერი საზოგადოებრივი აზრით, რომელთანაც იმედი გეღვიძება. იყავი გრიგოლ შემდეგაც ქართველთა ხსოვნაში ისევე წარჩინებული ქართველი, ფხიზელი მოქალაქე, გულღია ადამიანი! დეე, მოგბაძონ შენმა მოძმეებმა და მრავლად ირჩიონ ის გზა, რომელიც შენთვის ისე ეკლიანი იყო“.

2009 წელს შესრულდა გრიგოლ ვოლსკის გარდაცვალებიდან 100 წლისთავი. ქართველი საზოგადოება ვალდებულია მის საფლავზე დადგას ბიუსტი შესაფერისი წარწერით. მართალია, ვანდალმა ბოლშევიკებმა 1929 წელს დაანგრიეს ის ეკლესია, რომლის შესასვლელ კარებთან გრიგოლ ვოლსკი იყო დასაფლავებული და, სამწუხაროდ, მისი საფლავიც დაიკარგა, მაგრამ ცნობილია მიახლოებით ის ადგილი, სადაც ის დაკრძალულია. ქალაქის ხელისუფლება დიდ მამულიშვილურ საქმეს გააკეთებს, თუ მის საფლავს სათანადო პატივს მიაგებს. ქალაქ ბათუმის საზოგადოება ვალდებულია ეს გააკეთოს იმიტომაც, რომ გრიგოლ ვოლსკისა და მისი თანამოაზრეების დიდი დამსახურებაა ბათუმის ქართულ ქალაქად გადაქცევა, აქ ქართული ტრადიციების დამკვიდრება და მისი აღორძინება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კ. გერსამია, გრიგოლ ვოლსკი, გაზეთი „პირველი ტალღა“, 1909, №1.
2. ი. ქარცივაძე, გრ. ვოლსკის საფლავზე, ჟურნალი „პირველი ნაბიჯი“, 1909, №2.
3. ჟურნალი „ქართველი ერი“, 1909, №1-2.
4. ნ. კალანდაძე, გრ. ვოლსკი, თბ., 1910.
5. ნ. კალანდაძე, ქართველი მოღვაწეები, თბ., 1912.



ზურაბ ხაბაძე

უსათაურად და უმისამართოდ*

– ბერძნული ტაძარი თავისთავში დავანებული მიწიერი ნაგებობაა. იგი თუმც ცისკენ აწვდილია და საზეიმოდ გამოიყურება, მაგრამ მთლიანად ადამიანურ საზომს ემორჩილება და ღმერთის ადამიანთან შერწყმის ბუნებას გამოხატავს, – ვერთვები საუბარში მე.

– ამ განზომილებაში გეთანხმებით, მაესტრო. ჰომეროსის მიხედვით, ადამიანი მართლაც ღმერთთან შეერთებით შეიქმნა. ზევსი ყველა ადამიანის ჭეშმარიტი მამაა, ხოლო ადამიანი ღვთის ხატია, თუნდაც უაღრესად ნაკლოვანი, – ამბობს პავლე. – ბერძენმა კარგად იცის თავისი სულიერი და ფიზიკური ნაკლოვანება, ამიტომაც ცდილობს ღმერთს იერსახით მაინც დაემსგავსოს. ამ სწრაფვამ ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, სულიერ და ფიზიკურ ღირსებათა გათანაბრებამ ხელი შეუწყო ადამიანის იდეალური ხატის გაჩენას, რაც დამაფიქრებელია.

– ადამიანს, რომ თავი მოვლენების შუაგულში მყოფად მიაჩნდა, ეს ცხადად ჩანს სახვითი ხელოვნების ისეთ დარგში, როგორიცაა კერამიკული მხატვრობა, – კონკრეტული მაგალითით ვავსებ სათქმელს მე. – მასში, გარკვეულწილად, ასახულია ბერძენი ხალხის ყოველდღიური ცხოვრება, თანაც, ხშირ შემთხვევაში, რელიგიურ-იდეოლოგიური ამბიციების გარეშე. მართალია, აქ გვხდება, მითოლოგიური თემები და თქმულებებიც, მაგრამ ჭარბობს ყოფითი სცენები. ასე იყო მუდამ – ადამიანს ყოველდღიური ინტერესები უფრო ამოძრავებდა, ვიდრე რელიგიური და პოლიტიკური პრობლემები.

– მიუღებელია პოლიტიკა ერეოდეს ხელოვნებაში, რაც კომუნისტებს სჩვეოდათ, – სათქმელს ახალ შინაარსს სძენს პავლე. – ხელმწიფეები და სახელმწიფო მოღვაწეები ხელოვნებაზე ზემოქმედების ნაცვლად, მოვალენი არიან შექმნან ქვეყნად სტაბილურობა, რაც ერთობ სასარგებლოა ხელოვნების განვითარებისთვის.

– როგორ მიგაჩნიათ, რა როლი შეასრულა კაცობრიობისთვის კომპიუტერის გამოჩენამ? – ძველი საუბრის თემას ვუბრუნდები მე.

– კომპიუტერი თავის თავზე იღებს ადამიანის ტვინის ფუნქციონირებას, აზროვნება მაშინ არის ყოვლისმომცველი და მტკიცე, როცა იგი შემუშავებულია დროთა განმავლობაში, – ჩემს კითხვას პასუხობს პავლე. – კომპიუტერი ადამიანს თავიდან აცილებს აზრების თანდათანობით გამომუშავებას, „აზარმაცებს ტვინს და არ იქნება გასაკვირი, ამ ფონზე მოხდეს ატროფია“.

---

* დასასრული. დასაწყისი იხ. ჟურნალი „ჭოროხი“, № 2, 3, 5, 6, 2015 წ.; № 3, 4, 6, 2017 წ.; № 3, 4, 5 2018 წ.

– დღეს კომპიუტერული გრაფიკა ბევრ ისეთ საინტერესო რამეს აკეთებს, რომ დიდად ეხმარება მხატვარს თავისი ნაწარმოების დახვეწაში, – ვეუბნები პავლეს. – ეს ნაკლებად შეეხება შრიფტს, რომელსაც, სამწუხაროა, მაგრამ სათანადო ყურადღებას არ აქცევს მხატვარი. შრიფტები, რაც კი იბეჭდება წიგნების ყდებზე, ერთმანეთს ჰგავს. ამიტომაც გახდა მოსაწყენი და ერთფეროვანი წიგნის გარეკანი.

ეს იმიტომ ხდება, რომ მხატვრები ფართოდ იყენებენ ვლადიმერ გრიგოლიას დამუშავებულ ორნამენტსა და შრიფტს. მხატვარს, ვისაც დამოუკიდებლად უმუშავია წიგნის გაფორმებაზე, ან გაუვლია ადრინდელი აკადემიის კურსები ბატონ ლადო გრიგოლიასთან, თვალში ეჩხირება ერთი და იგივე ფორმები. სხვა შეიძლება ამას ნაკლებად გრძნობდეს, ან სულ ვერ ამჩნევდეს. აი, ეს არის ნამდვილად ცუდი თვისება კომპიუტერისა. განსაკუთრებით მოსაწყენია საბავშვო წიგნები თავისი ღია ჭყეტელა ფერებითა და შრიფტით. რასაკვირველია, აქვს კომპიუტერს თავისი დადებითი თვისებებიც, როგორც ტელევიზიას, მაგრამ, მგონი, უფრო უფერულია, ვიდრე შთამბეჭდავი.

– მაგაში მეც გეთანხმები, ჩემო კარგო, – ამბობს პავლე. – ადრე კომპიუტერი არ არსებობდა, მაგრამ უფრო დიდი ხელოვნება იქმნებოდა. რატომ? იმიტომ, რომ ადამიანს ღმერთი სწყალობდა. მაგალითისთვის ავიღოთ ალბრეხტ დიურერი. შეიძლება არ მომწონდეს გერმანული მხატვრობა, მაგრამ ნახეთ როგორი ოსტატობით აქვს შესრულებული „ია“, თავისი მწვანე ძარღვიანი ფოთლებითურთ. აქვე, ისიც უნდა გითხრათ, რომ ინგლისში ვნახე ისეთი მხატვრობა, სადაც ნატურალიზმამდეა დაყვანილი ტილოები (ვებერთელა ნატურმორტები იქნება ეს, თუ სხვა რამე). მათში სული ნაკლებად ჩანს შემოქმედებისა... საერთოდ, მე გამოყენებითი ხელოვნებისაც არ მწამს...

– მაგაში ვერ დაგეთანხმებით, ბატონო პავლე, – შევედავე თანამოსაუბრეს. – ზოგჯერ პატარა და უმნიშვნელო, გრაფიკული უბრალო რამ შეიძლება გაუტოლდეს დიდ ტილოებს. იცით რატომ? წელან თქვენ რომ ახსენეთ სული, სწორედ ის სული და სულიერება გააჩნიათ მათ და იმიტომ. განა შეიძლება მხატვარმა სული არ ჩადოს რომელიმე გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშში, კერამიკული ვაზა იქნება ეს თუ თექა, ოქრომჭედლობა, ფოლადის დამუშავება თუ სხვა რამ. ჰო, მართლა, ფოლადზეც შემიძლია გითხრათ ორიოდ სიტყვა. თბილისში, ახალგაზრდებმა, სიონის ქუჩაზე, სიონის ტაძრის პირდაპირ, გახსნეს სამჭედლო. ისინი ხმალ-ხანჯლებს აკეთებენ, ირმისა და საიგაკის რქებით უმშვენებენ ტარებს, პირს კი სხვადასხვა ორნამენტს ათასგვარი გრავირებით ახატავენ. ჩემი აზრით, ისინიც ხელოვნების ნიმუშებად ითვლებიან.

აქვე ერთი რამე გამახსენდა, რის შესახებაც ერთ-ერთ ლექციაზე ლადო გრიგოლიამ მოგვითხრო. მისი მეუღლე, მხატვარი ინა დივნაგორცევა, საფრანგეთში ყოფილა და „ლუვრის“ მუზეუმის ერთ-ერთ დარბაზში შესწრებია ორ ფრანგს, რომლებიც ანტიკური ხანის ერთ ბერძნულ ლარნაკს აკვირდებოდნენ. მუზეუმის დათვალიერების შემდეგ ისევ იმ ადგილას რომ აღმოჩენილა, შეუნიშვავს, ისინი ლარნაკს კვლავ აკვირდებოდნენ და ფრანგულად გაიძახოდნენ „რა კარგია, რა დიდებულიო“. თითქმის ორი საათის განმავლობაში ისინი ამ ნივთს უსხდნენ, რასაც მათზე ნაკლები ზემოქმედება არ მოუხდენია ფერწერასთან შედარებით.

საქმე იმაშია, ბატონო პავლე, რომ კარგად უნდა ჩასწვდე ხელოვნების ნიმუშის არსს, რასაც, სამწუხაროდ, ბევრი ვერ სწვდება. წინათ გონიოს მიდამოებიდან ტრაპიზონამდე ჩვენს წინაპრებს ფოლადის სამჭედლოები ჰქონდათ. ალბათ, ამიტომაც იყო მსოფლიოში ცნობადი ხალიბური ფოლადი. ჩვენ, ქართველებს, წარსულში ბევრი კარგი რამ გვქონდა, რაც, ვფიქრობ, დღეს აღდგენას საჭიროებს.

– ხელოვნების დანიშნულებაზე როცა ვსაუბრობ, მასში, უპირველესად, დიდ ხელოვნებას ვგულისხმობ. მაგალითად, ტიციანის, რემბრანტის, რაფაელის, ლეონარდოს, მიქელანჯელოს და სხვა-

თა შედევრებს, თორემ ხელოვნება, ყველგან რომ უნდა გამოსჭვიოდეს, ამაზე როდი ვდავობ, – თავის მოსაზრებას იცავს პავლე.

– რომის ეტრუსკულ მუზეუმში ინახება ბერძნული ვაზა, რომელზედაც ნარინჯისფერ-მოოქროსფრო ფონზე შავი ფერით ორი ფიგურაა გამოსახული. ზოგიერთის აზრით, ისინი შაშს თამაშობენ. ესენი არიან აქილევსი და აიასი, თავიანთი მკაცრი პროფილებითა და შუბებით. განა იმათ აკლიათ სული? – სათქმელს დამაჯერებლობას ვმატებ მე.

მიუნხენში ანტიკური ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში პირიქითაა, შავ ფონზე გამოსახულია მოოქროსფერო-ნარინჯისფერი ფიგურები (ოდნავ ცხვირწაგრძელებული მამაკაცები მუსიკის გაკვეთილისთვის დამახასიათებელი პროფილებით). განა მათში ხორცშესხმული არ არის სულიერება? იგივე შეიძლება ითქვას, რა თქმა უნდა, მხატვრობის ნიმუშებზე. რა არის, ბოლოს და ბოლოს, სული? იგი ხომ უხილავია. სულიერებას, როგორც ასეთს მხატვრობაში ახსნას ვუძებნით იმისდა მიხედვით, რამდენად მეტი ოსტატობითა და მხატვრულობით, ანუ განზოგადებით არის გადმოცემული ამა თუ იმ ნაწარმოების არსი. განა რემბრანტის ოფორტები სულიერების განსახიერება არ არის?

გოია, რემბრანტი, ტიეპოლო, დიურერი და სხვა ფერმწერნი, იგივე დიდი სიყვარულითა და რუდუნებით ხატავდნენ თუ კაწრავდნენ ათასგვარ ფირფიტებზე თავიანთ გრაფიკულ ნაწარმოებებს. მიმაჩნია, რომ ისინი თავიანთი აკვატინტათი უტოლდებიან თავიანთ პალიტრას.

აქვე სახელმძღვანელოების დასურათება და ილუსტრირება უნდა გავიხსენო, რაც საოცარ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩემზე, – საუბრის თემას ვცვლი მე. – ბავშვობიდან, დაწყებით კლასებში კარგად აფორმებდნენ პირველი და მეორე კლასის სახელმძღვანელოებს. იმ პერიოდის სახელმძღვანელოებიდან პატარა ნახატი მახსოვს – ეკლიან რკალად მოხრილ ბარდზე ეხატა ჩიტი, რასაც ქვემოთ ხალხური ლექსის სტროფი ერთვოდა:

„ნეტავ არ ჩაგძინებოდა
ჩიტო, ნიბლიავ ნარზედა,
ჩამოგიქროლებს ალალი,
წაგიყვანს მაღლა მთაზედა“.

ყოველივე ეს დიდად აღმაფრთოვანებდა, არანაკლებად, ქართულ ფერწერულ ნამუშევრებთან შედარებით. საინტერესო იყო, ასევე, სეროვის მიერ კრილოვის იგავ-არაკების მიხედვით ფანქრით შექმნილი ილუსტრაციები, რომლებიც მხატვრის ფერწერულ ტილოებს არაფრით ჩამოუვარდებოდნენ. იგივეს ვიტყოდი ვრუბელის შავი აკვარელით შესრულებული ლერმონტოვის „დემონის“ ილუსტრაციებზე, რომლებიც, ასევე, ემოციური მუხტითა და განზოგადებით მის მხატვრულ ტილოებს უტოლდება.

– დაზგური ფერწერა და კედლის მხატვრობა ძველბერძნული ხელოვნების ისტორიას არ შემოუნახია, ჩემო კარგო, – მეუბნება პავლე. – სავარაუდოდ, ამ დიდმა ხელოვნებამ საბერძნეთში განვითარების იგივე გზა განვლო, რაც ქანდაკებამ, მას მხოლოდ წერილობითი გადმოცემებით თუ ვიცნობთ, ან შემთხვევით შემორჩენილი ფრაგმენტებით.

– მაგაში სავსებით გეთანხმებით, ბატონო პავლე, – ვუდასტურებ თანხმობას თანამოსაუბრეს. – მაგრამ, აქვე უნდა ითქვას, რომ ძველი ბერძნები მისდევდნენ წმინდა სიბრტყულ მხატვრობას. აქედან გამომდინარე, უგულველყოფდნენ მოცულობითობასა და სივრცებრიობას, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მათ ფერწერა დამოუკიდებელ დარგად მიაჩნდათ. კერძოდ, მისდევდნენ სურათის ორგანზომილებიანობას. ანდა, ვინ იცის, იქნებ, ჰქმნიდნენ მოცულობით ნიმუშებსაც და შემოიფარგლებოდნენ წმინდა გეომეტრიული სტილითა თუ ორნამენტული ხელოვნებით.

ძვ. წ. მარათონის (490 წ.) და სალამინის (480 წ.) გამარჯვებებმა საბერძნეთს აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვის აუზში ჰეგემონია განუმტკიცა. პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ძლიერებამ დიდად შეუწყო ხელი ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას, რასაც ნაყოფიერი შედეგები მოჰყვა კულტურის სფეროშიც. ელადამ უდიდეს წარმატებებს მიაღწია ლიტერატურაში, ფილოსოფიასა და სახვით ხელოვნებაში. განსაკუთრებით ქანდაკებასა და მხატვრობაში მოხდა რადიკალური შემობრუნება, გაქვავებული არქაული ფორმა შეცვალა ადამიანის ჰარმონიულმა და იდეალურმა სილამაზის ხატმა.

– იცი რა გეტყვი ჩემო კარგო? – მერთვება საუბარში ბატონი პავლე. – ბერძნულ მხატვრობასა და ქანდაკებაში მთავარი და ხაზგასასმელია უბრალოება და მშვიდი სიდიადე. ამასვე ამბობს ვინკელმანი, მსგავსად იმისა, „როგორც ზღვის სიღრმე მარად მშვიდი, რომ რჩება, თუნდაც ზედაპირი მძვინვარებდეს“. სწორედ ამის ანალოგიურად გვიჩვენებენ, ბერძენთა შექმნილი სახეები მტკიცე სულს ყოველგვარი ვნებათაღელვისას.

სულ მავიწყდება, სპარსული გვარისგან წარმოშობილი მხატვარი რომაა, იმის ვინაობა, – ამბობს პავლე. მივხდი, რომ ფიროსმანი ჰქონდა მხედველობაში და ვკითხე – ვის გულისხმობთ-მეთქი? ფიროსმანს? – დიახ, დიახ, ფიროსმანს, – დამეთანხმა თანამოსაუბრე. – მის შემოქმედებას ადამიანის თვალი იმიტომ მიაქცევს ყურადღებას, რომ ორიგინალურია და ამავე დროს, ერთობ, სადა. მე მყავდა თბილისში ინგლისელი სტუმრები და მითხრეს, ამდენს რომ აქებენ, გვაჩვენე თქვენი ფიროსმანის ტილოებიო, მაგრამ არ გამოუჩენიათ მათი ნახვისას დიდი აღფრთოვანება.

ბატონი პავლეს ამ მსჯელობამ დამშვიდების მაგივრად ცოტათი ხასიათი მომიშალა და ჩემს აზროვნებაში ხელში ყვავილისკონიანი ფიროსმანის დამორილფეხებიანი მარგარიტა ამოტივტივდა. თუმცა, მხატვრის სხვა ნაწარმოებებში მაინც იგრძნობა ის კლასიკური, ბერძნული სიმშვიდე, რაზედაც ხელოვნების თეორეტიკოსები ამდენს წერდნენ.

– ფიროსმანს რომ სამხატვრო აკადემია დამთავრებული ჰქონოდა, დაკარგავდა უშუალობას და სისადავეს, – ვეუბნები პავლეს. – მთავარია სისადავე და უშუალობა ინტელექტს დაუკავშირო. ფიროსმანს გააჩნდა შინაგანი ინტელექტი, რასაც მისივე სიუხეშე უშლიდა ხელს.

ამაზე მეტს ნუღარ ვილაპარაკებთ. როგორც გალაკტიონის ზეგავლენას უნდა დააღწიონ თავი ქართველმა პოეტებმა, ასევე, უნდა დავაღწიოთ თავი ფიროსმანის ამდენ ქებას. იგი უფრო პროფესიონალებს სჭირდებათ, ვიდრე უბრალო დამთვალიერებელთ.

– რას ნიშნავს ინტელექტი? იგი ადამიანის აზროვნების უნარი, გონება, ჭკუა, გონებრივი განვითარების დონეა. ასე ხსნიან უცხო სიტყვათა ლექსიკონში, – თავისივე შეკითხვას გასცა პასუხი ბატონმა პავლემ.

– ფიროსმანი ყველაფერს თავისივე ინტუიციით აღწევდა. ინტუიცია კი, ნიშნავს ალღოს. იგი უშუალო და სტიქიური გრძნობაა. ემყარება ადრინდელ გამოცდილებას, – ვერთვები საუბარში მე. – მარქსისტები იდეალურ ფილოსოფიას ცოტათი ირონიულად უყურებდნენ. თავად იდეალისტური ფილოსოფია კი ალღოს ასე ხსნის – „უშუალო წვდომა ჭეშმარიტებისა (მეცნიერული ცდისა და ლოგიკების, დასკვნების გარეშე)“. სწორედ ამ დასკვნების გარეშე აკეთებდა ფიროსმანი ყველაფერს, მაგრამ მეტად მწირი საშუალებებით.

თქვენ, ერთგან, ახსენეთ რომანტიზმი, რომელიც თქვენივე აზრით არ განვითარებულა ხელოვნებაში, – ვახსენებ ძველი საუბრის თემას პავლეს.

– დიახ, ვახსენე, – მიდასტურებს თანამოსაუბრე. – იგი ინტენსიურად, მართლაც, არ განვითარებულა. ჰეგელი რომ მოსწრებოდა იმპრესიონიზმს, კუბიზმსა და სიურრეალიზმს, მაშინ დიდი ფილოსოფოსი სხვაგვარად ჩამოაყალიბებდა თავის შეხედულებებს. ჩემი აზრით, იმპრესიონიზმი და იგივე რომანტიზმი, ვერ გაუთანაბრდება კლასიკოსების დონეს. ამას ადასტურებს გოეთეც, როდესაც

ამბობს „რომანტიზმს მე ვუწოდებ ავადმყოფურს კლასიკოსებთან შედარებით“. ვინ იცის, ზღაპარია თუ სინამდვილე, მაგრამ სახვითი ხელოვნების პირველი ცდები სიყვარულითაა შთაგონებული. უდავოა, რომ დიდ ძველ ხელოვანთა შემოქმედებას სწორედ იგი წარმართავდა.

ბერძენმა ოსტატებმა მას, მშვენიერების გარდა, ვიწრო ჩარჩოები დაუდგინეს. თვით საგნის სრულყოფას მათ ნაწარმოებებში აღტაცება უნდა გამოეწვია, მახინჯის დახატვას არავინ ისურვებდა. დღეს კი, ასე აღარ არის. მეტიც – მახინჯები უფრო იხატებიან, ვიდრე მშვენიერი და ჰარმონიულად განვითარებული ადამიანები. ზოგადად, დღევანდელ მხატვარს, პირობითად, შეიძლება მიესადაგოს მოსაზრება: „რა მახინჯადაც არ უნდა გამოიყურებოდე, მაინც დაგხატავ. თუ შენი ხილვა არავის სურს, ჩემს სურათს სიამოვნებით მაინც შეხედავენ. იმიტომ კი არა, რომ შენზე თვალის შევლება სურთ, არამედ იმისთვის, რომ ასეთი საფრთხობელა ორიგინალის მსგავსი დაგხატეო“.

– ვეთანხმები ბერძნული მშვენიერების ხედვას სახვით ხელოვნებაში, რასაც იზიარებდნენ რენესანსის ეპოქის მხატვრები, – ვამბობ მე. – მახინჯებს, ზოგჯერ, მართლაც ხატავდნენ. ისიც კარგადაა ცნობილი, ხელისუფლების მპყრობელნი რომ არ თვლიდნენ სათალიკოდ, მხატვარი თავიანთ სფეროში ძალდატანებით გაეჩერებინათ. ცნობილია თებელთა კანონიც, რომელიც მხატვრებს მშვენიერების მიბაძვას უბრძანებდა, სიმახინჯის მიბაძვას კი ჯარიმით სჯიდა. ეს კანონი არ იყო მიმართული მდარე მხატვრების წინააღმდეგ. იგი კრძალავდა ხელოვნებაში უღირსი ხერხების გამოყენებას, როცა ხელოვანი სინამდვილის მსგავსებას მახინჯი მხარეების გაზვიადებით აღწევს, დევნიდა კარიკატურას.

ძველი ბერძენი ხელოვანები რომ გააცოცხლო და დღევანდელი მხატვრობა აჩვენო, პიკასოებს და მატისებს არათუ მოიწონებდნენ, დაიწუნებდნენ კიდევაც. და ეს არა მარტო იმიტომ, რომ იმ ეპოქის ცნობილი მხატვარი მშვენიერებას არ ხატავდა, არამედ იმიტომაც, რომ მათი ფერწერის მანერა პასტოზური იყო, სქლად წერდნენ ტილოებს. მაშინ არ არსებობდა ზეთის საღებავები, თუმცა თხლად და ლისირებით, ზეთის საღებავებსაც იყენებდნენ. იმდროისთვის სანთლით ენკაუსტიკა არსებობდა, ანუ საღებავს ცვილით აზავებდნენ, როგორც ძველეგვიპტელნი.

ნოდარ სურმანიძე
ნიკოლოზ დუმბაძე

ქოჩახელას სახელისა და სადაურობის დაზუსტებისთვის

საქვეყნოდ ცნობილი ვირტუოზი მეჭიბონე ქოჩახელა სახელოვნებო ასპარეზზე გამოვიდა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან. იღვაწა მეოცე საუკუნის პირველ ნახევარშიც თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე.

ჩვენ, ამ წერილის ავტორები, ვართ ქოჩახელას ახლო ნათესავები, მოვესწარით მის მოღვაწეობას, შევხვედრივართ პირადადაც და ვზიარებივართ მის მელოდიებს. იგი დედაჩვენების მამის მკვიდრი იყო (ჩვენი დედები დები იყვნენ). ამდენად, დაგვეჯერება, ნათელი მოვფინოთ მის ვინაობას და ცხოვრების ცალკულ მნიშვნელოვან საკითხს.

ქოჩახელას ჰყავდა და ჰყავს კიდევაც ბევრი დამფასებელი და თაყვანისმცემელი. მასზე, მის შემოქმედებაზე წერდნენ ჟურნალ-გაზეთები, გამოიცა წიგნებიც, მაგრამ ზოგიერთი ავტორის მიერ დაშვებულია უზუსტობა, კერძოდ, სახელის, დაბადების და ცხოვრების ადგილის დასახელებაში, ზოგიერთ სხვა ნიუანსში.

ქოჩახელა – **ედეჰემ** (და **არა ედემ ან ედეემ**) მემედის ძე სურმანიძე **დაიბადა** 1861 წელს ხულოს რაიონის **სოფელ ფუშრუკაულში,** მემედ სურმანიძის ოჯახში. იგი მშობლების მესამე, უმცროსი შვილი იყო. სწორედ აქ იცხოვრა ედეჰემ სურმანიძემ მშობლებთან ერთად და მათ შემდეგაც. მემედ სურმანიძეს დიდი მამულები გააჩნდა სოფელ ფუშრუკაულის ერთ-ერთ უბან სალიქოშანში. აქაური სახნავ-სათესი მიწები ზოგჯერ დაუმუშავებელი რჩებოდა, რის გამოც ხშირად ხდებოდა მიწების დატაცება. სამეზობლო დავას რომ მორიდებოდა, ქოჩახელამ, მამის სიკვდილის შემდეგ, გადაწყვიტა საცხოვრებლად გადასულიყო სხვა სოფელში. ასეც მოხდა. მან თავისი სავარგულები გადაუცვალა სოფელ კვატიაში მცხოვრებ შაჰან დუმბაძეს და საცხოვრებლად ოჯახით ამავე სოფელში დაფუძნდა, ხოლო დუმბაძის ოჯახი დასახლდა სალიქოშანში, სადაც ახლაც ცხოვრობს მათი მემკვიდრეთა ნაწილი.

თავის დროზე მემედ სურმანიძემ თავისი ერთადერთი ქალიშვილი გაათხოვა სოფელ ხიხაძირში, კერძოდ, ნადაბურის უბანში მცხოვრებ გევერ გორგაძეზე, რომლის ხშირი სტუმრები იყვნენ მამაშვილი მემედ და ედეჰემ სურმანიძეები. ედეჰემის შემოქმედებითი აღზევება ამ სოფელთან და აქ მცხოვრებ ფოლკლორის მიმდევრებთან არის დაკავშირებული.

ედეჰემის მამა მემედი ცნობილი მზარეული ყოფილა, რის წყალობითაც ხიმშიაშვილთა ხულოს რეზიდენციაში მზარეულად მიუწვევიათ, საიდანაც შემდგომში გაუმწესებიათ სოფელ ქოჩახის საზაფხულო რეზიდენციაში. სწორედ აქ შეურქმევია მისთვის აჭარის მმართველს – შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილს – ქოჩახელა, რაც შემდეგ ეს სახელი მამიდან შვილზე გადასულა. ჩვენმა თაობამ ედეჰემის სახელი თითქმის დაივიწყა.

მემედი ხშირად დაატარებდა პატარა ედეჰემს ქოჩახში. იგი ამ დროს საკმაოდ ცნობილი მეჭიბონე ყოფილა. მისი ნიჭიერება დროზე შენიშნეს და ჭიბონზე დაკვრის ოსტატად დაახელოვნეს იმ დროისთვის ხიხაძირში და მის მეზობელ სოფლებში მოღვაწე პროფესიონალებმა: ფეიზო იშხნელიძემ, ასლან აბაშიძემ და სხვებმა. ამიტომ, ედეჰემ ქოჩახელა პოპულარული მეჭიბონე გახდა. მას იწვევდნენ ქორწილებში, შეხვედრებზე, შეჯიბრებებზე, სანადიმო ვახშმებზე.

ედეჰემმა თანდათან სრულჰყო ჭიბონის დამზადებისა და დაკვრის ხელოვნება. აჭარის მმართველი ბეგები ხიმშიაშვილები მას ოფიციალურადაც იწვევდნენ საზაფხულო რეზიდენციაში ქოჩახში, სადაც თავს იყრიდნენ საუკეთესო დამკვრელები, მომღერლები, მოცეკვავეები, ოხუნჯები, მოშაირეები, სპორტსმენები, რის შედეგადაც იმართებოდა მრავალი შინაარსიანი გასართობ-სანახაობითი ღონისძიება. ერთმა ასეთმა ღონისძიებამ თანდათანობით სახალხო დღესასწაულის „ქოჩახელობის“ სახელი მიიღო, ხოლო მისი დამთავრების შემდეგ იწყებოდა „შუამთობის“ სახალხო დღესასწაული. აქაც ედეჰემი გახლდათ მთავარი ფიგურა.

მდიდარია ქოჩახელას მელოდიებით შესრულებული სიმღერები და ცეკვები. ქოჩახელას რეპერტუარი იყო ხალხური სიმღერები: „მაყრული“, „ხიხაძირული სატრფიალო“, „საპატარძლო მაყრული“, „ქალ-ვაჟის გაბაასება“, „ხერტლის ნადი“, „ო, ჩელა, საჩეჩელა“; ცეკვები: „ქართული“, „ხორუმი“, „განდაგანა“, „ოჰოი, ნანა“, „მხედრული“ და სხვა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საცეკვაო რეპერტუარიდან ქორჩახელა შვიდნაირ „ხორუმს“ უკრავდა, თანაც ყოველ საცეკვაო მელოდიას თავისი შინაარსი ჰქონდა. ისინი განსხვავდებოდნენ ერთიმეორისგან დაწყებით, ტემპითა და სვლით.

ქოჩახელას თავისი სასიმღერო რეპერტუარიც ჰქონდა. სიმღერების ტექსტსა და მელოდიასაც თვითონვე თხზავდა. იმდენად მოიპოვა უბადლო და მაღალი ოსტატობის მქონე ხელოვანის სახელი, რომ იწვევდნენ სახელისუფლებო ღონისძიებებზეც. ასეთი რამ განხორციელდა, მაგალითად, მეოცე საუკუნის დასაწყისში კურორტ აბასთუმანში იმპერატორის ძმისშვილის მიხეილ რომანოვის მკურნალობის დროს, როცა მის საპატივსაცემოდ გაზაფხულის დღეებში მხატვრული ღონისძიება მოეწყო, სადაც ხულოს მაზრის პოლიციის უფროსმა თემურ ხიმშიაშვილმა, ქოჩახელასთან ერთად, ხიხაძირელ მოცეკვავეთა ჯგუფი ჩაიყვანა ასლან აბაშიძის, ისმაილ გაბაიძის, აბდულ ცეცხლაძის, მეიდან და სადო ხალვაშების, ვეზირ მიქელაძის შემადგენლობით.

ქოჩახელას მუსიკამ და ხიხაძირელთა „ხორუმმა“ დაატყვევა დამსწრენი, მათ შორის მიხეილ რომანოვიც. ცეკვის დასრულების შემდეგ იმპერატორის ძმისშვილს თემურ ხიმშიაშვილისთვის უკითხავს: „Это, что за хор?“ მისთვის უპასუხიათ, რომ „Это не хор, а народный танец „Хоруми“.

1933 წელს აჭარაში, კერძოდ კი, სხალთა-ხიხანის ხეობაში აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას ხელმძღვანელობით მოეწყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო ექსპედიცია კულტურის ძეგლთა და მოსახლეობაში არსებული ფოლკლორული მასალების შესწავლის მიზნით, რომლის მიმდინარეობისას ჩაუტარებიათ კონცერტიც. ექსპედიციის წევრები განცვიფრებულან ქოჩახელას მუსიკითა და ხიხაძირელი მოცეკვავეების მიერ ცეკვა „ხორუმის“ შესრულებით, რისი შედეგი იყო ის, რომ ისინი 1934 წლის მაის-ივნისში ქ. თბილისში ჩატარებულ ამიერკავკასიის ხალხთა ხელოვნების ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად მიუწვევიათ. ედეჰემ სურმანიძე და ხიხაძირელი მოცკვავეები 23 მაისს, თბილისში წასვლამდე, ცეკვა „ხორუმით“ ბათუმის სახელმწფო თეატრში

გამოსულან, რამაც დამსწრე საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა. შემდეგ ისინი ოლიმპიადის სხვა მონაწილეებთან ერთად ქ. თბილისში გაემგზავრნენ. აჭარის ანსამბლებს თან ახლდნენ ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე სელმან ლორთქიფანიძე, განათლების სახალხო კომისარი ხუსეინ ნაკაიძე და კომპოზიტორი ალექსანდრე ფარცხალაძე. ოლიმპიადა ჩატარდა თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში. ხიხაძირელთა „ხორუმმა“ და ქოჩახელას ჭიბონზე დაკვრამ განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ოლიმპიადის მონაწილეებზე. გამარჯვებულნიც ისინი გამოვიდნენ, რის გამოც ანსამბლი დაჯილდოვდა საპატიო სიგელით. მეჭიბონე ქოჩახელას და „ხორუმის“ წამყვანს ასლან აბაშიძეს გადაეცათ, აგრეთვე, ფულადი ჯილდო 200-200 მანეთის ოდენობით, ხოლო მეხორუმეებს – 150-150 მანეთი. ისინი თეატრის სცენაზე სამჯერ გამოიყვანეს. ბოლოს მიიწვიეს მარჯანიშვილის თეატრში საზეიმოდ მოწყობილ გამარჯვებულთა კონცერტზე.

1937 წელს ქოჩახელამ, როგორც დახელოვნებულმა მეჭიბონემ, ხიხაძირელ ქორეოგრაფიულ ჯგუფთან ერთად, მონაწილეობა მიიღო საქართველოს ხელოვნებისა და კულტურის დეკადაში, რომელიც გაიმართა ქალაქ მოსკოვში. როგორც მოსალოდნელი იყო, ქოჩახელას საშემსრულებლო ოსტატობამ განაცვიფრა მოსკოველი და საზღვარგარეთელი მაყურებელი.

გადიოდა წლები... ხანდაზმული ქოჩახელა ჩვეული და დაუღალავი ენერგიით მრავალგზის მონაწილეობდა მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერებებში, ოლიმპიადებსა და კონკურსებში. კულტურის აღნიშნული სფეროს განვითარებაში თვალსაჩინო და ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის მრავალჯერ დააჯილდოეს საქართველოსა და აჭარის უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით და ფასიანი საჩუქრებით, პატეფონის 10 ფირფიტით.

ქოჩახელას დიდი დამსახურებაა ისიც, რომ მისი მზრუნველობით გამოიწრთო და გამოიზარდა ბევრი ოსტატი მეჭიბონე, სახელდობრ, მეთიალი გორგაძე, რესულ და ყაიალი სურმანიძეები, თუფან და ისა ბერიძეები, მურსელ დუმბაძე, ზაქრო აბაშიძე, რომლებმაც სოფლებში გამოზარდეს ახალ-ახალი თაობები. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ქოჩახელას აღზრდილი მეჭიბონის მეთიალი გორგაძის დამსახურება, რომელმაც შეითვისა და შეისწავლა საყვარელი ბიძისა და მასწავლებლის ხელოვნება და დიდხანს ემსახურა თავის ქვეყანასა და ხალხს.

ვირტუოზი სახელოვანი მეჭიბონე ქოჩახელა მუდამ იყო ხელოვნებათმცოდნეების, მწერლების, მეცნიერთა კვლევის უშრეტი წყარო. მისი მუსიკალური შემოქმედებით დაინტერესდნენ კომპოზიტორები შ. მშველიძე და გრ. კოკელაძე, რომლებმაც იგი სპეციალურად ჩაიწერეს ფონოგრამებზე და ნაწილი გადაიღეს ნოტებზე (ინახება თბილისში, ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის ფონდში). ქოჩახელას რეპერტუარის ერთი ნაწილი გამოაქვეყნა კომპოზიტორმა ალ. ფარცხალაძემ 1936 წელს ბათუმში გამოცემულ წიგნში „აჭარის ხალხური ცეკვები და სიმღერები“.

1937 წელს მოსკოვში ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების პირველი დეკადის გრამფირფიტების საკავშირო სტუდიამ ქოჩახელას შემოქმედებას მთელი ფირფიტა მიუძღვნა, 1952 წელს კი კომპოზიტორებმა დ. არაყიშვილმა და თ. მამალაძემ მაგნიტოფონზე ჩაიწერეს ქოჩახელას რეპერტუარი. ამბობენ, რომ ქოჩახელას მიერ შესრულებული „საპატარძლოს მაყრული“ და სხვა მელოდიები მაგნიტოფონზე ჩაუწერია ჩვენი კუთხისა და ქართული ფოლკლორის მოტრფიალეს არჩილ ჩხარტიშვილს. ქოჩახელას მდიდარი რეპერტუარიდან ორი მუსიკალური ნაწარმოები („ხორუმი“ და „ლეკური“) ფირფიტიდან ჟურნალისტ სოსო აბაშიძის თხოვნით გადაწერა და აჭარის ტელეკომპანიის მუდმივ ფონდში შეინახა მუსიკოსმა თენგიზ შამილაძემ.

ქოჩახელას შემოქმედებას, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მნიშვნელოვან თემებს წონადი შრომები მიუძღვნეს აჭარის ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, ხელოვნებათმცოდნე ალი მსხალაძემ, მწერალმა და მეცნიერმა, პროფესორმა რამაზ სურმანიძემ, ჩვენმა სასიქადულო პოე-

ტებმა ფრიდონ ხალვაშმა და მამია ვარშანიძემ, ხოლო ჟურნალისტმა და მწერალმა, საქართველოს კულტურის დამსახურებულმა მუშაკმა რევაზ გორგაძემ, მკითხველს მიაწოდა მრავალმხრივ საინტერესო წიგნი „ქოჩახელა“. ამას წინათ, მიმდინარე წლის 4-5 ოქტომბრის გაზეთ „აჭარაში“ ცნობილმა ქორეოგრაფმა და ხელოვანებათმცოდნე ზაურ ლაზიშვილმა გამოაქვეყნა ყოველმხრივ შინაარსიანი და საინტერესო სტატია – „ქოჩახელა, ქოჩახელა, როგორ ატირებდი ჭიბონს“.

ღრმად მოხუცებული ქოჩახელა (ედეჰემ სურმანიძე) 1955 წელს გარდაიცვალა თავის ბოლო საცხოვრის სოფელ კვატიაში. დაკრძალულია ამავე სოფელში. თავის დროზე აჭარის მუსიკალურმა საზოგადოებამ (პრეზიდენტი ნოდარ საგინაძე), პატივი მიაგო სახელგანთქმულ ხელოვანს და მის საფლავზე გააკეთა მემორიალური დაფა წარწერით: „აქ განისვენებს ცნობილი მუსიკოსი (მეჭიბონე) ქოჩახელა. 1861-1955 წწ.“

ავთანდილ ჯერიძე

შესახებ ჟურნალისა „მზიანი ღამე (დაკლებულისთვის შეგვინდეთ)“



ერთი შეხედვით არაფერი, ჩვეულებრივი ჟურნალია, ლამაზი, ლურჯი ყდით და ლამაზი სათაურით, არც ძალიან სქელი და არც ბროშურასავით მორჩილი.

გადაფურცლეთ და კითხვა დაიწყეთ, ბოლომდე ისე გასულხართ, ვერც შეამჩნიეთ – 40-მდე წერილი, ესეი, ჩანაწერი, ინტერვიუ, მოთხრობა რედაქტორის წინათქმით და საბოლოო საფიქრალით. ავტორთა დიდი ნაწილი – სახელგანთქმული, ჭკუის საკითხავი, კომპეტენტური და გულანთებული ხალხია, ნაწილიც თქვენთვის უცნობი, მაგრამ ხალასი თხრობით პირუთვნელად მოსაუბრე. ორი ავტორი 90-ს გადაცილებული ჭარმაგია, ტყუილიც რომ დაეჯერება, ბევრი ჭკუადამჯდარი, უმაღლესი რეგალიებით შემკული, შუახანსგადაცილებულია, ზოგიც ახალგაზრდა, ახლა რომ იწყებს ნაფიქრალის გამომზეურებას.

უნიკალური ჟურნალია – სიკეთეს, ქველმოქმედებას, დაფასების აუცილებლობას, კარგი მთქმელის კარგად გაგონებას ეძღვნება, ღირსებაზე, მის ქონაზე თუ არქონაზე, მისი ქონების აუცილებლობაზე და საჭიროებაზე, კაცობაზე მოგვითხრობს.

ჟურნალი წელიწადში ერთხელ გამოსაცემადაა ჩაფიქრებული, თუმცა, „დაკლებულის“ შევსებას ყოველთვის ეცდება.

იდეის ავტორი და სულისჩამდგმელი პუბლიცისტი ოთარ გაგუაა – ბევრისთვის ნაცნობი და ყველასთვის ძვირფასი მხცოვანი ინტელექტუალი. რადგან სპონსორი არ ჰყავს, ჟურნალის პირველი ნომერი ბატონი ოთარის „პატარა ჯიბით“ დაიბეჭდა ამა წლის ივნისში და ამიტომაც ტირაჟი მხოლოდ 500 ცალია – პირწმინდად გავრცელდა ძირითადად აჭარაში, ქუთაისსა და თბილისში.

აქვე მოგაწვდით ინტერნეტის იმ მისამართებს, სადაც დაინტერესების შემთხვევაში მოიძიებთ ჟურნალის პირველ ნომერსაც და გამოხმაურებებსაც:

1. ჟურნალი „მზიანი ღამე“ №1: http://bit.ly/2BPw9UY
2. ფეისბუკგვერდი: http://bit.ly/2FXz5TS

ღვთის წყალობას გისურვებთ.

01.10.18. ბათუმი

ალბომი 6

2018